


ჟან-ჟაკ რუსო

1712-1778

დაიბადა ქალაქ ჟენევაში ხელმოკლე მესაათისა და ცეკვის მასწავლებლის ოჯახში. მისი ბავშვობა დრამატულად წარიმართა – დედა ადრე გარდაიცვალა, ხოლო დანაშაულში ეჭვმიტანილმა მამამ თავი მეზობელ კანტონის ოლქს შეაფარა, სადაც ახალი ოჯახი შექმნა. რუსო იძულებული იყო ადრეული ასაკიდანვე დღიური მუშაობით ერჩინა თავი; მოგვიანებით მდივნობას, შინამასწავლებლობას, მთარგმნელობასა და კომპოზიტორობას მიჰყო ხელი, მაგრამ თავის დამკვიდრება ვერსად შეძლო – „ძალიან ცუდად იყო მაშინ ჩემი საქმე, ყველა მიხვდება, თუ რა მდგომარეობაში ჩავვარდი“, – წერდა იგი. უსახსროდ დარჩენილი 1741 წელს პარიზის გარეუბანში დასახლდა და დრამატურგიაში სცადა ბედი, მაგრამ წარუმატებლად.



მალე რუსო დაოჯახდა. თავისი ხუთივე შვილი ბავშვთა სააღმზრდელო სახლს მიაბარა და, უყურადღებობის გამო, სამუდამოდ დაკარგა კიდევ. მოხუცებულობაში რუსო ამოდ დაეძებდა მათ გზასა და კვალს. თავს კი იმით იმართლებდა, მათ სარჩენად სახსარი არ გამაჩნდაო, მშვიდად მეცადინეობის საშუალებას არ მაძლევდნენ და მერჩივნა მათგან გლეხები გამოსულიყვნენ, ვიდრე ჩემებრ თავგადასავლების მაძიებლებიო.

პარიზში რუსო განმანათლებლებს დაუკავშირდა. 1749 წელს მან დიდროს რჩევით დიჟონის აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარადგინა ფილოსოფიური ტრაქტატი „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნებათა გამო“. ნაშრომმა, რომელშიც იგი საუბრობს კაცობრიობისთვის ცივილიზაციის უპირატესად მანკიერ როლზე, ავტორს საქვეყნო აღიარება მოუტანა.

1754 წელს რუსომ გამოსცა თხზულება „მსჯელობანი ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობასა და საფუძველზე“. ამ ნაშრომში იგი ადა-

მიანთა ჩაგვრისა და ყოველგვარი უთანასწორობის წარმოშობა ძირითად მიზეზად კერძო საკუთრებას აცხადებს და მიაჩნია, რომ მდიდრებად და ღარიბებად საზოგადოების დაყოფა ადამიანთა გამოგონილია — „ეს უთანასწორობა თავად ადამიანის მიერ არის შექმნილი და ეწინააღმდეგება ბუნებას“, აგრეთვე, რომ ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია და მხოლოდ გახრწნილ საზოგადოებაში ხდება ბოროტი და მანკიერი.

1762 წელს გამოცემულ ნაშრომში „პოლიტიკური ტრაქტატი საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ, ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“, რუსო აყალიბებს საყოველთაო თანასწორობაზე დაფუძნებული დემოკრატიული რესპუბლიკის სტრუქტურას და ხალხის სუვერენიტეტის ძირითად იდეებს. იგი მხარს უჭერს ხალხის ძველისძველ უფლებას დაამხოს ტირანული რეჟიმი, უარყოფს ძღვევამოსილთა მიმართ კომპრომისს და არ იზიარებს განმანათლებელთა ერთი ნაწილის ილუზიას ე. წ. „განათლებული მონარქიის“ შესაძლებლობის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ რუსომ პროგრესის იდეას პოზიტიური მნიშვნელობა დაუბრუნა.

1861 წელს რუსომ დაწერა რომანი „ჟიული, ანუ ახალი ელოიზა“, რომლითაც სათავე დაუდო ლიტერატურულ მიმდინარეობას — სენტიმენტალიზმს. რომანის ძირითადი დრამატული კვანძია აზნაურის ქალიშვილის — ჟიულის ამბოხება დესპოტი მამისა და, მისი სახით, კონსერვატიული წოდებრივი მორალის საფუძველთა წინააღმდეგ. „ახალი ელოიზა“ სოციალურ-პოლიტიკური და იდეურ-ფილოსოფიური ნაწარმოებებია, რომელშიც ავტორი ქმნის თავისი დროის საზოგადოებისთვის სასურველი ადამიანის სახეს.

1762 წელს დაწერილი პედაგოგიური რომანი „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ — ვრცელი მორალური ტრაქტატია. ფრანგი განმანათლებლები ბავშვთა აღზრდის საკითხებს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ აღზრდის გზით გამოსწორდებოდა საზოგადოებრივი მანკიერებანი და აღმოიფხვრებოდა სოციალური ბოროტებანი.

რუსოს აზრით, აღზრდამ ადამიანს უნდა შთაუწეროს კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობები და საზოგადოებას მისცეს სასარგებლო ადამიანი.

ბავშვს (ემილის) თავიდანვე მეურვეობს აღმზრდელი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში აყალიბებს და წვრთნის მის ხასიათს. იგი ემილის არ აკარებს წიგნებს, რათა ბავშვი არ „გაიოყვნას“. „ცხოვრება — აი, ხელობა, რაც მინდა ვასწავლო მას. მე მჯერა, ჩემი ხელიდან გამოსული, იგი არ გახდება არც მოსამართლე, არც ჯარისკაცი, არც მღვდელი, უწინარეს ყოვლისა, ის იქნება ადამიანი“.

ამ ნაწარმოებმა საფუძველი ჩაუყარა ახალ პედაგოგიურ აზროვნებას.

იგილი ანუ აღზრდის შესახებ

მეორე წიგნი

აქ არის ცხოვრების მეორე მიჯნა, სადაც, ზუსტად რომ ითქვას, თავდება ბავშვობა (*l'enfance*), რადგან სიტყვები *infans* და *puer* სინონიმებია. პირველი თავსდება მეორეში და ნიშნავს: რომელსაც ლაპარაკი არ შეუძლია. ამიტომაც არის, რომ ვალერიუს მაქსიმუსს უწერია *puerum infantem*. მაგრამ მე ჩვენს ენაში მიღებული სიტყვაბმარების მიხედვით მაინც „ბავშვს“ ვამჯობინებ იმ ასაკამდე, რომელსაც ჩვენი ენა სხვა სახელს ეძახის.

რაკი ბავშვი ლაპარაკს დაიწყებს, იგი ნაკლებს ტირის. ეს პროგრესი ბუნებრივია: ერთი ენა მეორემ შეცვალა, როგორც კი ბავშვს შეუძლია სიტყვით გამოთქვას, რაც აწუხებს, რალად უნდა ამას ყვირილი, თუ ტკივილი მართლაც ისე ძლიერი არ არის, რომ სიტყვით ვერ გამოითქმება. თუ იგი მაინც ტირის, ეს იმათი ბრალია, ვინც ბავშვის გარშემოა. რაკი ემილი ერთხელ იტყვის მტკივაო, ძლიერ დიდი ტკივილია საჭირო, რომ აატიროს იგი.

თუ ბავშვი აზიზია, მგრძნობიარე, ბუნებით მტირალა და ტყუილუბრალოდ ტირის, სულ მალე დავამორებ ამის სათავეს, იმით რომ მის ყვირილს უსარგებლოსა და უშედეგოს ვავხდი. სანამ ტირის, არ მივალ მასთან: გაჩუმდება თუ არა, მივირბენ. სულ მალე მისთვის ჩემ დასაძახებელ საშუალებად იქცევა გაჩუმება, ანდა დიდი-დიდი ერთი წამოყვირება. ბავშვი თავის გრძნობებზე იმ ეფექტის მიხედვით მსჯელობს, რასაც ჩვენში ხედავს; სხვა კრიტერიუმი მას არ აქვს: რაც არ უნდა იტკინოს ბავშვმა, ძლიერ იშვიათია იტიროს, როცა მართაო, თუკი არა აქვს იმის იმედი, რომ ვინმე გაიგონებს.

თუ ბავშვი დაეცა, კოპი ამოუვიდა, ცხვირიდან სისხლი წასკდა, თითი გაიჭრა, იმის მაგივრად, რომ შეწუხებული სახით ფაცაფუცი ავტეხო მის გარშემო, სიმშვიდეს გამოვიჩენ, ცოტა ხნით მაინც. რაკი ტკივა, მეტი გზა არ არის – უნდა მოითმინოს, ჩემი ფაცაფუცი ვერაფერს იზამს გარდა იმისა, რომ უფრო შეაშინებს და უფრო აგრძნობინებს ტკივილს. არსებითად კაცს იმდენად ჭრილობა კი არ აწუხებს, რამდენად მის გამო შიში. ამ უკანასკნელ სატანჯველს მაინც ავაცილებ, რადგან შეჭველია, რომ იგი ტკივილს იმის მიხედვით შე-

აფასებს, რასაც შემამჩნევს; თუ დამინახა, რომ შეწუხებული მივ-
ვარდი მასთან, ვანუგეშებ, შემეცოდა, იგი ფიქრობს – დავიღუპეო;
თუკი ხედავს, რომ არ დავკარგე სიმშვიდე, ისიც მალე დამშვიდდე-
ბა და იფიქრებს მოვრჩიო და აღარ იგრძნობს ტკივილს. სწორედ
ამ ასაკში გვეძლევა მხნეობის პირველი გაკვეთილები და თუ მცირე
ტკივილები, უშიშრად აიტანე, თანდათან დიდი ტკივილის ატანა-
საც მიეჩვევი.

მე არათუ არ ვზრუნავ ავაცდინო ემილს ტკივილი, არამედ
ძლიერ უკმაყოფილო ვიქნებოდი, რომ მას არასდროს არავითარი
ზიანი არ მოსვლოდა და გაზრდილიყო ისე, რომ ტკივილი არ გა-
მოეცადა. ტანჯვა – ის პირველია, რასაც იგი უნდა გაეცნოს და ამას
ყველაზე დიდი მნიშვნელობა ექნება მისთვის. ბავშვი თითქოს სწო-
რედ იმისთვის არის პატარა და სუსტი, რომ ეს საჭირო გაკვეთი-
ლები უხიფათოდ გაიაროს. ბავშვი რომ დაეცეს, ფეხს არ მოიტეხს,
ჯოხის დარტყმით ხელს არ მოიტეხს, წვეტიან რკინას რომ წაავლოს
ხელი, ხელს არ მოუჭერს და ვერ გაიჭრის დიდზე. არ ვიცი, უნახავს
კი ვინმეს, რომ მის ნებაზე მიშვებულ ბავშვს თავი მოეკლას, დაესა-
ხიჩრებინოს ან დიდი ზიანი მიეყენებინოს თავისათვის, თუ მაინცდა-
მაინც მაღალ ადგილას ან ცეცხლთან არ მიატოვე მარტო, ან რაიმე
სახიფათო იარაღი არ დასტოვე ახლო-მახლო. რაღა უნდა ითქვას
იმ მანქანების საწყობებზე, ბავშვის გარშემო რომ აგროვებენ ხოლმე,
რათა ყოველგვარი იარაღით შეაიარაღონ იგი ტკივილის წინააღმ-
დეგ – ასე რომ, მოწიფულობაში იგი დარჩება მხდალი და გამოუც-
დელი: ეკალი რომ შეესოს, ფიქრობს, რომ მოკვდა და ერთი წვეთი
სისხლი რომ გამოუვიდეს, გული წაუფა.

სწავლების ჩვენი პედანტური მანია ისაა, რომ ვასწავლით ბავ-
შვებს იმას, რასაც თავისით გაცილებით უკეთესად ისწავლიდნენ
და არა იმას, რაც მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო გვესწავლებინა. იმაზე
უფრო სულელური შრომა რაღაა, რომ ბავშვს სიარულს ასწავლიან
– თითქოს ვინმეს ოდესმე ენახოს ისეთი ადამიანი, რომელსაც ძი-
ძის დაუდევრობის გამო სიარული არ სცოდნოდეს მოზრდილობაში,
პირიქით, რამდენია ისეთი, რომ მთელი სიცოცხლე ცუდად დადის,
რადგან ცუდად ასწავლეს სიარული.

ემილს არ ექნება არც საბავშვო ქუდი, არც ბორბლებიანი კა-
ლათი, არც ეტლი, არც საშველი ღვედები; როგორც კი ისწავლის

ფეხების დადგმას, დიდი-დიდი, უსწორ-მასწორო ადგილებზე შევეშველოთ და რაც შეიძლება ჩქარა გავატაროთ ასეთი ადგილი.¹ ნაცვლად იმისა, რომ ბავშვი დახუთულ ოთახში დავახრჩოთ, იგი ყოველდღე მინდორში გავიყვანოთ, ირბინოს, იცელქოს, დაეცეს ასჯერ დღეში – მით უკეთესი, უფრო მალე ისწავლის ადგომას. თავისუფლების სიკეთე ბევრ ჭრილობას მოუტრჩენს: ჩემს შეგირდს ხშირად მოუვა მარცხი, სამაგიეროდ იგი მუდამ მხიარული იქნება: სამაგიეროდ თუ თქვენებს ნაკლები მარცხი მოსვლიათ, ისინი მუდამ შებორკილი, მუდამ შევიწროებული, მუდამ შეწუხებულნი არიან. მეეჭვება, რომ ეს მათთვის კარგი იყოს.

კიდევ ერთი წარმატება აქვს ბავშვს ისეთი, რომ ჩივილი აღარ არის, იმდენად აუცილებელი: ეს არის ძალითა წარმატება, რაკი ბავშვს საკუთარი ძალით ახლა უფრო მეტი შეუძლია, ისე ხშირად აღარ სჭირდება მას სხვისი დახმარება. ძალასთან ერთად ვითარდება შემეცნება, რომელიც საშუალებას აძლევს წარმართოს ეს ძალა. სწორედ ამ მეორე საფეხურზე იწყება არსებითად ინდივიდუალური სიცოცხლე, სწორედ მაშინ შეიცნობს იგი თავის თავს. მესხიერება აფართოებს იგივეობის გრძნობას მისი ცხოვრების ყველა მომენტზე; იგი ახლა ჭეშმარიტად ერთი და იგივეა, მამასადამე, უკვე შეუძლია ბედნიერი ან უბედური იყოს. ამიტომ სიჭიროა, რომ ამიერიდან იგი მორალურ არსებად მიგვაჩნდეს.

თუმცა, დაახლოებით არკვევენ ადამიანის ცხოვრების უხანგრძლივეს ვადას, რამდენი შანსი გვაქვს ამა თუ იმ ასაკის, ამ ვადის მიღწევისა, მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი საქმე თითოეული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრაა; ძლიერ ცოტანი აღწევენ ხოლმე დიდ ასაკს. ყველაზე უფრო სამიშია სიცოცხლისათვის მისი დასაწყისი. რაც უფრო ნაკლები გიცხოვრია, მით უფრო ნაკლებია სიცოცხლის გაგრძელების იმედი. დაბადებულთა შორის დიდი-დიდი ნახევარმა მიაღწიოს ჭაბუკობას და საფიქრებელი ისაა, რომ თქვენი შეგირდი ვერ მიაღწევს მოწიფულობას.

რა აზრის უნდა ვიყოთ იმ ბარბაროსულ აღზრდაზე, რომელსაც უცნობი მომავლისათვის აწმყო შეუწირავს მსხვერპლად, ბავშვი ათასი ბორკილით შეუბორკავს და ჯერ უბედურებაში ჩაუფდია, რათა სამერმისოდ მოუმზადოს, კაცმა არ იცის რა საეჭვოა ბედნიერება, რომელიც შეიძლება ვერც კი იგემოს, კიდევ რომ დავუშვა,

რომ ასეთი აღზრდა გონიერია, როგორ შემოიძლია აღუშფოთებლად ვუყურო ამ უბედურ არსებებს, მძიმე უღელში რომ გაუბამთ, სამუდამო ჯავა მიუსჯიათ, თითქოს კატორღელები იყვნენ და იმის იმედიც კი არ არის, რომ ეს ჭაპანწყვეტა ოდესმე რამე სარგებლობას მოუტანს მათ! სიხარულის წლები ტირილში, სასჯელში, მუქარაში და მონობაში გადის. საცოდავ ბავშვს მისივე სასიკეთოდ ტანჯავენ და ვერც კი ხედავენ სიკვდილს, რომელსაც თვითონ აჩქარებენ და რომელიც მოულოდნელად მოიტაცებს მას ამ სამწუხარო მზადების დროს. ვინ იცის, რამდენი ბავშვი უმსხვერპლია მისი მამის ან მასწავლებლის ახირებულ სიბრძნეს? თუ ბედმა გაუღიმა და ბავშვი გადაურჩა ამ სიბრძნის სუსხს, ერთადერთი სიკეთე იმ ტანჯვისა, რომელიც მას გადაატანინეს, ის იქნება, რომ სიკვდილის წინ სიცოცხლე მაინც აღარ დაენანება, რადგან სიცოცხლეში ტანჯვის მეტი არაფერი უნახავს. ადამიანო, იყავი კაცთმოყვარე! ეს შენი პირველი მოვალეობაა. იყავ ლმობიერი ყოველი მდგომარეობის, ყოველი ასაკის და ყოველივე იმის მიმართ, რაც ადამიანისათვის არ არის უცხო. რა სიბრძნე შეიძლება არსებობდეს თქვენთვის ადამიანების გარეშე? გიყვარდეთ ბავშვობა, მეგობრულად შეხედეთ მის თამაშს, მის სიხარულს, მის საყვარელ ინსტინქტს. რომელ თქვენგანს ხშირად არ მოუგონებია სინანულით ხანა, როდესაც ტუჩებს ღიმილი არ სცილდებოდა და სულშიც მუდამ მშვიდობა სუფევდა? რატომ გინდათ წაართვათ ამ უმანკო ბაღებს ეგზომ ხანმოკლე სიხარული, რომელიც მალე გამოეცლებათ, ამ საუნჯეს ხომ ისინი ბოროტად ვერ გამოიყენებენ? რატომ გინდათ აუვსოთ მათ მწუხარებითა და ტანჯვით ეგზომ მალე პირველი წლები, რომლებიც არასოდეს აღარ დაუბრუნდებათ, ისევე, როგორც არც თქვენ შეიძლება დაგიბრუნდეთ? მამებო, იცით განა როდის წამოეწევა სიკვდილი თქვენს შვილებს?! ნუ ჩააგდებთ მათ სინანულში და ნუ წაართმევთ მათ იმ მცირე წუთებს, რომლებიც ბუნებამ აჩუქა; როგორც კი მომწიფდებიან იმდენად, რომ სიცოცხლის სიხარული იგრძნონ, მოიქეციოთ ისე, რომ იგემონ კიდევ ეს სიხარული; მოიქეციოთ ისე, რომ რა წუთშიც კი არ მიიხმოს ღმერთმა, ცხოვრების გემო ნახული ჰქონდეთ.

რა ხმაურს ატეხენ ჩემს წინააღმდეგ! შორიდან მესმის იმ ცრუ სიბრძნის ყიჟინი, რომელიც ჩვენ მუდამ ჩვენს გარეთ გვერეკება და რომელსაც აწმყო მუდამ არარაობად მიაჩნია და შეუჩერებლად

მისდევს მომავალს; რომელიც მით უფრო გაგვირბის, რაც უფრო წინ მივიწევთ, რათა გადაგვიტანოს იქ, საცა არ ვართ ან გადაგვიყვანოს იქ, სადაც არასოდეს არ ვიქნებით.

თქვენ მეტყვიით, ეს სწორედ ადამიანის ცუდი მიდრეკილებების გამოსწორების ხანაა, სწორედ ბავშვობის ასაკში, როცა მწუხარება ნაკლებად არის საგრძნობი, საჭიროა მისი გამრავლება, რათა გონიერ ასაკს ავაცდინოთ იგი. მაგრამ ვინ მოგახსენათ, რომ მთელი საქმე თქვენზეა დამოკიდებული და ყოველი ის სწავლა-დარიგება, რომელიც ბავშვის სუსტ გონებას ტვირთავს, ერთხელაც იქნება უფრო მავნე არ აღმოჩნდება, ვიდრე სასარგებლო. ვინ გარწმუნებთ, რომ ის მწუხარება, რომელსაც ასე უხვად ახვედრებთ მათ, რამეს უშველის მომავალში? რატომ გინდათ მიაყენოთ მას მეტი უბედურება ვიდრე მისი მდგომარეობა აიტანს, თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ ამჟამინდელ უბედურებას მომავალი გამოისყიდის? როგორ დამიმტკიცებთ, რომ ცუდი მიდრეკილებები, რისი აღმოფხვრაც გინდათ, უფრო ბუნების ბრალია, ვიდრე თქვენი უგუნური მზრუნველობისა. უბადრუკია ის შორსმჭვრეტელობა, რომელიც აუბედურებს ცოცხალ არსებას ახლა იმ საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო იმედით, რომ ოდესმე ბედნიერებას მიანიჭებს. თუ ეს ვულგარული მსჯელობა ვერ განუხსნავებია ერთმანეთისაგან, თავაშვებულობა და თავისუფლება, ბავშვის გაბედნიერება და განებივრება, შევეცადოთ განვასხვავებინოთ.

ქიმერებს რომ არ ავყვეთ, ნუ დავივიწყებთ იმას, რაც ჩვენ პირობებს შეჰფერის. ქვეყნის წესრიგში ადამიანს აქვს თავისი ადგილი; ბავშვობასაც თავისი ადგილი აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანში ადამიანს უნდა ვხედავდეთ, ბავშვში – ბავშვს. თითოეულს თავისი ადგილი მივუჩინოთ და დაუშვებოდროთ, მივცეთ ადამიანის ვნებებს წესრიგი ადამიანის კონსტიტუციის შესაფერისად – აი, ყველაფერი ის, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ მის სასიკეთოდ. დანარჩენს განსაზღვრავს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები.

ჩვენ არ ვიცით, რა არის სრული ბედნიერება თუ უბედურება, ცხოვრებაში ყველაფერი არეულია ერთმანეთში: აქ ვერ იგემებ ვერავითარ წმინდა გრძნობას. ორი წუთიც კი არ ვრჩებით ერთსა და იმავე ყოფაში. სულის მოძრაობანი, ისევე, როგორც სხეულის ცვლილებები, უწყვეტი ნაკადია. ავი და კარგი ყველასათვის საერ-

თოა, მაგრამ ზოგს მეტი შეხვედბა, ზოგს – ნაკლები. ყველაზე ბედნიერი ის არის, ვისაც ნაკლები ტანჯვა შეხვედბა. ყველაზე უბედური, ის, ვინც ნაკლებ სიამოვნებას მიიღებს. მუდამ მეტი ტანჯვა, ვიდრე სიხარული – აი, ის განსხვავება, რომელიც ყველასათვის საერთოა. ამრიგად, ადამიანის ბედნიერება წუთისოფელში მხოლოდ ნეგატიური მდგომარეობაა: მისი საზომია განცდილი მწუხარების უმცირესი ოდენობა.

მწუხარების ყოველ განცდას განუყრელად სდევს მისგან განრიდების სურვილი, სიამოვნების ყოველ იდეას ახლავს ამ სიამოვნების სურვილი; ყოველი სურვილი დანაკლისს გულისხმობს, დანაკლისს კი ყოველთვის მტკივნეულად განვიცდით, ჩვენი უბედურება ისაა, რომ ჩვენს სურვილებსა და უნარს შორის დისპროპორციაა და რომელიმე გონიერ არსებას სურვილების თანაბარი უნარი რომ ჰქონოდა, ის აბსოლუტურად ბედნიერი იქნებოდა.

მაშასადამე რაშია ადამიანის სიბრძნე ანუ გზა ნამდვილი ბედნიერებისაკენ? ზუსტად რომ ითქვას, არა სურვილების შემცირებაში, რადგან სურვილები ჩვენს უნარზე ნაკლები რომ ყოფილიყო, მაშინ მისი ერთი ნაწილი უმოქმედოდ დარჩებოდა და ვერ ვიგემებდით მთელს ჩვენს არსებას. არც ჩვენი უნარის გაფართოებაშია სიბრძნე, რადგან ჩვენი სურვილებიც რომ ამავე დროს უფრო მეტი პროპორციით გაფართოვდეს, უფრო დიდ უბედურებაში ჩავივდებით თავს. სიბრძნე იმაშია, რომ შევამციროთ სურვილების სიჭარბე უნარის შესაბამისად და სრული თანასწორობა დავამყაროთ უნარსა და სურვილებს შორის. მხოლოდ მაშინ ამოქმედდება ყველა ძალა, სული არ დაჰკარგავს სიმწვიდეს და ადამიანიც მოწესრიგდება.

საქმე იმაშია, რომ ბუნებამ, რომელიც ყველაფერს სასიკეთოდ აკეთებს, თავიდანვე ასე შექმნა იგი, ბუნება უშუალოდ მას აძლევს მხოლოდ ისეთ სურვილებს, რომლებიც საჭიროა თავის შესანარჩუნებლად და ისეთ უნარს, რომელიც ამ სურვილების დასაკმაყოფილებლად საკმარისია. დანარჩენი კი მან სულის სიღრმეში ჩაუდო როგორც მარავი, რათა იქ გაიშალოს, თუ საჭიროებამ მოითხოვა. მხოლოდ ამ პრიმიტიულ მდგომარეობაში აქვს ადგილი შესაძლებლობასა და სურვილებს შორის წონასწორობას და მხოლოდ მაშინ არ არის ადამიანი უბედური. როგორც კი ამოქმედდება ეს ვირტუალური უნარები, გაიღვიძებს და გაუსწრებს დანარჩენთ ყველაზე

უფრო აქტიური უნარი – ფანტაზია. ფანტაზია გვიფართოვებს შესაძლებლობის ფარგალს (როგორც ავში, ისე კარგში) და, მამასადაძმე, აღვიძებს და ასაზრდოებს სურვილებს მათი განხორციელების იმედით. მაგრამ მიზანი, რომელიც თავდაპირველად ხელშესახები გვგონია, გარბის ისე სწრაფად, რომ ვერ დაეწევი, რომ გგონია მივწვდილი, იგი სახეს იცვლის და ისევ სადღაც შორს გამოჩნდება. გავლილ გზას უკვე ვეღარ ვხედავთ და ამიტომ მას არაფრად ვაგდებთ; ის გზაკი, რაც დაგვრჩა გასავლელი, იზრდება, გრძელდება სულ უფრო და უფრო და ასე ვიქანცებით, მიზანს კი ვერ ვაღწევთ და რაც უფრო მეტი სიხარული ვნახეთ, მით უფრო მეტად გვმორდება ბედნიერება.

პირიქით, რაც უფრო ახლოს დარჩება ადამიანი თავის ბუნებრივ პირობებთან, მით უფრო ნაკლები იქნება განსხვავება მის უნარს და მის სურვილებს შორის და, მამასადაძმე, მით უფრო ნაკლებად იქნება იგი დამორებული ბუნებას. ყველაზე ნაკლებად უბედური იგი სწორედ მაშინაა, როდესაც გგონიათ, რომ მას ყველაფერი აკლია. რადგან უბედურება იმაში კი არ არის, რომ რაღაცა გაკლია, არამედ იმაში, რომ მისი მოთხოვნილება გაქვს.

რეალური ქვეყანა შემოსაზღვრულია, წარმოსახული ქვეყანა კი – უსაზღვროა. რაკი არ შეგვიძლია პირველის გაფართოება, შევზღუდოთ მეორე, ვინაიდან მხოლოდ ამ განსხვავების ბრალია ყველა ის მწუხარება, რაც ნამდვილ უბედურებას გვგვრის. გამორიცხეთ ძალა, ჯანი, კარგი თვითგრძნობა და მაშინ ყოველი სიკეთე ამ ქვეყნისა უბრალო მოჩვენება იქნება. გამორიცხეთ ხორციელი ტკივილი და სინდისის ქენჯნა და ყოველი ჩვენი მწუხარება მოჩვენებითი გამოდგება. ეს ზოგადი პრინციპებიაო, მეტყვიან; გეთანხმებით: მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება აღარ არის ზოგადი; აქ საქმე მიმდგარია მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკაზე.

როცა ამბობენ ადამიანი სუსტიაო, რისი თქმა უნდათ? სიტყვა „სისუსტე“ მიმართებას ნიშნავს, იმ არსების მიმართებას, ვისზედაც ამბობენ ამ სიტყვას. ის, ვისი ძალაც აღემატება მის მოთხოვნილებებს მწერიც, ჭიაც რომ იყოს, იგი ძლიერი არსებაა, ის კი, ვისი მოთხოვნილება აღემატება ძალას – სპილოც რომ იყოს იგი ან ლომი, ქვეყნის დამპყრობი ან გმირი, თვით ღმერთიც რომ იყოს – სუსტი არსებაა. მემამბოხე ანგელოზი, რომელმაც ვერ გამოიცნო თავისი ბუნება, უფრო სუსტი იყო, ვიდრე ბედნიერი მოკვდავი, რომელიც

მშვიდობიანად ცხოვრობს თავის ბუნების თანახმად. ადამიანი ძალიან ძლიერია, თუ იგი თანახმაა იყოს ის, რაც არის; იგი ძლიერ სუსტია, თუ ადამიანობაზე მალლა სურს ამალღდეს. ნუ გგონიათ, რომ უნართა გაფართოებით ძალებსაც გააფართოებთ; პირიქით, შეასუსტებთ მას, თუ ამპარტავნობამ თქვენს ძალებს გადააჭარბა. გამოვზომოთ ჩვენი სფეროს რადიუსი და დავრჩეთ მის ცენტრში, როგორც ობობა თავის ქსელის შუაში; ჩვენ მუდამ კმაყოფილი ვიქნებით და არ გვექნება საფუძველი ვუჩიოდეთ ჩვენს სისუსტეს, რადგან არასოდეს არ ვიგრძნობთ მას.

ყოველ ცხოველს სწორედ იმდენი აქვს ის, რაც საჭიროა, რომ არსებობა შეინარჩუნოს. მხოლოდ ადამიანს აქვს იგი ზედმეტი. განა საკვირველი არაა, რომ ეს სიჭარბე მისი უბედურების იარაღია? ყველა ქვეყანაში ადამიანის ნახელავი მეტი ღირს, ვიდრე მისი კვება. ის რომ იმდენად გონიერი იყოს, ეს სიჭარბე არარად მიიჩნიოს, მას ყოველთვის ექნება, რაც აუცილებელია, რადგან არასდროს არ ექნებოდა ზედმეტი. დიდი მითხვნილება, ამბობდა ფავორინი, დიდ სიმდიდრეს ბადებსო; და ხშირად საუკეთესო საშუალება იმის შესაძენად, რაც გაკლია, არის უარის თქმა იმაზე, რაც გაქვს. ხშირად ბედნიერების მეტი წადილით გამოწვეული შრომა აქცევს მას უბედურებად. ყოველი ადამიანი, ვისაც მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრება სურს, იცხოვრებს ბედნიერად; მაშასადამე, იგი კეთილად იცხოვრებს, რადგან რა სარგებელს ნახავს სიბოროტეში?

ჩვენ რომ უკვდავნი ვიყოთ, ძალიან უბედურები ვიქნებოდით. რა თქმა უნდა, სიკვდილი მწარეა; მაგრამ ტკბილია იმის იმედი, რომ მუდამ არ იცოცხლებ და უკეთესი ცხოვრება ბოლოს მოუღებს ამ ცხოვრების ტანჯვას. უკვდავობა რომ შემოგაძლიონ ამ ქვეყნად, ვინ² მიიღებს ამ სამწუხარო საჩუქარს? რა თავშესაფარი, რა იმედი, რა ნუგეში დავგრჩებოდა ბედის სუსხისა და ადამიანთა უსამართლობის წინააღმდეგ? უვიცი, რომელიც არაფერს არ მოელის, მაინც და მაინც არ აფასებს სიცოცხლეს და არც ძალიან ეშინია მისი დაკარგვისა. განათლებული კი ხედავს უფრო ღირებულ სიკეთეებს და მათ უფრო მალლა აყენებს, ვიდრე არსებულს. ნახევრადმცოდნეობა და ცრუ სიბრძნეა ჩვენს ცხოვრებას რომ მხოლოდ სიკვდილის წუთამდე ვვარაუდობთ, მის გადაღმა კი ვერავის ვხედავთ და ამიტომ სიკვდილს უდიდეს უბედურებად აქცევს. სიკვდილის აუცილებლობა

ბრძენი ადამიანისათვის მხოლოდ საბუთია ცხოვრების სიმწარის ასატანად. დარწმუნებული რომ არ ვიყოთ, ერთხელაც დაგვარგავთ სიცოცხლეს, მისი შენარჩუნება ძვირად მოგვეჩვენებოდა.

ყველა ჩვენი მორალური სენის წყარო შეხედულებაა, გარდა ერთისა – ბოროტმოქმედებისა, ის კი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ფიზიკური ქსელი თვითონ ისპობა ანდა გვსპობს. ჩვენი საშველი დრო ან სიკვდილია, მაგრამ მით უფრო ვიტანჯებით, რაც უფრო ნაკლებად შეგვიძლია ტანჯვის ატანა; და უფრო მეტ ტანჯვას ვაყენებთ თავს იმით, რომ სენის განკურნებას ვცდილობთ, ნაცვლად იმისა, რომ იგი მოგვეთმინა. იცხოვრე ბუნების შესაფერისად, იქონიე მოთმინება და მოიშორე ექიმები. სიკვდილს ვერ აიცილებ, მას მხოლოდ ერთხელ იგრძნობ, ისინი კი ყოველდღე ამღვრევენ სიკვდილით შენს ფანტაზიას და მათი ცრუ ხელობა, სიცოცხლის გაგრძელების ნაცვლად, სიცოცხლის სიხარულს გართმევს. რა სიკეთე მოუტანია ამ ხელობას ადამიანისათვის – ეს ჩემთვის გაურკვეველი იქნება, მართალია, ზოგიერთი მისი მორჩენილი მორჩებოდა, მაგრამ მის მიერ მოკლული მრავალი მილიონი, გადარჩებოდა. გონიერო ადამიანო, ნუ ჩაიგდებ თავს ამ ლატარიაში, სადაც ძლიერ ბევრი შანსია შენს წინააღმდეგ. ითმინე, მოკვდი ან მორჩი, მაგრამ ყოველთვის იცხოვრე შენს უკანასკნელ ჟამამდე.

ადამიანის მიერ დაწესებული ყველაფერი ან სულელურია, ან წინააღმდეგობების შემცველი. რაც უფრო მეტად ეკარგება ფასი სიცოცხლეს, მით უფრო მეტად ვწუხვართ მასზე. მოხუცებულს უფრო ენანება იგი ვიდრე ახალგაზრდას. მან არ უნდა დაჰკარგოს ის საშუალებები, რომლებიც მან სიცოცხლით დატკობისათვის მოამზადა. 60 წლის ადამიანისათვის დიდი საშინელებაა მოკვდეს ისე, რომ ცხოვრება დაწყებულიც არ ჰქონდეს. ამბობენ, რომ ადამიანს აქვს სიცოცხლის დიდი წყურვილი და ეს მართალიც არის, მაგრამ იმას კი ვერ ხედავენ, რომ ეს წყურვილი, იმ სახით, როგორც ჩვენ მას განვიცდით, ადამიანის ნახელავია. ბუნებით კი ადამიანი მანამდე წუხს სიცოცხლის შენარჩუნებაზე სანამ მას საამისო საშუალებები გააჩნია. როგორც კი გამოეცლება ეს საშუალებები, იგი დამშვიდდება, მოკვდება ისე, რომ ტყუილუბრალოდ თავს არ გაიტანჯავს. ბედისათვის დამორჩილების პირველ კანონს ბუნება გვაძლევს. ველურები, ისევე როგორც ცხოველები, მაინცდამაინც არ ებ-

რძვიან სიკვდილს და არც ჩივიან. თუ ეს კანონი დაირღვა, იბადება მეორე, რომელსაც გონება ქმნის, მაგრამ ძლიერ ცოტაა ისეთი, რომ გონებით მისწვდეს მას და ეს ხელოვნური მორჩილება არასოდეს არ არის ისე სრული და მთლიანი, როგორც პირველი.

შორსმჭვრეტელობა! შორსმჭვრეტელობა, რომელიც მუდამ ჩვენს გარეთ გვეძახის და მოგვიწოდებს იქით, სადაც არასოდეს არ ვიქნებით – აი, ნამდვილი მიზნები ჩვენი უბედურებისა. რა სიბეცეა ისეთი ხანმოკლე არსებისათვის, როგორც ადამიანია, მუდამ შორეულ მომავალში იცქირებოდე, რომელიც იშვიათად თუ განხორციელდება და უგულვებელყოფს სარწმუნო აწმყოს. ეს სიბეცე მით უფრო საბედისწეროა, რომ რაც ხანში შედიან, იგი სულ უფრო და უფრო მატულობს, და მოხუცს, მუდამ იჭვიანს, ფრთხილს, ძუნწს, ურჩვენია დღეს დაიკლოს აუცილებელი, რათა არ დაკარგოს ზედმეტი, როცა ასი წლის იქნება. ასე ვებოტინებით, ასე ვებლაუჭებით ყოველივეს; დრო, ადგილი, ადამიანები, საგნები, რაც კი არის, რაც კი იქნება – ყველაფერი უნდა ყოველ ჩვენგანს: ჩვენი ინდივიდუალობა მხოლოდ მცირედი ნაწილია საკუთარი თავისა. ყოველ ჩვენგანს სურს, ასე ვთქვათ, მთელ დედამიწას მოედოს და იგი მთელ ამ უზარმაზარ სივრცეს განიცდის.³ რამდენი მეფე ეძლევა სასოწარკვეთილებას ისეთი ქვეყნის დაკარგვის გამო, რომელიც მას არასდროს არ უნახავს! რამდენი ვაჭრისთვის საკმარისია ინდოეთს ხელი ახლო, რათა მან პარიზში ყვირილი ასტეხოს!

განა ბუნებაა, რაც აშორებს ადამიანს თავის თავისაგან?

განა მას სურს, რომ ყოველმა ჩვენგანმა სხვისაგან გაიგოს თავისი ბედი და ისიც ზოგჯერ სხვების შემდეგ გაიგოს, რათა ისე მოკვდეს, რომ ერთხელაც არ სცოდნოდა ეს – ბედნიერი იყო თუ უბედური? აი, ხალისიანი, მხიარული, ენერგიული და ჯანსაღი ადამიანი, მისი დანახვა სიხარულს მგვრის, მის თვალეში კმაყოფილება ჩანს. იგი ბედნიერების განსახიერებაა. ფოსტიდან წერილი მოუტანეს. ბედნიერი ადამიანი ათვალეერებს წერილს; იგი მის სახელზეა, ხსნის, კითხულობს. ერთბაშად ეცვლება სახე, ფითრდება, გული მისდის. მობრუნდა, ტირის, ღელავს, ოხრავს, თმას იგლეჯს, გაჰკივის, საშინელი კრუნჩხვა მოსდის. უგუნურო! რა გიქნა ასეთი ამ ქაღალდმა? სხეულის რომელი ნაწილი წაგართვა? რა დანაშაული ჩაგადენინა? დაბოლოს, რა შეცვალა შენში ასეთ მდგომარეობაში რომ ჩაგადლო?

წერილი რომ დაკარგულიყო, ვისმე კეთილ ხელს იგი ცეცხლში ჩაეგდო, ამ მოკვდავის ბედ-იღბალი, კარგიც და ავიც იმავე დროს, მე მგონი, უცნაური პრობლემა იქნებოდა. მეტყვიით თქვენ, მისი უბედურება ნამდვილი იყო; ძალიან კარგი, მაგრამ იგი მას არ გრძნობდა. სად იყო ეს უბედურება მაშინ? მისი ბედნიერება მოჩვენებითი იყო. მესმის: ჯანმრთელობა, სიხარული სულთერი სიმშვიდე და კმაყოფილება – მოჩვენება ყოფილა და მეტი არაფერი. ჩვენ აღარ ვარსებულვართ იქ, სადაც ვართ, ვარსებობთ თურმე იქ, სადაც არ ვართ. განა ასე დიდი უნდა იყოს სიკვდილის შიში, თუკი ის, რაც სიცოცხლეა თურმე, მაინც რჩება.

აღამიანო! შეკუმშე და შემოფარგლე შენი არსებობა შენი თავით და აღარ იქნები უბედური. დარჩი იმ ადგილზე, რომელიც ბუნებამ მიგიჩინა სხვა არსებათა შორის და რომლიდანაც ვერაფერი ვერ დაგძრავთ; ნუ ეწინააღმდეგები აუცილებლობის მტკიცე კანონს, ნუ შეაღვე იმ ძალებს, რომლებიც იმისათვის კი არ მოუცია, რათა გააფართოვო ან გააგრძელო შენი სიცოცხლე, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ შეინარჩუნო სიცოცხლე ისე, როგორც ცას მოსწონს და მანამდე, ვიდრე მას მოეწონება. შენი თავისუფლება, შენი შესაძლებლობა არ აღემატება შენს ბუნების ძალებს, დანარჩენი ყველაფერი არის მონობა, ილუზია, მოხიბვლა. ბატონობაც კი მონობად იქცევა, თუ ხალხის აზრს უწევს ანგარიშს, რადგან შენ მაშინ დამოკიდებული ხარ იმათ ცრუ აზრებზე, ვისზედაც ბატონობ ცრუ აზრების საშუალებით. რომ წარმართო ისინი ისე, შენ როგორც მოგწონს, თვითონ უნდა წარმართო ისე, როგორც მათ მოსწონთ. იმათ რომ აზრი შეეცვალოთ, შენ ძალაუნებურად უნდა შეცვალო შენი მოქმედების ხაზი. იმისათვის, ვისაც შენთან დაახლოება სურს, საჭიროა შეეძლოს მხოლოდ იმ ხალხის აზრის წარმართვა, რომელსაც შენი რწმენით მართავ ან შენი ფავორიტების აზრისა, შენ რომ გმართავენ, ან შენი ოჯახის, ან საკუთარი აზრის წარმართვა: ეს ვეზირები, ეს კარისკაცები, ეს მღვდლები, ჯარისკაცები, ლაქები, მოლაყბე დედაკაცები, ბავშვებიც კი, თემისტოკლესავით გენიოსიც რომ იყო, მოისურვებენ ხელმძღვანელობა გაგიწიონ შენს საკუთარ ლეგიონში ისე, როგორც ბავშვს უწევს ხოლმე ხელმძღვანელობას. რაც გინდა დიდი საქმე გააკეთო, შენი ნამდვილი გავლენა ვერ გადააჭარბებს შენს ნამდვილ უნარს. თუკი სხვისი თვალით გიხდება ცქე-

რა, სხვისი ნდობით უნდა ინდომო კიდეც. ჩემი ხალხი ჩემი ქვეშევრდომია – ამბობ შენ ამაყად, ასეც იყოს, მაგრამ შენ ვინდა ხარ? შენი მინისტრების ქვეშევრდომი! და მინისტრები კი თვითონ ვინ არიან? – თავისი მოხელეების, საყვარლების, თავისი ლაქიების ქვეშევრდომები. მიითვისეთ ყველაფერი, წაართვით სხვებს ყველაფერი და აბნიეთ მერე ოქრო პეშვებით; დააწყვეთ ზარბაზნების ბატარიები, აღმართეთ სახრჩობელები, სატანჯველი ჩარხები; გამოეციეთ კანონები, ვერდიქტები, გამირავლეთ ჯაშუშები, ჯარისკაცები, ჯალათები, ციხეები, ბორკილები. – საბრალო კაცუნებო, რაში გამოგადგებათ ეს ყველაფერი? განა უკეთესად გემსახურებიან ან ნაკლებს მოგპარავენ, ან ნაკლებად მოგატყუებენ, ან უფრო სრული ბატონი გახდებით? მუდამ გაიძახით: ჩვენ გვსურს და მუდამ კი იმას გააკეთებთ, რაც სხვას სურს. მხოლოდ ის აასრულებს თავის ნებას, ვისაც სხვისი ხელი არ სჭირდება მის შესასრულებლად. აქედან კი გამოდის, რომ ყველაზე უფრო დიდი სიმდიდრე ავტორიტეტი კი არ არის, არამედ თავისუფლება. ჭეშმარიტად თავისუფალ ადამიანს სურს მხოლოდ ის, რაც ძალუძს, და აკეთებს იმას, რაც მოსწონს. აი, ჩემი ძირითადი პრინციპი. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მიუყენო იგი ბავშვს და აღზრდის ყველა წესიც გამოდინდება მისგან.

საზოგადოებამ დაასუსტა ადამიანი მარტო იმით კი არა, რომ წაართვა მას უფლება საკუთარ ძალებზე, არამედ უფრო იმით, რომ არასაკმარისი გახადა ეს ძალები. აი, რატომ იზრდება მისი სურვილები მის სისუსტესთან ერთად და აი, მიზეზი ბავშვის სისუსტისა მოწიფულ ადამიანთან შედარებით. თუ მოწიფული ადამიანი ძლიერი არსებობს, ბავშვი კი სუსტი, ეს იმისი ბრალი კი არ არის, რომ პირველს უფრო მეტი აბსოლუტური ძალა აქვს, ვიდრე მეორეს, არამედ იმის ბრალია, რომ პირველს ბუნებისდა კვალად შეუძლია თვითონვე დაიკმაყოფილოს თავი, მეორეს კი – არა. მამასადამე, მოწიფულს უფრო მეტი ნებელობა უნდა ჰქონდეს, ბავშვს კი უფრო მეტი ფანტაზია; ამ სიტყვით მე აღვნიშნავ ყველა ისეთ სურვილს, რომელიც არ არის ნამდვილი მოთხოვნილება და მხოლოდ სხვისი დახმარებით შეიძლება დაკმაყოფილდეს.

მე დავასახელე მიზეზი ამ სისუსტისა. ბუნება მას ანაზღაურებს დედ-მამის ზრუნვა-სიყვარულით, მაგრამ ეს ზრუნვა შეიძლება გადაჭარბებული და შემცდარი იყოს, ნაკლი ჰქონდეს იმ მშობლებს,

რომლებიც საზოგადოებრივ ყოფაში ცხოვრობენ, ბავშვი ნაადრევად შეჰყავთ ამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამით ბავშვს ისეთ მოთხოვნილებებს უჩენენ, რომლებიც მას არა აქვს, და მამასადამე, კი არ ამცირებენ მის სისუსტეს, არამედ აღიღებენ. ისინი კიდევ იმით აღიღებენ ბავშვის სისუსტეს, რომ ისეთ რამეს მოითხოვენ მისგან, რასაც ბუნება არ ითხოვს, უმორჩილებენ თავის სურვილებს მის მცირე ძალას, რომელიც საკუთარი სურვილების შესასრულებლად აქვს ბავშვს მიცემული და მონებად აქცევენ ან ერთის ან მეორის მხრით – იმ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელსაც მისი მხრით მისი სისუსტე იწვევს, მათი მხრით კი – სიყვარული.

გონიერ ადამიანს შეუძლია თავის ადგილზე დარჩეს, ბავშვს კი, რომელმაც არ იცის თავისი ადგილი, არ შეუძლია მისი შერჩენა. ჩვენს შორის ათასი შესაძლებლობა არსებობს ამ ადგილიდან გასასვლელად. ბავშვის აღმზრდელების მოვალეობაა დააკავონ ის მის ადგილზე, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდია. ბავშვი არ უნდა იყოს არც პირუტყვი და არც კაცი, არამედ – ბავშვი. იგი უნდა გრძნობდეს თავის სისუსტეს, მაგრამ არ უნდა იტანჯებოდეს მის გამო. იგი დამოკიდებული უნდა იყოს და არა მორჩილი; იგი უნდა თხოულობდეს – კი არ მოითხოვდეს. იგი დამოკიდებულია სხვებზე თავის მოთხოვნილებების გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ ისინი მასზე უკეთ ხედავენ, თუ რა არის მისთვის სასარგებლო, რა შეუწყობს ხელს და რა ავნებს მის გადარჩენას. არვის, მამასაც კი არა აქვს უფლება უბრძანოს ბავშვს ისეთი რამე, რაც მას არაფრად გამოადგება.

ვიდრე ადამიანის ცრუ აზრებსა და წესებს არ შეუტყვნიათ ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებები, ბავშვის ბედნიერება ისევე, როგორც მოწიფული ადამიანისა, თავისუფლებით სარგებლობაშია; მაგრამ ბავშვის თავისუფლებას ზღუდავს მისი სისუსტე. ბედნიერია ის, ვინც აკეთებს რაც სურს, თუ იგი თვითონ იკმაყოფილებს თავის თავს. ასეთ მდგომარეობაშია ბუნებრივ ყოფაში მცხოვრები ადამიანი. არ არის ბედნიერი ის, ვინც აკეთებს იმას, რაც არ სურს, მაგრამ მოთხოვნილებები მეტი აქვს, ვიდრე ძალები: ასეთ მდგომარეობაშია იმავე ყოფაში მცხოვრები ბავშვი. ბავშვებს ბუნებრივ მდგომარეობაშიც კი აქვთ მხოლოდ უსრულო თავისუფლება, რომელიც იმ თავისუფლებას ჩამოგავს, რომლითაც

მოწიფულები სარგებლობენ მოქალაქეობრივ ვითარებაში. რადგან ვერც ერთი ჩვენგანი სხვების გარეშე თავს ვეღარ გაიტანს, ამიტომ ისევე სუსტნი და საბრალონი ვხდებით. ჩვენ შექმნილი ვართ იმისთვის, რათა დავვაჟაკედეთ; კანონებმა და საზოგადოებამ ისევ ბავშვობაში ჩაგვაგდეს: მდიდრები, წარჩინებულები, მეფეები – ბავშვებია; ყველა ცდილობს შეუმსუბუქოს უბადრუკობა, მათ კი პირიქით, ბავშვურად თავი მოსწონთ ამით და ამაცობენ იმ მზრუნველობით, რომელსაც მათ არავინ გაუწევდა, რომ ისინი სრული ადამიანები იყვნენ, ეს მოსაზრებები ძლიერ მნიშვნელოვანია და მათი საშუალებით შეიძლება გადაწყდეს სოციალური სისტემის ყველა წინააღმდეგობა. ორგვარი დამოკიდებულება არსებობს: საგნებზე დამოკიდებულება, რომელსაც ბუნება ქმნის და ადამიანზე დამოკიდებულება, რომელსაც საზოგადოება წარმოშობს. საგნებზე დამოკიდებულებას, რაკი მას არაფერი საერთო აქვს მორალთან, არ მოაქვს ვნება თავისუფლებისათვის და არც ბიწიერებას ბადებს. ადამიანის დამოკიდებულება კი, როდესაც იგი მოუწესრიგებელია,⁴ ყოველგვარ ბიწს წარმოშობს და მის გამო ბატონიც და მონაც ერთმანეთს რყვნიან, და თუკი არსებობს საზოგადოებაში რაიმე საშუალება ამ ბოროტების წინააღმდეგ, ეს არის ის, რომ ადამიანის ადგილას კანონი დააყენო და ნამდვილი ძალით შეაიარაღო საერთო ნებისყოფა, რათა უკანასკნელი ყოველ კერძო ნებისყოფაზე უფრო ძლიერი იყოს და ხალხთა კანონებიც ისეთივე შეუპოვარი, როგორც ბუნების კანონებია, რომ ვერავითარმა ადამიანის ძალამ მათ ვერ აჯობოს, ადამიანებზე დამოკიდებულება ისევ საგნებზე დამოკიდებულებად გადაიქცეოდა. რესპუბლიკაში შეერთებული იქნებოდა ბუნებრივი მდგომარეობისა და სამოქალაქო მდგომარეობის ყველა დადებითი მხარე. თავისუფლებას, რომელიც იფარავს ადამიანს გაბოროტებისაგან, მიემატებოდა მორალი, რომელიც მას სათნოებამდე აღამაღლებს.

ასწავლეთ ბავშვს მხოლოდ საგანთან შესახებ და მისი აღზრდის მიმდინარეობაში ბუნებრივ წესს დაიცავთ. ნუ დაუპირისპირებთ მის ახირებულ სურვილებს ნურაფერს, გარდა ფიზიკური დაბრკოლებებისა და ისეთი სასჯელისა, რასაც თვით მოქმედება წარმოშობს და რასაც იგი თვითონ გაიხსენებს სათანადო შემთხვევაში: ნუ აუკრძალავთ ცუდ საქციელს, საკმარისია, ხელი შეუშალოთ ასეთის გან-

ხორციელებაში. მხოლოდ გამოცდილებამ და უძლურებამ უნდა დაიჭიროს ბავშვისთვის კანონიერი ადგილი. იმიტომ კი ნუ შეუსრულებთ ბავშვს სურვილს, რომ გთხოვს, არამედ იმიტომ, რომ საჭიროა. ან არ უნდა იცოდეს, რა არის მორჩილება – როცა თვითონ აკეთებს, რა არის ბატონობა – როცა სხვა აკეთებს მის მაგიერ. იგი უნდა განიცდიდეს თავისუფლებას როგორც საკუთარ მოქმედებაში, ისე თქვენს მოქმედებაშიც. მხოლოდ იმდენად უნდა აუნაზღაურო სისუსტე, რომ თავისუფალი იყოს და არა ბატონი, რომ თქვენი სამსახური ერთგვარად თავის დამცირებად მიიჩნიოს და ოცნებობდეს იმ მომენტზე, როცა თქვენი სამსახური აღარ იქნება მისთვის საჭირო და ღირსების შეგნებით თვითონ მოუვლის თავის თავს.

ბუნებას აქვს საშუალებები, რომ სხეული გაამაგროს და გაზარდოს ჩვენ არ უნდა შევეწინააღმდეგოთ ამას. ბავშვი არ უნდა აიძულო, ერთ ადგილზე იყოს გაჩერებული, თუ მას სიარული სურს და ატარო, თუ გაჩერება სურს. თუ ბავშვის თავისუფლება არ გავანებივრეთ ჩვენი შეცდომით, იგი ისეთს არაფერს მოინდომებს, რომ უსარგებლო იყოს. ბავშვმა, როცა კი მოეხალისება, უნდა იხტუნოს, ირბინოს, იყვიროს. ყოველ მის მოძრაობას მოითხოვს მისი კონსტიტუცია, რომელიც ცდილობს განმტკიცდეს, მაგრამ უნდა ვერიდოთ, როცა ბავშვს ისეთი რამ სურს, რასაც თვითონ ვერ გააკეთებს და სხვამ უნდა გაუკეთოს. მაშინ გულდასმით უნდა გაარჩიოთ ნამდვილი ბუნებრივი მოთხოვნილება ფანტაზიის მოთხოვნილებისაგან, რომელიც მხოლოდ ამ ხანში იბადება, ან ისეთი მოთხოვნილებისაგან, რომელსაც სიცოცხლის სიჭარბე წარმოშობს, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდი.

უკვე ვთქვი, როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ბავშვი ტირილით მოითხოვს რამეს. დავუმატებდი მხოლოდ, რომ თუკი ბავშვს უკვე შეუძლია სიტყვიერად გამოთქვას თავისი სურვილი, მაგრამ საქმის დასაჩქარებლად ან უარის ასაცილებლად თხოვნას ცრემლებით აძლიერებს, მაშინ მას გადაჭრით უნდა ეთქვას უარი. თუ მოთხოვნილება ალაპარაკებს, უნდა მიხვდეთ და იმ წამსვე შეუსრულოთ; მაგრამ ოდნავადაც რომ აპყვეთ მის ცრემლებს, უფრო წაახალისებთ ტირილში. შეაეჭვებთ კეთილგანწყობილებაში და აფიქრებინებთ, რომ მობეზრებით უფრო მეტს გაიტანს, ვიდრე კეთილი განწყობით. თუ კეთილ ადამიანად არ მიაჩნხართ, იგი მალე გაბოროტდება. თუ

სუსტად ჩავთვალათ, იგი მალე გაჯიუტდება. ნუ იქნებით მფლანგველები უარის თქმაში, მაგრამ ნურასოდეს გააუქმებთ მას.

განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ ბავშვისათვის ზრდილობის იმ ცარიელი ფორმულების მიცემას, რომლებიც საჭირო შემთხვევაში მისთვის ჯადოსნურ სიტყვებად იქცევიან, რათა თავის ნებას დაუმორჩილოს ყოველივე და იმწამსვე მიიღოს ის, რაც მოსწონს. ამპარტავანი მდიდრის ოჯახი აჩვევს ბავშვს ყოველთვის ზრდილობიან ბატონობას და ისეთ ფორმულებს ასწავლის, რომ ვერავინ გაუბედოს წინააღმდეგობა. მისმა ბავშვმა არც თხოვნა იცის და არც თხოვნის კილო, იგი არანაკლებ და (უფრო მეტადაც) მედიდურია, როცა თხოულობს რასმე, ვიდრე მაშინ, როცა ბრძანებს, რადგან უფრო დარწმუნებულია, რომ მის სიტყვას შეასრულებენ. ამკარაა, რომ მისი „თუ შეიძლება“ ნიშნავს „მე ასე მსურს“ და „გთხოვთ“ ნიშნავს „გებრძანებთ“. უცნაური ზრდილობაა სწორედ, რომ სიტყვების მნიშვნელობას ცვლის და მხოლოდ ბრძანების კილოთი ლაპარაკს აჩვევს. ჩემდა თავად, ემილის სიტლანქის უფრო ნაკლებად მეშინია, ვიდრე მისი მედიდურობისა, მიჩვევია თხოვნის კილოთი მითხრას „გააკეთეთ ეს“, ვიდრე ბრძანების კილოთი თქვას „გთხოვთ“. ჩემთვის მთავარია არა სიტყვა, რომელსაც იგი იხმარს, არამედ ის მნიშვნელობა, რომელსაც იგი ამ სიტყვას მისცემს.

ზედმეტი სიმკაცრეც არის და ზედმეტი სირბილეც; ორთავეს ერთნაირად უნდა ვერიდოთ. თუ მოუვლელად მიატოვებ ბავშვი, ხიფათში ჩააგდებთ მის ჯანმრთელობას, მის სიცოცხლეს, მას ახლავე აუბედურებთ; თუ ზედმეტი გულმოდგინებით იცავთ მას ყოველგვარი სიავისაგან, დიდ უბედურებას უმზადებთ, აფაქიზებთ და ანებივრებთ. იგი გამოგყავთ მისი ადამიანური მდგომარეობიდან, რომელსაც თქვენდა საწინააღმდეგოდ ოდესმე მაინც დაუბრუნდება, ბუნების ზოგიერთ ხიფათს რომ აარიდოთ, მას უქმნით სხვა ხიფათს, რომელიც ბუნებას არ განუზრახავს მისთვის. თქვენ მეტყვით, იმ მამების მდგომარეობაში ჩავვარდი, რომლებსაც თვითონ ვუსაყვედურებდი, რომ ბავშვის ბედნიერებას მსხვერპლად სწირავენ შორეულ მომავალს, რომელიც ეგების არასდროს არც კი მოვიდეს.

არა, რადგან თავისუფლება, რომელსაც ჩემს შვირდს ვაძლევ, სავსებით უნაზღაურებს მას იმ მცირეოდენ უხერხულობას, რომლის შესაძლებლობა წინასწარ არ აღვკვეთე, ვხედავ, რამდენიმე

ცელქი ბიჭი თოვლში თამაშობს: გალურჯებულან, გაყინულან, თითებს ძლივს ანძრევენ. განა არ შეუძლიათ დაანებონ თავი თამაშს და წავიდნენ გასათბობად? მაგრამ ამას არ შვრებიან; რომ ძალა დაეტანებინა ვინმეს, ისინი უფრო მწვავედ იგრძნობდნენ ამ ძალდატანების სუსხს, ვიდრე სიცივისას. მაშ, რას უჩივით? განა მე ვაუბედურებ თქვენს ბავშვს, როდესაც არ ვაცილებ მას ისეთ უხერხულეზას, რომლის ატანა სურს? მას ბედნიერებას ვანიჭებ ამთავითვე, რადგან თავისუფლებას ვაძლევ; მას ბედნიერებას ვუმზადებ მომავალშიც, რადგან ვაწვდი იარაღს იმ გაჭირვების წინააღმდეგ, რომლის ატანა აუცილებელი იქნება. მას რომ ასარჩევი ჰქონდეს, თქვენი შეგირდი იყოს თუ ჩემი, ნუთუ გგონიათ, რომ იგი ერთი წუთით მაინც შეყოყმანდებოდა?

განა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რომელიმე ცოცხალი არსების ნამდვილი ბედნიერება, მისი განწყობის გარეშე? და განა ადამიანისათვის განწყობის გარეშე გამოსვლა არაა, როცა ცდილობთ ააცილოთ იგი მისი გვარეობის ყოველგვარ ჭირ-ვარამს? დიახ, მე ვამტკიცებ ამას; დიდი ბედნიერება რომ იგრძნოს, მას მცირე გაჭირვება უნდა ჰქონდეს გამოვლილი: ასეთია მისი ბუნება. თუ სხეული ზედმეტ პატივშია, ზნეობა ფუჭდება. თუ ადამიანს მწუხარება არ გამოუვლია, იგი ადამიანობისა და თანაგრძნობის სიტკბოსაც ვერ გაიგებს, მის გულს არაფერი არ ააღელვებს, იგი გულდია, მის მსგავსთა შორის ერთი ვინმე მახინჯი იქნება.

იციოთ თუ არა, რა არის ყველაზე უფრო ნამდვილი საშუალება თქვენი ბავშვის გასაუბედურებლად? ეს საშუალება არის ბავშვის მიჩვევა, რომ მან ყველაფერი მიიღოს. ვინაიდან რაც უფრო ადვილად შეუსრულდება, მით უფრო მეტად გაეზრდება სურვილები. აღრე თუ გვიან შესრულების შეუძლებლობა გაიძულებთ, უარი უთხრათ მას ძალაუნებურად, უჩვეულო უარი კი უფრო მწარე იქნება მისთვის, ვიდრე სასურველი საგნის დანაკლისი. ჯერ მოინდომებს ჯოხს, თქვენ რომ გიჭირავთ; სულ მალე იგი თქვენს საათს მოისურვებს, შემდეგ ჩიტს, ჰაერში რომ ფრინავს, მერე ვარსკვლავს, ცაში რომ ბრწყინავს; მოინდომებს ყველაფერს, რასაც კი დაინახავს. ღმერთი ხომ არ ხართ, რომ ყველაფრის ასრულება შესძლოთ?

ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებაა, თავისად ჩათვალოს ყველაფერი, რაზედაც კი ხელი მიუწვდება. ამ მხრივ კი ჰობსის

პრინციპი რამდენადმე სწორია: ამრავლეთ სურვილებთან ერთად მათი დაკმაყოფილების საშუალებები და ყოველი თქვენთაგანი ყველაფრის ბატონი გახდება. და ბავშვიც, რომელსაც ეძლევა ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს, მთელ ქვეყნიერებას თავის საკუთრებად თვლის; ადამიანს იგი უყურებს, როგორც თავის მონას; დაბოლოს, როცა იძულებული გახდება რამეში უარი უთხრათ, ბავშვი ამ უარს მის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებად ჩათვლის, რადგანაც ფიქრობს, რომ ყველაფერი შესაძლებელია, თუკი მან ბრძანა. რაგინდ საბუთები არ მოუყვანო ბავშვს იმ ასაკში, როცა მას ჯერ მსჯელობის უნარი არა აქვს, იგი იფიქრებს, საბაბი მოიგონესო. იგი ყველაფერში ბოროტ განზრახვას ხედავს: მას ყველგან უსამართლობა ეჩვენება და ეს აბოროტებს. მას ყველა შესძულდება, და რაგინდ აამო, მის გულს ვერ მოიგებ, ხოლო სულ მცირე წინააღმდეგობა რომ გაუწიო, ბრაზობს.

როგორ დავიჯერო, რომ რისხვით აგრე გარემოცული და მძვინვარე ვნებებით ასე შეპყრობილი ბავშვი შეიძლება როდისმე ბედნიერი გახდეს? ასეთი ბავშვი და ბედნიერი? იგი დესპოტია. იგი ყველაზე უფრო საძაგელი მონაც არის და ყველაზე უფრო საცოდავი არსებაც. მინახავს, რომ ასე აღზრდილი ბავშვები მოითხოვდნენ მხრებით დაანგრეთ სახლიო, მომეციო ფლუგერი, კოშკზე რომ არისო, გააჩრეთ მომავალი ჯარი, რათა დოლის ხმა მოვისმინო კიდევო; ყვირილით აყრუებდნენ არემარეს, რომ იმწამსვე არ ასრულებდნენ სურვილს. ვერაფრით ვერ მოაწონებდით თავს; შეუძლებელს მოითხოვდნენ და ყველგან მხოლოდ წინააღმდეგობას, დაბრკოლებას, უსიამოვნებასა და მწუხარებას აწყდებოდნენ. მუდამ აღრენილნი, მუდამ გაბუტულნი, მუდამ შმაგნი, მთელ დღეს ყვირილში და ტირილში ატარებდნენ. ბედნიერები იყვნენ ისინი?

როდესაც უძლურება და ბატონობა შეერთებულია, მხოლოდ სიბრძნე და უბედურება წარმოიშობა. აი, ორი განებივრებული ბავშვი: ერთი მაგიდას სცემს, მეორე კი მოითხოვს, ზღვა გალახეთ წკეპლითაო⁵. რამდენიც არ სცემონ და რამდენიც არ აწყებლინონ, ბედნიერებას ვერ მოესწრებიან.

თუ ბატონობისა და ტირანის სურვილი ბავშვობაშივე აუბედურებს მათ, რალა იქნება, როცა გაიზრდებიან და მათი ურთიერთობა ადამიანებთან გაფართოვდება და გაიზრდება? ისინი მიჩ-

ვეული არიან, რომ ყველა ქედს იხდიდეს მათ წინაშე და ახლა ცხოვრებაში რომ შედგეს ფეხი, ერთბაშად იგრძნობენ, რომ ყველა წინააღმდეგობას უწევს, ქვეყანამ, მათ რომ ეგონათ ჩვენს ნებაზე ივლისო, ახლა ისინი პირიქით, ქვეშ მოიქცია. მათი ყოყოჩური ქცევა, მათი ბავშვური ამპარტავნობა მხოლოდ შეურაცხყოფას, ზიზღსა და სიცილს იწვევს; შეურაცხყოფას წყალივით სვამენ, მწარე გაკვეთილების წყალობით მალე დაინახავენ, რომ არც თავისი ნამდვილი მდგომარეობა არ სცოდნიათ და არც თავისი ძალები; რაკი ყველაფერი არ შეუძლიათ, ისინი დაასკვნიან, არაფერი არ შეგვიძლიაო. ამდენი მოულოდნელი დაბრკოლება აშინებს მათ, ამდენი ზიზღი სულიერად აკნინებს. ფლიდი, მშიშარა, მლიქვნელი ხდებიან და რაც უფრო მაღლა უჭირავთ თავი, მით უფრო დაბლა ეცემიან.

დავუბრუნდეთ თავდაპირველ წესს. ბუნებამ ბავშვი იმისათვის გააჩინა, ყველას უყვარდეს, მაგრამ განა იმისათვის, რომ ვემორჩილებოდეთ და გვეშინოდეს მისი? განა ბუნებამ მას იმპოზანტური შეხედულება მისცა? ბოხი და მრისხანე ხმა, რომ შიშს გვგვრიდეს? მესმის, რომ ლომის ღრიალი აშინებს ცხოველებს და ისინი დრტვინავენ, როდესაც მის ფაფარს დაინახავენ ხოლმე, მაგრამ თუ ოდესმე უნახავთ უხამსი საძაგელი და სასაცილო სანახაობა, ეს არის წარჩინებულთა კორპუსი, რომელიც თავისი უხუცესის მეთაურობით საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილ და მიწაზე გართხმულ ძუძუმწოვარა ბავშვს მიმართავს სახოტბო სიტყვით, ის კი საპასუხოდ მხოლოდ ყვირის და იფურთხება. ავიღოთ თავისთავად ბავშვი, განა მოიძებნება კიდევ ქვეყანაზე უფრო სუსტი, უფრო საცოდავი არსება, რომელიც უფრო დამოკიდებული იყოს ყოველივეზე, რაც მის გარშემოა და მეტს სიბრალულს, ზრუნვასა და მფარველობას საჭიროებდეს, ვიდრე ის? განა არა გგონიათ, რომ მას სწორედ იმისათვის აქვს ასეთი ნაზი და სიბრალულის გამომწვევი შეხედულება, რომ ყველა, ვინც კი ახლოს გაუვლის, თანაგრძნობით მოეკიდოს მის სისუსტეს და მიაშუროს მას საშველად. რა არის იმაზე უფრო სასიამოვნო და უწესო, რომ დიდგულა და უწესო ბავშვი მბრძანებლობს ყველაზე, რაც მის გარშემოა და ბრძანების კილოთი ელაპარაკება ურცხვად იმათ, რომელთა უყურადღებობა საკმარისია მისი დაღუპვისათვის.

მეორეს მხრით, ვინ არ ხედავს, რომ პირველი ასაკის სისუსტით ბავშვი იმდენად შებოროკილია, რომ ბარბაროსობა იქნება ამ ბორკი-

ლებს კიდევ ჩვენი კაპრიზების ბორკილები დავუმატოთ და წავართვათ მას ისედაც შეზღუდული თავისუფლება, რომელსაც იგი ბოროტად ვერ გამოიყენებს და რომლის წართმევა არც ჩვენ გვარგებს და არც ბავშვს. თუ დიდგულა ბავშვზე უფრო სასაცილო არაფერია, არაფერია მშიშარა ბავშვზე უფრო საბრალო. გონიერ ასაკში იგი ხომ ჩავარდება სამოქალაქო მონობაშიც და რალა საჭიროა, რომ ამას კიდევ კერძო მონობა წარუმძღვაროთ. დაე, ცხოვრების ერთი პერიოდი მაინც თავისუფალი იყოს იმ უღლისაგან, რომელიც ბუნებას არ დაუდგამს ჩვენთვის და მივცეთ ბავშვობას საშუალება, იგემოს ბუნებრივი თავისუფლება, რომელიც ცოტა ხნით მაინც დაამორჩებს მას მონობის მიერ წარმოშობილი მითისაგან.

მკაცრო აღმზრდელებო და საკუთარი ბავშვების მონებად ქცეულ მომებო! მოდით, ზერეღე მოსაზრებებით, ვიდრე თქვენი მეთოდების ქება-დიდებას იტყოდეთ, მანამდე ბუნების მეთოდი შეისწავლეთ.

მე ვუბრუნდები პრაქტიკას. უკვე ვთქვი – თქვენმა ბავშვმა იმიტომ კი არ უნდა მიიღოს რამე, რომ ის ამას მოითხოვს, არამედ იმიტომ, რომ ის მას ესაჭიროება. ამავე დროს მან ყველაფერი უნდა აკეთოს არა მორჩილების, არამედ მხოლოდ საჭიროების გამო. იმიტომ მორჩილების და ბრძანების სიტყვები განდევნილ უნდა იქნას მისი ლექსიკონიდან, კიდევ უფრო მეტად – ვალდებულების და მოვალეობის სიტყვები; მაგრამ ძალის, აუცილებლობის, უძლურებისა და იძულების სიტყვებს დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ამ ლექსიკონში. გონიერ ასაკამდე არავითარი აზრი არ გვაქვს არც მორალურ საგანთა და არც სოციალურ ურთიერთობათა შესახებ. მამასადამე, უნდა ვერიდოთ რამდენადაც კი შეიძლება მათი აღსანიშნავი სიტყვების ხმარებას, რათა ბავშვმა არ დაუკავშიროს ამ სიტყვებს მცდარი წარმოდგენა, რომლებსაც მერე ვეღარ დაარღვევ. ბავშვს რომ ერთი ასეთი წარმოდგენა გაუჩნდება თავში, იგი შეცდომებისა და ბიწიერების თესლად გადაიქცევა. სწორედ ამ პირველ ნაბიჯს უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება. საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ ვიდრე მასზე მხოლოდ გრძობადი საგნები მოქმედებენ, ყველა მისი წარმოდგენა შეგრძნებებზე შეჩერდეს, ისე მოიქცეით, რომ იგი ყოველი მხრიდან მხოლოდ ფიზიკურ სამყაროს ხედავდეს, თუ არადა, დარწმუნებული იყავით, რომ იგი ყურსაც არ დაგიღებთ ანდა რა-

იმე ფანტასტიკურ შეხედულებას შეიმუშავებს იმ მორალურ სამყაროზე, რომლის შესახებაც თქვენ მას ელაპარაკებით და შემდეგ ვერასოდეს ვერ აღმოფხვრით ამ შეხედულებას.

ლოკის ძირითადი პრინციპი იყო ბავშვებთან მსჯელობა; ეს ახლაც ძალიან მიღებულია; მაგრამ მისი პოპულარობა მე ვერ დამაჯერებს; მე რომ მკითხვით, ყველაზე ბრიყვი სწორედ ის ბავშვია, რომელთანაც ბევრს მსჯელობდენ. ადამიანის ყველა ნიჭიერებათა შორის განსჯა, რომელიც, ასე ვთქვათ, ყველა დანარჩენთაგან არის შედგენილი, ყველაზე უფრო ძნელად და გვიან ვითარდება, ჩვენ კი მისი საშუალებით გვინდა განვაავითაროთ ისინი. კარგი ალზრდის მიზანია განსჯის მქონე ადამიანი შევქმნათ, ჩვენ კი ბავშვი განსჯის საშუალებით გვინდა აღვზარდოთ, ეს იგივეა, რომ საქმე ბოლოდან დაიწყო, პროდუქცია იარაღად აქციო. ბავშვს რომ მსჯელობა შეეძლოს, ალზრდაც არ დასჭირდებოდა, მაგრამ დაბალი ასაკიდანვე რომ ისეთი ენით ველაპარაკოთ, რომელიც მისთვის გაუგებარია, იგი მიეჩვენება, რომ ცარიელი სიტყვებით უმასპინძლდებოდნენ, რომ ყველაფერს, რასაც კი ეტყვი, კონტროლს უწევდეს, თავის თავს ისევე ჭკვიანად თვლიდეს, როგორც მასწავლებელს, მიეჩვენება ჭინჭყლობასა და ჯიუტობას, რაც მისგან გონიერი მოტივების გზით გვიფიქრია მიგველო, მხოლოდ სიხარბის, შიშის ან ამპარტავენობის მოტივებით გვაქვს მიღებული, რადგან იძულებული ვართ ეს მოტივები დაუფროთოთ თან.

აი, ის ფორმულა, რაზედაც შეიძლება დაიყვანო მორალის თითქმის ყველა გაკვეთილი, რომელიც ეძლევა ან შეიძლება მიეცეს ბავშვებს.

მასწავლებელი:
ეს არ უნდა ქნა!

ბავშვი:
რატომ არ უნდა ვქნა?

მასწავლებელი:
რადგან ეს ცუდი საქციელია.

ბავშვი:
ცუდი საქციელი! რა არის ცუდი საქციელი?

მასწავლებელი:
ის, რომელიც თქვენ ავიკრძალეს.

ბავშვი:
რა ცუდია, ჩავიდინო ის,
რაც ამიკრძალებს?

მასწავლებელი:
თქვენ დაისჯებით
ურჩობისათვის.

ბავშვი:
მე ისე გავაკეთებ,
რომ ვერ შემიტყონ.

მასწავლებელი:
გითვალთვალებენ.

ბავშვი:
დავიმალები.

მასწავლებელი:
გამოგკითხავენ.

ბავშვი:
ტყუილს ვიტყვი.

მასწავლებელი:
ტყუილი არ უნდა თქვათ.

ბავშვი:
რატომ არ შეიძლება
ტყუილი ვთქვა?

მასწავლებელი:
რადგან ეს ცუდია, და
ასე შემდგომ ...

აი, აუცილებელი წრე. თუ გამოხვედით ამ წრიდან, ბავშვი თქვენს ნათქვამს ვედარ გაიგებს. განა არ შეიძლება ბევრი რამ სასარგებლო ვისწავლოთ აქედან? ძლიერ საინტერესოა, რა შეიძლება ბოდა ამ დიალოგის მაგივრად მოგვეთავსებინა. თვითონ ლოკიც უეჭველად საგონებელში ჩავარდებოდა. სიკეთისა და ბოროტების ცოდნა, ადამიანის მოვალეობათა აზრის შეგნება – ეს ბავშვის საქმე არ არის.

ბუნებას სურს, რომ ბავშვი ბავშვი იყოს, ვიდრე მოწიფული ადამიანი გახდებოდეს. ჩვენ რომ დავამახინჯოთ ეს წესი, ნაადრევ ნაყოფს მივიღებთ, უმწიფარსა და უგემურს, რომელიც სულ მალე წახდება: ჩვენ გვეყოლება ახალგაზრდა მეცნიერები და მოხუცი ბავშვები. ბავშვს აქვს თავისი საკუთარი მანერა ხედვისა, აზროვნებისა, გრძნობისა; დიდისაგან დიდი სიბრძნე იქნება, რომ ჩვენი მანერა მოვახვიოთ მას და, ჩემი აზრით, ერთი და იგივეა – ათი წლის ბავშვისაგან გინდ ხუთი ფუტი სიმაღლე მოგითხოვია და გინდ მსჯელობის უნარი. და მართლაც, რად უნდა მას ამ ასაკში განსჯა? განსჯა ძალის აღვირია, ბავშვს კი ეს აღვირი არ ესაჭიროება.

როცა ცდილობთ დაარწმუნოთ თქვენი შევირდები, რომ მათ მორჩილება მართებთ, ამ ვითომდა დარწმუნებას კიდევ ძალასა და

მუქარას, ანდა უფრო უარესი, პირფერობასა და დაპირებებს უმატებთ. ამგვარად, რადგანაც მათ ინტერესი ამოძრავებთ ან ძალა აძულებთ, ისინი ისე გაჩვენებენ თავს, თითქოს მსჯელობით დარწმუნდნენ. ისინი ძლიერ კარგად ხედავენ, რომ მორჩილება მათთვის სასარგებლოა, ურჩობა კი მავნე, თუკი შეამჩნიეთ ერთი და მეორეც. მაგრამ მხოლოდ იმას მოითხოვთ მათგან, რაც მათთვის არ არის სასიამოვნო და რადგან სხვისი ნების ასრულება ყოველთვის ძნელია, ისინი გემალეებიან, რათა შეასრულონ თავისი ნება და დარწმუნებულნი არიან, რომ კარგად მოიქცნენ, თუკი მათი ურჩობა არ გამოაშკარავდა; მაგრამ თუ გამოაშკარავდა, ისინი მზად არიან, რათა უფრო მეტი უსიამოვნება არ შეხვდეთ, იმწამსვე აღიარონ, რომ ცუდად მოიქცნენ. რადგან მოვალეობის შეგნება ამ ასაკისთვის დამახასიათებელ ნიშანს არ შეადგენს, დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია ეს მოვალეობა ნამდვილად შეაგნებინოს. მაგრამ დასჯის შიში, პატიების იმედი, ჩიჩინი, პასუხის გაცემის სიძნელე აძულებს თქვან, რასაც კი მათგან მოითხოვენ. ჩვენ კი გვგონია, რომ დავარწმუნეთ, ნამდვილად კი მხოლოდ თავი მოვაბეზრეთ ან დავაშინეთ.

რა გამოდის აქედან? ჯერ ერთი, რადგან ისეთ მოვალეობას აკისრებთ, რომელსაც ისინი ვერ გრძნობენ, მათ ამხედრებთ თქვენი ტირანის წინააღმდეგ და აძულებთ თქვენს თავს, აჩვევთ გულჩათხრობას, სიყალბეს, სიცრუეს, რომ ჯილდო გამოგტყუონ ან სასჯელს გაექცნენ. დაბოლოს, აჩვევთ საიდუმლო მოტივების სააშკარაო მოტივებით დაფარვას, თქვენ თვითონვე აძლევთ საშუალებას გატყუონ მუდამ, დაგიმალონ თავისი ნამდვილი ხასიათი და როცა დასჭირდებათ, ცარიელი სიტყვებით გაგისტუმრონ თქვენც და სხვებიც. მეტყვიით, რომ კანონები, თუმცა, ისინი სავალდებულოა სინდისისათვის, მაგრამ მანაც იძულებას მიმართავენ მოწიფულთა მიმართ. გეთანხმებით, მაგრამ ვინ არიან ეს მოწიფულები, თუ არა აღზრდით გაფუჭებული ბავშვები? აი, წინასწარ სწორედ ეს უნდა ავიცდინოთ. ბავშვებთან გამოიყენეთ ძალა, დიდებთან კი – განსჯა, ასეთია ბუნების წესი; ბრძენს კანონები არ სჭირდება.

მოექცეთ შეგირდს ისე, როგორც მის ასაკს შეჰფერის. უწინარეს ყოვლისა, მიუჩინეთ მას მისი ადგილი და ისე კარგად დააკავეთ იგი ამ ადგილზე, რომ არც კი ცდილობდეს იქიდან წასვლას. მაშინ

იგი, თუმცა, ჯერ არ ეცოდინება რა არის სიბრძნე, გაივლის სიბრძნის ძლიერ მნიშვნელოვან პრაქტიკულ სკოლას. ნუ უბრძანებთ მას ნურაფერს, სრულიად ნურაფერს ქვეყანაზე, იმასაც კი ნუ აფიქრებინებთ, რომ თქვენი თავი მის მიმართ რაიმე ავტორიტეტად მიგაჩნიათ. მან მხოლოდ იცოდეს ის, რომ იგი სუსტია, თქვენ კი ძლიერი, რომ მისი და თქვენი მდგომარეობის გამო, იგი აუცილებლად თქვენზეა დამოკიდებული, იცოდეს ეს, ისწავლოს, იგრძნოს. ადრიდანვე გრძნობდეს თავის ამაყ კისერზე უღელს, ბუნებამ რომ ადამიანს დაადგა, რომლის ქვეშ ყოველმა მოკვდავმა არსებამ უნდა დახაროს თავი; ხედავდეს ამ აუცილებლობას საგნებში და არა ადამიანთა კაპრიზებში. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბავშვი კაპრიზად არ ჩათვლის ყველაფერს, რაც მის სურვილს ეწინააღმდეგება, და რისი საფუძველიც მისთვის გაუგებარი იქნება. ბავშვს უსაფუძვლოდ მიაჩნია ყველაფერი, რაც მის ფანტაზიებს ვერ ეგუება, და ის აღვირიც, რომელიც მას აკავებს, იყოს ძალა და არა ავტორიტეტი. ის, რისგანაც მან თავი უნდა შეიკავოს, არ უნდა ავუკრძალოთ, ოღონდ ნუ მისცემთ შესაძლებლობას გააკეთოს იგი, ახსნა-განმარტება კი საჭირო არ არის; არც მსჯელობაა საჭირო; ხოლო იმაზე, რის ნებასაც აძლევთ, პირველი თქმისთანავე დართეთ ნება. თხოვნისა, მუდარის გარეშე, ნამეტურ კი რაიმე პირობისა, ნება დართეთ ხალისიანად, უარი კი უთხარით უხალისოდ; მაგრამ ყოველი უარი შეუცვლელი უნდა იყოს. რამდენიც არ უნდა გეხვეწოთ, არ შეიწყეთ. თქვენი „არა“ ურყევი კედელი უნდა იყოს, რათა ბავშვი ხუთჯერ ან ექვსჯერ რომ დაეჯახოს ამ კედელს და თავისი ძალები ამოწუროს, შეწყვიტოს ცდა მისი დანგრევისა.

ამ გზით თქვენ მას აქცევთ მომთმენ, ზომიერ, დამჯერე, წყნარ არსებად, იმ შემთხვევაში, როდესაც მას არ ექნება ის, რაც მოისურვა; რადგან ადამიანის ბუნება ისეთია, რომ საგანთა აუცილებლობას იგი მოთმინებით იტანს, სხვის ბოროტ ნებას კი არა. მეტი აღარ არის – ასეთ პასუხს ბავშვი აღარ აუხიროდებთ არასოდეს, თუ სიცრუე არ ჰგონია. საერთოდ საშუალო ხაზი არ არსებობს: ან ნურაფერს ნუ მოსთხოვთ, ან თავიდანვე მთლად დაიმორჩილეთ, ყველაზე უფრო ცუდი აღზრდა ის არის, რომ ბავშვი მერყეობს, საკუთარსა და თქვენს ნება-სურვილს შორის. და

დაუსრულებელი დავაა, ვინ უნდა იყოს თქვენ ორს შორის ბატონი; ათასწილად მირჩევნია, რომ მუდამ იგი იყოს ბატონი.

ძლიერ საკვირველია, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვის აღზრდაში ჩავერიეთ, სხვა ვერაფერი იარაღი მოვიგონეთ ბავშვის წარმართვისათვის, თუ არა ქიშპი, ჯიბრი, შური, ამპარტავნობა, სიხარბე, სულმდაბალი შიში, ე. ი. ყველაზე უფრო საშიში ვნებები, რომლებსაც აქვთ უნარი სხვებზე უფრო სწრაფად აგვადელვონ და სხვებზე უფრო მეტად შერყვნან სული, თვით სხეულის გაფორმებამდეც კი. ყოველსავე ნაადრევ სწავლას, რომელიც გვსურს შევიტანოთ ბავშვის თავში, ვამყნობთ ბიწიერებაზე, მისი გულის სიღრმეში. უგუნურ აღმზრდელებს ჰგონიათ, რომ ისინი სასწაულს ახდენენ, როცა აბოროტებენ ბავშვებს, რათა მათ შეასწავლონ რა არის სიკეთე და შემდეგ დარბაისლურად გვეუბნებიან, ასეთია ადამიანიო. დიახ, ასეთია ადამიანი, რომელიც თქვენ შექმენით.

ყოველგვარი იარაღი გამოსცადეს, გარდა ერთისა, სწორედ იმ ერთადერთისა, რომელსაც შეუძლია გამოდგეს, ე. ი. გარდა კარგად მოწესრიგებული თავისუფლებისა. არ უნდა ჩაერიო ბავშვის აღზრდაში, თუ არ იცი, როგორ უნდა წაიყვანო იგი, სადაც შენ გინდა, მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობისა და შეუძლებლობის კანონების მიხედვით. რადგან მან არც ერთის სფერო არ იცის და არც მეორის, შეიძლება, სურვილისამებრ, ხან გააფართოვო ეს სფერო მის გარშემო, ხან შეავიწროვო. შეიძლება შებორკო, ბიძგი მისცე, შეაჩერო, მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობის ბორკილის საშუალებით: იგი უკმაყოფილო არ იქნება. საგანთა ძალა სრულიად საკმარისია, რომ იგი დამჯერი და მორჩილი გახადო და ვერავითარი ბიწი ვერ მოიკიდებს ფეხს მის სულში, რადგან ვნება ვერ გაიღვიძებს, ვიდრე იგი არ ამოქმედდება.

ნურავითარ სიტყვიერ დარიგებას ნუ მისცემთ თქვენს შევირდს, იგი მან მხოლოდ გამოცდილებიდან უნდა მიიღოს. ნურავითარ სასჯელს ნუ მიუსჯით, რადგან მან არ იცის, რას ნიშნავს დამნაშავედ ყოფნა. ნურასოდეს მოახდევინებთ ბოდიშს, რადგან იგი შეუტაცხ-ყოფას ვერ მოგაყენებთ, რადგან მის მოქმედებაში არავითარი მორალური არ არის. ის ვერც ჩაიდენს ისეთ რამეს, რომ მორალურად ცუდი იყოს და სასჯელის ან ვაკიცხვის ღირსი იქნება,

ვხედავ უკვე, რომ შეშინებული მკითხველი ამ ბავშვზე, ჩვენი

ბავშვების მიხედვით მსჯელობს: იგი ცდება. მუდმივი შეზღუდულობა, რომელშიაც გიჭირავთ თქვენი მოწაფეები, აღიზიანებს მათ სიცულეებს; რაც უფრო მეტად არიან ისინი თქვენთან ყოფნის დროს შეზღუდული, მით უფრო მეტს იგიყებენ, როდესაც თავიდან მოგცილდებიან. ხომ უნდა აინაზღაურონ, როცა მოახერხებენ ის მძიმე შევიწროება, რომელსაც ისინი ჩვენგან განიცდიან.

ორი ქალაქელი მოწაფე, უფრო მეტ უწყსობას ჩაიდენს სოფელში, ვიდრე მთელი სოფლის ახალგაზრდობა. ჩაკეტეთ ერთ ოთახში პატარა ბატონი და პატარა გლეხი. პირველი ყველაფერს გადმოატრიალებს, დაამსხვრევს, ვიდრე მეორე თავისი ადგილიდან დაიძვროდეს. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი ცდილობს ისარგებლოს ერთი წუთის თავისუფლებით, მეორე კი მუდამ დარწმუნებულია თავისუფლებაში და არ ჩქარობს, თუმცადა, გლეხის შვილებიც ჯერ კიდევ შორს არიან იმ მდგომარეობიდან, მე რომ მინდა, რადგან მათ ხშირად ანებივრებენ და აჯავრებენ.

მივიღოთ უდავო აქსიომად ის, რომ ბუნების ყოველი პირველი ძვრა სწორია; ადამიანის გულში არავითარი თანდაყოლილი სიავე არ არის, იქ ვერც ერთ მანკს ვერ ნახავთ, რომ ვერ თქვა, თუ როგორ და რა გზით შესულა იგი გულში. ადამიანის ერთადერთი ბუნებრივი ვნება არის თავისთავის სიყვარული ან თვითმოყვარეობა, ფართო მნიშვნელობით. ეს თვითმოყვარეობა თავისთავად, ან ჩვენ მიმართ, კეთილი და სასარგებლოა; და რადგან იგი სრულიად არ ეხება სხვას, ამდენად, იგი ბუნებრივად ნეიტრალურია. იგი მხოლოდ მაშინ გახდება ავი ან კარგი, თუ ამას ან იმას დაუკავშირებ, ანდა ასეთი ან ისეთი მიმართება მიეცი. ამიტომ, ვიდრე თვითმოყვარეობის ხელმძღვანელი, ე. ი. გონება – დაიბადებოდეს, ბავშვმა ერთი ნაბიჯიც არ უნდა გადადგას, იმ ვარაუდით, რომ სხვა მხედავს ან მისმენსო, ერთი სიტყვით, სხვისთვის, არამედ მოიქცეს ისე, როგორც ბუნება უკარნახებს და მაშინ იგი მხოლოდ სიკეთეს ჩაიდენს. მე როდი ვფიქრობ, რომ იგი არასოდეს არაფერს გააფუჭებს, არ იტყენს რაიმეს, არ გატყენს, ვთქვათ, ძვირფას ნივთს თუ ხელში ჩაუვარდა. მას შეუძლია დიდი ვნება მოგაყენოს, მაგრამ ეს არ იქნება ბოროტი საქციელი, რადგან ბოროტ საქციელს წარმოშობს ვნების მოტანის განზრახვა, ასეთი განზრახვა კი მას არასოდეს ექნება. თუკი ერთხელ მაინც ექნა

მას ასეთი განზრახვა, უკვე ყველაფერი დაღუპული ყოფილა. იგი ყოფილა თითქმის განუკურნებლად ბოროტი ქმნილება.

ის, რაც ძუნწის თვალში ბოროტია. გონებისათვის არ არის ბოროტი, ბავშვს რომ სრულ თავისუფლებას მისცემთ იცელქოს, რათა ეს ცელქობა ძვირად რომ არ დაგიჯდეთ, უნდა მოაცილოთ მას ყველაფერი გასატეხი და ძვირფასი. მას ოთახში მხოლოდ ტლანქი და მაგარი ავეჯი უნდა ედგას. არც სარკე, არც ფაიფური, ფუფუნების არც ერთი საგანი არ უნდა იყოს იქ. რაც შეეხება ჩვენს ემილს, რომელსაც მე სოფელში ვზრდი, მისი ოთახი არაფრით არ იქნება გლენხის ოთახისაგან განსხვავებული. რატომ უნდა გადავყვე ამ ოთახის შემკობას, თუკი მან ასე იშვიათად უნდა დაჰყოს შიგ, იმას კი ვეცდები, მან თვითონ შეამკოს იგი და სულ მალე დავინახავთ რით შეამკობს.

თუ ბავშვმა, მიუხედავად თქვენ მიერ მიღებული წინასწარი ზომებისა, მაინც დაარღვია წესრიგი, გატეხა რამე სასარგებლო ნივთი, ნუ დასჯით მას თქვენი დაუდევრობის გამო, ნუ დატუქსავთ, ნურავითარ საყვედურს ნუ ეტყვიან, ნურც შეამჩნევენებთ, რომ უსიამოვნება მოგაყენათ, ისე დაიჭირეთ თავი, თითქოს ნივთი თავისთავად გატყდა; დაბოლოს, დარწმუნებული იყავით, რომ ძლიერ ბევრი გააკეთეთ, თუ შეძელით არაფერი გეთქვათ.

გავბედო და გამოვთქვა ყველაზე უფრო დიდი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ყველაზე უფრო სასარგებლო წესი აღზრდისა? ეს წესი დროის მოგება კი არა, მისი დაკარგვაა. საშუალო მკითხველო, მაპატიე ჩემი პარადოქსები: როცა აზროვნებ, პარადოქსები საჭიროა. რაც გინდა თქვი, მე კი მაინც მიჩვენია პარადოქსების კაცი ვიყო, ვიდრე წინასწარ გამჯდარი აზრებისა. ყველაზე უფრო საშიში მონაკვეთი აღამიანის ცხოვრებაში არის დაბადებიდან თორმეტ წლამდე. ეს ის ხანაა, როცა ყალბი აზრები და ბიწიერება ითვისება და არც გვაქვს ჯერ არავითარი იარაღი მათ აღმოსაფხვრელად, ხოლო იარაღი რომ საჭირო გახდება, ფესვები ისე ღრმად არის გასული, რომ ველარ ამოადგებ. ბავშვები რომ დედის ძუძუდან პირდაპირ გონიერ ასაკში გადასკუბდებოდნენ, მაშინ ის აღზრდა, რომელიც მათ ეძლევათ, შეიძლება გამოდგომოდეთ; მაგრამ ბუნებრივი განვითარების თანახმად, მათთვის სულ საწინააღმდეგო რამ არის საჭირო. მათი სული ხელუხლებელი უნდა რჩებოდეს, ვიდრე მას ყველა მისი

უნარი არ ექნება, რადგან იგი ვერ დაინახავს იმ სანათურს, რომელსაც თქვენ დგამთ მის წინ, ვინაიდან ბრმა და ვერ გაიგნებს იდეების თვალუწვდენელ ველზე იმ გზას, რომელიც გონებას უკეთესი თვალებისათვისაც კი ასე მკრთალად აღუნიშნავს.

მაშასადამე, პირველდაწყებითი აღზრდა წმინდა ნეგატიური უნდა იყოს. მისი დანიშნულება არის არა სათნოებისა და ჭეშმარიტების სწავლება, არამედ დაცვა გულისა ბიწიერებისაგან და გონებისა, შეცდომისაგან, რომ თქვენ შეგძლებოდათ არაფერი გაგეკეთებინათ. შეგძლებოდათ შეგირდი თორმეტი წლის ასაკამდე ჯანმრთელი და მაგარი მიგეყვანათ ისე, რომ მას მარჯვენა და მარცხენა ხელის გარჩევაც არ სცოდნოდა. თქვენი პირველი გაკვეთილისთანავე, მის განსჯას აეხილებოდა თვალები გონებისთვის. მას არც გამჭდარი აზრები, არც ჩვეულებრივები არ ექნებოდა და ამიტომ მასში არაფერი იქნებოდა ისეთი, თქვენს საქმეში ხელი შეეშალა. მალე იგი თქვენს ხელში უგონიერესი ადამიანი გახდებოდა. ამრიგად, იმით, რომ საქმეში ჩაურევლობით დაიწყეთ, თქვენ სასწაულს მოახდენდით აღზრდაში.

მოიქეცით მიღებული წესის საწინააღმდეგოდ და თითქმის ყველაფერს კარგად გააკეთებთ. რადგან ბავშვი ბავშვად კი არ უნდათ, არამედ მეცნიერად, ამიტომ მამები და აღმზრდელები ცდილობენ, რაც კი შეიძლება ადრე დაუწყონ ბავშვს დატუქსვა, დასჯა, გაკიცხვა, თავმოყვარეობის გაღვიძება, დაშინება, დაპირების შეცნობა, ჭკუის დარიგება, საბუთებით დარწმუნება, უკეთესი ჰქენით: გონიერად მიუღდექით საქმეს და ნუ მსჯელობთ ბავშვებთან, მეტადრე იმ მიზნით, რომ დაარწმუნოთ იმაში, რაც მას არ მოსწონს, რადგან გონება რომ მუდამ არასასიამოვნო შემთხვევაში დაიმოწმო, თავიდანვე სახელს გაუტეხს მას ბავშვის თვალში, რადგან იგი ჯერ მიუწვდომელია მისთვის. ავარჯიშეთ სხეული მისი, ორგანოები მისი, გრძნობები მისი, ძალები, მაგრამ მის უქმ სულს ხელს ნუ ახლებთ სანამდეც კი შეიძლება. ერიდეთ ზოგად დებულებას, თუ იგი წინ უსწრებს მის შემეფასებელ მსჯელობას. დააბრკოლეთ, შეაჩერეთ ყოველი უცხო შთაბეჭდილება და რათა ხელი შეუშალოთ ბოროტების გაჩენას, სრულებით ნუ აჩქარდებით აკეთოთ კეთილი საქმე, რადგან სიკეთე მხოლოდ მაშინ არის სიკეთე, როდესაც გონება აშუქებს მას. ყოველი დაყოვნება მოგებად ჩათვალეთ: რადგან თუ მიზნისაკენ უაზროდ

მიდიხართ, ეს დიდი მოგებაა, აცალეთ, რომ ბავშვობა მწიფდებოდეს ბავშვში. დაბოლოს, თუ რამე დარიგების მიცემა აუცილებელი გახდა, ნუ მისცემთ დღესვე, თუ სახვალიოდ გადადება სახიფათო არ არის.

მეორე საბუთი, რომელიც ამ მეთოდის სასარგებლოდ მეტყველებს, არის ბავშვის სულის თავისებურება, რასაც კარგად უნდა იცნობდე, რათა სათანადო მორალური რეჟიმი შეუტრჩიო. ყოველ სულს აქვს თავისი საკუთარი სახე, რომლის მიხედვითაც უნდა წარმართო იგი; და შენმა ცდებმა რომ ნაყოფი გამოიღოს, იგი უნდა წარმართოს სწორედ ამ სახით და არა სხვაგვარად. გონიერო ადამიანო, დიდხანს დაუკვირდი ბუნებას, კარგად შეისწავლე შენი შევირდი, ვიდრე მას პირველ სიტყვას ეტყოდე. ჯერ გზა მიეცი მის ხასიათს, რომ თავისუფლად გაშალოს ის, რაც ჩასახულია მასში, ნურაფერში ნუ გაუწევ წინააღმდეგობას, რომ იგი უკეთ დაინახო მთლიანად. თქვენ გგონიათ, რომ თავისუფლების ხანა მისთვის დაკარგული დროა. პირიქით, იგი ყველაზე უფრო ნაყოფიერად იქნება გამოყენებული, რადგან სწორედ მაშინ ისწავლით, როგორ უნდა გამოიყენო დროულად ყოველი ძვირფასი წუთი, რომ არც ერთი არ დაეკარგოს, თორემ თუ მოქმედება მანამდის დაიწყება, ვიდრე გაიგებდე რა აკეთო, დაბნეულად იმოქმედებ; შეცდომებს ჩაიდენ და იძულებული გახდები, უკან დაბრუნდე; უფრო დამორღები მიზანს, ვიდრე რომ არ აჩქარებულიყავი. ნუ დაემსგავსები ძუნწს, რომელიც ბევრს კარგავს, რადგან არაფრის დაკარგვა არ სურს. გაწირე დაბალი ასაკის დრო, რადგან უფრო მაღალ ასაკში ერთი ათად აინაზღაურებ მას. ჭკვიანი ექიმი პირველი დახედვისთანავე, ნაუცბადევად არ მოგცემს რჩევას, ვიდრე გამოსწერდეს რამეს, უწინარეს ყოვლისა, ავადმყოფის ტემპერამენტს შეისწავლის, იგი გვიან მოკიდებს ხელს, სამაგიეროდ მოარჩენს, აჩქარებული ექიმი კი მოკლავს.

კი, მაგრამ სად მოვათავსოთ ბავშვი, რომ იგი აღზარდოთ, როგორც რაღაც უაზრო არსება, როგორც ავტომატი? მთვარეზე წავიყვანოთ თუ უდაბურ კუნძულზე? მთლად მოვაცილოთ ადამიანებს? განა მას თვალწინ არ ექნება მუდამ სხვის ვნებათა სანახაობა და მაგალითი? განა იგი არასდროს არ ნახავს თავის ტოლ ბავშვებს? არ ნახავს მშობლებს, მეზობლებს, ძიძას, გამდეღს, ლაქიას, დაბოლოს, თავის აღმზრდელს, რომელიც ანგელოზი არ იქნება?

ეს მოსაზრება ძლიერია და საფუძვლიანი. მაგრამ მე ვთქვი განა, რომ ბუნებრივი აღზრდა ადვილი საქმეა-მეთქი?

ადამიანებო! რა ჩემი ბრალია, თქვენ გაგიძნელებიათ ყველაფერი, რაც კარგია. მე ვალიარებ, რომ ვხედავ ამ სიძნელებებს: ისინი იქნებ დაუძლეველიც იყოს. მაგრამ ყოვლად უდავოა ისიც, რომ თუ შეეცდები მათ აცდენას, რამდენადმე აიცდენ კიდევ. მე დავსახე მიზანი: არ ვამბობ, რომ მისი მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ის, ვინც უფრო მიუახლოვდება მას, საუკეთესო ნაყოფს მიიღებს.⁶

გახსოვდეთ, ვიდრე ადამიანის ჩამოყალიბების საქმეს მოჰკიდებდეთ ხელს, თვითონ უნდა იყოთ თქვენი თავითვე ადამიანად ქცეული, თქვენშივე უნდა მონახოთ ის მაგალითი, რომელიც სხვას უნდა მისცეთ. სანამ ბავშვს შეგნება არა აქვს, საკმაო დრო გვაქვს, შევამზადოთ ყველაფერი, რაც მის ახლოა ისე, რომ ბავშვს პირველ ხანებშივე დავანახოთ მხოლოდ ის, რის დანახვაც მას შეეფერება. ჩაუნერგეთ ყველას პატივისცემა თქვენ მიმართ, უწინარეს ყოვლისა, შეაყვარეთ ყველას თავი, რომ ყოველი კაცი ცდილობდეს თავი მოგაწონოთ. ვერასოდეს ვერ გახდებით ბავშვის ხელისუფალი, თუ არ დაეუფლეთ ყველაფერს, რაც კი არის მის გარშემო, და ეს ავტორიტეტი არასოდეს არ იკმარებს, თუ იგი სათნოების პატივისცემაზე არ იქნა დაფუძნებული. საქმე იმაში კი არ არის, რომ ჯიბე დაიცარიელოთ და ოქრო-ვერცხლი აბნოთ: არასოდეს არ მინახავს, რომ ფულით სიყვარული მოეხვეჭოს ვინმეს. არ ვარგა სიძუნწე და გულცივობა, არც ცარიელი თანაგრძნობა, როცა შეგიძლია დაეხმარო. მაგრამ თქვენი სკივრები რომ გაულოთ კაცს, და არა გული, მისი გული თქვენთვის მუდამ დახურული იქნება. თქვენი დრო, თქვენი ამაგი, თქვენი სიყვარული, თქვენი თავი – აი, რა უნდა მისცეთ კაცს; რადგან, რაც გინდა ბევრი ქნა, კაცი მაინც გრძნობს, რომ თქვენი ფული არ არის თქვენი თავი. ზოგჯერ თანაგრძნობა და კეთილი გული უფრო ფასდება და რეალურად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ფულადი საჩუქრები; რამდენი გაჭირვებული და ავადმყოფია, რომ მოწყალებას ნუგეში ურჩევნია. რამდენია დაბეჩავებული ხალხი, რომ მფარველობა უფრო გამოადგება ვიდრე ოქრო-ვერცხლი. შეარიგეთ დამდურებულნი, აარიდეთ დავას, ბავშვებს ვალდებულება შეაგნებინეთ, მამებს –

მოწყალეობა, ხელი შეუწყვეთ ბედნიერ ცოლ-ქმრობას; ებრძოლეთ ადამიანის შევიწროებას; გამოიყენეთ რაც შეიძლება ფართოდ თქვენი მოწაფის მშობლების გავლენა იმ დაბეჩავებულთა საშველად, ვინც უსამართლობას განიცდის, ვისაც ჩაგრავს ძლიერი. გამოაცხადეთ საქვეყნოდ თქვენი თავი მაშვრალთა ქომაგად. იყავით სამართლიანი, კაცთმოყვარე, ქველმოქმედი. არ კმარა მოწყალეობის გაცემა, უნდა გიყვარდეთ კიდევ; შებრალება უფრო მეტ გაჭირვებას შეამსუბუქებს, ვიდრე ფული. გიყვარდეთ სხვები და ისინიც შეგიყვარებენ, ემსახურეთ მათ და ისინიც გემსახურებიან; გაუწიეთ ძმობა და ისინიც შვილობას გაგიწევენ.

აი, კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რატომ მინდა ჩემი ემილი სოფელში აღზარდო, შორს ამ არამზადა ლაქიებისგან, მათი ბატონების შემდეგ – ამ უკანასკნელი ადამიანებისაგან, შორს, ქალაქის ბნელი ზნე-ჩვეულებისაგან, რომელიც გარედან გაპრიალებულია და ბავშვისათვის მაცდური და გადამღებია; გლეხის ნაკლოვანებანი, კი გარეგნულ მომხიბვლელობას მოკლებულნი და ტლანქნი, უფრო ზიზღს გამოიწვევენ, ვიდრე შეაცდენენ კაცს, თუ მას რამე საგანგებო ინტერესი არა აქვს, წაბაძოს მათ.

სოფელში აღმზრდელი უფრო ადვილად დაეუფლება საგნებს, რომელიც მან ბავშვს უნდა წაუყენოს: მის რეპუტაციას, მის ნათქვამს, მის მაგალითს ისეთი ავტორიტეტი ექნება, რომელიც მათ ქალაქში არ ექნებოდათ, რადგანაც იგი ყველასათვის სასარგებლო იქნება, ყველა ეცდება მოიწონოს თავი, დაიმსახუროს მისი ნდობა, შეგირდსაც ისე მოაჩვენოს თავი, როგორც აღმზრდელს უნდა. და თუ ეს არ გაათავისუფლებს მათ ბინისაგან, სკანდალს მაინც მოერიდებიან, ჩვენი საქმისათვის კი ესეც კმარა.

ნულარ დააბრალებთ სხვას თქვენს საკუთარ შეცდომებს: ბავშვებს ის სიცრუე კი არ აფუჭებს, რომელსაც ისინი დაინახავენ, რამდენადაც ის, რომელსაც თქვენ ასწავლით მუდმივი ქადაგობით, მუდმივი მორალისტობით, მუდმივი პედანტობით, ერთ კეთილ იდეასთან ბავშვს ოც უვარგისს აწვდით: მთლად გართული იმით, რაც თქვენს თავში ხდება, იმ შედეგს ვერ ხედავთ, რასაც მათ თავში იწვევთ.

როგორ გგონიათ, ნუთუ, იმ სიტყვების მორევში, რომლებითაც თქვენ ისინი მუდამ მოთმინებიდან გამოგიყვანთ, არ მოინახება ისე-

თი, რომ ცუდად იქნას გაგებული? ნუთუ გგონიათ, რომ ისინი თავისებურად არ გაიგებენ თქვენს ბუნდოვან ახსნა-განმარტებას და ვერ იპოვიან აქ ვერაფერს ისეთს, რომ მათთვის მისაწვდომი სისტემა შეიმუშაონ, რომელსაც როცა დასჭირდებათ, თქვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ?

აბა, ყური დაუგდეთ ბავშვს, რომელსაც ეს-ეს არის ჭკუა ვასწავლეთ; აცალეთ მას თქვას რაც უნდა, იყბედოს, შეკითხვები მოგცეთ, და თქვენ გაოცდებით, რა უცნაურად გადამტყდარა ბავშვის გონებაში თქვენი მსჯელობა. იგი ყველაფერს ურევს, ყველაფერს ამახინჯებს, მოთმინებას გაკარგვინებთ. სასოწარკვეთილებაში გაგდებთ თავისი მოულოდნელი სიტყვის შემობრუნებით და გაიძულებთ ან თქვენ გაჩუმდეთ, ან იგი გააჩუმოთ, ხოლო როგორ გაიგებს ახლა იგი იმ ადამიანის დუმილს, რომელსაც ამდენი ლაპარაკი უყვარს ხოლმე? და თუ მან ერთხელ მაინც გაჯობათ და შეამჩნია ეს, მშვიდობით, აღზრდავ, ამიერიდან ყველაფერი გათავებულია; ამიერიდან იგი სწავლას კი აღარ ეძებს, არამედ თქვენს გაბათილებას.

გულმოდგინე აღმზრდელეზო, იყავით სადა, თავმდაბალნი, თავდაჭერილნი: თუ აჩქარდებით მოქმედებაში, მხოლოდ იმისათვის, რათა ხელი შეუშალოთ სხვის მოქმედებას. მუდამ ამას ვიტყვი – თავი შეიკავეთ, თუკი შეიძლება, კარგი დარიგებისაგან იმის შიშით, რომ ცუდი არ მისცეთ. უმანკოს რომ სიკეთისა და ბოროტების ცოდნას აძლევ, ერიდეთ, მაცდურის როლი არ შეასრულოთ ამქვეყნად, რომლისაგან ბუნება პირველ სამოთხეს შექმნიდა ადამიანისათვის. თუკი ბავშვს გარეშე მაგალითებს ვერ მოვარიდებთ, რათა იგი მათ არ აპყვეს, უნდა დავკმაყოფილდეთ მაინც იმით, რომ ვეცადოთ ეს მაგალითები იმ სახით აღიბეჭდოს მის გონებაში, როგორც მას შეჰფერის.

ძლიერი ვნება დიდ გავლენას მოახდენს ბავშვზე, რომელიც მოწმე გამხდარა, ვინაიდან ძლიერ ვნებას ისეთი ნიშნები აქვს, რომლებიც შთაბეჭდილებას ახდენენ ბავშვზე და მის ყურადღებას იპყრობენ. რისხვა ისეთი განსაკუთრებული ხმაურით მქლავნდება, რომ შეუძლებელია ყურად არ იღო, თუ შეესწარი. ზედმეტია ლაპარაკი, რომ პედაგოგს ამით არ ეძლევა შემთხვევა ერთი კარგი სიტყვა წარმოსთქვას. აჰ, არავითარი ლამაზი სიტყვები, სრულიად არავი-

თარი! მოიყვანეთ ბავშვი: ამ სანახაობით გაცეცხული, იგი აუცილებლად შეკითხვას მოგცემთ. პასუხი მარტივია, იგი თვით იმ ფაქტებიდან გამოდის, მის გრძნობებზე რომ იმოქმედებენ. იგი ხედავს სახეს, ანთებულ თვალებს, მოღერებულ მუშტებს, მას ესმის ყვირილი: ყველაფერი ეს იმის ნიშანია, რომ სხეული ამოვარდნილია თავისი კალაპოტიდან. უთხარით მას უბრალოდ, ჩვეულებრივი კილოთი: საწყალი ავად არის, ციებ-ცხელების შეტევა აქვს. თქვენ საბაბი მოგეცათ გააცნოთ მას, ოღონდ სულ მოკლედ, ავადმყოფობის ცნება და მისი შედეგები, ესეც ხომ ბუნებისგანაა და ერთ-ერთი ძაფია იმ აუცილებლობისა, რომლის მიმართ იგი მორჩილებას უნდა გრძნობდეს.

განა შესაძლებელია, რომ ამ იდეამ, რომელიც ყალბი არ არის, ბავშვში ადრიდანვე არ დაბადოს ერთგვარი ზიზღი ამ ვნებების მიმართ, რომლებსაც იგი ავადმყოფობად ჩათვლის? ნუთუ გგონიათ, რომ თუ ასეთი ცნება შესაფერ მომენტში მიაწოდეთ, ნაკლებ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ყოვლად მოსაბეზრებელი მორალური ქადაგება. მაგრამ მიხედეთ, რა შედეგი მოსდევს ამ ცნებას მომავალში: თქვენ მუდამ საბუთი გექნებათ, თუ საჭირო გახდა, ბრაზიან ბავშვს მოექცეთ ისე, თითქოს იგი ავადმყოფი იყოს. ე. ი. ჩაკეტოთ ოთახში, თუ საჭირო გახდა, ჩააწვინოთ ლოგინში, დაუნიშნოთ დიეტა, ზიზღი და შიში ჩაუნერგოთ იმ ბინის მიმართ, რომელიც მხოლოდ ფეხს იკიდებს მასში და ამავე დროს არც ერთხელ არ აფიქრებინოთ ბავშვს, რომ ის სიმკაცრე, რომელსაც თქვენ იძულებული ხართ მიმართოთ მის განსაკუთრავად, სასჯელია. თუ თქვენ თვითონ სიფიცხეში დაჰკარგეთ სიმშვიდე და ზომიერება, რასაც საგანგებოდ უნდა შეაჩვიოთ თავი, ნურც იფიქრებთ თქვენი შეცდომის დამალვას, არამედ უთხარით პირდაპირ ტკბილი საყვედურის კილოთი: „აი, ჩემო მეგობარო, შენ ავად გამხადე“.

ოღონდ უნდა ვეცადოთ, არასოდეს არ შევამჩნევინოთ ბავშვს მისი გულუბრყვილობა, ჩვენ მიერ ჩადენილი იდეების სიმარტივემ რომ წარმოშვა, არ მოვიხსენიოთ იგი ისე, რომ ბავშვი მიხვდეს ამას, ერთი თავდაუპყრელი გაცინება ექვსი თვის ნამუშევარს წაგიხდენს და ისე გააფუჭებს საქმეს, რომ მთელ შენს სიცოცხლეში ველარ გამოასწორობ. კიდევ და კიდევ ვიმეორებ: თუ გინდა ბავშვს ფლობდე, შენს თავს უნდა ფლობდე. წარმოდგენილი მაქვს ასეთი სურათი: ჩემი პატარა ემილი მიდის ორ მეზობელ დედაკაცთან, გაც-

ხარებულად რომ ჩხუბობენ და გულისტკენით ეუბნება იმას, რომელიც უფრო მეტად პილპილობს: „ჩემო კარგო, თქვენ ავად ხართ, მე ეს ძლიერ მწყინს“. ცხადია ასეთმა გამოსვლამ არ შეიძლება არ მოახდინოს შთაბეჭდილება მაყურებლებზე და შეიძლება თვითმოქმედ პირებზეც. არც გავიცინებ, არც გავუწყრები, არც შევაქებ. ნებით იქნება თუ ძალით, წამოვიყვან ემილს, ვიდრე იგი შეამჩნევდეს ამ ეფექტს, ან ყოველ შემთხვევაში, დაფიქრდებოდეს მის შესახებ და საჩქაროდ გავართობ სხვა რამეთი, რომ მალე დაავიწყდეს მთელი ეს ამბავი.

წვრილმანებს არ ვეხები, რადგან ჩემი მიზანია დავსახო მხოლოდ ზოგადი პრინციპები და რთული შემთხვევების მაგალითები მივცე. ჩემის აზრით, შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში მიიყვანოთ ბავშვი 12 წლამდე ისე, რომ ცოტაოდენი წარმოდგენა მაინც არ მისცეთ ადამიანთა ურთიერთობასა და ადამიანის მოქმედების მორალურ მხარეზე. საკმარისი იქნება, რაც კი შეიძლება გვიან მიეცეს ეს აუცილებელი ცნობები, როდესაც ეს მართლა აუცილებელი გახდება, და თანაც მხოლოდ ისეთები, რაც უშუალოდ იქნება საჭირო, რათა თავის თავი ყოვლის მპყრობელი არ ეგონოს და შეუგნებლად და ალალ-მართლად არ ავნოს სხვას. ზოგს ისეთი ჩვილი და წყნარი ხასიათი აქვს, რომ დიდხანს შეგიძლია ამყოფო ასე და პირვანდელი უმანკოობის დაკარგვის საფრთხე მაინც არ იქნება რეალური. მაგრამ არიან ბუნებით ჭირვეული ბავშვებიც, რომელთა სიშმაგე ადრე ვითარდება. საჭიროა, ჩქარა აქციოთ ისინი ადამიანებად, რათა არ გავხდეთ იძულებული, ბორკილები დავადოთ.

ჩვენი პირველი მოვალეობა არის საკუთარი თავის წინაშე მოვალეობა, ჩვენი პირვანდელი გრძნობების ცენტრი ისევ ჩვენი თავია, ყოველი ჩვენი ბუნებრივი მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა თვითდაცვისა და ჩვენი კეთილდღეობისკენაა მიმართული. ამრიგად, სამართლიანობის პირველი გრძნობა გვიჩნდება არა იმისაგან, რაც გვადევს ვალად სხვის მიმართ, არამედ იმისაგან, რაც სხვებს ადევთ ვალად ჩვენ მიმართ და ჩვეულებრივი აღზრდის ერთ-ერთი უცნაურობაც სწორედ ის არის, რომ ბავშვებს მხოლოდ მათ მოვალეობაზე ელაპარაკებიან, მათ უფლებებზე კი არასოდეს და, მაშასადამე, თავიდანვე

სწორედ იმაზეა ლაპარაკი, რაც არაა საჭირო, რასაც ბავშვები ვერ გაიგებენ და რაც არც შეიძლება მათთვის საინტერესო იყოს.

ამგვარად, მე რომ მრგებოდა ერთ-ერთი ასეთი ბავშვის აღზრდა, ასე ვიტყვოდი: ბავშვი ესხმის თავზე არა ადამიანებს⁷, არამედ მხოლოდ საგნებს და გამოცდილება სულ მალე მიაჩვევს მას პატივისცემით მოეპყრას ყველას, ვინც კი მასზე უფროსი და ძლიერია; მაგრამ საგნები თვითონ თავის თავს ვერ იცავენ, ამიტომ პირველად მას თავისუფლების იდეა კი არ უნდა მივცეთ, არამედ საკუთრების იდეა; და ამ იდეის შეთვისება რომ შეძლოს, მას უნდა ჰქონდეს რაიმე საკუთრება. მისი ტანსაცმელი, მისი ნივთები, მისი სათამაშოები რომ მოუყვანო მაგალითად, არაფერს არ ნიშნავს, რადგან, ეს საგნები მისი კია, მაგრამ არ იცის რატომ და საიდან აქვს. რომ უთხრა, ეს გაქვს, რადგან სხვამ მოგცაო, ამის თქმა არაფრით არ იქნება უკეთესი, რადგან, რომ მისცე, უნდა გქონდეს; აქ სხვისი საკუთრება უსწრებს მის საკუთრებას; მას კი საკუთრების პრინციპი გვინდა ავუხსნათ, თავიც რომ დავანებოთ კიდევ იმას, რომ ჩუქება პირობაა, ბავშვს ჯერ არ შეუძლია იცოდეს რა არის პირობა. მკითხველგებო, მე გთხოვთ ამ და ათას სხვა მაგალითში იმას მიაქციოთ ყურადღება, როგორ ვატენით ბავშვს თავში მისთვის სრულიად გაუგებარ სიტყვებს და თანაც გვგონია, რომ კარგად ვასწავლით.

მაშასადამე, საკუთრების სათავე უნდა მოვნახოთ, რადგან აქ უნდა დაიბადოს მისი პირველი იდეა. ბავშვი, რაკი სოფელში ცხოვრობს, შეიმუშავებს ერთგვარ წარმოდგენას სოფლის მეურნეობაზე; ამისათვის მხოლოდ თვალია საჭირო და მოცალეობა, მას კი ერთი-ეტი ექნება და მეორეც. ყოველ ასაკს, მის ასაკს კი განსაკუთრებით, ახასიათებს შემოქმედების, წაბაძვის, წარმოების სურვილი, ძლიერებისა და აქტივობის გამოჩენის სურვილი. ერთი-ორჯერ რომ დაინახავს, როგორ ამუშავებენ ბოსტანს, თესენ, მოჰყავთ, იღებენ ჭირნახულს, მას თვითონ გაუჩნდება მეზოსტენობის სურვილი.

ზემოთ გაშუქებული პრინციპების თანახმად, არ ვუწევ წინააღმდეგობას მის სურვილს: პირიქით, ვაქეზებ, ვუერთდები მის სურვილებს, ვმუშაობ მასთან ერთად, მის სასიამოვნოდ კი არა, არამედ ჩემ სასიამოვნოდ; ყოველ შემთხვევაში, მას ეს არ ჰგონია. მისი მოსამსახურე ბიჭი ვარ; ვიდრე მას ხელები გაუმავრდებოდეს, მე მის მაგივრად ვამუშავებ მიწას: იგი დაეუფლება მას, როცა ლობიოს

დათესავს, და ეს მფლობელობა, რა თქმა უნდა, უფრო წმინდაა და საპატიო, ვიდრე ნუნიეც ბალბაო რომ დაეუფლა ესპანეთის მეფის სახელით სამხრეთ ამერიკას, როცა აღმართა მისი დროშა წყნარი ოკეანის ნაპირებზე. ყოველდღე მივდივარ ლობიოს მოსარწყავად და აღტაცებით ვადევნებ თვალს მის ზრდას. მე კიდევ უფრო მეტად ვადიდებ მის სიხარულს, ვეუბნები: ეს თქვენ გეკუთვნით, და რომ გავაგებინო ეს ცნება „გეკუთვნით“ – ვუხსნი, რომ მან აქ დრო დახარჯა, შრომა გასწია, იზრუნა, დაბოლოს, რომ თავისი პიროვნება ჩაღო შიგ; რომ ამ მიწაში ჩაფლულია მისი ერთი ნაწილი და რომ მას უფლება აქვს დაიცვას ყოველი კაცისაგან, აი ისე, როგორც შეუძლია გამოვლიჯოს თავისი ხელი ყველას, ვინც მისი სურვილის წინააღმდეგ მოისურვებდა ამ ხელის დაჭერას.

ერთ მშვენიერ დღეს იგი მორბის აღმფოთებული, ხელში სარწყავი უჭირავს. „ვაი, ჩვენს თვალებს, ვაი, რა გვემველება! ვილაცას ამოუყრია ჩვენი ლობიო, მიწა გადაუთხრია, ვერც კი იცნობ იმ ადგილს. ვაიმე, დაიღუპა ჩემი შრომა, ჩემი ნამუშევარი, ჩემი მეცადინეობისა და ამაგის ტკბილი ნაყოფი. ვინ წამართვა ჩემი დოვლათი, ვინ წამართვა ჩემი ლობიო?“ ნორჩი გული აღმფოთებულია. უსამართლობის პირველმა გრძნობამ მომხამა იგი, ცრემლები ღვარივით მოსდის; მისი კივილ-წივილი აყრუებს იქაურობას. ვუერთდებით მის მწუხარებას, მის აღმფოთებას, ვეძებთ, ვარკვევთ, კვლევა-ძიებას ვაწარმოებთ. ბოლოს ირკვევა, რომ მეზადეს ჩაუდენია ეს. მოვიხმეთ.

მაგრამ საქმე არც ისე ყოფილა, ჩვენ რომ გვეგონა. მეზადემ რომ გაიგო, რას ვჩივით, ჩვენზე უფრო მაღალი ხმით დაიწყო ჩივილი. „რაო, ბატონებო? მე კი არა, თქვენ წაგიხდენიათ ჩემი ნამუშევარი. მე აქ მალტის ნესვები დავთესე, მისი თესლი განძივით მითავაზეს და ვაპირებდი თქვენს გამასპინძლებას რომ დამწიფდებოდა, მაგრამ, დახე, თქვენი გაფხეკილი ლობიოს დასათესად მოვისპიათ უკვე ამოყრილი ნესვი და ვერც ავინაზლაურებთ ვერაფრით. მეც აუნაზლაურებელი ზარალი მომაყენეთ და თქვენს თავსაც მოაკელით საუკეთესო ნესვის ჭამის სიამოვნება.

ჟ ა ნ-ჟ ა კ ი

მაპატიეთ, ჩემო საბრალო რობერტ, თქვენ აქ ჩავიდით შრომა

და ამაგი, მე ვხედავ, თქვენი ნამუშევარი წაგვიხდენია, მაგრამ ჩვენ გამოვიწეროთ კიდევ თესლს მალტიდან და აღარ დავამუშავებთ მიწას, ვიდრე არ გავიგებთ, რომ ჯერ ამ ადგილისათვის არავის ხელი არ მოუკიდია.

რობერტი

კეთილი! ოლონდ, ბატონებო, აწ ნულარ შეწუხდებით, რადგან აქ სრულებით აღარ არის დაუმუშავებელი მიწა. მეც იმ მიწაზე ვმუშაობ, რაც მამაჩემმა დაამუშავა. ყოველი კაცი ასეა და მთელი ეს მიწები, თქვენ რომ ხედავთ, დიდი ხანია დაკავებულია.

ემილი

ბატონო რობერტ, ხშირად იკარგება ნესვის თესლი?

რობერტი

უკაცრავად გახლავართ, ყმაწვილო, არც ისე ხშირი სტუმარია ჩვენში თქვენისთანა თავქარიანი ვაჟბატონი. არავინ ახლებს ხელს მეზობლის ბაღს, ყველა პატივს სცემს სხვის შრომას, რომ მისი შრომაც პატივცემული იყოს.

ემილი

მე რომ არა მაქვს ბაღი?

რობერტი

მე რა შუაში ვარ? თუ გამიფუჭეთ ბაღი, მე აღარ მოგცემთ აქ სეირნობის ნებას, რადგან უკაცრავად არ ვიყო, ჩემს შრომას წყალს არ გავატან.

ჟან-ჟაკი

ხომ არ შეიძლება ჩვენს კეთილ რობერტს ერთი წინადადება მივცეთ? დაგვითმოს მე და ჩემს პატარა მეგობარს მისი ბაღის ერთი კუთხე დასამუშავებლად იმ პირობით, რომ ჭირნახულის ნახევარი თვეითონ წაიღოს.

რობერტი

გითმობთ პირობის გარეშეც, ოლონდ გახსოვდეთ, რომ თუ ჩემს ნესვებს შეახეთ ხელი, მე თქვენს ლობიოს დავამუშავებ.

ამ მაგალითიდან, სადაც ნაცადია, შეასმინოთ ბავშვს პირველ-

ყოფილი ცნებები, ჩანს, რომ საკუთრების იდეის სათავეს შეადგენს იმ კაცის უფლება, რომელმაც თავისი შრომით დაიჭირა პირველი საგანი. ეს ნათელია, გარკვეულია, მარტივია და ყოველთვის მისაწვდომია ბავშვისათვის. აქედან კი საკუთრებისა და გაცვლა-გამოცვლის უფლებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია, რომლის შემდეგ უნდა გაჩერდეს კიდეც.

ცხადია ისიც, რომ ის ახსნა-განმარტება, რომელიც ერთ-ორ გვერდზე დავატყე, შეიძლება ნამდვილად მთელი წლის საქმე იყოს, რადგან მორალური იდეების დანერგვის საქმეში რაც შეიძლება ნელი ნაბიჯით უნდა იარო და რაც შეიძლება უფრო მეტად განამტკიცო ყოველი გადადგმული ნაბიჯი. ახალგაზრდა აღმზრდელებო, გთხოვთ, დაუკვირდეთ ამ მაგალითს და გახსოვდეთ, რომ ყოველი თქვენი გაკვეთილი უფრო მოქმედება უნდა იყოს, ვიდრე სჯა-ბაასი, რადგან ბავშვი ადვილად ივიწყებს იმას, რაც თქვა ან რაც უთხრეს და არ ივიწყებს იმას, რაც გააკეთა ან გაუკეთეს.

ასეთი დარიგება, როგორც უკვე ვთქვი, ზოგს ადრე უნდა მიეცეს, ზოგს გვიან, როგორც შეგირდის ხასიათი მოითხოვს, თუ იგი მშვიდი ხასიათისაა – ადრე, თუ ახირებული ხასიათისაა – დაგვიანებით. მათი საჭიროება თვალში გვეცემა ხოლმე, მაგრამ რომ არაფერი გამოგვრჩეს ამ ძნელ საქმეში, კიდეც ერთ მაგალითს მოვიყვანთ.

თქვენი უარით ბავშვი ყველაფერს აფუჭებს, რასაც კი მოჰკიდებს ხელს: ნუ იწყენთ; მოაცილეთ ყველაფერი, რაც კი შეიძლება წაახდინოს. იგი ამტვრევს ავეჯს, რომელიც მასვე სჭირდება; ნუ გეჩქარებათ ახალი ავეჯის მიცემა: იგრძნოს დანაკარგი. იგი ამსხვრევს ფანჯრებს თავის ოთახში; უბეროს ქარმა დღე და ღამე, სურდოსი ნუ შეგემინდებათ, რადგან მისთვის უკეთესია სურდო შეეყაროს, ვიდრე სიგიჟე. ნურასდროს ნუ ეტყვი, შემაწუხეო, თვითონ იგრძნოს ეს. ბოლოს ჩაასმევინეთ შუშები, ისე, უსიტყვოდ. იგი მათ კიდეც ამსხვრევს. მაშინ გამოცვალეთ მეთოდი. უთხარით ცივად, მაგრამ არა წყრომით: შუშები ჩემია, მე ჩავასმევინე; მინდა გადავარჩინო ისინი. შემდეგ ჩაკეტავთ მას ბნელ, უფანჯრო ოთახში. ეს ახალი ხერხი მას ააყვირებს, გააცოფებს; ყურსაც არავინ იბერტყავს. მალე იგი იღლება და ტონს იცვლის, ჩივის, ოხრავს; მოდის მოსამსახურე; ჯიუტი სთხოვს, გამომიშვიო. მოსამსახურე არ

ექებს საბაბს უარის სათქმელად და უპასუხებს: „მეც უნდა მოვუარო მინებს“ და მიდის. ბოლოს, რამდენიმე საათის შემდეგ, რამდენიც საჭირო იქნება, რომ თავი მობეზრდეს და დაამახსოვრდეს ეს ამბავი, ვინმე ურჩევს, წინადადებით მოგმართოთ, რომ მას თავისუფლება დაუბრუნოთ, ის კი აღარ გატეხს ფანჯრებს. იმასაც ეს უნდა. იგი გიხმობთ. მიხვალთ, და მოგმართავთ თავისი წინადადებით. თქვენც იმავე წუთში მიიღებთ მას და ეტყვიით: „ეს კარგი ფიქრია. ჩვენ ორივე მოგებული დავრჩებით, რატომ ადრე არ მოგივიდა ეს მშვენიერი აზრი?“ შემდეგ აღარ სთხოვთ აღარც დარწმუნებას, არც იმისი დანაპირების შესრულების საწინდარს, სიამოვნებით მოხვევთ ხელს და წაიყვანთ მის ოთახში, თითქოს დარწმუნებული იყოთ, რომ ეს შეთანხმება ისევე წმინდა და ურღვევი იქნება, როგორც ფიცის ქვეშ დადებული პირობა. როგორ გგონიათ, რა აზრს გამოიტანს იგი ამ ამბიდან ხელშეკრულებისა და მისი სარგებლიანობის შესახებ? მე ვცდები, თუ ქვეყანაზე მოიძებნება თუნდაც ერთი ბავშვი, რომელიც თუ უკვე წამხდარი არ არის, ამ გაკვეთილის შემდეგაც კიდევ განგებ გატეხს ფანჯარას. აბა დაუკვირდით ამას თავიდან ბოლომდე. პაწია ავაზაკს, როდესაც იგი ლობიოს დასარგავად მიწას თხრიდა, აზრადაც არ მოსვლია, რომ ითხრიდა საპრობილეს, რომელშიც მას მისი ცოდნა ჩაამწყვდევდა სულ მალე⁸. ჩვენ უკვე მორალის სამფლობელოში ვართ და ბიწიერების კარიც ღიაა. პირობასა და ვალდებულებასთან ერთად მოტყუება და სიცრუე იბადება. თუ კაცი აკეთებს იმას, რაც არ უნდა ექნა, იგი მოისურვებს, დაფაროს ის, რაც არ უნდა ექნა. თუ ინტერესმაც აიძულა კაცი დადოს პირობა, უფრო ძლიერი ინტერესი აიძულებს მას, კიდევ დაარღვიოს ეს პირობა; საქმე მაშინ მხოლოდ იმაშია, რომ სასჯელი აიცილინოს. გამოსავალიც ბუნებრივია: იმალებიან და ტყუიან. აი, მანკიერების აცდენა ვერ შეეძელით, რის გამოც ჩვენ წინაშე მისი დასჯის საკითხი დგება. ამაშია ადამიანის ცხოვრების უბედურება, რომელიც მის შეცდომებთან ერთად იწყება.

ამაზე უკვე საკმაოდ ვილაპარაკე და უკვე გასაგები უნდა იყოს, რომ ბავშვს სასჯელი, სასჯელად კი არ უნდა დაედოს, არამედ იგი მას უნდა ევლინებოდეს, როგორც მისი ცუდი საქციელის ბუნებრივი შედეგი. ამიტომ არ არის საჭირო დეკლამაცია სიცრუის წინააღმდეგ; ბავშვს პირდაპირ კი ნუ დასჯით სიცრუისათვის, არამედ, ისე

მოაწყვეთ საქმე, რომ როცა ის ტყუილს იტყვის, ტყუილის ყველა ცუდი შედეგი დაატყდეს თავს. მაგალითად, მას არ უჯერებენ სიმართლესაც და ბევრი რომ იმართლოს თავი, იმასაც აბრალებენ, რაც არ ჩაუდენია. მაგრამ ავხსნათ მაინც, რას ნიშნავს ბავშვისათვის ტყუილი.

ტყუილი ორგვარია: ფაქტობრივი ტყუილი (*mensonges de fait*), რომელიც წარსულს ეხება და იურიდიული ტყუილი (*mensonges de droit*), მომავალს რომ ეხება. ფაქტობრივი ტყუილია, როცა მაღავ ნამდვილად რაც ჩაიდინე ანდა ამტკიცებ გავაკეთეო, თუმცა, არ გავიკეთებია, საერთოდ, შეგნებულად საგანთა ჭეშმარიტების წინააღმდეგ ლაპარაკობ. იურიდიული ტყუილი ის არის, როცა ისეთ პირობას იძლევი, რომლის შესრულებას არ აპირებ და, საერთოდ, ისეთ განზრახვაზე ლაპარაკობ, ნამდვილად რაც არ გაქვს. ეს ორგვარი ტყუილი შეიძლება ზოგჯერ ერთი ციყოს⁹, მაგრამ აქ მათ განსხვავებაზე ვლაპარაკობ.

ვინც გრძნობს, რომ სხვების დახმარება სჭირდება და ხედავს კიდევ მუდამ კეთილ განწყობას მისდამი, იმას სრულებით არ აქვს მოტყუების ინტერესი; პირიქით, იგი შეგნებულად ეცდება დაანახოს მათ საქმის ნამდვილი ვითარება, რომ არაფერი აფიქრებინოს მის საზარალოდ. ამიტომ ცხადია, რომ ფაქტობრივი ტყუილი ბავშვებს არ სჩვევია; მორჩილების კანონია, რომ საჭიროდ ხდის ტყუილის თქმას, რადგან რაკი მორჩილება მწარეა, ყოველი კაცი ცდილობს რამდენადაც შეიძლება აიცდინოს იგი, ხოლო ამ წუთში სასჯელისა ან საყვედურის აცდენის ინტერესი სძლევს სიმართლის თქმის შორეულ ინტერესს. ბუნებრივი და თავისუფალი აღზრდის პირობებში რატომ უნდა მოგატყუონ ბავშვებმა? რა აქვთ დასამალავი? არც საყვედური, არც სასჯელი, არც ბრძანება. რატომ არ უნდა გითხრას ყველაფერი, რაც ჩაიდინა ისევე გულწრფელად, როგორც თავის პაწია ამხანაგს ეტყოდა. განა მისი გულწრფელობა პირველის მხრით უფრო სახიფათოა მისთვის, ვიდრე მეორეს მხრით?

იურიდიული ტყუილი კიდევ უფრო ნაკლებად ბუნებრივია, რადგან რაიმეს გაკეთების ანდა თავშეკავების დაპირება არის პირობითი აქტი, რომელიც ბუნებრივ მდგომარეობას ეწინააღმდეგება და თავისუფლებას არღვევს. კიდევ მეტი, ბავშვის დაპირება თავისთავად არაფერია, რადგან მისი თვალი აწმყოს ვერ გასცილებია

და, როცა იგი პირობას იძლევა, მან არ იცის, რასა იქმს. კაცმა რომ თქვას, ბავშვი არც ტყუის პირობას რომ იძლევა; რადგან იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ თავი დაიღწიოს ამ წუთში, ამიტომ ყოველი საშუალება, რომელსაც ამ წუთში არაფერი შედეგი არ მოსდევს, მისთვის ერთია; სამომავლოდ რომ გპირდება, იგი არაფერს გპირდება და მისი ფანტაზია ჯერ კიდევ მთვლემარე, ვერ აფართოებს მის არსებას იმდენად, რომ მან ორ სხვადასხვა მომენტს მოავლოს ხელი. დღეს რომ ვაწკებვლას გადაუტრეხს ან ერთი კოლოფი ტკბილეულობა მიიღოს, იგი თუ გინდ ახლავე დაგპირდება, ხვალ ფანჯარაში გადავარდნას; ამიტომაც კანონი მხედველობაში არ ღებულობს ბავშვის დაპირებას; და თუ ზოგიერთი მკაცრი მამა ან აღმზრდელი მაინც მოითხოვს ხოლმე პირობის შესრულებას, ეს მხოლოდ იმას შეეხება, რაც ბავშვს უნდა გაეკეთებინა, რომც პირობა არ მიეცა.

მაშასადამე, ბავშვი პირობის მიცემისას ტყუილს ვერ იტყვის, რადგან არ იცის რას იქმს. მაშინაც კი არ არის ტყუილი, როცა იგი არ ასრულებს დაპირებულს, რაც კიდევ შეიძლება ერთგვარად უკუქცევით ტყუილად ჩაითვალოს, რადგან მას ძლიერ კარგად ახსოვს, რომ პირობა მისცა; მაგრამ მას არ ესმის, რომ შესრულებაა საჭირო, რადგან მას მომავალი ვერ ამოუკითხავს, იგი ვერც ითვალისწინებს შედეგებს და როცა იგი არღვევს თავის პირობას, იგი არაფერს სჩადის შეგნების წინააღმდეგ. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ბავშვის ტყუილი ყოველთვის აღმზრდელის ბრალია, და როდესაც ბავშვს სიმართლის თქმა უნდა ასწავლონ, ნამდვილად ტყუილის თქმას ასწავლიან. თავს ევლებიან ბავშვებს, ასწორებენ, ზრდიან, ასწავლიან, აღარ იციან რა საშუალებას მიმართონ, ოღონდ კი მიზანს მიაღწიონ. ცდილობენ ათასგვარი პრინციპის საშუალებით, ყოველგვარი გაუმართლებელი სწავლა-დარიგებით დაეუფლონ ბავშვის გონებას და თანახმა არიან ბავშვმა ტყუილი თქვას, ოღონდ კი გაკვეთილი იცოდეს, ვიდრე უვიცი და გულუბრყვილო დარჩეს.

ჩვენ კი მხოლოდ პრაქტიკულ გაკვეთილებს ვაძლევთ შეგირდებს და გვირჩევენია კეთილი იყვნენ, ვიდრე მეცნიერნი და ამიტომ არც მოვითხოვთ მათგან სიმართლეს იმის შიშით, რომ არ დაფარონ იგი და არც არავითარ პირობას არ ვადებიან, რომ მისი დარღვევის ცდუნება არ გაუფხინოთ, თუ უჩემოდ რამე ცუდი მოხდა და არ

ვიცი ვინ არის დამნაშავე, მე ემილს კი არ დავაბრალებ ანდა კი არ ვეტყვი: „შენ ქენი-მეთქი“.¹⁰

რა გაკეთდება ამით, გარდა იმისა, რომ უარის თქმას ვასწავლი, თუ მისმა მძიმე ხასიათმა მაიძულა მასთან რაიმე პირობა დავდო, მივიღებ ზომებს რომ ის მაძლევდეს წინადადებას და არა მე მას. რომ პირობების დადებისას მას ყოველთვის უშუალო და აშკარა ინტერესი ჰქონდეს მისი შესრულებისა; და თუ დაარღვია პირობა, მისმა ტყუილმა ისეთი უბედურება უნდა დაატეხოს თავზე, რომელიც აშკარად თვით საგნებიდან მომდინარეობდეს და აღმზრდელის შურისძიება არ იყოს. მაგრამ არა მგონია, რომ დამჭირდეს ასეთი მკაცრი ზომები და დარწმუნებული ვარ, რომ ემილი ძლიერ გვიან გაიგებს, რა არის სიცრუე და თანაც ძლიერ გაუკვირდება: არ მესმის, რით არის კარგი სიცრუეო, ნათელია, რომ რაც უფრო დამოუკიდებელია ჩემს ხელში მისი კეთილდღეობა სხვისი ნებისა და აზრისაგან, მით უფრო ადვილად მოვუსპობ ტყუილის თქმის ინტერესს. თუ დარიგებას არ ჩქარობენ, მოთხოვნაც არ უნდა დააჩქარონ და დაუცადონ შესაფერ მომენტს რისიმე მოთხოვნისათვის. მაშინ ბავშვი ვითარდება, ე. ი. არ ფუჭდება. მაგრამ, როცა თავქარიანი მასწავლებელი, საქმეს რომ არ იცნობს, ყოველ წუთში ადებინებს ბავშვს ხან ერთ, ხან მეორე პირობას, არც გარჩევა, არც შერჩევა, არც ზომა არ იცის, ბავშვი გაბეზრებული და დატვირთული ათასი პირობით, უგულვებლყოფს, ივიწყებს, დაბოლოს, აბუჩად იგდება მათ და ცარიელ ფორმალობად და თამაშად აქცევს, დაგპირდება და არ შეასრულებს. ამგვარად, თუ გინდა ბავშვი თავის სიტყვის პატრონი იყოს, სიტყვას ნუ ჩამოართმევ ხშირად.

ყოველივე, რაც აქ სიცრუეზე ვთქვი, ბევრის მხრით სხვა ვალდებულებასაც ეხება, რასაც ბავშვებს აკისრებენ ხოლმე და რაც არათუ მოსაბეზრებელია მისთვის, არამედ განუხორციელებელიცაა. თითქოს სათნოებას უქადაგებენ ბავშვებს, ნამდვილად კი ყველაფერ ბიწიერებას აჩვენენ: იმით, რომ უკრძალავენ ბიწიერი იყოს, უნერგავენ ბიწიერებას. ბავშვი ეკლესიაში დაჰყავთ, რათა ღვთისმოსაობა ჩაუნერგონ და ამით აბეზრებენ ეკლესიას; დაუსრულებელი ლოცვა-ბუტბუტით ბავშვს ანატრებენ იმ ბედნიერ დღეს, რომ ღმერთს აღარ ევედროს. რათა კაცთმოყვარეობა აღუძრან ბავშვს, მოწყალებას გააცემინებენ, თითქოს თვითონ მოწყალების გაცემა რცხვენო-

დეთ. ეჰ, ბავშვმა კი არ უნდა გასცეს მოწყალეობა, არამედ თვით აღმზრდელმა: ძალიანაც რომ უყვარდეს თავისი შევირდი, იგი მაინც უნდა შეეცილოს მას ამ საპატრიო საქმეში. უნდა ჩააგონოს, რომ იგი ჯერ პატარაა და არაა მისი ღირსი. მოწყალეობის მიცემა მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც გაცემულის ფასი იცის და ესმის თავისი მოძმის გაჭირვება. ბავშვის მხრივ მოწყალეობის გაცემა არავითარ დამსახურებას არ წარმოადგენს, რადგან მას არ ესმის ეს. იგი კაცთმოყვარეობისა და სიკეთის გულისათვის კი არ გასცემს, მას თითქმის რცხვენია კიდევ მოწყალეობის მიცემა, რადგან თავის საკუთარსა და თქვენს მაგალითს რომ ხედავს, ფიქრობს, რომ მხოლოდ ბავშვები აძლევენ მოწყალეობას, უფროსები კი არა.

თუ დაკვირვებხართ, ბავშვის ხელით მხოლოდ ისეთ საგნებს არიგებენ მოწყალეობად, რისი ფასიც მან არ იცის: სპილენძის ფულს, რომელსაც იგი საგანგებოდ ატარებს ჯიბეში და რომელიც არაფერში არ არგია. ბავშვი უფრო ადვილად გააჩუქებს ას ლუიდორს, ვიდრე ნამცხვარს. აბა, მოსთხოვეთ ამ გულუხვ მოწყალეობას გასცეს მისთვის საყვარელი ნივთები, სათამაშო, ტკბილეულობა, საუზმე და სულ მალე დავინახავთ, გახადეთ იგი მართლა გულუხვი, თუ არა.

კიდევ ერთი ხერხი მონახეს ამისთვის: სულ მალე დაუბრუნე ბავშვს, რაც მოგცა, რომ მიაჩვიო მოცემას, როცა დარწმუნებულია, რომ დაუბრუნებენ. მე მხოლოდ ამ ორი სახის სიუხვე მინახავს ბავშვებში; გაცემა იმისა, რაც სრულებით არ სჭირდება და გაცემა იმისა, რის შესახებაც ნამდვილად იცის, რომ დაუბრუნდება. მოიქეცი თ ისე, ამბობს ლოკი, რომ ბავშვი დარწმუნდეს გამოცდილებით, რომ ყველაზე უფრო გულუხვი ყველაზე უფრო მეტად არის ხოლმე დაჯილდოებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი მხოლოდ გარეგნულად აქციო გულუხვად, ნამდვილად კი გააძუნწო. იგი დასძენს, რომ ამ გზით ბავშვები გულუხვობას ეჩვევიანო, დიახ, მევახშურ გულუხვობას, რომელიც ერთს გასცემს, რათა ათი მიიღოს. მაგრამ თუ მუქთად გაცემა დასჭირდათ, დაემწვიდობეთ ჩვევას! თუ აღარ დაუბრუნებ, აღარ მოგცემს. სული უნდა მიაჩვიო და არა ხელი. ყველა დანარჩენი სათნოება, ბავშვებს რომ ასწავლიან, ამასვე ჰგავს. და აი, ამ მაღალ სათნოებათა საქადაგებლად უმწარებენ მათ ბავშვობას. ერთობ ბრძნული აღზრდაა.

აღმზრდელიო! დაანებე თავი ასეთ ჯამბაზობას, იყავი სათნო და

კეთილი, რომ შენი მაგალითი აღიბეჭდოს შეგირდის მეხსიერებაში, ვიდრე გულს სწვდებოდნენ. ნაცვლად იმისა, რომ ახლავე მოვთხოვო ჩემს შეგირდს კაცთმოყვარეობის აქტები, მე თვითონ მოვიმოქმედებ მათ მის თვალწინ და არც კი მივცემ საშუალებას წამბაძოს, თითქოს ამ ასაკში იგი ჯერ არც იყოს ამის ღირსი; რადგან არ უნდა ვაფიქრებინოთ, თითქოს ადამიანის მოვალეობანი მხოლოდ ბავშვის მოვალეობანია. თუ დამინახა, რომ ღარიბებს დახმარებას ვუწვევ და მკითხა, მეც, თუ საჭიროდ დავინახე,¹¹ ვეტყვი: „ჩემო კარგო, ამას იმიტომ ვმვრები, რომ, როცა ღარიბები დათანხმდნენ, რომ ქვეყანაზე მდიდრები ყოფილიყვნენ, მდიდრებმა პირობა დადეს ერჩინათ ყველა, ვინც ვერ ირჩენს თავს ვერც ქონებით და ვერც შრომით“.

„თქვენც დადეთ პირობა?“ მკითხავს იგი. „რა თქმა უნდა; მე იმ სიმდიდრის პატრონი ვარ, რაც ჩემს ხელთ არის, მხოლოდ იმ პირობით, რაც დაკავშირებულია მის ქონებასთან“.

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ (ცნობილია, როგორ გააგებინო ეს ბავშვს) რომელიმე სხვა ბავშვმა, არა ემილმა, შეიძლება მოისურვოს ჩემი წაბაძვა და მდიდარი კაცივით მოიქცეს: ასეთ შემთხვევაში, იმას მაინც ვეცდები, რომ იგი საჩვენებლად არ მოქმედებდეს; მირჩევნია, რომ მან წამართვას უფლება და მალულად გასცეს წყალობა. მის ასაკს სჩვევია ასეთი მოტყუება და ეს ერთადერთია, რასაც მე მას ვპატიობ.

ვიცი, რომ ყველა ეს წაბაძვით სათნოება მაიმუნის სათნოებაა და რომ ყოველი კეთილი საქციელი არ არის მორალურად კეთილი, თუ იგი თავისთავად კი არაა ჩადენილი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაც ისე იქცევა. მაგრამ იმ ასაკში, როცა გული ჯერ არაფერს არ გრძნობს, ძლიერ საჭიროა, რომ ბავშვებმა წაბაძონ ისეთ მოქმედებას, რომლებსაც გინდა ისინი შეაჩვიო – სანამ თვითონ შეძლებენ გონიერად და სიკეთის სიყვარულით იმოქმედონ. ადამიანი წამბაძვია, პირუტყვიც ასეთია; წაბაძვის ლტოლვა ბუნებამ კარგად მომართა, მაგრამ საზოგადოებაში იგი მანკიერებად იქცა. მაიმუნი ბაძავს ადამიანს, რომლისაც ეშინია, მაგრამ არ ბაძავს ცხოველს, რომელიც ეზიზღება. მას მოსწონს რასაც მასზე უფრო მაღალი არსება აკეთებს. ჩვენში კი, პირიქით, სხვადასხვაგვარი ჯამბაზები იმისთვის ბაძვენ მშვენიერებას, რათა შებღალონ, გაამასხარაონ იგი, ეს სულმდაბალი ხალხია, რომელიც გრძნობს ამას და ცდილობს თავის

თანასწორად გახადოს ის, რაც მასზე უკეთესია ანდა თუ ისეთ რა-
მე წაბაძავს, რაც უკვირს და მოსწონს; თვითონ წაბაძვის ობიექტის
არჩევაში ყალბ გემოვნებას იჩენს. ისინი უფრო სხვის მოწონებას
და აბლოდისმენტებს ეძებენ, ვიდრე თავის თავის გაუმჯობესებას ან
გონებრივ ამაღლებას. თუ საქმე კარგად წავიყვანე, ემილს, ცხადია,
არასდროს არ გაუჩნდება ასეთი სურვილი. მამასადამე, უნდა ავიც-
დინოთ მოჩვენებითი სიკეთე, რომელიც შეიძლება გაჩნდეს.

უფრო ღრმად დაუკვირდით თქვენი აღზრდის ყველა წესს და
ნახავთ, რომ ყველა უაზროა, მეტადრე სათნოებისა და ზნე-ჩვეულე-
ბების მიმართ. ერთადერთი ზნეობრივი გაკვეთილი, ბავშვს რომ შეკ-
ფერის და ყველა ასაკში ძლიერ საჭიროა, არის – ნურასოდეს ნუ-
რავის ნუ უზამ ცუდს, კეთილი საქმის გაკეთების მოთხოვნაც კი, თუ
იგი მას არ ექვემდებარება, საშიში, ყალბი და წინააღმდეგობის მცვე-
ლია.

განა არის ისეთი ვინმე, რომ კეთილ საქმეს არ აკეთებდეს? ყველა
აკეთებს, ბოროტი ადამიანიც ისევე, როგორც სხვები... იგი ერთს
აბედნიერებს ასი უბედურის ხარჯზე; აი, აქედან მომდინარეობს
ყველა ჩვენი უბედურება. ყველაზე მაღალი სათნოება ნეგატიური
ხასიათისაა; ის აგრეთვე უძნელესიც არის, რადგან არ ჩანს და
ადამიანმა უნდა დათმოს მისთვის ეგზომ ტკბილი სურვილი –
კმაყოფილი გაგისტუმროს. ოჰ... რამდენი სიკეთე უქნია მოძმისათვის
იმას, თუ ასეთი მოიპოვება, ვისაც არაფერი ცუდი არ უქნია მათთვის!
სულის როგორი გაბედულება, ხასიათის როგორი სიმტკიცე არის
საჭირო ამისათვის! ამ პრინციპზე მარტო თეორიული მსჯელობა
არ კმარა, პრაქტიკულად უნდა სცადო მისი განხორციელება, რომ
მიხვდეთ, რა დიდი და ძნელი საქმე ყოფილა იგი¹².

აი, რამდენიმე სუსტი იდეა იმის შესახებ, თუ როგორი სიფრთ-
ხილეა საჭირო, როცა თავის შეკავება არ შეიძლება და ბავშვს უნდა
მისცე დარიგება, რომ მან ან თავის თავს არ ავნოს, ან სხვას; და მე-
ტადრე, რამე ისეთი ცუდი ჩვეულება არ დასჩემდეს, რომელსაც
მერე ადვილად ვეღარ მოაშლევინებ. მაგრამ დარწმუნებული იყავით,
რომ ეს აუცილებლობა ძლიერ იშვიათად დადგება თქვენ წინაშე,
თუ ბავშვი ისე აღზარდეთ, როგორც საჭიროა, რადგან შეუძლებე-
ლია, რომ ბავშვური, ურჩი, ბოროტი, მატყუარა, ხარბი გამოვიდეს,
თუ მის გულში ბიწიერება არ დაგიტესავთ. ამიტომ ის, რაც ამაზე

ვთქვი, უფრო გამონაკლის შემთხვევებს ეხება, ვიდრე წესს; მაგრამ ასეთი გამონაკლისი მით უფრო ხშირია, რაც უფრო მეტი საბაზი აქვს ბავშვს გასცილდეს თავის მდგომარეობას და უფროსების მანკი შეეყაროს. ადამიანთა წრეში მოზარდ ბავშვებს უფრო ადრე უნდა მიეცეს დარიგება, ვიდრე იმას, რომელიც განმარტოებით იზრდება. მამასადამე, განმარტოებული აღზრდა უმჯობესია თუნდაც იმის გამო, რომ იგი აცლის ბავშვს მომწიფებას.

დასაშვებია კიდევ საწინააღმდეგო გამონაკლისიც იმათთვის, ვინც ბედნიერმა ბუნებრივმა თვისებებმა თავის ასაკზე მაღლა დააყენა. არის ისეთი ადამიანი, რომელიც ბავშვობიდან ვერასოდეს გამოდის, და პირიქით, ისეთიც, ასე რომ ვთქვათ, არც გაივლის ბავშვობას და თითქმის დაბადებიდანვე მოწიფული ადამიანია. უბედურება იმაშია, რომ ეს უკანასკნელი გამონაკლისი ძლიერ იშვიათია, ძლიერ ძნელი გამოსაცნობია, და თუ ყოველი დედა, რომელსაც სწამს, რომ ბავშვი შეიძლება ფენომენი იყოს, დარწმუნებულია, რომ მისი ბავშვი სწორედ ასეთია. უფრო მეტიც, ისეთ რამეში ხედავენ მისი არაჩვეულებრივობის საბუთს, რაც მთლად ჩვეულებრივია: სიმკვირცხლე, ოინები, თავქარიანობა, მომხიზვლელი გულუბრყვილობა, ყველაფერი ეს ასაკის დამახასიათებელი თვისებაა და მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ბავშვი მხოლოდ ბავშვია. რატომ უნდა ვაგვიკვირდეს, რომ ბავშვს, რომელსაც ბევრს ალაპარაკებენ და ყველაფრის თქმის უფლებას აძლევენ, არც წესსა და არც ზრდილობას თხოვენ – შემთხვევით მოხდენილი პასუხი წამოსცდეს. უფრო საკვირველი იქნებოდა, რომ არ წამოსცდენოდა, ისევე, როგორც საკვირველი იქნება, რომ ასტროლოგის ათას შემცდარ წინასწარმეტყველებაში ერთი სწორი არ გამოერიოს. ისინი იმდენს ტყუიან, ამბობდა ჰენრი IV, რომ ბოლოს და ბოლოს სიმართლეს იტყვიანო. თუ გინდა რამდენიმე ჰკუამახვილი სიტყვა თქვა, სისულელეები თქვი ბლომად. ღმერთმა უშველოს მოდარბაზე ხალხს, რომელსაც ამის მეტი არაფერი სხვა დამსახურება არ მიუძღვის.

ბავშვის ტვინში შეიძლება უბრწყინვალესი აზრები მოხვდეს, ან, უკეთ, ენაზე მოადგეს მოხდენილი სიტყვები, თითქოს ძვირფასი მარგალიტები ჩავარდნოდეს ხელში, მაგრამ არც აზრები და არც მარგალიტები მისი არ იყოს. ამ ასაკისათვის არავითარი საკუთრება არ არსებობს. ის, რასაც ბავშვი ამბობს, მისთვის სხვაა, ვიდრე ჩვენ-

თვის. ამ აზრებს, თუკი აქვს მას თავში, არც თანმიმდევრობა, არც კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან. არავითარი სიმტკიცე, არავითარი გარკვეულობა მის აზრს არა აქვს. დაუკვირდით ვითომდა ფენომენს.

ზოგჯერ სამაგალითო სიმკვირცხლეს იჩენს, ისეთი ნათელი გონება უჩანს, რომ ღრუბლებს გაფანტავს. მაგრამ უფრო ხშირად იგივე გონება დუნე, უფერული ჩანს, თითქოს ბნელ ბურუსში იყოს გახვეული. ხან გადაგასწრებთ კიდევ, ხან კი უძრავია. ამ წუთში იტყვიან გენიოსიაო, მეორე წუთში იტყვიან – სულელიაო. თქვენ ცდებით ორივე შემთხვევაში: იგი – ბავშვია. იგი არწივის მართვია, ამ წუთში რომ აპობს ჰაერს და მეორე წუთში ისევ თავის ბუდეში ვარდება.

მოექცეით ბავშვს ისე, როგორც მის ასაკს და არა გარეგნულ შესახედაობას შეჰფერის, თავს ნუ მოიტყუებთ და ერიდეთ მისი ძალების ფლანგვას ზედმეტი ვარჯიშით. თუ მისი ნორჩი ტვინი გახუნდა, და ხედავთ, რომ იგი დულილს იწყებს, დააცადეთ თვითონ გადადულდეს, ნუ აღაგზნებთ ნურასოდეს, რომ მთლად არ გამოიფიტოს. და პირველი ორთქლი აუვა, დააკავე და შეკუმშე დანარჩენი, რომ იგი თანდათან ცხოველმყოფელ სითბოდ და ნამდვილ ძალად იქცეს. თუ არა და, დროსაც დაგკარგავთ, ამაგიც ტყუილია – უბრალოდ ჩაივლის და თქვენ საკუთარ საქმეს თქვენვე გააფუჭებთ. თქვენი აღტაცება ამ დულილმა რომ გამოიწვია, გაივლის და ხელში აღარაფერი შეგრჩებათ.

ვიჟმაჟი ბავშვიდან მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანი გამოდის; ამაზე უფრო ფართო და სწორი დაკვირვება მე არ გამიგონია. ყველაზე უფრო ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან ნამდვილი სიჩლუნგე და ის მოჩვენებითი სიჩლუნგე, რომელიც გონების სიძლიერეს მოასწავებს მომავალში. ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ამ ორ უკიდურესობას ეგზომ მსგავსი ნიშნები აქვს: ეს ასედაც უნდა იყოს. რადგან იმ ასაკში, როცა ადამიანს ჯერ არც ერთი სწორი იდეა არა აქვს, განსხვავება გენიოსსა და არაგენიოსს შორის მხოლოდ ის არის, რომ უკანასკნელი მხოლოდ ყალბ აზრებს ითვისებს, პირველი კი, რადგან მხოლოდ ყალბ აზრებს ხედავს, არც ერთს არ იღებს: ამიტომ იგი ჰგავს ჩლუნგს, ვინაიდან ერთს არაფრის უნარი არა აქვს, მეორე კი ვერაფერს ვერ ეგუება. ერთადერთი განმსხვავებელი ნიშანი შემთხვევაზეა დამოკიდებული, რომელმაც შეიძლება მიაწოდოს გენიოსს მისთვის მისაწვდომი იდეა, მაშინ, როცა ჩლუნგი მუდამ და ყველგან

იგივეა. ახალგაზრდა კატონი ბავშვობაში ჭკუამძიმე ბავშვად ითვლებოდა ოჯახში, იგი უტყვი და ჯიუტი იყო: მხოლოდ ამის თქმა შეიძლებოდა მასზე. მხოლოდ სულას წინ ოთახში გაიგო მისმა ბიძამ მისი ნამდვილი რაობა და რომ ამ წინა ოთახში არ შესულიყო, შეიძლება კატონს გონიერ ასაკამდე სულელის სახელი შერჩენოდა. იულიუს კეისარი რომ არ გაჩენილიყო, ვინ იცის, ეგების სამუდამოდ ვიზონერის სახელი დარჩენოდა იმავე კატონს, რომელმაც ალლო აულო კეისარის დამლუბველ გენიას და წინდაწინვე შორიდან განჭვრიტა ყველა მისი ჩანაფიქრი. ოჰ, როგორ ცდება ის, ვინც აჩქარებულად მსჯელობს ბავშვზე! იგი უფრო მეტად ბავშვია, ვიდრე თვით ბავშვი.

მე თვითონ ვიცნობდი ერთ ადამიანს (აბატ კონდილიაკს), რომელმაც პატივი დამდო და დამიმეგობრდა. იგი თავის ოჯახში და მეგობრების წრეში გონებაშეზღუდულ კაცად ითვლებოდა: მისი ბრწყინვალე გონება სიმყუდროვეში მწიფდებოდა, მერე იგი ერთბაშად ფილოსოფოსად მოგვევლინა და ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალი თაობა მას საპატიო და განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს მისი საუკუნის საუკეთესო მოაზროვნეებსა და ღრმა მეტაფიზიკოსებს შორის.

პატივი ეცით ბავშვობას და ნუ ჩქარობთ მის შეფასებას, კარგი იქნება იგი თუ ცუდი. დააცადეთ გამონაკლისს გამომჟღავნდეს, გაირკვეს, განმტკიცდეს დიდხანს და მხოლოდ შემდეგ მიმართეთ სპეციალურ მეთოდებს. დააცადეთ ბუნებას იმოქმედოს მასზე რაც შეიძლება მეტ ხანს და ნუ ჩაერევით, რომ ხელი არ შეეშალოს ბუნების ოპერაციებს. ჩვენ ძვირად გვიღირს დრო, ამბობთ თქვენ და ამიტომ არ გვინდა დავკარგოთ იგი. არ გესმით, რომ უფრო მეტ დროს დაკარგავთ, თუ იგი ცუდად გამოიყენეთ, ვიდრე სულ არაფერი გავაკეთებინოთ, რომ ცუდად ნასწავლი ბავშვი უფრო დაშორებულია სიბრძნისაგან, ვიდრე სრულიად უსწავლელი. თქვენ აღმფოთებული უცქერთ, რომ იგი თავისი პირველი წლების განმავლობაში არაფერს აკეთებს. როგორ? ბედნიერი რომ არის, ეს განა არაფერია? მთელი დღე რომ დახტის, თამაშობს, დარბის, ეს არაფერია? იგი თავის დღეში აღარ იქნება ასე დატვირთული. პლატონი თავის „სახელმწიფოში“, რომელიც ეგზომ მკაცრად ითვლება, ბავშვებს მხოლოდ ზეიმში, თამაშში, სიმღერასა და დროს ტარებაში ზრდის; თითქოს ყველაფერი გაუკეთებია, რაკი გართობა უსწავლებია კარგად; ხოლო

სენეკა, როცა ძველი რომის ახალგაზრდობაზე ლაპარაკობს, წერს: „ისინი მუდამ ფეხზე იდგნენ და ისეთს არაფერს არ ასწავლიდნენ მათ, რაც მათ უნდა დამსხდართ ესწავლათ“.¹³ ამის გამო, განა ისინი ნაკლები ვაჟკაცები გამოდიოდნენ? ამიტომ სრულიადაც ნუ შეუშინდებით ამ ვითომდა უსაქმურობას. რას იტყოდით, ვინმეს რომ გადაეწყვიტა – არ ვიძინებ არასდროს, რომ სიცოცხლე უფრო გამოვიყენო. თქვენ იტყოდით: ეს კაცი გიჟიაო; იგი კი არ სარგებლობს დროით, არამედ ართმევს მას თავის თავს იმით, რომ ძილს გაურბის, იგი სიკვდილისაკენ მიექანება. გაიგეთ, რომ იგივე მდგომარეობაა და ბავშვობა – გონების ძილია.

სწავლების მოჩვენებითი სიადვილე ბავშვების დაღუპვის მიზეზია. ვერ ხედავენ, რომ თვით ეს სიადვილე სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვები ვერაფერს სწავლობენ. მათი ტვინი, ბრტყელი და სწორი, სარკესავით არეკლავს, რასაც კი მიაწვდი, მაგრამ არაფერი არ რჩება, არაფრის ათვისება არ ხდება. ბავშვი იჭერს სიტყვებს, იღებებს კი უკუაგდებს: ვინც უსმენს მას, ესმის ეს სიტყვები, თვითონ ბავშვს კი არ ესმის.

თუმცა, მეხსიერება და განსჯა ორი არსებითად განსხვავებული უნარია, მაგრამ ერთი მეორის გარეშე კარგად ვერ განვითარდება. გონიერ ასაკამდე ბავშვი ვერ იჭერს იდეებს, არამედ მხოლოდ სახეებს; მათ შორის კი ის განსხვავებაა, რომ სახე გრძნობადი ობიექტის აბსოლუტური ხატია და მეტი არაფერი, იდეა კი არის ისეთი ცნება ობიექტებზე, რომელიც მათი მიმართებით არის განსაზღვრული. სახე შეიძლება ერთადერთი იყოს მის წარმომდგენ გონებაში, იდეა კი ყოველთვის სხვებსაც გულისხმობს. წარმოსახვის დროს მხოლოდ ვხედავ, ხოლო გაგების დროს ვადარებ. ჩვენი შეგრძნებები მთლად პასიურია მაშინ, როცა ყველა ჩვენს პერცეპციას, ანუ აქტიური პრინციპი იდეას ბადებს, რომელიც მსჯელობს. ეს ქვემოთ იქნება დასაბუთებული.

მაშასადამე, ბავშვს, რადგან მას მსჯელობის უნარი არა აქვს, ნამდვილი მეხსიერებაც არა აქვს. იგი იმახსოვრებს ბგერებს, ფიგურებს, შეგრძნებებს, იშვიათად იდეებს და კიდევ უფრო იშვიათად – მათ კავშირებს. ამის საპასუხოდ ამბობენ ხოლმე, რომ იგი ითვისებს გეომეტრიის ელემენტებს და დარწმუნებული არიან, რომ ჩემ წინააღმდეგ ლაპარაკობენ; პირიქით, ეს ჩემ სასარგებლოდ ლაპარაკობს: ეს

იმას ნიშნავს, რომ ბავშვი არა თუ მხოლოდ ვერ მსჯელობს, არამედ სხვის მსჯელობასაც კი ვერ იმანსოვრებს; აბა დაუკვირდით ამ პატარა გეომეტრის მეთოდს და დაინახავთ იმწამსვე, რომ მას მხოლოდ ფიგურის ზუსტი შთაბეჭდილება და დასაბუთების ტერმინები დაუმანსოვრებია. რამე ახალი არგუმენტი რომ მოუყვანო, მთლად დაიბნევა. გადმოაბრუნე ფიგურა და იგი დაიბნევა. მთელი მისი ცოდნა შეგნებაშია, გაგებული არაფერი არ არის. თვით მეხსიერებასაც კი ნაკლი აქვს ისე, როგორც სხვა მის უნარს, რადგან მოწიფულობაში თითქმის ყოველთვის ხელახლა ვსწავლობთ იმ საგნებს, რაც ბავშვობაში სიტყვიერად გვისწავლია.

ამავე დროს სრულებით არ ვფიქრობ, თითქოს ბავშვს მსჯელობის არავითარი უნარი არ გააჩნდეს.¹⁴ პირიქით, მე ვხედავ, რომ იგი ძლიერ კარგად მსჯელობს იმაზე, რაც იცის და რაც მის უშუალო და აშკარა ინტერესს ეხება. მაგრამ სწორედ მის ცოდნაში ვცდებით და ისეთ ცოდნას მივაწერთ მას, რაც მას არ აქვს ნამდვილად და ისეთ რამეზე ვამსჯელებთ, რაც მათ არ შეიძლება ესმოდეთ. ვცდებით აგრეთვე იმაში, რომ გვინდა შევასმინოთ ბავშვს ისეთი მოსაზრებები, რაც სრულებით არ ეკარება მის გულს, ვთქვათ, მომავლის ინტერესი, მომავალი ბედნიერება, სახელი და პატივი მოწიფულობაში; ასეთი სიტყვები წინასწარი განჭვრეტის ყოველგვარ უნარს მოკლებული არსებისათვის სრულიად არაფერს არ ნიშნავს, და სწორედ ასეთი მისი გონებისათვის უცხო საგნებზეა მიმართული ყველა ის გაკვეთილი, რომლებსაც ამ საბრალო და უბედურ არსებას ახვევენ თავზე. აბა იფიქრეთ: შეუძლია განა მას ყურადღებით მოეკიდოს ამას?

პედაგოგები, რომლებიც ტრაბახობენ, რომ დიდ ცოდნას აძლევენ მოწაფეებს, გასამრჯელოს ღებულობენ იმაში, რომ ასე ლაპარაკობენ, ნამდვილად კი მათი მოქმედებიდან ჩანს, რომ ისინი მთლად იმასვე ფიქრობენ, რასაც მე. რას ასწავლიან ისინი ბოლოს და ბოლოს? სიტყვებს, კიდევ სიტყვებს და მუდამ სიტყვებს. იმ მეცნიერებათა რიცხვში, რომელთაც ასე თავმომწონედ ასწავლიან ბავშვებს, ისინი ერიდებიან ისეთი მეცნიერების შეტანას, რაც ბავშვებს ნამდვილად გამოადგებათ რამეში: ეს საგნების შესახებ მეცნიერებებია და ბავშვები ვერ მოერევიანო. შეაქვთ კი ისეთები, სადაც ტერმინების დასწავლა ცოდნის შთაბეჭდილებას ჰქმნის: ჰერალდიკა, გეოგ-

რაფია, ქრონოლოგია, ენები და სხვა ამგვარი დისციპლინები, რომლებიც სრულიად არ ეკარება ადამიანის, მეტადრე ბავშვის გულს და დიდი სასწაულიც იქნება, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოადგეს კაცს.

გაოცდებიან, რომ ენების სწავლება უსარგებლო საქმედ მიმაჩნია ალზრდისათვის: მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ აქ ლაპარაკია ალზრდის პირველ წლებზე; რაც გნებავთ თქვით და მე კი იმ აზრისა ვარ, რომ თორმეტ-თხუთმეტ წლამდე ვერც ერთი ბავშვი, ფენომენებს რომ თავი დავანებოთ, ვერასდროს ვერ შეისწავლის ნამდვილად ორ ენას.

ენების შესწავლა მხოლოდ სიტყვების დასწავლა რომ იყოს, ე.ი. მხოლოდ მათი გამომხატველი ფიგურებისა ან ბგერებისა, მაშინ ასეთი შესწავლა ბავშვებისათვის შესაფერისი იქნებოდა; მაგრამ, როცა ენები ნიშნებს ცვლიან, ისინი ცვლიან აგრეთვე მათ მიერ გამოხატულ იდეებსაც. აზროვნებას ენები აყალიბებენ, აზრებს კილოკავის იერი ეძლევათ. მხოლოდ გონება არის ყველასათვის ერთი; ყოველ ენას კი თავისი საკუთარი განსხვავებული სული აქვს, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ეროვნული ხასიათის მიზეზი ან შედეგი იყოს; ამ აზრს, უთუოდ ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ყოველი ერის ენა (რაც კი არის დედამიწაზე), იცვლება ზნე-ჩვეულებათა ცვალებადობასთან ერთად, შენარჩუნდება ან ფუჭდება მათთან ერთად.

ამ სხვადასხვა ფორმიდან ადამი ბავშვს ერთ-ერთ ფორმას აძლევს და ისიც ინარჩუნებს მას და მხოლოდ მას გონიერ ასაკამდე. ორი ენა რომ იქონიოს, იდეების შედარება უნდა შეეძლოს, მაგრამ როგორღა შეადაროს, თუ იდეის შეთვისებაც კი უჭირს? ყოველ საგანს შეიძლება ჰქონდეს მისთვის ათასი სხვადასხვა ნიშანი, მაგრამ ყოველ იდეას მხოლოდ ერთი ფორმა: მაშასადამე, ბავშვს მხოლოდ ერთ ენაზე შეუძლია ისწავლოს ლაპარაკი. მკითხავენ, მაგრამ იგი ხომ მრავალ ენაზე სწავლობს ლაპარაკს, უარყოფ ამას. მინახავს ეს პატარა ფენომენები, რომლებიც ფიქრობდნენ ხუთ ან ექვს ენაზე რომ ლაპარაკობდნენ. ისინი გერმანულად ლაპარაკობდნენ ჯერ ლათინური, მერე ფრანგული, მერე იტალიური სიტყვებით: ისინი მართლაც ხუთ ან ექვს ლექსიკონს ხმარობდნენ. ერთი სიტყვით,

სინონიმი რამდენიც გინდათ იმდენი მიეცით ბავშვს: თქვენ ცვლით სიტყვებს და არა ენას; ენა კი მხოლოდ ერთი ეცოდინებათ.

სწორედ ბავშვთა ამ უნარის ნაკლებობის დასაფარავადაა, რომ მათ მკვდარ ენებს ასწავლიან უმთავრესად, რადგან აღარ არიან ამ ენების დარგში ისეთი მსაჯულები, რომლების გაბათილება არ შეიძლებოდა. ოჯახში ეს ენა დიდი ხანია აღარ იხმარება, ამიტომ მხოლოდ ბაძვენ იმას, რაც წიგნებში წერია, და ამას ლაპარაკს ეძახიან; თუ მასწავლებლის ბერძნული და ლათინური ასეთია, რაღა უნდა იყოს ბავშვის ბერძნული ან ლათინური? დაიზებირებენ თუ არა თითო-ოროლა რამეს, რაც არც კი ესმით სრულად, მათ ჯერ ლათინურად ათარგმნინებენ ფრანგულ ენაზე ნათქვამს, შემდეგ როცა უფრო დაწინაურდებიან, ასწავლიან პროზაში ციცერონის რამდენიმე ფრაზის ერთმანეთზე წაკერებას, ხოლო ლექსში – ვირგილიუსის რამდენიმე ჰეგზამეტრისას. ამის შემდეგ უკვე დარწმუნებული არიან, რომ ლათინურად ლაპარაკობენ: ვინ დაუწყებს მათ კამათს?

რა საგანსაც არ უნდა ეხებოდეს მეცადინეობა, თუ არა აქვს ის იდეები, რასაც ნიშნები გამოსახავენ, ეს ნიშნები არაფრის გამომსახველი არ იქნება. ბავშვს კი სწორედ მხოლოდ ნიშნებს ასწავლიან, რადგან სრულებით ვერ აგებინებენ იმას, რასაც ეს ნიშნები გამოსახავენ. დედამიწის აღწერილობის სწავლება უნდათ, ნამდვილად კი მხოლოდ რუკას ასწავლიან; ასწავლიან ქალაქების, მდინარეების სახელებს, იგი კი მათ მხოლოდ იმ რუკაზე იცნობს, სადაც აჩვენეს ისინი. მახსოვს – სადღაც მინახავს გეოგრაფია, რომელიც ამ სიტყვებით იწყებოდა: „რა არის დედამიწა? იგი მუყაოს ბურთია“. სწორედ ასეთია საბავშვო გეოგრაფია. დარწმუნებული ვარ, რომ გეოგრაფიისა და კოსმოგრაფიის ორი წლის სწავლების შემდეგაც ათი წლის ბავშვებს შორის ვერ მოინახება ვერც ერთი, რომ ნასწავლი წესების საშუალებით პარიზიდან სენ-დენიში გზა გაიკვლიოს. დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გამოიყენებს მამამისის ბალის გეგმას ისე, რომ არ დაიბნეს რომელიმე მოხვეულში. აი, როგორები არიან მეცნიერები, რომლებმაც ზუსტად იციან, სად არის პეკინი, ისპაჰანი, მექსიკა და ყველა დანარჩენი ქვეყანა!

იტყვიან, ბავშვს ისეთი საგანი უნდა ასწავლო, სადაც თვალის გარდა არაფერი არის საჭიროო: ეს შესაძლებელი იქნებოდა, რომ

არსებობდეს ისეთი სწავლა, სადაც მხოლოდ თვალთა საჭირო, მაგრამ ასეთი რამ არ მეგულება.

კიდევ უფრო უცნაური შეცდომაა, ისტორიას რომ ასწავლიან: ჰგონიათ, რომ ისტორია მისაწვდომია ბავშვისათვის, რადგან იგი მხოლოდ ფაქტების კრებულია. მაგრამ რას გულისხმობენ სიტყვა „ფაქტებში“. ნუთუ გგონიათ, რომ მიმართებები, რომლებიც ისტორიულ ფაქტებს განსაზღვრავენ, ასე ადვილად დასაჭერია და რომ იდეები ბავშვის გონებაში თავისთავად იქმნება? გგონიათ, რომ შეიძლება მოვლენათა სწორი ცოდნა მათი მიზეზების, მათი შედეგების ცოდნას ჩამოაშორო და რომ ისტორიას ისეთი მცირე კავშირი აქვს მორალთან, რომ შეიძლება ერთი მეორის გარეშე გაიგო? თუ ადამიანთა მოქმედებაში მხოლოდ გარეგან და წმინდა ფიზიკურ მოძრაობებს ხედავთ, რა უნდა გამოიტანოთ ისტორიიდან? სრულებით არაფერი. და ასეთი შესწავლა, ყოველგვარ ინტერესს მოკლებული, არც კმაყოფილებას, არც ცოდნას არ მოგცემთ. მაგრამ, თუ მორალურ მიმართულებათა მხრით გინდათ შეაფასოთ ეს მოქმედებანი, სცადეთ გაავებინოთ ეს მიმართებები თქვენს მოწაფეებს და მაშინ დაინახავთ, შეეფერება თუ არა ისტორია მათ ასაკს.

მკითხველო, გახსოვდეს მუდამ, რომ ის, ვინც თქვენ გელაპარაკებათ, არ არის არც მეცნიერი, არც ფილოსოფოსი, არამედ უბრალო კაცია, ჭეშმარიტების მეგობარი, რომელიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის და რომელსაც არავითარი სისტემა არა აქვს. განდევილი, რომელსაც სულ ცოტა უცხოვრია ადამიანებთან და ამიტომ ნაკლები საბაბიც ჰქონია გაჟღენთილიყო მათი ყალბი აზრებით და საკმაოდ არა აქვს დაუფიქრდეს იმას, რაც თვალში ეცემა, როცა ადამიანებთან აქვს ურთიერთობა. ჩემი მსჯელობა უფრო ფაქტებს ეყრდნობა, ვიდრე პრინციპებს; და ჩემი აზრები რომ გასაგები გავხადო თქვენთვის, ვფიქრობ, ყველაფერს აჯობებს, უფრო ხშირად მოვიყვანო ხოლმე ის მაგალითები, რომლებმაც ასეთი აზრები აღმიძრეს.

ამას წინათ, რამდენიმე დღე სოფელში ვიყავი სტუმრად ერთ მოსიყვარულე დედასთან, რომელიც თავის ბავშვებზე და მათ აღზრდაზე დიდად ზრუნავს. ერთ დილას უფროსი ვაჟის მეცადინეობას დავესწარი; მისი გუვერნიორი, რომელიც ძლიერ კარგად ასწავლიდა მას ძველ ისტორიას, უამბობდა ალექსანდრეს ისტორიას და შეჩერდა მკურნალ ფილიპეს ცნობილ ამბავზე¹⁵, რომელიც დახატულია

კიდევ და ღირსიც იყო დახატვისა. გუვერნიორმა, ამ ღირსეულ-მა ადამიანმა, გამოთქვა ალექსანდრეს შესახებ აზრები, რომლებიც არ მომეწონა, მაგრამ აღარ შევედავე, რომ მისთვის მისი შევირდის თვალში სახელი არ გამეტეხა. სუფრაზე, რაღა თქმა უნდა, ფრანგული წესის თანახმად, ბავშვი ბევრი ალაპარაკეს. ასაკის სიმკვირცხლემ და ქება-ხოტბის მოლოდინმა მას მრავალი სისულელე ათქმევინა, მაგრამ აქა-იქ მაინც ისეთი კარგი რამ წამოსცდებოდა, რომ დაგვაღვიწყებინებდა დანარჩენებს. ბოლოს მკურნალ ფილიპეს ამბავზე მიდგა ჯერი: ძლიერ ზუსტად და ლამაზად მოყვა ამ ამბავს. მოიხადეს ჩვეულებრივი ვალი და შეაქეს ბავშვი, რასაც მოითხოვდა დედა და მოელოდა შვილი, ჩამოაგდეს ლაპარაკი მოთხრობილ ამბავზე. უმრავლესობამ გაკიცხა ალექსანდრეს უგუნური გამბედაობა. ზოგი, გუვერნიორის მაგალითისამებრ, აღტაცებული იყო მისი სიმტკიცითა და ვაჟკაცობით, რამაც დამარწმუნა, რომ არც ერთ აქ დამსწრეს არ ესმოდა, რაშია ამ ამბის ნამდვილი სილამაზე. ჩემი აზრით – მეთქი, თუ ალექსანდრეს საქციელი ოდნავ გაბედულება არის, ოდნავი სიმტკიცე, იგი სიგიჟეა და მეტი არაფერი. მაშინ ყველა დამეთანხმა, რომ ეს სიგიჟეა. მინდოდა პასუხი გამეცა და გავცხარდი კიდევ, მაგრამ ერთმა ქალმა, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა, ხმა-კრინტი არ დაუძრავს, ყურში მითხრა ჩუმად: „გაჩუმდი, ჟან-ჟაკ, ვერ გაგიგებენო“. შევხედე, გამიკვირდა და გავჩუმდი.

ნასადილევს, რადგან ზოგმა რამემ ეჭვი დამიბადა, რომ ჩემს ნორჩ მეცნიერს ეს ისტორია, რომელიც ეგზომ კარგად გვიამბო, ვერ გაუგია, მოვკიდე ხელი, წავიყვანე პარკში გასასეირნებლად, გამოვკითხე რაც მინდოდა და დავინახე, რომ იგი სხვაზე უფრო მეტად არის აღტაცებული ალექსანდრეს განთქმული ვაჟკაცობით. მაგრამ იცით რაში ხედავდა იგი მის ვაჟკაცობას? მხოლოდ იმაში, რომ მან ერთბაშად გადაჰკრა მწარე წამალი, არ შედრკა, არც ერთი ნიშნით არ შეამჩნევინა სხვებს წამლის სიმწარე. საცოდავი ბავშვისათვის ორი კვირის წინათ საშინელი გაჭირვებით დაუღლვენივით წამალი და მისი გემო ჯერაც პირში ჰქონია. სიკვდილი, მოწამვლა, მის გონებაში მხოლოდ არასასიამოვნო განცდები ყოფილა და საწამლავეც მას მხოლოდ მდოგვის სახით ჰქონია წარმოდგენილი. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ გმირის სიმტკიცეს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მის ნორჩ გონებაზე და გადაუწყვეტია, რომ

წამლის დაღვევისას ამიერიდან ისე მოიქცევა, როგორც ალექსანდრე მოქცეულა. აღარ დაუწყვე ახსნა-განმარტება, რადგან, ცხადია, იგი მაინც ვერ გაიგებდა, მოუწონე მისი საქები განზრახვა, დავბრუნდი შინ და გულში კი ვიციინოდი მამებისა და აღმზრდელების დიდ სიბრძნეზე, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ისტორიას ვასწავლით ბავშვსო.

ადვილი საქმეა ასწავლოთ მათ მეფეების, იმპერატორების, ომების, გამარჯვებების, რევოლუციების სახელები, მაგრამ, როცა საჭირო გახდება დაუკავშიროთ ამ სიტყვებს ნათელი იდეები, რაც გინდა ახსნა-განმარტება მისცე, მებაღე რობერტთან საუბარს მაინც ვერ აჯობებს.

ზოგიერთი მკითხველი, „გაჩუმდი ჟან-ჟაკ“-ით უკმაყოფილო, მკითხავს, რა ბოლოს და ბოლოს ასეთი კარგი დავინახე ალექსანდრეს საქციელში. საბრალოვ, თუ ამის ახსნა გჭირდება, როგორღა გაიგებ მას. ის დავინახე, რომ ალექსანდრეს სათნოება სწამდა, რომ მან საკუთარი თავი, საკუთარი სიცოცხლე მისცა თავდებად ამ რწმენას, რომ მისი დიადი სული ამ რწმენისათვის იყო შექმნილი. ოჰ, რა ლამაზი აღსარება იყო ამ წამლის გადაყლაპვა. არა, არც ერთი მოკვდავი არ ყოფილა არასოდეს ისეთი სულმალალი. მაჩვენეთ რომელიმე ახლანდელი ალექსანდრე, რომ ამის მსგავსი რამე ჩაეღინოს.

თუ არ არსებობს მარტოოდენ სიტყვიერი მეცნიერება, არც უნდა არსებობდეს ისეთი მწიგნობრული სწავლა, რომელიც ბავშვისათვის არის შესაფერისი. თუ მათ არა აქვთ სწორი იდეები, არც ნამდვილი მეხსიერება ექნებათ, რადგან არ ვთვლი ასეთ მეხსიერებად იმას, რაც მხოლოდ შეგრძნებას იმანსოვრებს. რა საჭიროა ჩაუწეროთ თავში ისეთი ნიშნები, რომლებიც მათთვის არაფერს ნიშნავს? როცა ისინი საგნებს ითვისებენ, განა თან ნიშნებსაც არ სწავლობენ? რატომ უნდა გავაწვალოთ ისინი ორჯერ ერთი და იმავეს სწავლებით? თანაც რამდენ სახიფათო მცდარ აზრს შთავაგონებთ, როცა მეცნიერების მაგივრად სიტყვებს ვასწავლით, რომლებსაც მის თვალში არავითარი აზრი არა აქვს. პირველი სიტყვიდანვე, რომლითაც ბავშვს უმასპინძლდება, პირველი საგნიდანვე, რომელსაც იგი სხვისი ნათქვამის საშუალებით სწავლობს, თუმცა, თვითონ ვერ ამჩნევს ამის საარგებლობას, იღუპება ბავშვში მსჯელობის უნარი. კიდევ ბევრ სულელს

მოაწონებს იგი თავს, ვიდრე გამოასწორებდეს ამ დიდ მარცხს¹⁶. არა, თუ ბუნებამ ბავშვის ტვინს ის მოქნილობა მისცა, რომელიც აძლევს მას შესაძლებლობას ყოველგვარი შთაბეჭდილება მიიღოს, ეს იმისათვის კი არ არის ასე, რომ დავტვირთოთ ეს ტვინი – მეფეების სახელებით, ციფრებით, ჰერალდიკის, კოსმოგრაფიისა და გეოგრაფიის ტერმინებით და მრავალი სხვა სიტყვით, რომელთაც არავითარი აზრი არა აქვთ ამ ასაკში და არაფერში გამოსადეგი არ არიან არც ერთი ასაკისათვის და რომლებითაც ამწარებენ მის მწუხარე და უნაყოფო ბავშვობას, არამედ იმისათვის, რომ ყოველი იდეა, რომელიც შეუძლია გაიგოს და გამოიყენოს, რომელიც მისი ბედნიერებისათვის არის საჭირო და ოდესმე მოვალეობებს გაუნათებს, თავიდანვე წაუშლელი ასოებით ჩაიწეროს გულში და ისეთი გზა უჩვენოს ცხოვრებაში, რაც მის ბუნებასა და უნარს შეჰფერის.

მწიგნობრული სწავლებაც რომ არ იყოს, ის მეხსიერება, რომელიც ბავშვს შეიძლება ჰქონდეს, არ დარჩება მაინც უსაქმოდ; რასაც დაინახავს, რასაც გაიგონებს, ყოველივე ეს შთაბეჭდილებას ახდენს მასზე და ამახსოვრდება; იგი აღნუსხავს თავისთვის ადამიანთა მოქმედებას, ლაპარაკს; და ყველაფერი, რაც არის მის გარშემო, მისთვის ერთგვარი წიგნია, რომლითაც იგი, მისდა შეუძინველად, ამდიდრებს მეხსიერებას იმის მოლოდინში, რომ გონებამ ოდესმე გამოიყენოს. შესაფერი ობიექტების შერჩევა, ზრუნვა იმაზე, რომ განუწყვეტლივ ვაძლიოთ მისი შემეცნებისთვის მისაწვდომი მასალა და დავაშოროთ ის, რაც მან არ უნდა იცოდეს – ეს არის ნამდვილი მეთოდი ამ პირველი უნარის განვითარებისა; და სწორედ ამ გზით უნდა შევუქმნათ მას ცოდნის მარაგი, რომელიც ჭაბუკობაში მისი აღზრდისთვის იქნება საჭირო და მომავალშიც წარუძღვება წინ. მართალია, ეს მეთოდი არ ჰქმნის პატარა ფენომენებს, არც მასწავლებელს და ხელმძღვანელ ქალს არ აძლევს საშუალებას თავი გამოიჩინონ; სამაგიეროდ, იგი ზრდის გონიერ, მტკიცე, სულითა და ხორციით ჯანსაღ ადამიანს, რომელიც, მართალია ყმაწვილობაში გაკვირვებას არ იწვევს, მაგრამ მოწიფულობაში პატივისცემას მოიხვეჭს.

ემილი ზეპირად არასოდეს არაფერს, არაკებსაც კი არ ისწავლის, თვით ლაფონტენის არაკებსაც კი, რაგინდ გულუბრყვილო, რაგინდ ლამაზიც იყოს ეს არაკები. რადგან არაკის სიტყვები ერთია და

თვით არაკი – მეორე, ისე როგორც ისტორიის სიტყვები და თვით ისტორია. როგორ უნდა დაბრმავდე იმდენად, რომ არაკებს ბავშვის მორალი უწოდო და ვერ მიხვდე, რომ არაკი, ართობს ბავშვებს, თან ატყუებს კიდევ; რომ სიცრუით მოხიბლული ბავშვი ვეღარ ამჩნევს ჭეშმარიტებას და ის, რაც სწავლებას სასიამოვნოს ხდის მათთვის, ხელს უშლის მათ რაიმე სარგებლობა მიიღონ. არაკს შეუძლია მოწიფულს ასწავლოს ჭკუა, ბავშვებს კი ლიტონი ჭეშმარიტება უნდა უთხრა; ხოლო, თუ ჭეშმარიტება ფარდას ამოაფარე, ისინი ამ ფარდის აწვევით თავს არ შეიწუხებენ.

ლაფონტენის არაკებს ყოველ ბავშვს ასწავლიან, მაგრამ ვერ მონახება ვერც ერთი ბავშვი, რომ ეს არაკი ესმოდეს. რომც გაიგოს, კიდევ უარესი, რადგან მათი მორალი იმდენად დამძიმებულია და იმდენად ეწინააღმდეგება ამ ასაკს, რომ მხოლოდ ბიწიერებას თუ ჩააწვეთებენ და არა სათნობას. ესეც პარადოქსია, იტყვი თქვენ. იყოს! მაგრამ ვნახოთ, ჭეშმარიტება ხომ არ არის იგი.

მე ვამბობ, რომ ბავშვს სრულებით არ ესმის იგავ-არაკები, რომლებსაც ასწავლიან, რადგან, რაც არ უნდა ეცადო მათ გამარტივებას, ის დარიგება, რომელიც ჩვენ გვინდა გამოვიტანოთ იგავ-არაკებიდან, გვაიძულებს მასში შევიტანოთ ისეთი იდეები, რასაც ბავშვი ვერ დაიჭერს და თვით პოეტური სამოსელი, რომელიც აადვილებს ამ იდეების დამახსოვრებას, უძნელებს ბავშვს მათ გაგებას, ისე, რომ სიამოვნება სიცხადის ხარჯზეა ნაყიდი. ჩვენ განზე ვტოვებთ მრავალ არაკს, სადაც ბავშვისათვის არაფერია გასაგები და სასარგებლო, მათ სხვა არაკებთან ერთად მაინც ასწავლიან მას, რადგან ისინი ერთმანეთშია არეული და ვეხებით მხოლოდ იმ არაკებს, რაც ავტორმა, როგორც ჩანს, საგანგებოდ ბავშვებისათვის დაწერა.

ლაფონტენის მთელ კრებულში მხოლოდ 5 ან 6 არაკი თუ მეგულება ისეთი, სადაც ბავშვური გულუბრყვილობა გამოსჭვივის; ამ 5 ან 6 არაკში მაგალითისათვის ავიღებ პირველ არაკს, რადგან მისი მორალი ყველაზე უფრო ადვილი საწვდომია ნებისმიერი ასაკის ბავშვებისათვის, მას ისინი ყველაზე უკეთესად იმახსოვრებენ, უფრო დიდის ხალისით სწავლობენ, დაბოლოს, თვით ავტორმა სწორედ ამიტომ უპირატესობა მისცა და წიგნში პირველ ადგილზე მოათავსა. თუ დავუშვებთ, რომ იგი მიზნად ისახავს ბავშვისათვის გასაგე-

ბი, მოსაწონი და სასარგებლო იყოს, ეს არაკი მის შედეგად უნდა ჩაითვალოს: ნება მიბოძეთ, მოკლედ გავარჩიო იგი.

ყვავი და მელა

არაკი

„ოსტატი ყვავი, ხეზე შემჯდარი“

ოსტატი! რას ნიშნავს ეს სიტყვა თავისთავად? რას ნიშნავს იგი საკუთარი სახელის წინ? რა აზრი აქვს მას აქ?

რა არის ყვავი?

რას ნიშნავს ხეზე წამომჯდარი? არავინ არ ამბობს – ხეზე წამომჯდარი, არამედ იტყვიან წამომჯდარი ხეზე, მამასადამე, საჭირო იქნება ლაპარაკი პოეტური ენის თავისებურებაზე: უნდა ახსნა, რა არის პროზა და რა არის ლექსი.

ეჭირა თავის ნისკარტით ყველი

როგორი ყველი? შვეიცარიის, ბრის, თუ ჰოლანდიის? თუ ბავშვს არასოდეს არ უნახავს ყვავი, რაღა აზრი აქვს ყვავზე ლაპარაკს. თუ უნახავს, მაშინ როგორ წარმოიდგენს, რომ ყვავს ნისკარტით ყველი ეჭირა? მხატვრული სახე ბუნებრივი უნდა იყოს.

ოსტატი მელა, სუნით მოხიბლული

კიდევ ოსტატი! მაგრამ აქ ეს სიტყვა შესაფერისია, რადგან მელა მართლაც თავის საქმის ოსტატად ითვლება, უნდა ახსნა, რა არის მელა, განასხვავო მისი ნამდვილი ხასიათი და ის პირობითი მნიშვნელობა, რომელიც მას არაკებში ეძლევა. მოხიბლული, ეს სიტყვა აღარ იხმარება. უნდა განმარტო; უნდა უთხრა, რომ იგი ლექსის გარდა არსად არ იხმარება. ბავშვი გვეკითხავს, რატომ არის, რომ ლექსის ენა სხვაა, ვიდრე პროზისა. რას იტყვით? მოხიბლული ყველის სუნით. ამ ყველს, ხეზე მჯდომ ყვავს რომ ეჭირა ნისკარტით, ძლიერი სუნი ჰქონია, თუ იგი მელამ ბუჩქებში ან თავის სოროში იგრძნო. განა ასე აჩვევთ შეგირდს საღ კრიტიკას, რომელიც მხოლოდ ზუსტ ნიშნებს მოითხოვს და შეუძლია ტყუილი და მართალი გავარჩიოს სხვის ნაამბობში?

დაახლოებით ასე ელაპარაკება მას

ასე ელაპარაკება! მაშ, მელამ ლაპარაკი იცის? იმავე ენაზე ლაპარაკობს, რომელზედაც ყვავი? გონიერო აღმზრდელი, ფრთხილად იყავ, კარგად ასწონ-დასწონე შენი პასუხი, ვიდრე იტყოდე; იგი მნიშვნელოვანია, ვიდრე შენ გგონია.

ააა! გამარჯვება, ოსტატო ყვავო, ბავშვმა ჯერ არ იცის, რომ ეს საპატიო წოდებაა, აქ კი იგი უკვე დაცინვის კილოთია ნახმარი. იმათ, ვინც ამბობს უფალო ყვავო (ძლიერ გაუჭირდებათ ამ “du”-ს ახსნა).

რა ლამაზი ხართ! რა მშვენიერი მეჩვენებით!

ზედმეტი სიტყვები, რომ ლექსი კარგი გამოვიდეს, ზედმეტი გამეორება. ბავშვი ხედავს, რომ ერთსა და იმავე რამეს იმეორებენ სხვადასხვა სიტყვით და ეჩვევა წყალ-წყალა ლაპარაკს. თუ იმას იტყვით, რომ ეს გამეორება ავტორის ოსტატობაა, რომ მელა განზრახ იმეორებს, რათა სიტყვების სიმრავლით ქება-დიდებაც გაამრავლოს – ეს საპატიო მოსაზრება იქნება ჩემთვის და არა ჩემი მოწაფისათვის.

მოუტყუებლად თუ თქვენი სიმღერა

მოუტყუებლად! მამასადამე, ზოგჯერ ტყუილსაც ამბობენ. რას იფიქრებს ბავშვი, თუ არ აუხსენით, რომ მელა მხოლოდ იმიტომ ამბობს „მოუტყუებლად“, რომ ტყუის.

შეეფერება თქვენს ფრთასხმულობას?

შეეფერება! რას ნიშნავს ეს სიტყვა? შეეცადეთ შეადარებინოთ ბავშვს ორი ასეთი განსხვავებული რამ, როგორიცაა ხმა და ბუმბული – დაინახავთ, როგორ გაიგო.

თქვენ იქნებით ამ ტყეთათვის როგორც ფენიქსი.

რა არის „ფენიქსი?“ ჩვენ ერთბაშად ანტიკურ განაგონში ვართ გადატყორცნილი, თითქმის მითოლოგიაში.

ზღაპრული ფრინველი! ფიგურალური ენაა. მლიქვნელი აკეთილშობილებს თავის სიტყვას, რომ მისი პირმოთნეობა უფრო

წარმტაცი იყოს. ბავშვი გაიგებს კი ამდენს? იცის განა, შეუძლია გაიგოს განა, თუ რა არის მაღალი სტილი და დაბალი სტილი?

ცხოველები ამ ტყეებისა. ამ სიტყვებმა მოაჯადოვა ყვავი

ძლიერი განცდები უნდა გქონდეს გამოვლილი, რომ გაიგო ასეთი თქმა.

რომ აჩვენოს თავისი მშვენიერი ხმა

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ სტრიქონისა და მთელი არაკის გასაგებად ბავშვმა უნდა იცოდეს, რა არის ყვავის მშვენიერი ხმა.

ის აღებს თავის ფართო ნისკარტს და უვარდება ნადავლი.

ეს განსაცვიფრებელი ლექსია; მარტო ჰარმონია ქმნის სურათს. მე ვხედავ უშნოდ დაღებულ დიდ ნისკარტს. მესმის, როგორ ვარდება ყველი შტოდან შტოზე, მაგრამ ამგვარი მარგალიტები ბავშვისათვის არაფერია.

მელა სტაცებს პირს ამას და ამბობს: „ჩემო კეთილო ვაჟბატონო“.

აი, სიკეთე უკვე სიბრიყვედ გადაიქცა. არც ერთ წუთს არ ვკარგავთ, რომ ბავშვს ჭკუა ვასწავლოთ.

ისწავლეთ, რომ ყოველი მლიქვნელი –

ზოგადი დებულეა. საიდან გაჩნდა.

ცხოვრობს იმის ხარჯზე, ვინც მას ყურს უგდებს!

ათი წლის ბავშვი ამ ლექსს ვერასოდეს ვერ გაიგებს.

ეს გაკვეთილი კი, უეჭველად, ღირს ყველად.

ეს თავისთავად ცხადი და აზრიც შესანიშნავია. ოღონდ ძლიერ ცოტა მოინახება ისეთი ბავშვი, რომ გაკვეთილი და ყველი ერთმანეთს შეადაროს და ყველი გაკვეთილს არ არჩიოს. უნდა გააგებინო, რომ ეს გამოთქმა დაცინვას ნიშნავს. როგორი სიღრმეა ბავშვისათვის!

ყვავი შერცხვენილი და შემკრთალი

მეორე პლენონაში. მაგრამ ეს კი აღარ არის საპატიო.

დაიფიცა, მაგრამ ცოტა გვიანაა, რომ შემდეგში არ მოტყუვდება.

დაიფიცა?! რომელი სულელი მასწავლებელი გაბედავს აუხსნას ბავშვს, რა არის ფიცი.

აი, რამდენი წვრილმანი ყოფილა და ეს კიდევ ცოტაა, რომ ამ ასაკის ყველა იდეას ანალიზი გაუკეთო და ყველა იმ მარტივ და ელემენტარულ იდეებზე დაიყვანო, თითოეული მათგანი რომ შეიცავს. მაგრამ ვინ იწუხებს თავს ამ ანალიზით, რომ ახალგაზრდობისათვის გასაგები იყოს. არც ერთი ჩვენგანი არ არის ისე ბრძენი, რომ შეეძლოს ბავშვის ადგილას წარმოიდგინოს თავი. ახლა გადავიდეთ მორალზე.

გეკითხებით, ნუთუ, საჭიროა ასწავლოთ ექვსი წლისებს, რომ არის ხალხი, რომელიც პირფერობს და ტყუის, რომ რამეს გამორჩეს. დიდი-დიდი საჭირო იყოს ასწავლო ბავშვებს, რომ არის ისეთი მქირდავი ხალხი, რომელიც პატარა ბიჭებს ჩუმიად დასცინის სულელური ამპარტავნობისათვის. მაგრამ ყველი ერთობ აფუჭებს საქმეს. ამით იმდენად იმას კი არ ვასწავლით, რომ არ გააგდოს ყველი ნისკარტიდან, რამდენადაც იმას, რომ სხვას გააგდებინოს. ეს ჩემი მეორე პარადოქსია და თანაც არანაკლებ მნიშვნელოვანი.

აბა, დაუკვირდით ბავშვებს, როცა ისინი არაკებს სწავლობენ და დაინახავთ, რომ თუკი შეუძლიათ მათი გამოყენება, ყოველთვის ავტორის განზრახვის საწინააღმდეგოდ იყენებენ და ნაცვლად იმისა, რომ მოერიდონ იმ ნაკლს, რომლის გამოსწორებას ან აცილებას ვაპირებთ, პირიქით, მანკიერებას ეწაფებიან, რომ სხვისი სისუსტიით ისარგებლონ. ამ არაკში ბავშვები დასცინიან ყვავს, მელა კი ძლიერ მოსწონთ; შემდეგ არაკში თქვენ გინდათ ჭრიჭინა მისცეთ მაგალითად; თქვენც არ მომიკვდეთ, ისინი ჭიანჭველას არჩევენ. არავის არ უყვარს თავის დამცირება: ისინი ყველაზე უფრო ხელსაყრელ როლს აირჩევენ და ეს არჩევანი სავსებით ბუნებრივიცაა. ოჰ, რა ცუდი გავეთილია ბავშვისათვის! ყველაზე უფრო საზიზღარი და მახინჯი იქნება ძუნწი და უგულო ბავშვი, რომელსაც ესმის, რას სთხოვენ, და ისიც, რომ არ აძლევს. ჭიანჭველა კიდევ უფრო მეტს შერება, იგი ასწავლის არათუ მხოლოდ უარის თქმას, არამედ აბუჩად აგდებასაც.

ყველა იმ არაკში, სადაც ჩვეულებრივ ბრწყინვალე ლომია გამოყვანილი, ბავშვს ყოველთვის ლომობა უნდა; და როცა რამის გაყოფა მოუხდება, ლომის მაგალითისამებრ ძლიერ ცდილობს ყველაფერი ხელში ჩაიგდოს. მაგრამ როცა კოლო სჯობნის ლომს, ეს უკვე

სხვა საქმეა: მაშინ ბავშვი აღარაა ლომი, არამედ კოლოა. იგი სწავლობს იმ ხალხის მოწხამვას მომავალში, ვისაც პირისპირ ბრძოლას ვერ გაუბედავს.

მჭლე მგლისა და მსუქანი ძაღლის არაკში, ნაცვლად იმისა, რომ ზომიერების გაკვეთილი მიიღოს, როგორც ჩვენ განზრახული გვაქვს, იგი თვითნებობის გაკვეთილს ღებულობს. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი პატარა გოგო, რომელსაც იმდენად მოაბეზრეს თავი ამ არაკით და მორჩილების ქადაგებით, რომ ატირდა კიდევ. საამისო მიზეზის გაგება ძლიერ გაჭირდა. ბოლოს გაიგეს – საბრალოს მობეზრებია დაბმულობა, ბაწარს კისერი გაუხეხია; იგი ტიროდა, რატომ მეგელი არ ვარო.

ამგვარად, პირველი არაკის მორალი ბავშვებისათვის უსაძაგლესი პირფერობის გაკვეთილი გამოდგა, მეორესი – გულცივობისა ყოფილა, მესამესი – უსამართლობისა, მეოთხესი – სატირისა, მეხუთესი – დამოუკიდებლობისა. ეს უკანასკნელი გაკვეთილი სრულიად ზედმეტია ჩემი შევირდებისათვის და არც თქვენებისათვის არის უფრო შესაფერისი. თუ ერთიმეორის საწინააღმდეგო მითითებებს იძლევი, რა ნაყოფი უნდა გამოიღოს თქვენმა ამაგმა? მაგრამ ვინ იცის, ეგებ ის მოსაზრებები, რომელიც არაკების წინააღმდეგ წამოვაყენე, თქვენს თვალში სწორედ მათი სასარგებლო საბუთია. საზოგადოებაში ორი მორალია საჭირო – ერთი სათქმელად და მეორე საქმნელად. ეს ორი მორალი არც კი ჰგავს ერთმანეთს. პირველი მოცემულია კატეხიზმომი და მას იქვე სტოვებენ კიდევ; მეორე კი – ლაფონტენის საბავშვო არაკებში და იმ ზღაპრებშია, დედებისათვის რომ დაწერა. ერთი ავტორი ყველას გასწვდა.

შევთანხმდეთ, ბატონო ლაფონტენ! ჩემდა თავად, პირობას ვდებ, ვიკითხავ თქვენს თხზულებებს, რომელიც მომეწონება, მეყვარებით, იმ დარიგებებსაც მივიღებ, თქვენს არაკებში რომ არის მოცემული, რადგან იმედი მაქვს სწორად გავიგებ მათ მიზანდასახულობას. მაგრამ, რაც შეეხება ჩემს შევირდს, ნება მომეცით, არ ვასწავლო არც ერთი მათგანი, ვიდრე არ დამიმტკიცებთ, რომ მისთვის საჭიროა ისეთი რამის შესწავლა, სადაც იგი მეოთხედსაც კი ვერ გაიგებს და იმ არაკებს, რომლებიც მას შეუძლია გაიგოს, იგი უკუღმართად არ აღიქვამს და ნაცვლად იმისა, რომ მოტყუებულის მაგალითზე ჭკუა ისწავლოს, გაიძვერობას არ მოისურვებს.

ვათავისუფლებ ბავშვებს ყოველგვარ დავალებათაგან და ამით ვსპობ მათი უბედურების უდიდეს იარაღს, წიგნებს. კითხვა არის ბავშვობის უბედურება და ამავე დროს, თითქმის ერთადერთი საქმე, რომელსაც მას უჩენენ. ემილს თორმეტი წლისასაც კი არ ეცოდინება, რა არის წიგნი. მაგრამ მეტყვიან – კითხვა ხომ უნდა იცოდეს მაინცო, მართალია, კითხვა უნდა იცოდეს მაშინ, როცა იგი მისთვის სასარგებლო იქნება, მანამდის კი იგი მხოლოდ თავს მოაბეზრებს და მეტი არაფერი.

რადგან ბავშვს არ უნდა მოეთხოვოს არაფერი ისეთი, რაც მან უბრალო მორჩილების გამო უნდა შეასრულოს, გამოდის, რომ იგი ვერ ისწავლის ვერაფერს, თუ უშუალო და აქტიურ სარგებლობას სიამოვნებას, ან საჭიროებას არ ხედავს; თუ არა და, რა მოტივით უნდა ისწავლოს? უხილავ ადამიანებთან ლაპარაკი და მათი მოსმენა, მათთვის შორიდან უშუალოდ გაზიარება ჩვენი გრძნობებისა, მისწრაფებებისა, სურვილებისა – ეს ხომ ისეთი ხელოვნებაა, რომ მისი საჭიროება შეიძლება ადვილად გააგებინო ყოველ ასაკში, და ძლიერ გასაოცარია, რომ ეგზომ სასარგებლო და სასიამოვნო ხელოვნება ბავშვებისათვის ტანჯვად გადაქცეულა. ეს კი იმის ბრალია, რომ ბავშვებს მას ძალით ახვევენ თავს და ისეთ რამეში იყენებენ, რაც ბავშვს სრულიად არ ესმის. თავისი ტანჯვის იარაღის გაუმჯობესების დიდი ხალისი ბავშვს არა აქვს. მაგრამ თუ თქვენ ისე მოაწყობთ საქმეს, რომ ეს იარაღი იქცეს სიამოვნების საშუალებად ბავშვისათვის, უკანასკნელი სულ მალე უთქვენოდაც თვითონ მოჰკიდებს მას ხელს.

დიდ საქმედ არის მიჩნეული კითხვის სწავლების საუკეთესო მეთოდების ძიება, იგონებენ რაღაც ყუთებს, ქარტებს; ბავშვის ოთახი სტამბად არის გადაქცეული. ლოკს სურს ბავშვებს კამათლების საშუალებით ასწავლოს კითხვა. ნეტავ, უკეთესი ველარაფერი მოიგონა?! უბადრუკობაა. ყველაზე უფრო სანდო საშუალება (სწორედ იგი გვავიწყდება მუდამ) – არის სწავლის სურვილი. გაუჩინეთ ბავშვს ეს სურვილი, მერე კი მიეცით თქვენი ყუთები და თქვენი კამათლები. მისთვის ყოველი მეთოდი კარგი იქნება.

უშუალო ინტერესი – აი, ყველაზე უფრო დიდი მამოძრავებელი ძალა, ერთადერთი, რომელიც მას სწორი გზითაც წაიყვანს და შორსაც გაიყვანს. ემილი ლებულობს ზოგჯერ მამისაგან, დედისაგან, ამხანაგებისაგან მისაპატიჟებელ ბარათს სადილად, საექსკურსიოდ,

ნავით გასასეირნებლად, საზოგადოებრივ დღესასწაულზე დასასწრებად. ეს ბარათები დაწერილია მოკლედ, ნათლად, გარკვეულად. უნდა მოინახოს ვინმე, ვინც მას ამ ბარათებს წაუკითხავს. ეს ვინმე ან თავის დროზე არ მოდის, ან არ არის კარგ განწყობაზე. ამრიგად – მომენტი გაშვებულია ხელიდან. დაბოლოს, ბავშვს წაუკითხავენ ბარათს, მაგრამ ვადა უკვე გასულა. აჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ თვითონ სცოდნოდა კითხვა! მოდის სხვა ბარათებიც, ძალიან მოკლე, ფრიად საინტერესო. სასურველია მათი წაკითხვაც. ზოგჯერ პოულობენ წამკითხველს, ზოგჯერ – ვერა. დიდი ჭაპან-წყვეტით ბავშვი ბარათის ნახევარი ნაწილის ამოკითხვას ახერხებს: ხვალ ტკბილ ნაღებზე პატიჟებენ, მაგრამ ვერ ამოიკითხა, სად ან ვისთან. იგი ცდილობს წაიკითხოს ბარათის დარჩენილი ნაწილიც. მე არ ვფიქრობ, რომ ასეთ პირობებში ჩემს ემილს კითხვის შესასწავლად ყუთები დასჭირდეს. ნუთუ საჭიროა, რომ ვილაპარაკო კიდევ წერის შესახებაც? არა, მე სასირცხვოდ მიმაჩნია ასეთი წვრილმანებით ვირთობდე თავს აღზრდის შესახებ დაწერილ ტრაქტატში.

ოღონდ ერთ რამეს დავამატებ, რაც საყურადღებო დებულებაა: ჩვეულებრივ, ადვილად და ჩქარა ვიღებთ სწორედ იმას, რის მიღებას ძალიან არ ვჩქარობთ. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ათი წლის შესრულებამდე ემილს მშვენივრად ეცოდინება კითხვაც და წერაც სწორედ იმის გამო, რომ არ ვარ დაინტერესებული, რომ ემილმა იცოდეს ეს თხუთმეტ წლამდე. მაგრამ მერჩივნა, რომ ემილს არასოდეს არ სცოდნოდა კითხვა, ვიდრე მას ეს ცოდნა შეეძინა ყველა იმის ფასით, რაც კითხვას სასარგებლო საქმედ აქცევდა. რა სამსახურს გაუწევდა მას კითხვის ცოდნა, თუკი კითხვას სამუდამოდ შეაძულებდნენ? „საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გავფრთხილდეთ, რომ ბავშვს არ შესძულდეს ის სწავლა, რომლის სიმწარე არ აშინებდეს მას შემდეგ წლებშიც“.

რაც უფრო მეტად ვიცავ ჩემს არააქტიურ მეთოდს, მით უფრო ვგრძნობ, რომ მეტი არგუმენტი გროვდება ჩემ წინააღმდეგ. მეტყვიან: თქვენგან თუ არაფერი არ ისწავლა, სხვისგან ისწავლის თქვენი შეგირდიო, თუ ჭეშმარიტების საშუალებით არ ააცდინეთ შეცდომები, იგი ტყუილს ისწავლის; იმ მცდარ შეხედულებებს, თქვენ რომ უიშობთ არ ჩავუნერგოთ, ამას მაინც მთელი მისი გარემო მოახვევს, ყველა მისი გრძნობა შემოიტანესო; მერყვნთან

მის განსჯას, ვიდრე იგი ფორმირებას მოასწრებს, ანდა მისი გონება, დიდი ხნის უმოქმედობით გამშრალი, მატერიალურში ჩაეფლობა. ვინც ბავშვობისას არ ეჩვევა აზროვნებას, იგი ცხოვრების შემდგომ ნაწილში კარგავს ამის უნარსო.

მგონია, ადვილად შემიძლია გავცე პასუხი; მაგრამ რა საჭიროა მუდამ პასუხის გაცემა? თუ ჩემი მეთოდი თვითონ გაცემს პასუხს ყველაფერზე, იგი კარგია თუ არა და, სრულებით არ ვარგებულა. განვაგრძობ.

თუ თქვენ, იმ გეგმიდან, რომლის მოხაზვაც დავიწყე, სრულიად საწინააღმდეგო გზით ივლით, ვიდრე დაწესებულია; თუ ნაცვლად იმისა, რომ სადღაც შორს გადაიტანოთ ბავშვის გონება. თუ ნაცვლად იმისა, რომ იგი მუდამ სხვა ქვეყნებში, სხვა კლიმატურ პირობებში, სხვა საუკუნეში, დედაამიწის კიდეზე და ეგებ ცაზედაც გატყორცნო – ვეცდები, იგი საკუთარი თავის ფარგლებში დარჩეს, გულისყური იმას მიაპყროს, რაც მას უშუალოდ ეხება, დაინახავთ, რომ მას აღქმაც შეუძლია, მეხსიერებაც აქვს და მსჯელობასაც ახერხებს; ეს ბუნების კანონია. როცა მგრძობელი არსება აქტივობას იწყებს, იგი მსჯელობის უნარსაც იძენს – მისი ძალების შესაბამისად. და მხოლოდ მაშინ, თუ მას მეტი ძალა აქვს, ვიდრე საჭიროა არსებობის შესანარჩუნებლად, მასში განვითარდება სპეკულაციური უნარი, რომელიც ამ ზედმეტ ძალას სხვა საჭიროებისათვის იყენებს. თუ შენი შეგირდის გონების გაწვრთნა გინდა, გაწვრთვენი ის ძალები, რომლებმაც უნდა წარმართონ იგი. ავარჯიშე მუდამ მისი სხეული; გახადე იგი ძლიერი და ჯანსაღი, რომ ჭკვიანი და გონიერი გახდეს; იმუშაოს, იმოქმედოს, ირბინოს, იყვიროს, მუდამ მოძრაობაში იყოს; იყოს ის მოწიფული თავისი ძალით და სულ მალე თავისი გონებითაც მოწიფული გახდება.

მართალია, შეიძლება ამ მეთოდით გააპირუტყვო ბავშვი, თუ მუდამ უჩიხინე: წადი, მოდი, დარჩი, ეს ქენი, ის ქენი, ის არ ქნა. თუ თქვენმა თავმა ამოძრავა მუდამ მისი ხელები, საკუთარი თავი რაღად დასჭირდება, მაგრამ მოიგონეთ ჩვენი პირობა: თუ პედანტი ხართ, ჩემი წიგნის კითხვით თავის შეწუხება არ ღირს.

ძლიერ სამწუხარო შეცდომაა იმის ფიქრი, რომ სხეულის ვარჯიში გონებას ანმოხს; განა ორივე ხელიხელჩაკიდებული არ უნდა

მოქმედებდნენ და ერთი არ უნდა აძლევდეს მიმართულებას მეორეს?

ორი ჯურის ხალხი არსებობს, რომლებიც მუდამ სხეულს ავარჯიშებენ და, რა თქმა უნდა, ძლიერ ნაკლებად ზრუნავენ სულიერ განვითარებაზე: სახელდობრ, გლეხები და ველურები. პირველი მოუქნელი, ტლანქი და უხეშია; მეორე კი ცნობილია დიდი გრძობით და აგრეთვე გონების სიმახვილით. საერთოდ გლეხზე უფრო მძიმე და ველურზე უფრო მოხერხებული ადამიანი აღარ შეიძლება. რისი ბრალია ეს განსხვავება? იმისი, რომ პირველი, რადგან სხვისი ბრძანებით მუშაობს ან აკეთებს იმას, რასაც მამამისი აკეთებდა, ან რასაც თვითონ ახალგაზრდობიდანვე აკეთებდა, მუდამ შაბლონს მისდევს და ამ თითქმის ავტომატურ ცხოვრებაში, მუდამ ერთისა და იმავეს კეთებაში ჩვეულება და მორჩილება გონების ადგილს იჭერს.

ველური კი სულ სხვაა: რადგან იგი არ არის მიმდგრებული რომელიმე ერთ ადგილს, არც არავითარი გარკვეული საქმე აქვს დავალებული, არავის ემორჩილება, არც სხვა კანონი იცის, გარდა საკუთარი ნებისა, იძულებულია ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე გონება ამოქმედოს; იგი ხელს არ გაანძრევს, ნაბიჯს არ გადადგამს, რომ შედეგი არ გაითვალისწინოს. ამგვარად, რაც უფრო მეტად ვარჯიშობს მისი სხეული, მით უფრო მეტად ნათდება მისი გონება; მისი ძალა და გონება ერთად ვითარდება და ერთმანეთს აფართოებს.

სწავლული აღმზრდელი, აბა, ვნახოთ ვისი შეგირდი ჰგავს ველურს და ვისი – გლეხს. მუდამ პედაგოგიურ ავტორიტეტს დაქვემდებარებული, თქვენი შეგირდი ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს თქვენი კარნახის გარეშე; იგი ვერ ბედავს ჭამას, როცა შია, სიცოცხლს, როცა მხიარულია, ტირილს, როცა მწუხარია, ხელს ვერ გაუწოდებს ვერავის, ფეხს ვერ გაანძრევს თქვენი განკარგულების გარეშე; სულ მალე იგი სუნთქვასაც ვეღარ გაბედავს უთქვენოდ. რად გინდათ, რომ იფიქროს, თუკი ყველაფერს თქვენ ფიქრობთ მის მაგიერ. რაკი დარწმუნებულია თქვენს წინდახედულობაში, რაღად უნდა მას თავისი. რაკი ხედავს, რომ იკისრეთ ზრუნვა მის სიცოცხლესა და კეთილდღეობაზე, იგი თავისუფლად გრძნობს თავს ამ მოვალეობისაგან; მისი გონება თქვენზეა დანდობილი: იგი ჩაიდენს ყველაფერს დაუფიქრებლად, რაც კი არ დაგიშლიათ მისთვის, რადგან კარგად იცის, რომ პასუხს არ აგებს. რად უნდა წვიმის ნიშნების გამოცნობა

ისწავლოს; მან იცის, რომ თქვენ მის მაგივრად შესცქერით ცას. რად უნდა თადარიგი სეირნობაში. მას არ ეშინია, რომ თქვენ სადილის დროს გამოგრჩებათ იგი ყურადღებიდან; ვიდრე არ გააჩერებთ, იგი სულ ჭამს; როდესაც ჭამას დაუმლით, აღარ ჭამს. იგი თავის კუჭს კი აღარ ეკითხება, არამედ თქვენ. თქვენი მიზეზით მას სხეული უმოქმედობით დაუსუსტდება, მაგრამ გონება კი ამით არ გაუფაქიზდება. თქვენ მის თვალში საბოლოოდ გაუტეხავთ სახელს გონებას იმიტომ, რომ იმ მცირეოდენ გონებასაც, რაც მას გააჩნია, ისეთ რამეზე ახარჯვინებთ, რაც მას უსარგებლოდ მიაჩნია. რადგან ვერასოდეს ვერ დაინახავს, რაშია საჭირო გონება. იგი ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტს, რომ არაფერში არ არის გამოსადეგი. ცუდ მსჯელობას დიდი-დიდი საყვედური მოჰყვეს, მაგრამ საყვედური ისე ხშირია, რომ იგი არც კი აქცევს ყურადღებას; შეჩვეული საშიშროება აღარ აშინებს მას.

მაგრამ თქვენის აზრით, მას მაინც აქვს ჭკუა; და მართლაც, მას აქვს იმის ჭკუა, რომ ქალებთან ილაქლაქოს ისე, როგორც ზემოთ ვთქვი უკვე; მაგრამ თუ საქმე ისე დატრიალდა, რომ თვითონ დასჭირდა რაიმე ნაბიჯის გადადგმა, ამ ძნელ საქმეში გადაწყვეტილების მიღება, დაინახავთ, რომ იგი ათასწილად უფრო ჩლუნგი და სულელი ყოფილა, ვიდრე უტლანქესი გლეხის შვილი.

ჩემი შეგირდი კი, ანდა უკეთ – ბუნების შეგირდი, თავიდანვე შეჩვეულია, რამდენადაც შეიძლება, თავისი თავის დაკმაყოფილებას, და აღარ მიეჩვევა მუდამ სხვის ხელეში ცქერას და კიდევ უფრო ნაკლებად – თავის ცოდნის გამოჩენას სხვებთან. სამაგიეროდ, იგი აზროვნებს, ითვალისწინებს, მსჯელობს ყველაფერზე, რაც კი მას უშუალოდ ეხება. იგი კი არ ყბედობს, იგი მოქმედებს; მან სრულებით არ იცის, რა ხდება მთელ ქვეყანაზე, მაგრამ კარგად იცის, როგორ გააკეთოს ის, რაც საჭიროა მისთვის. რადგან იგი მუდამ მოძრაობს, იგი ძალაუნებურად აკვირდება მრავალ რამეს, ეცნობა მრავალ მოქმედებას და იგი თავიდანვე დიდ გამოცდილებას იძენს: გაკვეთილებს ბუნებისაგან იღებს და არა ადამიანებისაგან.

მით უფრო მეტად სწავლობს ჭკუას, როცა ვერსად ვერ ხედავს ჭკუის მასწავლებელს. ამგვარად, მისი სხეული და მისი გონება ერთად ვითარდება. რადგან იგი მუდამ თავისი ჭკუით და არა სხვისი ჭკუის მიხედვით მოქმედებს, ყოველთვის ორ საქმეს აკეთებს ერ-

თად; რაც უფრო მეტ ძალასა და სიმაგრეს იძენს, მით უფრო ჭკუ-
ამახვილი და გონიერი ხდება. ეს არის საშუალება იქონიოს ოდესმე
ის, რაც სხვებს შეუთავსებლად მიაჩნიათ და რაც ყველა გამოჩენილ
ადამიანს შეთავსებული ჰქონდა – სხეულის სიძლიერე და სულის
სიძლიერე, ბრძენის გონება და ათლეტის ძალა.

ახალგაზრდა აღმზრდელი, ძნელი საქმისაკენ მოგიწოდებ: აღ-
ზარდო წესების გარეშე, არაფერი არ აკეთო, ყველაფერი კი გააკეთო.
მე გეთანხმები, ეს საქმე შენს ხნოვანებას არ შეჰფერის; იგი არ
არის ისეთი, რომ თავიდანვე შენი ნიჭი აჩვენო ხალხს და თავი მო-
აწონო მამებს: მაგრამ იგი ერთადერთია, ნაყოფს რომ მოგცემს, ვე-
რასოდეს ვერ გახდი ბრძენს, თუ ჯერ ცელქი არ შექმენი; ასეთი იყო
სპარტანელების აღზრდა. ნაცვლად იმისა, რომ წიგნებზე მიეკერე-
ბინათ ბავშვი, მას ჯერ თავისი სადილის მოპარვას ასწავლიდნენ.
განა სპარტანელები ამის გამო ჩლუნგი კაცები გამოდიოდნენ? ვინ
არ იცის, რა მკვეთრი და მწარე პასუხის გაცემა იცოდნენ. მუდამ
გამარჯვებულნი, ისინი თავის მტერს ყოველგვარ ბრძოლაში სჯობ-
ნიდნენ და ლაპარაკის მოყვარულ ათენელებს ისევე ეშინოდათ მათი
მახვილი სიტყვისა, როგორც მათი მახვილისა.

როცა ძლიერ გულმოდგინედ ვზრდით, აღმზრდელი ბრძანებს
და დარწმუნებულია, რომ იგი მართავს; ნამდვილად კი ბავშვი მარ-
თავს. იგი სარგებლობს იმით, რასაც მისგან მოითხოვთ, რომ მიიღოს
თქვენგან ის, რაც მას უნდა; და ერთი საათის მეცადინეობაში ერთი
კვირის თავისუფლებას გამოგვტყუებს. ყოველ წუთში მასთან ხელ-
შეკრულებაა საჭირო. ხელშეკრულებას, რომელსაც თქვენებურად
ადგენთ, იგი მისებურად ასრულებს და ყოველთვის თავის ფანტა-
ზიის სასარგებლოდ იყენებს, მეტადრე თუ არ დაუფიქრდი და ისეთ
რამეს შეჰპირდი, რის შესახებაც იგი დარწმუნებულია, რომ მიიღებს
პირობას, რაც მას დაეკისრა, რომ არ შეასრულოს. ბავშვი, ჩვეულებ-
რივ, უკეთესად ერკვევა აღმზრდელის გონებაში, ვიდრე აღმზრდელი
ბავშვის გულში. და ეს ასედაც უნდა იყოს, რადგან იმ გამჭრიახობას,
რომელსაც ბავშვი თავის არსებობისათვის ბრძოლას მოახმარდა, სა-
კუთარი ძალების ამარა რომ დარჩენილიყო, ახლა მტარვალის ბორ-
კილებისაგან თავისუფლების გადასარჩენად ხმარობს; მაშინ, როცა
ამ უკანასკნელს, რაკი მაინც და მაინც არ არის ძლიერ დაინტერე-

სებული ჩასწვდეს ბავშვის არსებაში, ურჩევნია ზოგჯერ ხელი არ ახლოს მის სიზარმაცეს ან ამპარტავნობას.

დაადექით თქვენს შეგირდთან საწინააღმდეგო გზას: მას მუდამ თავისი თავი ეგონოს ბატონი, ნამდვილად კი მუდამ თქვენ იყოთ ბატონი. ყველაზე უფრო სრული მორჩილება მაშინ არის, როცა გარეგნულად იგი თავისუფლებას ჰგავს; მაშინ თვით ნებისყოფაა დატყვევებული. განა მთლად თქვენს ხელში არ არის საწყალი ბავშვი, რომელმაც არაფერი იცის, არაფერი შეუძლია? განა, თქვენს ხელში არ არის მთელი მისი გარემო, რომ მასზე ამოქმედოთ? განა, თქვენს ნებაზე არაა, იმოქმედოთ მასზე, როგორც კი მოგესურვებათ? განა, მისი მუშაობა, მისი თამაში, მისი სიამოვნება და უსიამოვნება მთლად თქვენს ხელში არ არის ისე, რომ მან ეს არც კი იცის? ცხადია, მან მხოლოდ ის უნდა გააკეთოს, რაც სურს; მაგრამ მას მხოლოდ ის უნდა სურდეს, რაც თქვენ გინდათ გააკეთებინოთ; მან არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადადგას, რომ თქვენ გათვალისწინებული არ გქონდეთ; პირი არ უნდა გააღოს ისე, რომ არ იცოდეთ, რის თქმას აპირებს.

მხოლოდ მაშინ შეუძლია მას ავარჯიშოს თავისი სხეული ისე, როგორც მისი ასაკი მოითხოვს, გონების უვნებლად. მაშინ, ნაცვლად იმისა, რომ მთელი თავისი ჭკუა-გონება მისთვის სამძიმო ავტორიტეტთან ბრძოლას შეაღიოს, იგი მთელ ძალას მოიკრებს, რომ ყველაფერში, რაც კი არის მის გარშემო, თავის უშუალო კეთილდღეობისათვის სასარგებლო რამ გამოიხეოს; მხოლოდ მაშინ დაინახავთ, რა გასაოცარ ჭკუამახვილობას გამოიჩენს, რას არ მოიგონებს, რათა ხელში ჩაიგდოს ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდება, და ნამდვილად იგემოს ყოველივე – განუკითხავად.

რადგან ამ გზით მას თავის ნებისყოფის პატრონად ხდით, მის კაპრიზებსაც არ კვებავთ. რადგან მხოლოდ იმას აკეთებს, რაც მას სჭირდება, სულ მალე გააკეთებს მხოლოდ იმას, რაც უნდა გააკეთოს; და, თუმცა, მისი სხეული მუდმივ მოძრაობაშია, ვიდრე იგი თავის ყოველდღიური და უშუალო ინტერესით მოქმედებს, დაინახავთ, რომ მისი გონება, რამდენადაც კი მას მოეთხოვება, გაცილებით უკეთ და გაცილებით უფრო შესაფერისად ვითარდება, ვიდრე წმინდა სპეკულაციური სწავლის დროს.

ამგვარად, რაკი თქვენში მოწინააღმდეგეს არ ხედავს, თქვენ მი-

მართ უნდობლობას არ გრძნობს, თქვენგან დასაფარავი არაფერი აქვს. იგი აღარც მოგატყუებთ, აღარც ტყუილს გეტყვით; უშიშრად დაგანახვებთ თავის ნამდვილ სახეს; შეგიძლიათ შეისწავლოთ იგი, როგორც უფრო მოხერხებული იქნება თქვენთვის და გაშალოთ მის ირგვლივ გაკვეთილები, რაც გინდათ მისცეთ, მას კი არასოდეს აზრადაც არ მოუვა, რომ გაკვეთილი ეძლევა.

იგი აღარ უთვალთვალებს თქვენს ზნეობრივ ქცევას ეჭვითა და ღვარძლით და არც გულში გაუხარდება თქვენი დაჭერა რაიმე შეცდომაში. უხერხულობა, რომელსაც ჩვენ თავიდან ავიცდნენთ ამგვარად, ძლიერ დიდია. ბავშვის მთავარი საზრუნავია, როგორც ვთქვი, სუსტი მხარეები გამოუძებნოს თავის ხელმძღვანელს. ეს მიდრეკილება სიბოროტემდე მიდის, მაგრამ ეს სიბოროტიდან არ მომდინარეობს: იგი მომაბეზრებელი ავტორიტეტისაგან თავის დაღწევის სურვილიდან გამომდინარეობს. მძიმე რეჟიმით შეწუხებული, იგი ცდილობს ეს მონობა შეარყიოს და ნაკლოვანებები, რომლებსაც თავის აღმზრდელებს უპოვნის, საუკეთესო საშუალებაა ამისათვის. მაგრამ ამ გზით იგი ყოველ ადამიანში ნაკლოვანების ძებნას ეჩვევა და უხარია, რომ აღმოაჩენს. ცხადია, ბიწიერების კიდევ ერთი წყარო დავაშრე ამით ემილის გულში: რაკი მას არ ექნება ჩემს ნაკლთა ძიების ინტერესი, იგი აღარ დაიწყებს მათ ძიებას ჩემში და არ ეცდება მოძებნოს ისინი სხვებში.

ყველა ეს ხერხი ძნელი ჩანს, რადგან არ უფიქრდებიან მათ; მაგრამ თავისთავად ისინი ძნელი არ უნდა იყოს. ყოველ კაცს აქვს უფლება იგულისხმოს თქვენში ის აუცილებელი ცოდნა, რაც თქვენ მიერ არჩეული ხელობისათვისაა საჭირო; უნდა ვიგულისხმოთ, რომ გესმით ადამიანის გულის ბუნებრივი გზა, შეგიძლიათ შეისწავლოთ ადამიანი და ინდივიდი, რომ თქვენ წინდაწინ იცით, თუ საით გადაიხრება თქვენი შეგირდის ნებისყოფა ამა თუ იმ შემთხვევაში, როცა მისი ასაკისათვის საინტერესო საგნებს უჩვენებთ. მაშ, იარაღის ქონა და მისი მოხმარების ცოდნა, განა, ეს საქმის ცოდნა არ არის?

თქვენ მიმითითებთ ბავშვის კაპრიზებზე, არა ხართ მართალი: ბავშვის კაპრიზი არასოდეს ბუნების ბრალი არ არის, არამედ ცუდი დისციპლინის შედეგია – ბავშვი ან მორჩილებაში იყო, ან ბატონობდა. მე კი ათასჯერ მითქვამს, რომ არც ერთი უნდა იყოს, და არც

მეორე. თქვენს შეგირდს მხოლოდ ის კაპრიზები ექნება, რასაც ჩაუნერგავთ მას და სამართლიანიც იქნება, რომ თქვენი შეცდომები თქვენვე მოგიბრუნდეთ. მაშ, როგორ ვუშველოთ საქმეს, მკითხავთ თქვენ – შველა მაინც შეიძლება და ამისათვის უკეთესი მიდგომა და მეტი მოთმინებაა საჭირო.

რამდენიმე კვირით ვიკისრე ერთი ბავშვის მოვლა, რომელიც მიჩვეული იყო არა მხოლოდ თავის ნებაზე სიარულს, არამედ თავის ნებაზე სხვების ტარებასაც, მაშასადამე, მთლად ახირებული ბავშვისა. პირველ დღესვე, ჩემი თავაზიანობის გამოსაცდელად, შუალამეს მოისურვა ადგომა. შუა ძილში ვიყავი, რომ გადმოხტა თავის ლოგინიდან, ჩაიცვა ხალათი და დამიძახა. ავდექი, ავანთე სანთელი, მასაც ეს უნდოდა მხოლოდ; არ გასულა თხუთმეტი წუთი, რომ ძილი მოერია და დაწვა ისევ, კმაყოფილი ამ გამოცდით. ორი დღის შემდეგ იმეორებს იმავეს; შედეგი იგივეა; მხედავს, არც ერთ მისხალ მოთმინებას არ ვკარგავ. დაწოლის წინ რომ მაკოცა, მე ცივად ვუთხარი: ჩემო ძამიკო, ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუღარ გაიმეორებ. ამ სიტყვებმა ინტერესი ჩაუგდო გულში და მეორე დღესვე, რომ გავეგო გავბედავ თუ არა ურჩობას, ბევრი აღარ უფიქრია და ისევ ამავე დროს ადგა და დამიძახა. ვკითხე, რა გინდა-მეთქი. მიპასუხა, ვერ დავიძინეო. „მით უარესი შენთვის“, ვუპასუხე მე და გავჩუმდი. მთხოვა სანთელი ამენთო. „რა საჭიროა?“ და გავჩუმდი. ამ ლაკონურმა ტონმა საგონებელში ჩააგდო. ხელის ფათურით მოძებნა კვესი და სცემს. სიცილი ვერ შემიკავებია, მესმის, რომ თითებზე იცემს. ბოლოს დარწმუნდა, რომ არაფერი გამოუვა, მოაქვს კვესი ჩემთან, „რად მინდა-მეთქი“ და გადავბრუნდი მეორე გვერდზე. მაშინ დაიწყო გიჟივით სირბილი ოთახში, ყვირილი, სიმღერა, საშინელი ხმაური ატეხა, მუშტები დააყარა მაგიდას, სკამებს, მაგრამ ცდილობდა კი, რომ მაინცდამაინც მაგრად არ მოსვლოდა და თან ცივი ხმით წამოიკვილებდა, რომ შევწუხებულიყავი. ვერაფერი გაიტანა. მივხვდი, რომ იგი ჩემგან ან დარიგებას ან განრისხებას მოელოდა, ასეთმა დიდმა სიმშვიდემ კი ვერ ასიამოვნა.

მან გადაწყვიტა მაინც გამოვეყვანე მოთმინებიდან თავისი დაჟინებით და ისეთი ალიაქოთი ატეხა, რომ ბოლოს გავცხარდი კიდევც, მაგრამ როგორც კი ვიგრძენი, ვიგრძენი რა, რომ აქ სიცხარე არ გამოდგება და საქმეს მთლად გავაფუჭებ, სხვა გზა ავირჩიე. უსიტყ-

ვოდ წამოვდექი, წავედი კვესის საძებრად, მაგრამ ვერ ვიპოვე. ვკითხე მას; მომცა, აღტაცებულმა იმითი, რომ ბოლოს მაინც გაიმარჯვა. გავკარი კვესი, ავანთე სანთელი, მოვკიდე ხელი ჩემს პაწია ვაჟბატონს, უსიტყვოდ წავიყვანე მეზობელ ოთახში, სადაც დარაბები მაგრად იყო დახურული და სადაც გასატეხი არაფერი იყო. ვტოვებ მას იქ სიბნელეში. შემდეგ ვკეტავ გასაღებით კარებს და უსიტყვოდ ვბრუნდები დასაძინებლად. ლაპარაკიც არ უნდა, რომ საშინელი ხმაურობა ატეხა პირველად. მე მოველოდი კიდევაც ამას და სრულიად მშვიდად შეეხვდი. ბოლოს ხმაურობა მიწყდა. ყური დავუგდე, მესმის ემზადება დასაწოლად, მეც დავმშვიდდი. მეორე დღით შევდივარ მის ოთახში, ვხედავ ჩემს გიჟს სძინავს დივანზე, სძინავს ღრმა ძილით – იმდენად დაიქანცა, რომ ძილი ძლიერ საჭირო იყო მისთვის.

საქმე ამით არ გათავდა. დედამისმა გაიგო, რომ ბავშვს ღამის ორი მესამედი თავის საწოლს გარეთ გაუტარებია. ქვეყანა დაიქცა, ბავშვი თითქმის გამოიტირეს. მან ხელი ჩასჭიდა ამ შემთხვევას შურის საძიებლად და თავი მოიავადმყოფა, ის კი ველარ მოისაზრა, რომ ამით ვერას მოიგებდა. მოიწვიეს ექიმი. დედის საუბედუროდ, ეს ექიმი ხუმარა კაცი გამოდგა და გულის გასახეთქად, უფრო გაბერა საქმე. ყურში კი მითხრა: დამაცადეთ, სიტყვას გაძლევთ, რომ ბავშვი რამდენიმე ხანში მორჩება თავის მოჩვენებითი ავადმყოფობისაგან. და მართლაც, დაუნიშნა დიეტა, ჩააწვინა ლოგინში და წამლები გამოუწერა. მე კი გული მეტკინა ამ საბრალო დედაზე, რომელსაც ყველა ატყუებდა, ვინც კი იყო ახლო-მახლო, ჩემ გარდა, მე კი შემძულა სწორედ იმიტომ, რომ არ ვატყუებდი.

საკმაოდ მწარე საყვედურის შემდეგ, მან მითხრა, რომ მისი შვილი სუსტი აგებულებისაა, რომ იგი ოჯახის ერთადერთი მემკვიდრეა, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, მას სიცოცხლე უნდა შევუნარჩუნოთ, მას არ სურს მის ბავშვს წინააღმდეგობას ვუწევდეთ. ამაში სრულიად დავეთანხმე; მაგრამ წინააღმდეგობის არგაწევა მას ესმოდა, როგორც სრული მორჩილება. მივხვდი, რომ დედასთან იგივე კილოა საჭირო, რაც შვილთან. „ქალბატონო“, მივუგე საკმაოდ ცივად, „მე არ ვიცი, მემკვიდრის აღზრდა, და, რაც მთავარია, არც მსურს ვიცოდეთ: შეგიძლიათ მოიქცეთ ისე, როგორც გენებოთ“. ერთ ხანს კიდევ საჭირო ვიყავი მათთვის: მამამ

მოაგვარა საქმე; დედამ მისწერა აღმზრდელს, რაც შეიძლება მალე დაბრუნდით; ბავშვი რაკი დარწმუნდა, რომ არაფრით იყო სახეირო მისთვის ჩემი ძილის გატეხვა, თვალთმაქცური ავადმყოფობა და მორჩენა და ძილი გადაწყვიტა.

ვერ წარმოიდგენთ, რამდენ ასეთ კაპრიზს ამონა პატარა მტარვალმა თავისი საბრალო გუვერნიორი, რადგან აღზრდა დედის მეთვალყურეობით მიმდინარეობდა, ის კი ვერ ითმენდა, რომ მემკვიდრეს რამეს არ უგონებდნენ. რა წუთშიაც მოისურვებს სახლიდან გასვლას, უნდა მზად იყო წაიყვანო, ან უკეთ, წაყვე და იგიც მუდამ ცდილობდა საგანგებოდ ისეთი მომენტი აერჩია, რომ მისი გუვერნიორი, რაც შეიძლება უფრო დაკავებული ყოფილიყო. მას ჩემზეც უნდოდა გაევერცელებინა თავისი ხელისუფლება და დღისით გადაეხადა ჩემთვის ის, რომ ღამით იძულებული იყო მოსვენება მოეცა. დავემორჩილე ყველაფერში და ვცდილობდი მეჩვენებინა მისთვის, რომ ძლიერ მინდა მოვაწონო თავი; შემდეგ კი, როცა დადგა საკითხი მისი ფანტაზიებისაგან განკურნებისა, სხვა გზას დავადექი.

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო რამეში გამემტყუნებინა. ეს არ იყო ძნელი. ვიცოდი, რომ ბავშვი მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობს, ადვილად ვისარგებლე იმ უპირატესობით, რასაც წინა-ხედულება მაძლევს. შევეცადე მომეწყო სახლში მისთვის ისეთი გასართობი, რომელიც, ვიცოდი, ძლიერ მოსწონდა; და სწორედ ისეთ მომენტში, როცა იგი ძალზედ გართული იყო, მივმართე წინადადებით – სასეირნოდ წავსულიყავით. „წადი, დაიკარგეო“. არ ვემეგობი. იგი ყურსაც არ იბერტყავს, უნდა დავემორჩილებოდი; მან კი სიამოვნებით მიიღო ეს დამორჩილება.

მეორე დღეს ჩემი ჯერი მოვიდა. ძლიერ მოეწყინა, მე წინააღმდეგობა მოვაწყე ასე საქმე; თვითონ მე, პირიქით, ძლიერ გართული მოვაჩვენე თავი. მასაც მეტი არაფერი უნდოდა. იმწამსვე მომადგა, მიატოვე სამუშაო და წამიყვანე მალე სასეირნოდ. უარი ვთქვი; დაიჩემა თავისი. „არა-მეთქი, შენი ნების შესრულებით ჩემი ნების შესრულება მასწავლეს: არ მინდა წამოსვლა“. „აბა, კარგი“, მომიგო მან სწრაფად, „მარტო წავალ“. „როგორც გნებავთ“. მივუბრუნდი ჩემს სამუშაოს.

ჩაიცვა, ცოტა არ იყოს შეწუხდა იმით, რომ მის ნებაზე მივუშვი და არ ვენმაურები. წასვლის წინ მოვიდა გამოსამშვიდობებ-

ლად. გამოვემშვიდობე. იგი ცდილობს ამაღელვოს მისი მომავალი მოგზაურობის აღწერით: ყური რომ დაგეგდო, იფიქრებდი, ცხრა მთას იქით მიდისო. სრულიად აუღელვებლად კეთილი მგზავრობა ვუსურვე. ამან ერთი-ორად შეაშფოთა, მაგრამ თავი მაგრად უჭირავს და წასვლის წინ ეუბნება ლაქიას, გამომყევო. ლაქია კი რადგან უკვე გაფრთხილებული იყო, უპასუხებს, რომ დრო არა აქვს, ჩემს დავალებებს ასრულებს და უფრო მე უნდა დამიჯეროს, ვიდრე მას. ბავშვი მთლად დაიბნა. როგორ გაიგოს, რომ მარტო უშვებენ მას, რომელსაც თავისი თავი ყველასათვის ძვირფასი ჰგონია და დარწმუნებულია, რომ ცაც და დედამიწაც დაინტერესებულია მისი სიცოცხლით. იგი უკვე გრძნობს თავის სისუსტეს. ესმის, რომ უცნობ ხალხში ჩავარდება; ხედავს, რა ხიფათი მოელის, მხოლოდ ჟინი უმაგრებს გულს; იგი ნელ-ნელა და ძლიერ უხალისოდ ჩადის კიბეზე. ბოლოს გავიდა ქუჩაში, იხუგეშებს თავს იმით, რომ თუ რაიმე მოუვიდა, მე დამაბრალებდნენ.

მეც სწორედ ეს მინდოდა. ყველაფერი მომზადებული იყო წინდაწინ; და რადგან ეს ამბავი საჯაროდ უნდა მომხდარიყო, წინასწარ მამამისს დასტური ვთხოვე. ორი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, რომ მარცხნიდან და მარჯვნიდან შემოესმა ლაპარაკი მასზე. „მეზობელო, შეხედეთ ამ ბატონიშვილს, რა ლამაზია. სად მიდის მარტო? დაიკარგება სადმე; მინდა შემოვიპატიჟო“. „მოერიდეთ, მეზობელო, ვერ ხედავთ განა, ვილაც უწესო ბავშვია, მამამისს რომ სახლიდან გამოუგდია: ხელიდან წასულიაო. უწესო კაცი არ უნდა გააჩერო; წავიდეს, სადაც უნდა“. „აბა, კარგი, ღმერთმა უშველოს. მეწყინება კი, რომ რამე დაემართოს“. ამათ რომ გასცილდა, შემოეხვივნენ დაახლოებით მისივე ასაკის ბავშვები, მასხრად აიგდეს, სიცილი დააყარეს. რაც უფრო მეტი გაიარა, მით უფრო მეტი უსიამოვნება ნახა. მარტოკამ და უპატრონოდ დარჩენილმა დაინახა, რომ იგი ყველასათვის სათამაშო ყოფილა და ძლიერ გაკვირვებული იყო, რომ ბანტი მხარზე და ოქროს ნაკერი მის მიმართ პატივისცემას აღარ იწვევს.

ამ დროს კი, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი, რომელსაც იგი არ იცნობდა და რომელსაც დავავალე მისთვის თვალყური ედევნებინა, ფეხდაფეხ მისდევდა მას შეუმჩნევლად და, როცა დრო დადგა, მივიდა მასთან. ამ როლისათვის, რომელიც წააგავს სბრიგანის

როლს „პურსონიაკში“, ჭკვიანი კაცი იყო საჭირო და მან საუკეთესოდ შეასრულა კიდევ იგი. რომ არ შეეშინებინა ბავშვი ძლიერ და ამით მშიშარა არ გაეხადა, მან ისე კარგად აგრძნობინა მისი საქციელის უვნურება, რომ ნახევარ საათში მომიყვანა წყნარი, დარცხვენილი, თავჩაქინდრული.

მისი მარცხის დასაგვირგვინებლად სწორედ იმ წუთში, როცა იგი სახლში ბრუნდებოდა, მამამისი სახლიდან გამოდიოდა და კიბეზე შეხვდა. უნდა ეპასუხა, საიდან მოდის და რატომ მე არ ვარ მასთან.¹⁷ საწყალ ბავშვს მიწაში ჩაძრომა ერჩია. მამამ გრძელ-გრძელი საყვედურები აღარ გაუბა და ცივად, გაცილებით უფრო ცივად, ვიდრე მოველოდი, უთხრა: „როდესაც მოგესურვებთ მარტო წასვლა, ბატონი ბრძანდებით; ოღონდ, რადგან სახლში მაწინწალას არ გავაჩერებ, კეთილი ინებეთ და, როცა მოგეპრიანებათ ასეთი რამ, ნუ დაბრუნდებით“.

ჩემდა თავად არც საყვედური მითქვამს, არც მასხრად ამიგდია, მაგრამ ცივად დაეხვდი; და ეჭვი რომ არ გასჩენოდა, მთელი ეს ამბავი ოინი იყო, იმ დღეს სასეირნოდ აღარ წამიყვანია. მეორე დღეს დიდის სიამოვნებით დავინახე, როგორ ამაყად ჩაუარა გვერდი ჩემთან ერთად ხალხს, რომელიც გუშინ დასცინოდა, მარტო რომ ნახეს. ადვილად მიხვდებით, რომ ამას იქით აღარ დამმუქრებია მარტო წასვლით.

ასეთი და სხვა ამგვარი ხერხით, მოკლე ხნის განმავლობაში, რაც მასთან ვიყავი, მივალწიე იმას, რომ ვაკეთებინებდი ყველაფერს, რაც მინდოდა და არც მიბრძანებია არაფერი, არც დამიშლია, არც ჭკუა მისწავლებია, არც გამიკიცხავს და არც თავი მომიბეზრებია ზედმეტი ლაპარაკით. როდესაც ვლაპარაკობდი, იგი კმაყოფილი იყო, მაგრამ დუმილის ეშინოდა: ხვდებოდა, რომ საქმე ვერ არის კარგად, ჭკუას კი თვითონ საგნები ასწავლიდნენ. მაგრამ დავბრუნდეთ უკან.

ეს მუდმივი წვრთნა, მხოლოდ და მხოლოდ ბუნების გეზისამებრ წარმართული, არა თუ აჩლუნგებს გონებას იმით, რომ სხეულს ამაგრებს, არამედ, პირიქით, აყალიბებს ჩვენში გონების იმ ერთადერთ სახეობას, რომელიც ნორჩი ასაკისათვის არის მისაწვდომი და ყოველ ასაკში აუცილებელია. ყველაზე უფრო იგი გვასწავლის ჩვენი ძალების გამოყენებას, ჩვენი სხეულის დამოკიდებულებას სხვა სხეულებთან, რაც ჩვენ გარშემო არის, იმ

ბუნებრივი იარაღების ხმარებას, რაც ხელთ გვაქვს და რაც ჩვენი ორგანოებისათვის გამოსადეგია. ვინღა შეიძლება იყოს იმ ბავშვზე უფრო ჩლუნგი, რომელიც ოთახში იზრდება და მუდამ დედის თვალწინაა, რომელმაც არ იცის, რა არის სიმძიმე და წინააღმდეგობა და უზარმაზარი ხის ამოგლეჯა ან კლდის აწევა სურს. მე რომ პირველად ჟენევიდან გამოვედი, გაჭენებულ ცხენს გამოვეკიდე, ქვებს ვესროდი საღვეის მთას, რომელიც ორი ლიეს მანძილით იყო ჩემგან დაშორებული. სოფლის ბავშვებს სასაცილოდ არ ვყოფნიდი და ნამდვილი იდიოტი ვიყავი მათ თვალში. თვრამეტი წლის ვაჟკაცი ფილოსოფიაში პირველად გაიგონებს ბერკეტის სახელს; თორმეტი წლის გლეხის შვილმა კი უკეთ იცის ბერკეტის ხმარება, ვიდრე აკადემიის პირველმა მექანიკოსმა. ის ცოდნა, რასაც მოწაფეები ერთმანეთისაგან იძენენ სკოლის ეზოში, ასჯერ უფრო სასარგებლოა, ვიდრე ის, რასაც კლასში ასწავლიან.

აბა, შეხედეთ კატას, რომელიც პირველად შემოდის ოთახში; უკვირდება, ათვალეირებს, სუნავს, ერთ წამს არ ჩერდება, თავს არაფერში ენდობა, ვიდრე ყოველივეს არ გამოიკვლევს და არ გაიგებს. ასევე იქცევა ბავშვი სიარულს რომ იწყებს და, ასე ვთქვათ, ქვეყნის სივრცეში შედგამს ფეხს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თვალს, რომელიც ბავშვსაც და კატასაც ერთნაირად აქვს, ბავშვი დაკვირვებისათვის ხელებს ახმარს, ბუნებამ რომ მისცა, კატა კი – მახვილ ყნოსვას, რომლითაც იგია დაჯილდოებული. იმისდა მიხედვით, ძლიერ განავითარებ ამ განწყობას თუ ნაკლებად, ბავშვიც მარჯვე ან მოუხერხებელი, ცქვიტი ან დუნე, თავჟარიანი ან გონიერი გამოვა.

რადგან ადამიანის პირველი ბუნებრივი მოძრაობის დანიშნულებაა დაეტოლოს ყველაფერს, რაც მის ირგვლივ არის და ყოველივე ობიექტში, რომელსაც იგი შეამჩნევს, გამოსცადოს ყველა გრძნობადი თვისება, რაც კი შეიძლება მას ეხებოდეს, ამიტომ მისი პირველი მეცნიერება არის ერთგვარი ექსპერიმენტული ფიზიკა, მის საკუთარ სიცოცხლესა და კეთილდღეობას რომ შეეხება: მაგრამ ჩვენ ვართმევთ ამის საშუალებას და სპეკულაციურ სწავლებას ვახვევთ იმ დროს, როცა მას ჯერ არ მოუხანხავს თავისი ადგილი ამქვეყნად. სანამ მის ფაქიზსა და მოქნილ ორგანოებს აქვთ უნარი იმ სხეულებს შეეგუონ, რომლებზედაც უნდა იმოქმედონ, სანამ

ჯერ კიდევ შეურყვნელმა მისმა გრძნობებმა არ იციან, რა არის ილუზია, უნდა შევაჩვიოთ ერთიც და მეორეც იმ ფუნქციებს, რაც მათ შეჰფერის, უნდა შევასწავლოთ ის გრძნობადი მიმართებანი, რაც ჩვენსა და საგნებს შორის არის. რადგან ყველაფერი ის, რაც ადამიანის გონებაში შემოდის, მომდინარეობს გრძნობებიდან, ადამიანის პირველი განსჯა გრძნობადი განსჯაა; სწორედ იგია ინტელექტუალური განსჯის საძირკველი: ფილოსოფიის ჩვენი პირველი მასწავლებლები ჩვენივე ფეხები, ხელები, თვალებია. ესენი რომ შევცვალოთ წიგნებით, ამით ჩვენ აზროვნებას კი ვერ ვისწავლით, არამედ სხვისი ნააზრევით სარგებლობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისწავლო ბევრი, გწამდეს და არაფერი არ იცოდეს არასოდეს.

თუ რამე ხელობა გინდა ისწავლო, ჯერ უნდა იმოგო შესაფერისი იარაღები და რათა ეს იარაღები ნაყოფიერად გამოიყენო, უნდა გაამაგრო ისინი იმდენად, რომ ხმარებას გაუძლონ (თუ აზროვნება გინდა ისწავლო, უნდა გაწვრთნა შენი ორგანოები, შენი გრძნობები, რომლებიც გონების იარაღებს წარმოადგენენ და ეს იარაღები რომ რაც შეიძლება უკეთ გამოიყენო, სხეული, რომელიც გაწვდის ამ იარაღს, მაგარი და ჯანსაღი უნდა იყოს. ამგვარად, ადამიანის ნამდვილი გონება როდი ვითარდება სხეულისაგან დამოუკიდებლად; სწორედ სხეულის კარგი კონსტიტუციაა გონებრივ ოპერაციებს რომ აადვილებს და სანდოდ აქცევს).

როცა ბავშვის ხანგრძლივი მოცლილობის გამოყენებაზე ვლაპარაკობ, მე ისეთ წვრილმანებს ვეხები, რომ ზოგს გაუკვირდება. საოცარი სწავლებაა სწორედ, ასე მეტყვიან, რომელიც თქვენივე კრიტიკას ვერ უძლებს და რომელიც მხოლოდ იმას ასწავლის, რისი სწავლაც სრულებით არავის სჭირდება. რატომ დავხარჯოთ დრო იმის სწავლებაზე, რაც ყოველთვის თავისთავად მოდის და არც შრომას, არც ზრუნვას არ მოითხოვს. გვიჩვენეთ რომელიმე თორმეტი წლის ბავშვი, რომ არ იცოდეს ყველაფერი, რაც თქვენ გინდათ ასწავლოთ თქვენსას. და ამას გარდა, კიდევ ისიც, რაც მისმა მასწავლებლებმა ასწავლეს.

არა, ბატონებო, თქვენ ცდებით, ჩემს შეგირდს ვასწავლი ძლიერ ფართო და ძნელ ხელობას, რომელიც თქვენმა შეგირდებმა, რა თქმა უნდა, არ იციან: მე ვასწავლი არცოდნის ფლობას, რადგან იმ კაცის

ცოდნა, ვინც მხოლოდ ის იცის, რომ მან იცის, ძლიერ მწირია. თქვენ ცოდნას აწვდით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ; მე კი იმ იარაღზე ვზრუნავ, რომლითაც მან უნდა დაიპყროს იგი, ამბობენ, როცა ვენეციელებმა დიდის ამბით აჩვენეს ესპანეთის ელჩს წმინდა მარკოზის ტაძარში თავისი საუნჯენი, მან ქათინაურების მაგივრად მაგიდის ქვეშ შეიხედა და თქვა: “*guinon ce la radice*”,¹⁸ როცა ვხედავ მასწავლებელს, რომელიც თავს იწონებს მისი შეგირდის ცოდნით, ეს სიტყვები მადგება ენაზე.

ვისაც კი უფიქრია ანტიკური ადამიანების ცხოვრებაზე, ყველა იმ აზრისაა, რომ ის ფიზიკური და სულიერი სიძლიერე, რომლითაც ისინი ახალი დროის ადამიანებისგან ასე მკვეთრად განირჩევიან, ტანვარჯიშს უნდა მიეწეროს. ამ აზრის მტკიცების მანერა, რომელსაც მონტენი ხმარობს, იმას მოწმობს, რომ მას იგი ღრმად ჰქონდა შეთვისებული და ყოველ ნაბიჯზე და ათასგვარად იმეორებს. როდესაც ბავშვის აღზრდაზე ლაპარაკობს, იგი ამბობს, რომ სულის გასაშლელად კუნთების გამაგრება არის საჭირო; შრომას რომ აჩვევ, ტკივილსაც აჩვევ: უნდა დააძლევინო ვარჯიშის სიმწარე, რომ ნაღრძობის სიმწარეს, მუცლის ტკივილს და ყოველგვარ გაჭირვებას მიაჩვიოთ. ბრძენი ლოკი, კეთილი როლენი, სწავლული ფლერი, პედანტი დე-კრუზა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ერთ რამეში ეთანხმებიან: რაც შეიძლება მეტად უნდა ვავარჯიშოთ ბავშვის სხეული. ეს მათი ყველაზე უფრო გონიერი რეცეპტია და სწორედ იგი არის და იქნება ყველაზე უფრო მეტად უგულუბელყოფილი. უკვე საკმაოდ ვილაპარაკე მის ღირსებაზე და, რადგან ვერც უკეთეს საბუთს მოვიყვან და ვერც უკეთეს წესებს მოვიგონებ, ვიდრე თვითონ ლოკს აქვს თავის წიგნებში მოყვანილი, ამიტომ დავკმაყოფილდები მასზე მითითებით და ჩემ თავს ნებას მივცემ დავუმატო მის დაკვირვებებს მხოლოდ რამდენიმე ჩემი შენიშვნა.

მოზარდ სხეულს განიერი სამოსი უნდა; არაფერი არ უნდა აბრკოლებდეს არც მის მოძრაობას, არც ზრდას – არც შემოკრული და არც მოჭერილი, არავითარი თასმები. ფრანგული ტანსაცმელი, დიდებისათვისაც კი უხერხული და მავნე, ბავშვებისათვის მთლად დამღუბველია. დაგუბებული, ცირკულაციას მოკლებული სითხეები მყაყდება უმოქმედობის გამო, რასაც კიდევ უფრო უწყობს ხელს

უქმი ცხოვრება და ხშირი ჯდომა, ფუჭდება და იწვევს სურავანდს, სნეულებას, რომელიც დღითიდღე ვრცელდება ჩვენში, რომელსაც ანტიკური ადამიანები თითქმის არ იცნობდნენ, რადგან მათი ჩაცმულობისა და ცხოვრების წესი იცავდა მათ ამისაგან. ჰუსარის ტანსაცმელი არათუ არ სპობს ამ ნაკლს, არამედ უფრო აღიდებს მას და, თუმცა, ამორებს ბავშვს რამდენიმე თასმას, სამაგიეროდ, მთელ სხეულს უბორკავს. ყველაფერს ჯობია, სანამდისაც კი შეიძლება, ხალათში ატარო, შემდეგ მისცე ძლიერ განიერი ტანსაცმელი და ნუ გინდა წელის გამოჩენა, რადგან ეს მხოლოდ ამახინჯებს სხეულს. ბავშვის სხეულებრივი და სულიერი დეფექტები თითქმის ყოველთვის ერთი და იმავე მიზეზით არის გამოწვეული: ჩვენ გვინდა ნაადრევად დავავაჟაკოთ იგი.

არის მხიარული და სამწუხარო ფერები. ბავშვს ყველაზე უფრო მხიარული ფერები მოსწონს, თანაც ეს ფერები უფრო უხდება მას. არ მესმის, რისთვის არ უნდა მივდიოთ ამ შემთხვევაში ბუნებრივ გემოვნებას. მაგრამ იმ წუთიდან, რა წუთშიც ბავშვი ერთ რომელიმე მასალას ამჯობინებს სხვას, რადგან იგი უფრო ძვირფასია, მის გულში უკვე დაიბუდეს ფუფუნებამ და ყოველგვარმა ახირებულმა კაპრიზებმა. ეს მიდრეკილება, ცხადია, თვით მათგან კი არ მომდინარეობს. ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიდ გავლენას ახდენს აღზრდაზე ტანსაცმლის არჩევა და ამ არჩევანის მოტივები. არათუ მხოლოდ ბეცი დედა დაჰპირდება ხოლმე ბავშვს ჯილდოდ ახალი ტანსაცმლის შეკერვას, არამედ ზოგი უგუნური გუვერნიორიც დაემუქრება შეგირდს, რომ სასჯელად ტლანქ და უბრალო ტანსაცმელს ჩააცმევს – თუ უკეთესად არ იმეცადინებ, თუ ტანსაცმელს არ გაუფრთხილდები, სოფლის ბიჭვით ჩაგაცმევ. ეს იგივეა, რომ უთხრა: იცოდე, ადამიანი მხოლოდ ტანსაცმლით ფასდება, შენ მხოლოდ ტანსაცმლის ფასი ღირხარ. რაღა საკვირველია, რომ ახალგაზრდობა ითვისებს ამ ბრძნულ გაკვეთილებს, იგი მხოლოდ ჩაცმულობას აფასებს და ადამიანის ღირსებაზე მისი გარეგნობის მიხედვით მსჯელობს.

მე რომ ამით გაფუჭებული ბავშვის გამოსწორება მომიხდეს, შევეცდები, მისი ყველაზე ძვირფასი ტანსაცმელი ძალზე უფრო მოუქნელი იყოს, აწუხებდეს, ბორკავდეს, და ათასნაირად აბრკოლებდეს; მისი საჩინოება ახრჩობდეს თავისუფლებას და სიხარულს; თუ მას-

ზე უბრალოდ ჩაცმულ ბავშვებში ჩაერია სათამაშოდ, ყველაფერი გაქრეს და მოისპოს წუთში. ბოლოს და ბოლოს მოვაბეზრებდი თავს, მისი ოქროთი ნაკერ ტანსაცმელს მონად გავიხდიდი და მის მშვენიერებას იმდენად შევაძულე, რომ სიცოცხლე გამწარებული ექნებოდა მისგან და უბნელესი საპყრობილე უფრო ტკბილი იქნებოდა მისთვის, ვიდრე მისი შემოსვის სამზადისი. ვიდრე ბავშვი ჩვენი მცდარი შეხედულების მონად არ გადაქცეულა, მისი უპირველესი სურვილია დამოუკიდებლობა და თავისუფლება: სულ უბრალო, მოხერხებული, რაც შეიძლება ნაკლებად მემბორკავი ტანსაცმელი, მას ყველაფერს ურჩევნია.

სხეულს ორგვარი რეჟიმი აქვს: ერთი ისეთი, რომელიც ვარჯიშს შეეფერება, მეორე კი – უმოქმედობას. ამ უკანასკნელმა, რათა სხეული ჰაერის ცვლილებისაგან დაიცვას, სითხეებს ნელ-ნელა და თანაბრად ამოდრავებს; პირველმა კი, რადგან მას სხეული განუწყვეტლივ გადაჰყავს მოქმედებიდან უმოქმედობაში, სიცივიდან სითბოში, უნდა მიაჩვიოს იგი ამ ცვლილებებს. გამოდის, რომ ვისაც შინ ჯდომა და მოსვენება უყვარს, ყოველთვის თბილად უნდა ეცვას, რათა სხეული თანაბარ ტემპერატურაზე შეინახოს, თითქმის უცვლელად ზამთარ-ზაფხულს და დილა-სალამოს. ის კი, ვინც ხან ქარში, ხან მზეში, ხან კი წვიმაშია, ვინც ბევრს მოქმედებს და უმეტეს დროს ღია ჰაერზე ატარებს, მუდამ მსუბუქად უნდა იყოს ჩაცმული, რომ მიეჩვიოს ყოველგვარ ცვლილებას და ყოველგვარ ტემპერატურას. ვურჩევდი ერთსაც და მეორესაც ზამთარ-ზაფხულ ერთი და იგივე ტანსაცმელი ატარონ და ჩემი ემილიც სწორედ ასე მოიქცევა მუდამ; ამით იმის თქმა კი არ მინდა, ზაფხულში საზამთრო ტანსაცმელში ივლის, როგორც შინ მჯდომი ხალხი, არამედ ზამთარში საზაფხულო ტანსაცმელს ატარებს, როგორც მშრომელი ხალხი. ამ წესს მისდევდა მთელი თავისი სიცოცხლე ნიუტონი და მან ოთხმოცი წელი იცოცხლა.

იშვიათად ან სულაც ნუ დაიხურავთ ქუდს ნურც ერთ სეზონში. ძველად ეგვიპტელები მუდამ თავშიშველი დადიოდნენ; სპარსელებს კი დიდი ტიარები ეხურათ თავზე, რაც შარდენის აზრით, მათი ქვეყნის ჰავის გამო იყო აუცილებელი. სხვა ადგილას უკვე აღვნიშნე განსხვავება სპარსელებსა და ეგვიპტელების თავის ქალას შორის, რომელიც ჰეროდოტემ მათი ბრძოლის ველზე შეამჩნია. რადგან

საჭიროა, თავის ძვლები რაც შეიძლება მეტად გამაგრდეს, გამკვრივდეს, ნაკლებად მქისე და მჩატე იყოს, რომ უკეთ დაიცვას თავის ტვინი არათუ მხოლოდ ჭრილობისაგან, არამედ სურდოს, ფლუსისა და ჰაერის ზეგავლენისაგან, მივაჩვიოთ ბავშვი მუდამ უქუდობას, ზამთარშიც და ზაფხულშიც, დღისითაც და ღამითაც. თუ მაინც-ღამაინც გინდათ ღამით რამე დაახურეთ, რომ თავი სუფთად ჰქონდეს და თმებიც არ აეწეწოს, დაახურეთ რაიმე თხელი ნაქსოვი ქუდი, მსგავსად იმ თხელი ბადისა, რომლითაც ბასკები იფარავდნენ თმას. ვიცი, რომ დედების უმრავლესობას, რომელზედაც მარდენის დაკვირვება უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე ჩემი არგუმენტები, ყველგან სპარსეთის ჰავა ჰგონია; მაგრამ მე იმისთვის კი არ ამირჩევია ევროპიელი შევირდი, რომ იგი აზიელი გამეხადა.

ბავშვებს ჩვეულებრივ, ზედმეტად თბილად ახვევენ, მეტადრე ადრეულ ასაკში. უკეთესი იქნება მივაჩვიოთ სიცივესა და სიცხეს; დიდი სიცივეც ვერ ავნებს ბავშვს, თუ იგი თავიდანვე შეაჩვიე; მაგრამ მათი კანის ქსოვილი ჯერ კიდევ იმდენად აზიზია და სუსტი, რომ მასში ძლიერი აორთქლება ხდება და ძლიერი სიცხე აუცილებლად ასუსტებს სხეულს. შენიშნულია აგრეთვე, რომ აგვისტოში უფრო მეტი ბავშვი კვდება, ვიდრე სხვა თვეებში. ამის გარდა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხალხთა შედარების გზით თითქოს დამტკიცებულია, რომ ზედმეტი სიცივე უფრო ამაგრებს ადამიანს, ვიდრე ზედმეტი სითბო. მაგრამ ბავშვი იზრდება, მისი სხეულიც მაგრდება და იგი ცოტ-ცოტა უნდა შეაჩვიო მზის სხივებს; ტროპიკულ ჰავასაც აიტანს უვნებლად, თუ თანდათან შეაჩვიე.

ლოკი, მრავალ საქმიან და გონიერ მითითებას გვაძლევს, მაგრამ ისეთ წინააღმდეგობაში ვარდება, რომელსაც არ ელი ასეთი ზუსტი მოაზროვნისაგან. აი, ამ კაცს, რომელიც მოითხოვს, რომ ბავშვი ზაფხულში ყინულიან წყალში ვაბანაოთ, არ უნდა, რომ ბავშვმა ცივი წყალი დალიოს ნაოფლარზე ან ნესტიან ადგილას მიწაზე დაჯდეს¹⁹. მაგრამ რაკი მას არ უნდა, რომ ბავშვების ფეხსაცმელებში ყოველთვის წყალი გადიოდეს, განა, ნაოფლარზე არ გავა იქ წყალი? და, განა, არ შეიძლება ისეთივე დასკვნა გამოვიტანოთ სხეულზე ფეხების მიხედვით, რაც მას ფეხების შესახებ გამოჰყავს ხელების მიმართ და სხეულის შესახებ სახის მიმართ. მას ვეტყვოდი, თუ გინდოდათ,

რომ ადამიანი მთლად სახე იყოს, რატომ მკიცხავთ მე, რომელსაც მინდა, რომ ადამიანი მთლად ფეხები იყოს.

ნაოფლარზე ბავშვმა რომ არ დალიოს წყალი, ლოკი მოითხოვს შევაჩვიოთ იგი – წყლის დაღვეის წინ ერთი ნაჭერი პური შეჭამოს. ძლიერ უცნაურია სწორედ: ბავშვს სწყუროდეს, ჩვენ კი საჭმელს ვაძლევდეთ; ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, რომ მშვიერ ბავშვს ვასვათ წყალი. ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებები უთადარიგო იყოს, რომ მათი დაკმაყოფილება სიკვდილს გვიქადდეს. ეს რომ ასე იყოს, ადამიანის მოდგმა ათასჯერ გადაშენდებოდა, ვიდრე გავიგებდით, თუ რა არის საჭირო დღევრძელობისათვის.

მე მინდა, რომ ემილს ყოველთვის ასვან წყალი, როცა კი წყურვილს იგრძნობს; მინდა, რომ მას წმინდა და ყოვლად შეუშხადებელი წყალი ასვან, არც კი გაუთბონ, მთლად ოფლად რომ იღვრებოდეს და შუა ზამთარიც რომ იყოს. ერთადერთი რჩევა ჩემი ის იქნება, რომ წყლის ხარისხი გავარჩიოთ. თუ მდინარის წყალს ასმევთ, ასვით მაშინვე, როგორც კი ამოიღებთ მდინარიდან; თუ წყაროს წყალია, მაშინ საჭიროა წყალი ცოტა ხანს ჰაერზე გააჩეროთ, ვიდრე დააღვეინებდეთ. თბილ სეზონში მდინარის წყალი თბილია: სულ სხვაა წყაროს წყალი, რომელსაც ჰაერი არ წაჰკარებია; უნდა დაიცადო, რომ ატმოსფეროს ტემპერატურა მიიღოს. ზამთარში კი, პირიქით, წყაროს წყალი ამ მხრივ ნაკლებად საშიშია, ვიდრე მდინარისა. მაგრამ იშვიათია, რომ ზამთარში ოფლიანი იყო, მეტადრე ღია ჰაერზე, რადგან ცივი ჰაერი განუწყვეტლივ ეხება კანს, შიგნით აბრუნებს ოფლს და საშუალებას არ აძლევს ფორებს იმდენად გაიხსნან, რომ ოფლი თავისუფლად გამოვიდეს და მე ხომ იმის მომხრე არა ვარ, რომ ემილმა თბილი ბუხრის წინ ივარჯიშოს, არამედ, გარეთ, ჰაერზე, თოვლში. სანამ იგი თოვლა-გუნდაობის თამაშში ხურდება, ასვით წყალი, თუკი მოსწყურდება, და განავრძოს თამაში მერეც, ნურაფრის შეგემინდებათ. თუ რაიმე სხვაგვარ ვარჯიშში გაოფლიანდა და წყალი მოსწყურდა, დალიოს ცივი წყალი აქვე, ოღონდ ისე მოაწყეთ, რომ წყლის საშოვნელად კარგა დიდი მანძილი გაიაროს ნელი ნაბიჯით. რადგან სიცივეა, იგი საკმაოდ გავრილდება ამასობაში და უვნებლად შეუძლია დალიოს წყალი. არ შეამჩნევინოთ ეს წინასწარი ღონისძიებები. მირჩევნია ზოგჯერ

ავად გახდეს კიდევ, ვიდრე ყოველ წუთში თავის ჯანმრთელობაზე ფიქრობდეს.

ბავშვისთვის ხანგრძლივი ძილია საჭირო, რადგან იგი ძლიერ ბევრს მოძრაობს. ესენი ერთმანეთს ავსებენ. ამიტომაც არის, რომ ბავშვს ორივე სჭირდება. მოსვენების დრო ღამეა და ის თვით ბუნებას დააწესა. საერთოდ დადასტურებულია, რომ ძილი მაშინ არის უფრო მშვიდი და ტკბილი, როცა მზე ჰორიზონტის ქვეშ არის და მზის სხივებით გახურებული ჰაერი არ აცლის ჩვენს გრძნობებს სრულ მოსვენებას. ამიტომ ყველაზე უფრო სადი ჩვეულებაა დაწოლა და ადგომა მზის ჩასვლასა და ამოსვლასთან ერთად. აქედან გამომდის, რომ ჩვენს კლიმატურ პირობებში ადამიანიც და ცხოველებიც საერთოდ ზამთარში უფრო ხანგრძლივ ძილს საჭიროებენ, ვიდრე ზაფხულში. მაგრამ ჩვენი სამოქალაქო ცხოვრება არ არის იმდენად სადა, იმდენად ბუნებრივი, იმდენად დაცული ყოველგვარი ცვლილებისა და შემთხვევითობისაგან, რომ შეიძლებოდეს ადამიანი ასეთ თადარიგს მიაჩვიოთ და იგი მისთვის აუცილებლობად გადააქციოთ. უეჭველია, წესებს უნდა ემორჩილებოდე, უპირველესი წესია, შეგეძლოს დაარღვიო ეს წესები ურისკოდ, როდესაც საჭიროება მოითხოვს, ნუ გაანაზებთ თქვენს შეგირდს დაუსრულებელი, მოსვენებული ძილით, რომელსაც არასოდეს აფრთხობენ. უწინარეს ყოვლისა, ბუნების კანონს მიანდეთ იგი მთლად; მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს პირობებში იგი ამ კანონზე მალე უნდა იდგეს: შეეძლოს გვიან დაწოლა, ადრე ადგომა, სწრაფად გაღვიძება, უვნებლად ღამის გატეხა, თუ ამ საქმეს დროზე შეუდგები, მუდამ ნელა და ნაბიჯით ივლი, შეიძლება ტემპერამენტი ისეთ რამეებს მიაჩვიო, რაც ავნებდა მას, უკვე გაფორმებული რომ ყოფილიყო.

საჭიროა, თავიდანვე მიაჩვიო მაგარ საწოლს; ეს იმის საშუალებაა, რომ არც ერთი საწოლი აღარ მოეჩვენოს შემდეგში ცუდად.

საერთოდ, მძიმე ცხოვრება, თუ იგი ჩვეულებად გადაექცა, გაუთავკეცებს სიამოვნებას; განებვირებული ცხოვრება კი უამრავ უსიამოვნებას უქადის. აზიზად გაზრდილი ადამიანი ვერ დაიძინებს, თუ ბუმბულში არ ჩააწვინე; ფიცარზე წოლას მიჩვეული ადამიანი ყველგან დაიძინებს; რა არის მაგარი საწოლი იმისათვის, ვისთვისაც ბალიშზე თავის დადება და ძილი ერთია.

რბილი საწოლი, სადაც კაცი ბუმბულშია ჩაფლული, აღუნებს და შლის სხეულს. ძალზე თბილად გახვეული წელი ხურდება. აქედან კი ხშირად ჩნდება ქვები ან სხვა სნეულებები და უსათუოდ სუსტი აგებულება, რომელიც ასაზრდოებს ყველა ამათ.

საუკეთესო საწოლია, რომელიც ძილს მოგვცის. აი, სწორედ ასეთ საწოლს ვამზადებთ ემილი და მე დღისით. ჩვენთვის არ არის საჭირო, რომ სპარსეთის მონებმა დაგვიგონ ლოგინი: მიწას რომ ვაბრუნებთ, ჩვენს ლეიბებსაც ვასწორებთ.

გამოცდილებით ვიცი, რომ, თუ ბავშვი ჯანსაღია, შეგიძლია თითქმის შენს ნებაზე დააძინო და გააღვიძო. როცა ლოგინში მწოლიარე ბავშვი თავს აბეზრებს გამდელს ყბედობით, იგი ეტყვის ხოლმე: დაიძინე. ეს იგივეა, რომ უთხრას „მორჩი“, როცა იგი ავად არის. საუკეთესო საშუალებაა მის დასაძინებლად – მოაბეზრო თავი. ელაპარაკე იმდენი, რომ იგი ძალაუნებურად გაჩუმდეს და სულ მალე დაიძინებს: ქადაგება ზოგ რამეში გამოსადეგია მაინც; სჯობს უქადაგო, ვიდრე არწიო; მაგრამ ღამით თუ ხმარობთ ამ ნარკოზს, დღისით უნდა ერიდოთ მის ხმარებას.

ზოგჯერ ვაღვიძებ ემილს იმისათვის კი არა, რომ ხანგრძლივ ძილს არ მიეჩვიოს, არამედ უფრო იმისათვის, რომ ყველაფერს მიეჩვიოს, – უეცარ გაღვიძებასაც. ამას გარდა, ძლიერ დიდ უნიჭობას გამოვიჩინე, თუ ვერ შევაჩვიე იგი თავისით გაღვიძებას და ადგომას, ასე ვთქვათ, ჩემს ნებაზე, უთქმელად.

თუ მას არ სძინავს რამდენიც საჭიროა, ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ხვალ მოსაწყენ დილას მოელოდეს, და ამიტომ მოგებულად ჩათვლის მთელ იმ დროს, რომელსაც ძილში გაატარებს. თუ ზედმეტი სძინავს, სახვლიოდ სასიამოვნო გასართობს ვუმზადებ. თუ მინდა, რომ იგი დანიშნულ დროზე აღდგეს, ვეუბნები: „ხვალ ექვს საათზე თევზის საჭერად მივდივართ, ამა და ამ ადგილას მივდივართ სასეირნოდ; გინდა წამოხვიდე?“ იგი თანახმაა, მთხოვს გავაღვიძო: დავპირდები ან არ დავპირდები, როგორც საჭირო იქნება; თუ გვიან გამოიღვიძა, უკვე წასული ვიქნები. დიდი უბედურება იქნება მისთვის, რომ სულ მალე ადრე ადგომას არ მიეჩვიოს.

თუ რომელიმე მძიმე ბავშვმა, რაც ძლიერ იშვიათია, სიზარმაცეს მისცა თავი, არ უნდა აჰყვეს ამ მიდრეკილებას, რადგან ეს მთლად გამოატყინებს მას, რამე სტიმულატორებს უნდა მიმართო, რომ გა-

მოაცოცხლო. ცხადია, საქმე ის კი არაა, რომ ძალით აამოქმედო, არამედ ისეთი ხალისი გაუჩინო, რომელიც მას აამოძრავებს, და ეს ხალისი, თუ იგი ჭკუით აირჩიე და ბუნებრივია, ერთის დაკვრით ორ მიზანს მიგვალწევინებს.

ვერ წარმომიდგენია, ცოტაოდენი მოხერხება თუ გაქვს, ვერ ჩაუწერგო ბავშვს რაიმე ხალისი, ძლიერი გატაცებაც კი, ისე, რომ არც პატივმოყვარეობა, არც ჯიბრი, არც შური გაუჩნდეს. ამისათვის საკმარისია მათი სიმკვირცხლე, წამბაძველობა; მეტადრე მათი ბუნებრივი მხიარულობა, უტყუარი იარაღი, რომელიც აღმზრდელებს ვერასოდეს მოუხერხებიათ. ყოველ თამაშში, თუკი ბავშვი დარწმუნებულია, რომ ეს თამაშია, იგი უსიტყვოდ, სიცილითაც კი, აიტანს ისეთ რამეს, რაც სხვა დროს უეჭველად ცრემლებს დააღვრევინებდა. ხანგრძლივი უჭმელობა, ცემა, დაწვა, სხვადასხვაგვარი დადლილობა – ეს არის ახალგაზრდა ველურების გასართობი – საბუთი იმისა, რომ თვითონ ტკივილს აქვს ისეთი საკმაზი, რაც სიმწარეს სპობს, თუმცა ყველა აღმზრდელმა კი არ იცის მისი შეშალება და არც ყველა მოწაფემ – მისი გადაყლაპვა ისე, რომ არ დაიჭყანოს. თუ არ გავუფრთხილდი, ისეც გამონაკლისებში აღმოვჩნდები.

მაგრამ არავითარ გამონაკლისს არ ითმენს ადამიანის დამორჩილება ტკივილებსადმი, მისი გვარის ყოველგვარი გაჭირვებისადმი, ფათერაკისა და ხიფათისადმი, დაბოლოს, სიკვდილისადმი, რაც უფრო მეტად შეარჩევ ამ იდეებს, მით უფრო მეტად განკურნავ იმ სამძიმო მგრძნობიარობისაგან, რომელიც ტანჯვას ზედ მოუთმენლობას უმატებს; რაც უფრო მეტად შეაჩვევ ტანჯვას, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს, მით უფრო წაართმევ მათ, როგორც მონტენი იტყოდა, უცხოობის სიმწვავეს და მით უფრო უვნებელი და მტკიცე იქნება სული. მისი სხეული აბჯრად იქცევა და გატყორცნის ისრებს, რომელთაც შეუძლიათ ვნება მიაყენონ. ის ვერ იგრძნობს თვით სიკვდილის მოახლოვებასაც, რადგან ეს უკვე სიკვდილი კი აღარ იქნება, როგორც ასეთი; ის ასე ვთქვათ, არ მოკვდება, იქნება ან ცოცხალი, ან მკვდარი, მეტი არაფერი. იმავე მონტენს შეუძლია თქვას მასზე, როგორც ერთ მაროკოელ მეფეზე თქვა (წიგნი II, თ, 21), – სიკვდილის ხარჯზე არავის უცხოვრია. სიმტკიცე და სიმაგრე, ისევე, როგორც სხვა სათნოებანიც, ბავშვობაშია ნასწავლი; მაგრამ ამას

სახელების სწავლებით კი ვერ ჩაუნერგავ, უნდა გამოაცდევინო ისინი ისე, რომ თვითონაც არ იცოდეს, რა არის.

მაგრამ სიკვდილის საკითხთან დაკავშირებით, როგორ მოვიქცეთ იმ საშიშროების მიმართ, რომელიც ბავშვს ყვავილისაგან მოვლის? უმცროს ასაკშივე ავცრათ ყვავილზე თუ დავუცადოთ, ბუნებრივად შეეყაროს? პირველი გზა, უფრო შეფერებული ჩვენს პრაქტიკასთან, უზრუნველყოფს საშიშროებისაგან იმ ასაკს, როცა სიცოცხლე განსაკუთრებით ძვირფასია და გადააქვს რისკი იმ ასაკზე, როცა მისი ფასი ნაკლებია, თუკი შეიძლება საერთოდ სწორად გაკეთებულ აცრას რისკი ეწოდოს. მაგრამ მეორე გზა უფრო შეფერება ჩვენს ზოგად პრინციპებს: დავაცადოთ ბუნებას, რომელსაც თავისთავად უყვარს ზრუნვა და იმწამსვე გადგება ხოლმე განზე, როგორც კი ადამიანი ჩარევას მოინდომებს. ბუნებრივია, ადამიანი მუდამ მომზადებულია, დაე, თვით მისმა პატრონმა აცრას, ის ჩვენზე უკეთესად აარჩევს დროს.

ნურავინ იფიქრებს, რომ მე აცრას ვაძაგებ; რადგან საბუთები, რომლებიც მე მომყავს, ჩემი შევირდი აცრას რომ გადავარჩინო, სრულებით არ უდგება თქვენს მოსაზრებებს. თქვენი აღზრდა ამზადებს შევირდებს იმისათვის, რომ ისინი არ გაექცნენ ყვავილს, როცა იგი შეეყრება მათ; თქვენ რომ მისცეთ საშუალება მოულოდნელად მოვიდეს, ისინი უთუოდ დაილუპებიან. ვხედავ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მით უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ აცრას, რაც უფრო აუცილებელი ხდება იგი, და ეს ადვილი გასაგებიცაა. არც მე ვთვლი საჭიროდ ამაზე ლაპარაკს ემილის მიმართ. მას აცრიან ან არ აცრიან ყვავილზე, ეს დროის, ადგილისა და გარემოებების საქმეა: ეს მისთვის თითქმის სულერთია. თუ აცრეს, მას უპირატესობა ექნება, რომ წინასწარ გაითვალისწინებს სენს; ეს უკვე რამედ ღირს; მაგრამ თუ ყვავილი ბუნებრივად შეეყარა, იგი ექიმს გადავარჩინეთ, და ეს უფრო მეტი ღირს.

საგანგებო აღზრდა, რომლის მიზანიც მხოლოდ ისაა, რომ თავისი შევირდი ხალხისაგან განასხვავოს, ყოველთვის უფრო ძვირ მეთოდებს ირჩევს, ვიდრე ჩვეულებრივ და ამიტომ უფრო სასარგებლოს. ასე, მაგალითად, წარჩინებულად აღზრდილ ახალგაზრდას ყოველთვის ცხენზე ჯდომას ასწავლიან, რადგან ეს ძვირი ჯდება; ხოლო თითქმის არასოდეს ასწავლიან ცურვას, რადგან ეს არაფერი

არ ღირს და ყოველ ხელოსანს შეუძლია იგი სხვასავით კარგად ისწავლოს. მიუხედავად ამისა, ყოველი მოგზაური მშვენიერად ჯდება ცხენზე, ზის ზედ და მართავს როგორც უნდა, თუმცა ცხენოსნობის აკადემია არ გაუვლია, წყალში კი დაიხრჩობი, თუ ცურვა არ იცი, და ცურვა არ გეცოდინება, თუ იგი არ გისწავლია. დაბოლოს, რა გაჭირვება უნდა შეგემთხვეს ისეთი, რომ ცხენზე შეჯდომით გადაიჩინო თავი; სამაგიეროდ ვინ არის დაზღვეული იმ ხიფათისაგან, რომელიც ყველას ხშირად მოგვდის? ემილისთვის წყალი და ხმელეთი ერთი იქნება. რატომ არ უნდა შეეძლოს ყველა სტიქიაში ცხოვრება. რომ შეიძლებოდეს ჰაერში ფრენის სწავლება, მას არწივად ვაქცევდი; სალამანდრად ვაქცევდი, ადამიანი რომ ცეცხლში გაძლებდეს.

შიშობენ, ბავშვი არ დაიხრჩოს ცურვის სწავლაში: ცურვის სწავლაში დაიხრჩობა თუ ცურვის უსწავლელობისაგან, ორივე თქვენი ბრალი იქნება. მხოლოდ პატივმოყვარეობა არის ის, რაც ჩვენ თავხედებად გვაქცევს. არავინ არ თავხედობს, თუ მას ვინმე არ უცქერის, ემილი კი არ ჩაიდენს თავხედობას, მთელი ქვეყანაც რომ უცქერდეს მას. რადგან ვარჯიში არ არის დამოკიდებული რისკზე, მამამისის ტბაში ისე კარგად გაეჩვია ცურვას, რომ ჰელლესპონტსაც კი გადაცურავს; მაგრამ რისკსაც უნდა შეაჩვიოთ, რომ არ დაიბნეს გაჭირვებაში. ეს არსებითი ნაწილია იმ სწავლებისა, რომლებზედაც ახლა ვლაპარაკობ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ, თუ სამიშროების სიდიდეს კარგად შევუფარდებ მის ძალებს და ვიქნები ყოველგვარ ხიფათში მასთან ერთად, აღარც იმის შიში მექნება, რომ თავს ხიფათში ჩაიგდებს, რადგან მასზე და ჩემს საკუთარ თავზე ზრუნვა ჩემთვის ერთი იქნება.

ბავშვი მოწიფულზე უფრო პატარაა; მას არც ძალა აქვს იმდენი და არც გონება; მაგრამ ისევე ან თითქმის ისევე კარგად ხედავს და ესმის; მას ისეთივე მგრძნობიარე გემო აქვს, ოღონდ ნაკლებად სენსუალური. ყველაზე ადრე ჩვენში შეგრძნების უნარი ყალიბდება და ვითარდება. სწორედ პირველ რიგში მათი კულტურაა საჭირო და სწორედ ისინია დავიწყებული ან ყველაზე მეტად უგულებელყოფილი.

გრძნობათა გავარჯიშება მათ გამოყენებას კი არ ნიშნავს მხოლოდ, არამედ იმასაც, რომ მათი საშუალებით სწორი მსჯელობა ის-

წავლო, შეითვისო, ასე ვთქვათ, შეგრძნება, რადგან ჩვენ მხოლოდ ისე ვიცით შეხება, ხედვა სმენა, როგორც გვისწავლია.

არის წმინდა ნატურალური და მექანიკური ვარჯიში, რომელიც ამავრებს სხეულს, მაგრამ გონებას არაფერს მატებს; ცურვა, სირბილი, ხტომა, ქვების სროლა, – ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ განა ხელებისა და ფეხების მეტი ჩვენ არაფერი გვაქვს? განა არ გვაქვს თვალი, ყური? და განა ეს ორგანოები სრულიად ზედმეტი რამ არის ფეხისა და ხელის ხმარებისას? მაშასადამე, მარტო ძალები კი არა, ყველა გრძნობა უნდა ავარჯიშო, რომლებიც წარმართავენ მათ; ამოწურეთ თითოეული მათგანი რამდენადაც კი შეიძლება, შემდეგ ერთი გზით მიღებული შთაბეჭდილება მეორის საშუალებით შეამოწმეთ. ზომეთ, თვალეთ, წონეთ, შეადარეთ. ნუ გამოიყენებთ ძალას, ვიდრე წინააღმდეგობას არ გამოარკვევთ. ისე მოიქეცით ყოველთვის, რომ შედეგის შეფასება საშუალებათა გამოყენებას უსწრებდეს. დააინტერესეთ ბავშვი, რომ არც დააკლოს და არც ზედმეტი ენერგია დახარჯოს. თუკი ბავშვს ყველა მისი მოძრაობის შედეგის გათვალისწინებისა და გამოცდილების გზით შეცდომების გასწორებას აჩვენებთ, განა ცხადი არ არის, რომ რაც უფრო მეტს იმოქმედებს, მით უფრო გონიერი გახდება.

ვთქვათ, დასაძრავია მასა; თუ ძლიერ გრძელი ბერკეტი აიღე, ზედმეტი მოძრაობა დასჭირდება, თუ ძლიერ მოკლე, ძალა არ ეყოფა; გამოცდილების საშუალებით მას შეუძლია შეეჩვიოს საჭირო ზომის ჯოხის არჩევას. მაშასადამე, ეს სიბრძნე არ აღემატება მის ასაკს. სიმძიმეა გადასატანი; თუ მას მხოლოდ ისეთი სიმძიმის აწევა სურს, რომელსაც გაუძლებს, და არც კიდებს ხელს ისეთს, რომელსაც ვერ გაუძლებს, განა მას არ უნდა შეეძლოს სიმძიმის თვალთ გაზომვა? თუ ერთი და იმავე მასალის, ოღონდ სხვადასხვა მოცულობის მასების შედარება იცის, გაარჩიოს ერთი და იმავე მოცულობის, ოღონდ სხვადასხვა მასალის მასები: შედარების დროს მათი ხვედრითი წონა უნდა გამოიყენოს. მე შემხვდა ერთი ძლიერ კარგად აღზრდილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არ სჯეროდა, ვიდრე თავად არ დარწმუნდა, რომ მუხის მსხვილი ბურბუშელათი სავესე კასრი უფრო მსუბუქია, ვიდრე წყლით სავსე.

ჩვენ როდი ვართ ერთნაირად დაუფლებული ყველა შეგრძნებას. არის ერთი შეგრძნება, სახელდობრ, შეხება, რომელიც მუ-

დამ მოქმედებს, ვიდრე ფხიზელი ვართ; იგი მოიცავს ჩვენი სხეულის მთელ ზედაპირს, თითქოს მუდმივი დარაჯიანო, რომ გაგვაფრთხილოს, თუკი რამე საშიშროება მოგველის. ამას გარდა, მისი მუდმივი ვარჯიშის წყალობით, გვინდა თუ არ გვინდა, ყველაზე უფრო ადრე ვეჩვევით მის გამოყენებას და არც გვჭირდება, მაშასადამე, მისი საგანგებო გაწვრთნა. და მაინც ცნობილია, რომ ბრმას შეხების შეგრძნება უფრო სწორი, უფრო ზუსტი აქვს, ვიდრე ჩვენ, იმიტომ რომ, რადგან თვალი არ შევლის, იგი იძულებულია ისწავლოს, რომ შეხების შეგრძნებიდან გამოჰქონდეს ის, რასაც ჩვენ სხვა შეგრძნება გვეუბნება, მაშ, რატომ არ გვასწავლიან მისებრ სიბნელეში სიარულს, იმ საგნების ცნობას, რომლებსაც შევეხებით, ჩვენს ირგვლივ მყოფ საგნებზე მსჯელობას, ერთი სიტყვით, ღამით და უსინათლოდ იმის კეთებას, რასაც იგი დღისით და უთვალოდ აკეთებს? ვიდრე მზე ანათებს, ჩვენ ვჯობნით მას; სიბნელეში კი, პირიქით, ის არის ჩვენი გამძლეობი. ჩვენი სიცოცხლის ერთი ნახევარი ბრმები ვართ; ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნამდვილი ბრმა ყოველთვის ერკვევა, ჩვენ კი ღამით ერთი ნაბიჯის გადადგმასაც კი ვერ ვბედავთ. სანთელი ხომ გვაქვსო, მეტყვიან, დიახ, მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ ისინი გამომყვებიან უკან ყველგან, სადაც კი დაგვჭირდება. მე კი მიჩვენია, რომ ემილს თვალეები თითების წვერზე ჰქონდეს, ვიდრე სანთლების ღუქანში.

ვთქვათ, ჩაკეტილი ხარტ ღამით შენობაში; ტაში დაჰკარით, რეზონანსი გაგარკვევინებთ, დიდია ოთახი თუ პატარა, შუაში ხარტ თუ კუთხეში. კედელს რომ ნახევარ ფუტზე მიუახლოვდე, ჰაერი სხვანაირად მოგხვდება სახეზე, რადგან იქ ის ნაკლებად მკვრივია და უფრო ადვილად უკუვარდება. გაჩერდით ერთ ადგილას და მიაბრუნეთ პირი ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს, თუ სადმე ღია კარია, ჰაერის ნელი ტალღა გაგრძნობინებს მას, როცა ნავეში ზიხართ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გცემთ სახეში ჰაერი, გამოარკვევთ არა მხოლოდ მოძრაობის მიმართულებას, არამედ იმასაც, სწრაფად მიაქვს ნავი წყალს თუ ნელა. ასეთ და ათას ამგვარ დაკვირვებას მხოლოდ ღამით თუ მოახდენთ კარგად, რაგინდ ყურადღებით დააკვირდე დღისით, შეგვემელება მხედველობა, თუ ხელს შეგვიშლის, მაინც ვერ შევნიშნავთ. ამასობაში კი, აქ არც ხელია ჯერ და არც ჯიხი. რამდენი ოპტიკური ცოდნა შეიძლება შეიძინო შეხების საშუალებით,

ხელიც რომ არ ახლო არაფერს. ღამის თამაში! ეს განცხადება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩანს. ადამიანებს და ზოგჯერ ცხოველებსაც²⁰ ღამის ბუნებრივი შიში აქვთ. გონება, ცოდნა, ჭკუა, სიმამაცე, თითქმის ვერაფერს ვერ შევლის. მე მინახავს რეზონიორები, ჭკვიანი ხალხი, ფილოსოფოსები, მხედრები, რომლებიც დღისით ვაჟკაცები იყვნენ, ღამით კი ქალივით კანკალებდნენ შიშისაგან, ფოთოლი რომ განძრეულიყო. ამ შიშს ძიძის ზღაპრებს აბრალებდნენ. ეს არ არის სწორი: ამას ბუნებრივი მიზეზი აქვს. რა მიზეზია? იგივე, რაც მუნჯს აეჭვიანებს და ხალხს ცრუმორწმუნედ აქცევს: არ ვიცნობთ ჩვენს გარშემო მდებარე საგნებს და არ ვიცით, რა ხდება გარშემო,²¹ ვინაიდან ჩვენ მიჩვეული ვართ საგნების შორის ხედვას და მათ შორიდან გამოცნობას წინდაწინვე, როგორ შეიძლება, რომ ათასი რამ და ათასი მოძრაობა არ მომეჩვენოს საშიშარი და უსამველო, თუ ჩემ ირგვლივ ველარ ვხედავ ვერაფერს? ვთქვათ, კარგად ვიცი, რომ სრულიად უშიშარ ადგილას ვარ, მაგრამ იმდენად დარწმუნებული მაინც არ ვარ, როგორც მაშინ, როცა აშკარად ვხედავ. მაშასადამე, ყოველთვის მაქვს შიშის საბაბი, დღისით კი არ მექნებოდა. მართალია, ვიცი, რომ ვერც ერთი უცხო სხეული ვერ შემეხება, თუ წინდაწინ რამე ხმაურობით ამ მაცნობა; ამიტომაც არის, რომ ყურებს დავცქვეტ ხოლმე. სულ მცირე ხმაურობაც რომ მომემას და მისი მიზეზი კი ვერ გავარკვიო, თავდაცვის ინსტინქტი, უპირველეს ყოვლისა, ყველგან საფრთხეს და, მაშასადამე, საშიშროებას მაფიქრებინებს.

მაგრამ, თუ ვერაფერი ვერ გავიგონე, ვერც მაშინ ვიქნები დამშვიდებული, რადგან ბოლოს და ბოლოს შეიძლება უხმაუროდაც დამატყდეს თავს რამე. საგნები ისეთი უნდა ვიგულისხმო, როგორც აქამდის იყვნენ და ახლაც უნდა იყვნენ, უნდა ვხედავდე იმას, რასაც ვერ ვხედავთ. ამგვარად, იძულებული ვიყავი ამემოქმედებინა ჩემი ფანტაზია, მაგრამ მისი ბატონ-პატრონი აღარ ვარ, და ის, რაც მე ჩემ დასამშვიდებლად ვქენი, უფრო მეტად მადლევებს. თუ ხმაურობა გავიგონე, ქურდები მგონია; თუ არაფერი მესმის, ფანტომებს ვხედავ: იმ სიფხიზლემ, რომელიც თვითდაცვის სურვილმა შთამაგონა, მხოლოდ შიშის საბაბი გამიჩინა. ჩემი დასამშვიდებელი წამალი მხოლოდ გონებას აქვს, უფრო ძლიერი ინსტინქტი კი სულ

სხვას მეუბნება, ვიდრე იგი. რა საჭიროა იმის ფიქრი, რომ საშიში არაფერია, თუკი გასაკეთებელიც არაფერი გვექნება?

რაკი სენის მიზეზი მოინახა, იგი წამალსაც გვეტყვის. ჩვეულებად ყოველთვის კლავს ფანტაზიას; მხოლოდ ახალ ობიექტებს შეუძლია მისი ხელახლა გაღვიძება. იმის მიმართ, რასაც ყოველდღე ხედავ, ფანტაზია კი აღარ მოქმედებს ხოლმე, არამედ – მესხიერება; და ეს არის სწორედ საფუძველი აქსიომისა: *Ab assuentis non lit passio*²², რადგან ვნებებს მხოლოდ ფანტაზია უნთებს ცეცხლს. მაშ, ბერს ნუ ელაპარაკებით იმას, ვინც სიბნელის შიშისაგან გინდათ იხსნათ; ხშირად ამყოფეთ სიბნელეში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს ხერხი ყველა ფილოსოფიურ არგუმენტს სჯობს. სახურავის ოსტატს თავი არ უბრუის და სიბნელის არ ეშინია იმას, ვინც მიჩვეულია სიბნელეში ყოფნას.

აი, კიდევ ერთი სასარგებლო მხარე ღამის თამაშისა, რომელიც უნდა მიემატოს პირველს; მაგრამ ასეთი თამაშის წარმატებით ჩასატარებლად, დაჟინებით გირჩევდით მხიარულებას. სიბნელეზე უსიამოვნო არაფერია, სარდაფში კი არ ჩაკეტოთ თქვენი ბავშვი, დაე, სიცილით შევიდეს სიბნელეში; გამოსვლის წინ კიდევ ერთხელ გაიცინოს; ვიდრე იგი სიბნელეშია, ამ სიამოვნების იდეამ, რომელიც მიატოვა და რომელიც კვლავ ელის, უნდა დაიცვას იგი ფანტასტიკური სახეებისაგან, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეს მას აქ.

ჩვენს ცხოვრებაში არის ერთი მომენტი, რომლის შემდეგ სულ უკან-უკან იხევ, რამდენსაც წინ მიდიხარ. ვგრძნობ, რომ გადავციდი ამ ზღვარს. მე, ასე ვთქვათ, თავიდან ვიწყებ სხვა ხელობას. მოწიფულობის უდაბნო, რომელსაც ჩემ გარშემო ვხედავ, ადრინდელი ბავშვობის ტკბილ დროს მაგონებს. სიბერისას ისევ ბავშვობაში ვვარდები, და უფრო მეტი სიამოვნებით ვიგონებ იმას, რაც ათი წლისას ჩამიდენია, ვიდრე ოცდაათი წლისას. მაშ, მკითხველო, ნუ მიწყენ, რომ ზოგჯერ ჩემი საკუთარი ცხოვრების მაგალითები მომყავს, ვინაიდან, რათა ეს წიგნი კარგად დავწერო, სიამოვნებით უნდა ვწერო იგი.

მე, ვიზრდებოდი სოფელში ერთ მღვდელთან, რომლის გვარი იყო ბ. ლამბერსიე. მყავდა ერთი ამხანაგი, ჩემი კუზენი, ჩემზე უფრო მდიდარი, რომელსაც ისე ეპყრობოდნენ, როგორც მემკვიდრეს, მე კი, მამაჩემს მოშორებული, საცოდავი ობოლი ბავშვი ვიყა-

ვი და მეტი არაფერი. ჩემი წარჩინებული კუზენი ბერნარი ძალიან მშიშარა იყო, მეტადრე ღამით. იმდენს დავცინოდი მას, რომ ბ. ლამბერსიემ, ჩემი ტრაბახით მობეზრებულმა, გადაწყვიტა ვაჟკაცობაში გამოვეცადე. ერთხელ, შემოდგომის ბნელ ღამეს, ლამბერსიემ მომცა საყდრის გასაღები და გამგზავნა ბიბლიის მოსატანად, რომელიც მას კათედრაზე დარჩენოდა. თანაც, ჩემი თავმოყვარეობის გასაღიზიანებლად რამდენიმე ისეთი სიტყვა დაუმატა, რომ უკან დახვევა შეუძლებელი იყო.

წავედი უსინათლოდ; სანთელი რომ მქონოდა, ვინ იცის, ეგებ უარესიც ყოფილიყო ჩემთვის. გზად სასაფლაო უნდა გამეგლო; მე მხიარულად გავიარე იგი, რადგან ღია ჰაერზე ღამის შიში არასოდეს არ მქონია.

კარს რომ ვაღებდი, გუმბათიდან რაღაც ხმაურობა მომესმა, რომელიც ადამიანის ხმას მივამსგავსე: ამან ცოტა არ იყოს, შეარყია ჩემი რომაული სიმტკიცე. კარი გავაღე, შესვლა დავაპირე, მაგრამ ერთი-ორი ნაბიჯი რომ გადავდგი, შევჩერდი. იმ წყვილადის დანახვაზე, რომელიც ამ უზარმაზარ სივრცეში სუფევდა, შიშმა ამიტანა და თმები ყალყზე დამიდგა; დავიხიე უკან, გამოვბრუნდი და მოვკურცხლე აკანკალებულმა. ეზოში პატარა ძაღლი, სახელად სულთანი, შემომხვდა; მისმა ალერსმა გული გამიმაგრა. დარცხვენილი ვბრუნდები ისევ უკან, ოღონდ ვცდილობ გავიყოლიო სულთანი, რომელმაც წამოსვლა არ მოისურვა. ერთბაშად შევვარდი კარებში, შევედი საყდარში. როგორც კი შევედი, შიშმა კვლავ ამიტანა, მაგრამ ისე ძლიერად, რომ თავი დამავიწყა; და, თუმცა, კათედრა მარჯვნივ იყო და ეს ძლიერ კარგად ვიცოდი, მაგრამ ჩემდა შეუფერებლად მარცხნივ შევუხვიე და დიდხანს ვეძებე იგი იქ. დავიბენი სკამებში, აღარ ვიცოდი სად ვიყავი და რადგან ველარც კათედრა ვიპოვე და ველარც კარი, გამოუთქმელ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ბოლოს, დავინახე კარი, ძლივს გამოვედი გარეთ და მოვდივარ ისე, როგორც პირველად და თან გადაწყვეტილი მაქვს, აღარასოდეს დავბრუნდე საყდარში ღამე მარტო.

მივედი სახლამდის, ის-ის იყო უნდა შევსულიყავი სახლში, რომ ბ. ლამბერსიეს ხმა და საშინელი ხარხარი შემომესმა. დამცინის, როგორ გამოვჩნდე-მეთქი, გავიფიქრე, და ვყოყმანობ, გავალო კარი თუ არა. ამასობაში მესმის, რომ მადმუაზელ ლამბერსიე წუხს ჩემზე, მო-

სამსახურეს უბრძანა სანათური წამოეღო, ბ. ლამბერსიე ჩემს საძებნელად აპირებს წამოსვლას, მას თან მოჰყვება ჩემი შეუდრეკელი კუზენი, რომელსაც შემდეგ მიაწერენ მთელ ამ ექსპედიციის სახელს. ერთბაშად გამიქრა ყოველგვარი შიში, გარდა ერთისა: არ გამიგონ, რომ გამოვიქეცი; მოვკურცხლე, შევფრინდი საყდარში: არც დავბნეულვარ, არც ხელის ფათური დამჭირვებია, მივედი კათედრასთან, ავედი, ავიღე ბიბლია და გადმოვხტი. ორი-სამი ფეხის დაკვრით გამოვვარდი საყდრიდან, კარის დახურვაც კი დამავიწყდა: შევედი ოთახში ქოშინით, დავაგდე ბიბლია მაგიდაზე. სული ვერ მომიბრუნებია, მაგრამ სიხარულისაგან აღარ ვარ, რომ დავასწარი მშველელებს.

მკითხავთ, წასაბამავად ხომ არ ვიძლევი ამ ამბავს და იმ მხიარულების ნიმუში ხომ არ არის იგი, რომელსაც ამგვარი ვარჯიშის დროს მოვითხოვ. არა, ეს იმის საბუთად მოვიყვანე, რომ ღამის აჩრდილებით დაშინებულისათვის საუკეთესო წამალია მეზობელ ოთახში პატარა საზოგადოების სიცილი და მშვიდობიანი საუბარი ესმოდეს. ამიტომ ის მინდა, რომ აღმზრდელი მარტო კი არ ეთამაშოს ამგვარად თავის შევირდს, არამედ თავი მოუყაროს რამდენიმე გუნებაგაშლილ ბავშვს; მაგრამ ჯერ ცალ-ცალკე კი არ გააგზავნოს, არამედ რამდენიმე ერთად, მხოლოდ იმის მარტოკა გაგზავნა გაბედოს, ვის შესახებ დარწმუნებულია, რომ მაინცდამაინც არ შეეშინდება.

არაფერი მეგულება ამგვარ თამაშზე უფრო სახალისო და სასარგებლო, თუ არ დაიზარე და მის ჩატარებაში დახელოვნდი. დიდ დარბაზში გავმართავ ერთგვარ ლაბირინთს მაგიდებისაგან, სკამებისა, სავარძლებისა და შირმებისაგან. ამ ლაბირინთის ხლართში რვა ან ათ მოსატყუებელ კოლოფს შორის გავურევ ერთს, თითქმის ისეთივეს, ოღონდ კანფეტებით სავსეს. მოკლედ და ნათლად ავუხსნი, თუ, სახელდობრ, რა ადგილზე დევს კარგი კოლოფი; ისეთ ნიშნებს მივცემ, რომ ბავშვებზე უფრო დაკვირვებული და უფრო დინჯი ადამიანისათვის საკმარისი იყოს ამ კოლოფის გასარჩევად.²³ შემდეგ კენჭს ვუყრი პატარა კონკურენტებს და გავაგზავნი თითო-თითოდ ყველას, ვიდრე რომელიმე არ მიაგნებს სასურველ კოლოფს; შევეცადები კი გავაგრძელო ეს საქმე, მათი გამჭირახობის კვალობაზე.

წარმოიდგინეთ პაწია ჰერკულესი, რომელიც გამარჯვებული ბრუნდება ექსპედიციიდან კოლოფით ხელში. კოლოფს მაგიდაზე

დებენ, დიდი ცერემონიით ხსნიან მას. მე აქაც მესმის სიცილი და ყიყინი მზიარული ჯგუფისა, რომელიც კანფეტებს მოელოდა, ხავსში ან ბამბაში ლამაზად ჩალაგებული ხოჭო, ლოკოკინა, ნახშირი, რკო, სტაფილო ან სხვა ამგვარი კი დახვდა. სხვა რომელიმე დღეს, ახლად შეთეთრებულ ოთახში კედელზე ჩამოკვიდებ სათამაშოს, რამე პატარა ნივთს; ბავშვმა ხელთ უნდა იგდოს იგი ისე, რომ კედელს არ შეეხოს. როცა ამ ნივთის საძებრად გაგზავნილი ბავშვი მოიტანს მას, მისი სივლახე, თუ პირობა არ შეასრულა, იქვე გამოძულავნდება; ან ქუდი ექნება გასვრილი კირში, ან ფეხსაცმლის წვერი, ან ტანსაცმელი, ან სახელო, რაც გამოამჟღავნებს მის სიტლანქეს. მე მგონი ეს სრულიად საკმარისია იმის ასახსნელად, რას წარმოადგენს ამგვარი თამაში. თუ ყველაფრის თქმა გჭირდებათ, ჩემს წიგნს ნულარ კითხულობთ.

რამდენი უპირატესობა ღამით სხვებთან შედარებით ექნება ასე აღზრდილ ადამიანს. მისი ფეხები, სიბნელეში სიარულს შეჩვეული, მისი ხელები, შეჩვეული ყველა საგანს, რაც კი ახლო-მახლოა, უბნელეს წყვილიაღმიაც გაუძღვებიან მას. მისი ფანტაზია, რომელიც სავსეა ბავშვობის მრავალი ღამის თამაშით, არც კი მიხედავს საშიშარ საგნებს. თუ სიცილი მოესმა, ეს ჭინკების სიცილი კი არა, არამედ მისი ძველი ამხანაგების სიცილი იქნება; თუკი რამე კრება მოვლანდა, კუდიანების კრება კი არ იქნება, არამედ მისი გუგერნიორის ოთახი. ღამე, რაკი ეს მხოლოდ სასიხარულო აზრებს გაუჩენს, არასოდეს იქნება მისთვის საშიში: შეშინების მაგივრად, ღამე, პირიქით, თავს შეაყვარებს. თუ ლაშქრობაში წასვლა იქნა საჭირო, იგი ყოველ წუთს მზად იქნება წავიდეს მარტოკაც და რაზმთან ერთადაც. იგი შევა საულის ბანაკში, გაივლის მას, არ დაიბნევა, ისე მივა მეფის კარავთან, რომ არავის არ გააღვიძებს და შეუძმნევლად დაბრუნდება. თუ რეზუსის²⁴ ცხენებია მოსაპარავი, მას მიმართეთ უყოყმანოდ. სხვაგვარად აღზრდილ ადამიანებს შორის ულისს²⁵ ვერ შეხვდებით.

შევსწრებივარ, მოულოდნელი შეშინებით როგორ უნდოდათ მიეჩვიათ ბავშვები სრულ უშიშრობას ღამით. ეს ძლიერ ცუდი მეთოდია; იგი სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა, ვიდრე გვინდა. ბავშვი უფრო მშიშარა ხდება და მეტი არაფერი. ვერც გონება, ვერც შეჩვევა ვერ გაუფანტავს ბავშვს იმ რეალური საშიშროების წარმოდგენას, რომლის სიდიდე და სახეობა ბავშვს არ ეცოდინება,

და ვერც იმ მოულოდნელობის შიშს, რომელიც ხშირად გამოუცდია. როგორღა გინდათ დარწმუნდეთ, რომ დაიფარეთ თქვენი შეგირდი ასეთი შემთხვევებისაგან? აი, საუკეთესო გაფრთხილება, რომელიც, ჩემი აზრით, შეიძლება მისცე მას ამ მხრით. „თქვენ მაშინ იმყოფებით“, ასე ვეტყვი ჩემს ემილს, იძულებითი თავდაცვის მდგომარეობაში, რადგან დამცემი არ გაძლევთ საშუალებას გაიგოთ, გვირგვინებით რამე ვნებას თუ მხოლოდ შეშინება უნდა თქვენი, და რადგან იგი მოულოდნელად გესხმით თავს, გაქცევაც არ ვიშველით. ამიტომ გაბედულად სტაცეთ ხელი იმას, ვინც გაშინებს ღამით, სულ ერთია, ადამიანი იქნება თუ მხეცი: მაგრად მოუჭირეთ ხელი, რაც ძალა და ღონე გაქვთ; თუ ცემით გიგერიებთ, დასცხეთ მუშტები, ნუ დაგენანებათ; და რაც არ უნდა თქვას ან მოიმოქმედოს, ხელი არ გაუშვათ, ვიდრე არ გაიგებთ კარგად, რა არის იგი. თქვენ ნათლად დარწმუნდებით, რომ სამიში უთუოდ, არაფერი ყოფილა; ხუმარებისადმი მოპყრობის ასეთი წესი შეაძულებს მათ თავისი ხუმრობის გამეორებას.

თუმცა, ყველა ჩვენს გრძნობას შორის სხვებზე უფრო ხშირად შეხებას ვხმარობთ, მისი მსჯელობა, როგორც უკვე ვთქვი, მაინც უფრო ნაკლოვანი და ტლანქია, რადგან მისი გამოყენებისას მუდამ თვალსაც ვხმარობთ და, რაკი თვალი უფრო ადრე სწვდება საგანს, ვიდრე ხელი, ჩვენი გონება ყოველთვის ხელის დაუხმარებლად მსჯელობს, სამაგიეროდ, შეხების მსჯელობა ყველაზე უფრო სანდოა სწორედ იმიტომ, რომ იგი ყველაზე უფრო შეზღუდულია, რადგან იგი მხოლოდ იმას ეხება, რასაც ხელი მისწვდება, ამიტომ იგი დანარჩენი გრძნობების სიცერცვტესაც ასწორებს; ესენი ხომ ისეთ შორეულ საგნებს ეცემიან, რომლებსაც ძლივსღა ამჩნევენ, შეხება კი, რასაც შეამჩნევს, კარგად შეამჩნევს. დაუმატეთ ამას კიდევ ის, ვუერთებთ რაკი ჩვენი სურვილისამებრ კუნთების ძალას ნერვების მოქმედებას, სიმულანტური შეგრძნების საშუალებით, ტემპერატურაზე, სიდიდესა და ფიგურებზე მსჯელობას ვუერთებთ სიმძიმესა და სიმკვრივეზე მსჯელობას. ამგვარად, შეხება, რომელიც ყველა დანარჩენ გრძნობებზე უკეთესად გვაძლევს ცნობას იმ შთაბეჭდილების შესახებ, რაც უცხო სხეულმა შეიძლება მოახდინოს ჩვენს სხეულზე, ყველაზე უფრო ხშირად იხმარება და ყველაზე უფრო უშუალოდ

გვაძლევს იმ ცოდნას, რომელიც ჩვენი არსებობის შესანარჩუნებლად არის საჭირო.

თუ გაწვრთნილ შეხებას ხედვის ადგილი შეუძლია დაიკავოს, რატომ არ შეუძლია მას დაიკავოს სმენის ადგილი, რაკი ბგერა მყდერ სხეულში ისეთ რხევებს იწვევს, რომლებსაც შეხებაც ამჩნევს. ვიოლონჩელის ტარზე რომ ხელი დაადო, შეგიძლია თვალისა და ყურის დაუხმარებლად, მხოლოდ და მხოლოდ ხის რხევასა და ბგერაზე შეატყო, დაბალ ტონს უკრავს იგი თუ მაღალს, კვინტა ჟღერს თუ ბანი. შეხება რომ ასეთი განსხვავებების გარჩევაში ავარჯიშო, არც მეექვსება, იმდენად მგრძნობიარე გახდები, რომ მთელ არიას მოისმენ თითებით. თუ მივიღეთ ეს, ცხადი გახდება, რომ შეიძლება მუნჯებს ველაპარაკოთ მუსიკის საშუალებით; ვინაიდან, რაკი ტონები და ტემპები ისევე ეგუებიან სისტემატურ კომბინაციებს, როგორც არტიკულაცია და ხმა, ისინი შეიძლება მეტყველების ელემენტებად იქნენ გამოყენებული.

ზოგიერთი ვარჯიში უფრო აჩლუნგებს შეხებას; სხვები კი პირიქით, ამახვილებენ, აფაქიზებენ და აზუსტებენ მას. პირველი კატეგორიის ვარჯიშობანი ტლანქი საგნების მუდმივ მოქმედებას მრავალ მოძრაობასა და ძალას მატებს, ამით კანი ტლანქი და კოჟრიანი ხდება და ბუნებრივ მგრძნობელობას კარგავს; დანარჩენი ვარჯიშობანი კი ასეთივე შეგრძნებას სახეს უცვლის მსუბუქი და ხშირ-ხშირი შეხების საშუალებით, ასე რომ გონება, რომელიც ყურადღებით უკვირდება ძალიან ხშირად განმეორებულ შთაბეჭდილებებს, ადვილად ეჩვევა მათი მოდიფიკაციების გარჩევას. ეს განსხვავება თავს იჩენს მუსიკალური ინსტრუმენტების ხმარების დროს; ვიოლონჩელი, კონტრაბასი, ვიოლინოც კი ამაგრებენ და აკოჟრებენ თითებს, თუმცა, ამავე დროს მსჯელობის უნარს მატებენ. კლავესინის სწორი და გლუვი ზედაპირი კი ასეთსავე მოქნილობას აჩვევს თითებს და ამავე დროს მგრძნობიარობასაც მატებს. ამ მხრივ, მამასადამე, კლავესინზე დაკვრა უკეთესია.

დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ კანი ჰაერის ზემოქმედებას შეეჩვიოს, გამაგრდეს და შეეძლოს მისი ცვალებადობის ადვილად ატანა, ვინაიდან სწორედ კანი იცავს ყველაფერ დანარჩენს. მაგრამ არ მინდა, რომ ხელი ზომიანე მეტად ერთსა და იმავე საშუაოს პროფესიონალურად შესრულების გამო გატლანქდეს და თითქმის გაძალე-

ბულმა კანმა გრძნობის ის სიმახვილე დაკარგოს, რომლის საშუალებით ვიგებთ, როგორია ესა თუ ის სხეული, და რომელიც, იმისდა მიხედვით, რას შევებეთ, ზოგჯერ სულ სხვადასხვანაირად შეგვათრთოლებს ხოლმე სიბნელეში.

რატომ უნდა ვაიძულო ჩემი შეგირდი ფეხებქვეშ მუდამ ხარის ტყავი ამოიკრას? რას ავნებს მას, რომ მისი საკუთარი ტყავი გამოადგეს ძირად, როცა საჭირო იქნება? ცხადია, კანის ამ ნაწილის სინაზე ვერაფერ სარგებლობას მოუტანს ვერასოდეს, ხშირად შეიძლება ავნოს კიდევ. შენველებმა, როცა ისინი მტერმა შუა ზამთრის დამეში წამოახტუნა, თოფები უფრო მალე მონახეს, ვიდრე ფეხსაცმელები. ვინ იცის, შენვე აეღოთ კიდევ, ყოველ მათგანს ფეხშიშველა სიარული რომ არ სცოდნოდა.

შევაიარალოთ ადამიანი მუდამ მოულოდნელი შემთხვევისთვის. დაე, ემილმა ფეხშიშველმა ირბინოს დილაობით ყოველ სეზონში – ოთახში, კიბეზე, ბაღში; გავუწყრები კი არა, წავბაძავ კიდევ; ოღონდ შევეცდები, შეშის ნაფოტები არ დახვდეს. მალე მე ხელით მუშაობაზე და სახელო თამაშობებზე ვილაპარაკებ. საერთოდ, მიეჩვიოს ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც ხელს შეუწყობს მისი სხეულის განვითარებას, მიიჩვევს მოხერხებული და მყარი პოზიციის მიღებას ყოველგვარ მდგომარეობაში; იცოდეს შორს გადახტომა, მაღლა ახტომა, ხეზე ასვლა, კედელზე გადასვლა; მიეჩვიოს წონასწორობის მონახვას ყოველნაირ პირობებში. ყოველი მისი მოძრაობა და მიმოხვრა წონასწორობის კანონს ეფარდებოდეს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე საქმეში ჩაერეოდეს სტატიკა და ამას ასწავლიდეს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ დადგა ფეხი და როგორ უჭირავს მის ფეხს ტანი, უნდა იგრძნოს, მაგრად დგას თუ არა; მტკიცე პოზა ყოველთვის მოხდენილია და რაც უფრო მტკიცეა პოზა, მით უფრო მოხდენილია იგი. მე რომ ცეკვის მასწავლებელი ვიყო, მარსელის მანჭვასა და გრეხვას კი არ წავბაძავდი, რომელიც მხოლოდ იმ ქვეყანაშია კარგი, სადაც იგი ამას ჩადის, არამედ ჩემს შეგირდს კლდის ძირას მივიყვანდი; იქ ვაჩვენებდი, როგორ უნდა ეჭიროს სხეული და თავი, როგორი მოძრაობაა საჭირო, როგორ უნდა დადგას ფეხი და როგორ მოიშველიოს ხელი, რათა ციცაბო, მიხვეულ-მოხვეულ და ძნელ ბილიკებზე იაროს და როგორ გადახტეს ერთი ადგილიდან მე-

ორზე ასვლისასაც და ჩამოსვლისასაც. მე მას ჯიხვის მეტოქედ ვაქცევ და არა ოპერის მოცეკვავედ.

თუ შეხების მოქმედების სფერო არ სცილდება ადამიანს, მხედველობას თავისი მოქმედება მის გარეთ გადააქვს და ამიტომაც არის იგი ასეთი მაცდური; ერთი შეხედვით ადამიანი ნახევარ თავის ჰორიზონტს ხედავს. ერთდროულ შეგრძნებათა და მათ ნიადაგზე წარმომდგარ მსჯელობათა ასეთმა სიმრავლემ განა შეიძლება რამეში არ შეგაცდინოს? ამრიგად, მხედველობა ჩვენს გრძნობათა შორის ყველაზე უფრო მაცდურია. სწორედ იმის გამო, რომ იგი ყველაზე უფრო განფენილია და მისი ოპერაციები, რომლებიც ყველას ასწორებს, იმდენად სწრაფი და იმდენად ფართოა, რომ სხვები მათ შეცდომებს ვეღარ ასწორებენ. უფრო მეტიც: თვით პერსპექტივის ილუზიები არის ჩვენთვის საჭირო, რათა შევიცნოთ სივრცე და მისი ნაწილები შევადაროთ ერთმანეთს. შეცდომებს რომ არ ვუშვებდეთ, ვერაფერს ვერ დავინახავდით შორს; რომ სიდიდისა და სინათლის გრადაციები არ იყოს, ჩვენ ვერც ერთ მანძილს ვერ შევაფარდებდით, ანდა უკეთ, იგი არც იქნებოდა ჩვენთვის. თანასწორი სიდიდის ორი ხიდან ერთი, რომელიც ასი ნაბიჯით არის დაშორებული, მაშინ ჩვენ ამ ორ ხეს ერთი მეორის გვერდით მოვათავსებდით. ყველა საგნის მოცულობას იმნაირადვე რომ ვხედავდეთ, როგორც ნამდვილად არის იგი, ვერავითარ სივრცეს ვერ დავინახავდით და ყველაფერი ჩვენს თვალეზე დადებული მოგვეჩვენებოდა.

საგნების სიდიდისა და მანძილის შესაფასებლად მხედველობას მხოლოდ ერთი საზომი გააჩნია, სახელდობრ, იმ კუთხის სიდიდე, რომელსაც ისინი ჩვენს თვალში ქმნიან, და რადგან ეს სიდიდე რთული მიზნების მარტივი შედეგია, ამიტომ ის მსჯელობა, რომელსაც იგი წარმოშობს, უგულვებლყოფს ყველა კერძო მიზეზს, ანდა უსათუოდ შეცდომას ჩადის. მართლაც, მართო თვალთ რთვად უნდა გავიგო, რისი ბრალია, რომ ერთი კუთხე უფრო პატარაა, ვიდრე მეორე; იმის ბრალია, რომ მისი საგანი მართლაც ნაკლებია მეორე საგანზე, თუ იმის, რომ იგი უფრო დაშორებულია?

ამიტომ აქ სრულიად საწინააღმდეგო მეთოდს უნდა მივმართოთ, ვიდრე იქ; შეგრძნების გამარტივება კი არაა საჭირო, არამედ გაორმაგება, მულამ შემოწმება სხვა შეგრძნებით, მხედველობის ორგანოს დაქვემდებარება შეხების ორგანოსათვის და პირველის, ასე

ვთქვათ, დაუდევრობის ალაგმვა, მეორის დინჯი და ზომიერი მოქმედებით. ვინაიდან ამ გზას არ მივდევთ, თვალთ ზომეაშიც ძლიერ ვცდებით. არ გვაქვს ისეთი ზუსტი თვალზომა, რომ შევფასოთ სიმალლე, სიგრძე, სიღრმე, მანძილი, და ეს იმდენად გრძობის ბრალი არ არის, რამდენადაც მისი გამოყენებისა, ეს იმით მტკიცდება, რომ ინჟინერს, მიწისმზომელს, არქიტექტორს, კალატოზს, მხატვარს საერთოდ უკეთესი თვალზომა აქვთ, ვიდრე ჩვენ, და ისინი უფრო ზუსტად აფასებენ მანძილს, რადგან თავისი ხელობის წყალობით იძენენ იმ გამოცდილებას, რომელსაც არ დავეძებთ და აძლევს მათ საშუალებას, მოაშორონ კუთხეს ზემოაღნიშნული ორაზროვნება იმ შთაბეჭდილებების საშუალებით, რომლებიც ამ კუთხეს თან ახლავს და მათ თვალში მის ორი მიზეზის ურთიერთმიმართულებას უფრო ზუსტად არკვევს.

ასეთ საქმეზე ბავშვს ადვილად დაიყოლიებ, რაც სხეულს ძალდაუტანებლად ამოძრავებს. ათასი საშუალება არსებობს, რომ ჩაუნერგო მას მანძილთა გაზომვის, გამოანგარიშების, შეფასების ინტერესი. აი, ძლიერ მაღალი ალუბლის ხე; როგორ დავკრიფოთ ალუბალი? სასიმინდეზე რომ კიბეა მიყუდებული, გამოდგება აქ თუ არა? ანდა აი, ძლიერ ფართო ღელე, როგორ გავიდეთ გაღმა? ეზოში რომ ფიცრები აწყვია, გასწვდება რომელიმე მათგანი ორივე ნაპირს, თუ არა? ჩვენი ციხე-დარბაზის ფანჯრიდან რომ თევზის დაჭერა მოვიხლოთ, რამდენი ბრასი სიგრძე უნდა ჰქონდეს ჩვენს ანკესს? მინდა ამ ორ ხეზე საქანელა ჩამოვაბა; ორი ტუაზის სიგრძის ბაწარი იკმარებს? მითხრეს, რომ ჩვენი ოთახი მეორე სახლში ოცდახუთი კვადრატული ფუტის ყოფილა. როგორ გგონიათ, გამოგვადგება თუ არა? ამ ოთახზე უფრო დიდია იგი, თუ არა? ძალზე მოგვმივდა; აი, ორი სოფელი, სად უფრო ადრე მივალთ, რომ ვისადილოთ და სხვა.

ერთხელ საჭირო იყო ერთი უსიცოცხლო და ზარმაცი ბავშვისთვის სირბილის სწავლება; მას თვითონ არც ამ ვარჯიშის ხალისი ჰქონდა და არც რომელიმე სხვისა, თუმცა, სამხედრო სამსახურისათვის კი ამზადებდნენ. ის დარწმუნებული იყო, არ ვიცოცხლო, რომ მისი წოდების კაცმა არაფერი არ უნდა აკეთოს და არაფერი არ უნდა იცოდეს, აზნაურიშვილობა ხელის მაგივრობასაც გაუწევს, ფეხისაც და ყოველი სხვა დამსახურების მაგივრობასაც. თვით მოხერხებული ხირონიც კი ვერ მოახერხებდა ასეთი ჯენტლმენი ფეხ-

მარდ აქილევსად ექცია. სიძნელე მით უფრო დიდი იყო, რომ მე სრულიად არ მინდოდა, რამე მებრძანებინა მისთვის. ჩემი უფლებებიდან გამოვრიცხე: ჩიჩინი, დაპირება, მუქარა, შეჯიბრება, უპირატესობის სურვილი. როგორ გავუღვიძო მას სირბილის სურვილი ისე, რომ არაფერი ვუთხრა. თვითონ რომ მერბინა, ეს არ იქნებოდა მაინცდამაინც სანდო საშუალება და ცოტა არ იყოს, უხერხულიც კი იყო. თანაც საჭირო გახდა ამ ვარჯიშით მესწავლებინა მისთვის, თუ როგორ უნდა შეაჩვიო მანქანისა და გონების ოპერაციები, რომ ისინი ყოველთვის შეთანხმებულად მიმდინარეობდეს. აი, როგორ შევუდექი საქმეს: მე, ესე იგი, ის, ვინც ლაპარაკობს ამ მაგალითში.

ნაშუადღევს რომ სასეირნოდ წავიდოდით, მე ზოგჯერ ჩავიდებდი ჯიბეში ორ შაქარლამას, სწორედ ისეთს, როგორიც მას ძალიან უყვარდა; სეირნობის²⁶ დროს თითო-თითოს შევჭამდით და ძლიერ კმაყოფილი ვბრუნდებოდით შინ. ერთ დღეს შეამჩნია, რომ სამი შაქარლამა მქონდა თან; რომ მიგეცა, ექვსს შეჭამდა ერთი თვალის დახამხამებაში; უცბად შეყლაპა თავისი შაქარლამა, რომ მესამე მომთხოვოს. „არა“, ვუთხარი: „მე ამას დიდი სიამოვნებით შევჭამდი თვითონ ანდა თქვენ გაგიყოფდით, მაგრამ მინდა ამ შაქარლამაზე შევაჯიბრო სირბილში აი, ის ორი პატარა ბიჭი, რომლებსაც ხედავ“. დაუძახე ბიჭებს, ვუჩვენე შაქარლამა და პირობაც ვუთხარი. იმათაც ეს უნდოდათ. შაქარლამა დავდეთ ერთ დიდ ქვაზე, რომელიც ნიშანი იყო; დავნიშნეთ მანძილი, დავსხედით, მივეცით სიგნალი და ბავშვებიც გაიქცნენ; გამარჯვებულმა სტაცა ხელი შაქარლამას და აქვე დაუშრებლისა და მოქიშპის თვალწინ შეუბრალებლად შეჭამა.

ეს სანახაობა შაქარლამაზე მეტი ღირდა; მაგრამ პირველ ხანებში მან არაფერი შედეგი არ მოიტანა. მაინც არ მივატოვე ეს საქმე და არც ავჩქარდი; ბავშვის აღზრდა ისეთი საქმეა, სადაც დროის მოსაგებად უნდა იცოდე, როგორ უნდა დაკარგო დრო. ჩვენ ისევ ვსეირნობდით; ხშირად წამოგვიღია სამი, ზოგჯერ ოთხი შაქარლამაც და მარბენლებს ხან ერთი ეძლეოდა და ხან ორიც. მართალია, ჯილდო არ იყო მაინცდამაინც დიდი, მაგრამ არც მეტოქეები იყვნენ დიდი პრეტენზიის ხალხი; გამარჯვებულს, როგორც წესი და რიგია, ქება-დიდებთა და ზეიმით ვხვდებოდით. ერთფეროვნება რომ არ ყოფილიყო და ინტერესიც გაზრდილიყო, ვზრდიდით მანძილს და კონკურენტების რიცხვსაც. როგორც კი გაიქცეოდნენ, ყველა გამე-

ლელ-გამომღვლილი ჩერდებოდა საცქერად; შეძახება, ყვირილი, ტა-შისცემა ავულიანებდა მარბენლებს. რამდენჯერ შევამჩნიე, რომ ჩვენი ყმაწვილი შეკრთებოდა ხოლმე, წამოხტებოდა, წამოიყვირებდა, როდესაც ერთი ეწეოდა ან ასწრებდა მეორეს; მისთვის ეს ოლიმპიური შეჯიბრი იყო.

მაგრამ კონკურენტები ზოგჯერ ეშმაკობდნენ; ერთი-მეორეს აკავებდნენ, ან წააქცევდნენ, ანდა ქვებს შეუფორებდნენ ფეხებში. ამიტომ დავაცილე ისინი ერთმანეთს და შორი-შორს დავაყენე, ოღონდ ისე, რომ მანძილი ორივესთვის თანასწორი ყოფილიყო; ღონისძიების მოტივი ქვემოთ გახდება ნათელი, რადგან დაწვრილებით უნდა ვილაპარაკო ამ დიდმნიშვნელოვან საქმეზე.

ჩვენს ბატონიშვილს ბოლოს და ბოლოს მობეზრდა მუდამ იმის ცქერა, რომ სხვები ჭამდნენ იმ შაქარლამებს, რომელიც მას თვითონ უყვარდა და აზრი გაუჩნდა, რომ კარგი სირბილიც გამოსადევი საქმე ყოფილა თურმე. და რადგან იცოდა, რომ მასაც ორი ფეხი ჰქონდა, ჩუმ-ჩუმად დაიწყო მათი გავარჯიშება. მე ისე მეჭირა თავი, ვითომ ვერაფერს ვამჩნევდი; მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი სტრატეგიული ხერხი იმარჯვებდა, როცა თავი უკვე მაგრად იგრძნო, თვალეებში შევატყვე ეს წინდაწინ, მან ყასიდად ხვეწნა დამიწყო – მესამე შაქარლამა მომეციო. მე უარი ვუთხარი, მან დაიჩემა, და ბოლოს, გაჯავრებით მითხრა: „აბა, კარგი, დადეთ ქვაზე, დანიშნეთ მანძილი და ვნახოთ“ – „კეთილი!“ მივუგე სიცილით; „განა ბატონიშვილს ეცოდინება სირბილი? თქვენ მოგემატებათ მადა და არა მისი დაკმაყოფილების საშუალება“. რაკი დავცინე, მან დეზნაკრავივით მოიკრიბა მთელი ძალი და ღონე და აიღო პრიზი. ეს მან მით უფრო ადვილად მოახერხა, რომ განზრახ ძლიერ მოკლე მანძილი დაენიშნე და, გარდა ამისა, მივიღე ზომები, რათა საუკეთესო მორბენალი მომეცილებინა. ცხადია, რაკი პირველი ნაბიჯი გადაიდგა, ჩემთვის ძნელი აღარ იყო, ეს ხალისი შემენარჩუნებინა. სულ მალე იმდენად გაიტაცა ამ ვარჯიშმა, რომ თითქმის ყოველთვის უშეღავათოდაც ჯობნიდა იმ ორ ბიჭს სირბილში, რაც გინდა დიდი მანძილი ყოფილიყო.

ამ სიკეთემ სხვა სიკეთეც მოიტანა, რომელიც მე აზრადაც არ მომსვლია. სანამ იშვიათად ღებულობდა პრიზს, ის მას ყოველთვის თითქმის მარტო შეჭამდა ხოლმე, ისევე როგორც მისი მოჭიშპეები, მაგრამ გამარჯვებას რომ მიეჩვია, გულკეთილი გახდა და დამარცხე-

ბულებსაც ხშირად უნაწილებდა თავის პრიზს. ამან საბაზი მომცა, ერთი მორალური დაკვირვება მომეხდინა და გავიგე კიდევ, რა არის გულუხვობის ნამდვილი არსი.

შემდეგში, როცა მასთან ერთად ვუნიშნავდით თითოეულს იმ ადგილს, საიდანაც უნდა გაქცეულიყო, მისდა შეუმჩნევლად, ისე მოვზომე მანძილი, რომ ერთს უფრო დიდი გზა ჰქონდა გასავლელი, ვიდრე სხვებს და, ცხადია, უფრო წაგებულნი იყო. და თუმცა მანძილის არჩევას ჩემს შევირდს ვანდობდი, მან ვერ ისარგებლა ამ უპირატესობით. მანძილზე არც კი დაფიქრდებოდა და ირჩევდა უფრო ლამაზ გზას; ასე რომ, რადგან ადვილი იყო წინდაწინ თქმა, რომელ გზას აირჩევდა, ჩემს ნებაზე იყო დამოკიდებული, წავაგებინებდი თუ მოვაგებინებდი შექარლამას; ეს ხერხი მრავალმხრივ იყო გამოსადეგი. რადგან ჩემი მიზანი მაინც ის იყო, რომ მას შეემჩნია ეს განსხვავება, ვცდილობდი, მიმეხვედრებინა იგი; მაგრამ მოცლილობისას უსიცოცხლო თამაშში იგი იმდენად ცოცხალი იყო და იმდენად მენდობოდა, ათასი საშუალება დამჭირდა შეემჩნევივინებინა მისთვის, რომ ვატყუებ. ბოლოს და ბოლოს მაინც მივალწიე მიზანს, მიუხედავად მისი თავგარიანობისა. მისაყვედურა. ვუთხარი: „რას ჩივით? განა არ მაქვს უფლება ჩემს საჩუქარს ჩემივე პირობები დავუდო? ვინ გაიძულათ ირბინეთო? განა შეგპირდით, რომ ყველა მანძილი თანაბარი იქნება? განა არჩევანი თქვენს ხელში არ არის? აირჩიეთ უმოკლესი გზა, მე ხომ არ გიშლით. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მე სწორედ თქვენ გეხმარებით უფრო, და მანძილის მეტნაკლებობაც, მე რომ მისაყვედურებთ, თქვენთვის არის სწორედ ხელსაყრელი, თუკი მოახერხებთ გამოიყენოთ“. ეს ნათელი იყო; ისიც მიხვდა, არჩევისათვის კი საჭირო იყო კარგად დაკვირვებოდა საქმეს. თავდაპირველად სცადა ნაბიჯების დათვლა; მაგრამ ნაბიჯების დათვლა ბავშვისათვის გრძელი და საეჭვო საქმეა; ესეც არ ვიკმარე და გავახშირე სირბილი; დღეში რამდენიმეჯერ ვაწყობდი, თვითონაც ენანებოდა მანძილის მოზომვისათვის სარბენი დროის დაკარგვა, რადგან ეს გასართობი ერთგვარ ვნებად გადაექცა. ბავშვის სიცქვიტე ვერ ურიგდებოდა ამგვარ დაყოვნებას; ამიტომ იგი შეუდგა ვარჯიშს, რომ უკეთესად დაენახა, უკეთესად შეეფასებინა თვალთ მანძილი. არ გამჭირვებია ამ ხალისის გაფართოება და განმტკიცება. დაბოლოს, რამდენიმე თვის ცდამ და შეცდომათა გამოსწორებამ ისეთი თვალ-

ზომა შეუძლებელია, რომ როცა ვეტყვი ხოლმე, აი, იმ შორეულ ქვაზე წარმოიდგინე შაქარლამა-მეთქი, მისი თვალი თითქმის მიწისზედა-ლის ჯაჭვივით ზუსტი იყო.

რადგან მხედველობა ისეთი გრძობაა, რომლისგანაც ყველა დანარჩენ გრძობებზე უფრო ძნელად შეიძლება განაცალკევო გონებრივი მსვლელობა, ამიტომ დიდი დროა საჭირო, რომ სწორი ხედვა ისწავლო; საჭიროა ხანგრძლივი შედარება მხედველობისა და შეხებისა, რომ შეაჩვიო პირველი მათგანი მოგვაწოდოს სწორი ცნობა ფორმისა და მანძილის შესახებ, შეხება და პროგრესული მოძრაობა თუ არ არის, უმახვილესი თვალის ვერ მოგვეცემა სივრცის ვერავითარ იდეას. ხამანწყასათვის მთელი მსოფლიო მხოლოდ ერთი წერტილი უნდა იყოს. მას ეს ქვეყანა მეტად არ მოეჩვენებოდა იმ შემთხვევაშიც კი, რომ ადამიანურ სულს მიეწოდებინა ამ ხამანწყასათვის ცნობა. მხოლოდ სიარულის, შეხების, მანძილთა დანაწევრებისა და მოზომვის წყალობით ვსწავლობთ ჩვენ მანძილის შეფასებას; მაგრამ, მეორეს მხრით, მას რომ ყოველთვის ვზომავდეთ, ჩვენი გრძობები, მუდამ ხელსაწყოებზე დაყრდნობილი, ვერავითარ სიზუსტეს ვერ მიაღწევდა. არც ის არის საჭირო, რომ ბავშვი ერთბაშად გაზომვიდან თვალზომამზე გადავიდეს; ჯერ ნაწილ-ნაწილ შეადაროს ის, რისი მთლიანად შედარება არ შეუძლია; ნაწილების თვალზომა დაიწყოს გაზომვის მაგიერ, და საზომს მუდამ კი ნუ დაადებს ხელს, არამედ მიეჩვიოს მხოლოდ თვალთ შეფასებას. მაგრამ ვისურვებდი, თავისი პირველი ოპერაციები მან ნამდვილი საზომით შეამოწმოს, რომ შეცდომები გამოასწოროს და, თუ გრძობაში კიდევ დარჩა რამე ილუზია, ისწავლოს მისი უკეთესი მსჯელობით გასწორება. არის ბუნებრივი საზომები და ისინი თითქმის ყველგან ერთნაირია: ადამიანის ნაბიჯი, გაშლილი ხელები, სიმაღლე. როცა ბავშვი სართულის სიმაღლეს თვალზომით არკვევს, მისი გუვერნიორი შეიძლება საზომად გამოადგეს; თუ სამრეკლოს სიმაღლეს არკვევს, სახლი გამოიყენოს საზომად; თუ იმის გაგება უნდა, რამდენი ლიე გაიარა, დაითვალოს, რამდენი საათი იარა; ოღონდ, მთავარია, სხვა კი ნუ გააკეთებს მისთვის ყოველივე ამას, არამედ თვითონ გააკეთოს ყველაფერი.

კაცი ვერ შეძლებს სწორედ იმსჯელოს საგანთა განფენილობისა და სიდიდის შესახებ, თუ მან აგრეთვე მათი ფორმის ცნობა და თვით მალე წაბაძვაც არ ისწავლა, რადგან ეს წაბაძვა სავსებით და-

მოკიდებულია მხოლოდ პერსპექტივის კანონზე; და ვერავინ ვერ გაზომავს განფენილობას მისი ნიშნების საშუალებით, თუ ამ კანონზე ოდნავი წარმოდგენა მაინც არა აქვს. ბავშვები – ეს დიდი წამბაძველები – ცდილობენ ხატონ; მე მინდა ჩემმა მოწაფემაც ივარჯიშოს ხატვაში, მაგრამ არა თვით ხატვისათვის, არამედ იმისათვის, რომ თვალს მიეცეს მეტი სიზუსტე და ხელს მეტი მოქნილობა. და, საერთოდ, საქმე ის კი არ არის, რომ ბავშვებმა ეს ან ის სავარჯიშო შეითვისონ, არამედ ის, რომ გრძნობები გაამახვილონ და სხეულის კარგი ჩვევები შეიძინონ ამ ვარჯიშით. მაშასადამე, მე მოვერიდები, ავუყვანო ჩემს მოწაფეს ხატვის მასწავლებელი, რომელიც მას ნახატის გადახატვას და მინაბადის მიბაძვას ასწავლის; არ მინდა, რომ მას ჰყავდეს სხვა მასწავლებელი, გარდა ბუნებისა, და მოდელი არ ჰქონდეს სხვა, გარდა საგნებისა. მინდა, რომ მას თვალწინ თვითონ ორიგინალი ჰქონდეს და არა ქაღალდი, რომელზედაც იგი ხატია, რათა მან სახლი ხატოს სახლის, ხოლო კაცი კაცის მიხედვით და ამით საგნებისა და მათი ხილული ფორმების კარგ დაკვირვებას მიეჩვიოს და ყალბი და პირობითი იმიტაცია ჰქმნარიტ იმიტაციად არ მიიჩნიოს. გახსენებით ხატვასაც კი, როცა ობიექტი თვალწინ არ არის, მას დავუშლი მანამ, ვიდრე ხშირი დაკვირვების წყალობით ობიექტის ფორმა მის ფანტაზიაში ზუსტად არ აღიბეჭდება. ასე მოვიქცევი იმის შიშით, რომ იგი, თუ საგანთა ნამდვილი სახე მან ახირებულ და ფანტასტიკურ ფორმებს ანაცვალა, დაკარგავს პროპორციების ცოდნას და ბუნების მშვენიერების შეგრძნებას.

ვიცი, რომ იგი დიდხანს რაღაც უმსგავსო ჯღაბნაში იქნება, რომ ძალიან გვიან თუ მიაღწევს კონტურების იმ სილამაზეს და ხატვის იმ სიმსუბუქეს, რაც მხატვრებს აქვს; ვინ იცის, ვერც მხატვრულ ხერხებს და ვერც მხატვრულ გემოვნებას ვერ მიაღწიოს ვერასოდეს; სამაგიეროდ, თვალს გაიმახვილებს, ხელს განიმტკიცებს, გაეცნობა სიდიდისა და ფორმის იმ ნამდვილ მიმართებებს, რომლებიც ცხოველებს, მცენარეებს, ბუნებრივ სხეულებს შორის არსებობს, და პერსპექტივის ცვალებადობის სწრაფად გარჩევას შეეჩვევა; მეც სწორედ ეს მინდოდა, ჩემი მიზანი ის კი არ არის, რომ მოზარდს საგანთა მიბაძვა შეეძლოს, არამედ უფრო ის, რომ მათ იცნობდეს; მირჩენია, რომ მან აკანთის მცენარე მიჩვენოს, ხოლო სვეტის თავზე რომ ფოთლებია გამოსახული, ისინი ცუდადაც დამიხატოს.

მაგრამ ის კი არ მინდა, რომ ამ და ყველა დანარჩენ საქმეშიც, ჩემი მოწაფე მარტოკა ერთობოდეს. მინდა ეს სავარჯიშო უფრო სასიამოვნო გავხადო მისთვის და მუდამ თანამოზიარე ვიყო. არ მინდა, რომ მას ჩემ გარდა კიდევ ჰყავდეს მოქიშპე; მაგრამ მე დაულალავი და უშიშარი მოქიშპე ვიქნები; ეს ინტერესს შეიტანს მის მეცადინეობაში და შურსაც ვერ ჩამოაგდებს ჩვენ შორის. თავდაპირველად მეც მისებრ დავიჭერ ხელში ფანქარს; ისევე უკუღმართად გამოვიყენებ მას, როგორც იგი. აპელესიც რომ ვიყო, მაინც მკლახნელად მოვაჩვენებ თავს. დავიწყებ იმით, რომ ადამიანს დავხატავ ისე, როგორც ლაქიები ხატავენ კედელზე; ორი ჯოხი ხელების მაგივრად, ორიც – ფეხების მაგივრად, თითები კი ხელებზე უფრო მსხვილი. ძლიერ გვიან ჩვენ შევამჩნევთ (ან ერთი, ან მეორე) ამ შეუსაბამობას; შევამჩნევთ, რომ ფეხს აქვს სიმსხო და რომ ეს სიმსხო ყველგან ერთი არ არის; რომ ხელის სიგრძე გარკვეულ მიმართულებებშია ტანისადმი და სხვა. მეც მისი ნაბიჯით ვივლი ამ წინსვლაში ან ოდნავ გავასწრებ, რომ ადვილად წამომეწიოს და ხშირად გადამასწროს კიდევ. ჩვენ გვექნება საღებავები, ფუნჯები; შევეცდებით ავსახოთ საგანთა სხვადასხვა ფერობა, როგორც ყველა მათ გარეგნულ გამოვლენაში, ისე ფიგურაშიც. გავაფერადებთ, დავხატავთ, დავკლახნით; მაგრამ ამ ჯღახნაში მუდამ ბუნებაზე გვეჭირება თვალი; რასაც კი გავაკეთებთ, ყველაფერს მასწავლებლის თვალწინ გავაკეთებთ.

არ ვიცოდით, რით გაგველამაზებინა ოთახი; ახლა კი ყველაფერი მონახულია, ჩვენი ნახატები ჩარჩოებში ჩავასმევინე, კარგი შუშებითაც დავფარე, რომ ხელიც აღარ გვეხლო მეტი და თითოეულ ჩვენგანს, რაკი დაინახავდა, მისი ნახატი იმ სახითვე ინახება, როგორც მან გააკეთა, ინტერესი ჰქონოდა, უგულოდ არ მოჰკიდებოდა ხატვას. ყველა ნახატი წესრიგზე ჩამოვკიდე გარშემო, თითოეული ნახატი ოც-ოცდაათ ეგზემპლარად ისე, რომ თითოეულ ეგზემპლარს გამოეხატა მისი ავტორის წინსვლა იმ მომენტიდან დაწყებული, როცა სახლი რაღაც უმსგავს ოთხკუთხედის სახით იყო მოცემული, ვიდრე იმ მომენტამდე, როცა იმავე სახლის ფასადი, პროფილი, პროპორციები, სინათლე და ჩრდილი ზუსტად იყო გადმოცემული. ამ გრადაციებში შეიძლებოდა გამოჩეულიყო ისეთებიც, რომ ჩვენთვისაც საინტერესო იქნებოდა, სხვის ყურადღებასაც მიიქცევდა და უფრო წაგვახალისებდა. ადრინდელ, ყველაზე უფრო ტლანქ ნახა-

ტებს ბრჭყვიალა და მოვარაყებულ ჩარჩოებში ვსვამ, რომ ღირსება შევმატო; მაგრამ როცა მიმსგავსება უფრო ზუსტი გახდება და ნახატი მართლაც კარგი იქნება, ასეთ სურათს სულ უბრალო, შავ ჩარჩოში ვსვამ; მას თავისი საკუთარი სილამაზე ეყოფა და კიდევ ავნებდა, რომ ჩარჩოს მიეზიდა ყურადღების ნაწილი, რომელიც სურათს ეკუთვნის, ამის გამო თითოეული ჩვენგანი ოცნებობს იმაზე, რომ მისი ნახატი უბრალო ჩარჩოს ღირსი გახდეს, ხოლო სხვისი სურათის საძაგებლად იტყვის, მოვარაყებული ჩარჩოს ღირსიაო. შემდეგში ეს მოვარაყებული ჩარჩოები ანდაზად გადაიქცევა და დიდი ვაკვირვებით დაინახავთ, რამდენი ადამიანი აფასებს სამართლიანად თავის თავს, როდესაც იგი ღირსების მოსაპოვებლად სწორედ ასეთ ჩარჩოს იკეთებს.

მე ვთქვი, რომ გეომეტრია მიუწვდომელია ბავშვებისათვის, მაგრამ ეს ჩვენი ბრალია. ვერ მივმხვდარვართ, რომ მათი მეთოდი სხვაა, ვიდრე ჩვენი და ის, რაც ჩვენთვის მსჯელობის ოსტატობად იქცევა, ბავშვებისათვის მხოლოდ ხედვის ოსტატობა უნდა იყოს. ჩვენი კი არ უნდა მივცეთ მათ, არამედ უკეთესია, მათი მეთოდი გადმოვიღოთ, ვინაიდან გეომეტრიის შესწავლის მეთოდი, რომელსაც ვხმარობთ, იმდენადვე არის განსჯის ნაყოფი, რამდენადაც წარმოსახვისა. როდესაც თეორემა გამოთქმულია, უნდა წარმოისახოს მისი დასაბუთება, ე.ი. უნდა იპოვო, რომელი ნაცნობი დებულებიდან გამომდინარეობს იგი, და ყველა იმ შედეგებიდან, რაც იმ დებულებიდან შეიძლება იქნეს გამოყვანილი, აირჩიო სწორედ ის, რომელიც საჭიროა.

ამრიგად, ძალიან ზუსტი მსჯელობის უნარით დაჯილდოებული კაციც კი, თუ მას აღმოჩენის უნარი არა აქვს, სახტად დარჩება. და რა გამოდის? გამოდის, რომ: ნაცვლად იმისა, რომ გვაპოვნინონ თეორიების დასაბუთება, პირდაპირ გვიკარნახებენ მას: მსჯელობას კი არ გვასწავლიან, არამედ მასწავლებელი მსჯელობს ჩვენ მაგიერ და მხოლოდ მეხსიერებას გვივარჯიშებს.

ხაზით ზუსტი ფიგურები, მოახდინეთ მათი კომბინაცია, დაადევით ერთი მეორეს, გამოარკვეეთ მათი ურთიერთმიმართება; ასეთი დაკვირვებებით თქვენ მთელ ელემენტარულ გეომეტრიას გაივლით და არც განმარტება, არც ამოცანა, არც დასაბუთების სხვა რომელიმე ფორმა არ დაგჭირდებათ, გარდა უბრალო ზედდაღებისა. ჩემ-

და თავად, არც ვაპირებ ემილს გეომეტრია ვასწავლო: მან თვითონ უნდა მასწავლოს იგი. მე ვეძებდე იქნებ მიმართებებს, ის კი მათ იპოვის, რადგან ისე დაუფუყებ ძებნას, რომ თვითონ მოვანახინო ისინი. მაგალითად, ფარგლის საშუალებით კი არ დავხაზავ წრეს, არამედ ისეთ ძაფზე მიბმული წვეტის საშუალებით, რომელიც ლურსმნის გარშემო ტრიალებს. ამის შემდეგ, რადიუსების შედარებას რომ დავაპირებ, ემილი დამცინებს და ამიხსნის, რომ ერთი და იგივე, მუდამ დაჭიმული ძაფი სხვადასხვა მანძილს ვერ მოგვცემს.

თუ სამოცგრადუსიანი კუთხე მაქვს გასაზომი, მე რკალს კი არ მოვხაზავ ამ კუთხის წვერიდან, არამედ სრულ წრეს. ბავშვებთან როცა გვაქვს საქმე, ნაგულისხმევი არასოდეს არაფერი არ უნდა იყოს. ვარკვევ, რომ წრის ის ნაწილი, რომელიც ამ კუთხის ორ გვერდს შორის არის მოქცეული, წრის მეექვსედს შეადგენს. შემდეგ იმავე წვეროდან უფრო დიდ რკალს მოვხაზავ და ვხედავ, ეს მეორე რკალიც თავისი წრის მეექვსედს წარმოადგენს. მესამე კონცენტრულ წრეს ვხაზავ, და აქაც იმავეს ვარკვევ; და განვაგრძობ წრეების ხაზვას, ვიდრე ემილი, ჩემი სიჩლუნგით გაკვირვებული, არ გამაფრთხილებს, რომ ყოველი რკალი, დიდი თუ პატარა, უკეთეს ერთსა და იმავე კუთხეს ეკუთვნის, მუდამ თავისი წრის მეექვსედი იქნება და სხვ. ამგვარად, ჩვენ ტრანსპორტირის დახმარებას მივაღებთ. იმის დასამტკიცებლად, რომ მოსაზღვრე კუთხეების ჯამი ორ სწორ კუთხეს უდრის, ხაზავნ წრეს; მე კი, პირიქით, ისე მოვიქცევი, რომ ემილმა პირველად წრეში შეამჩნიოს ეს გარემოება და მერე ვეტყვი: „წრე რომ წავშალოთ და სწორი ხაზები დავტოვოთ, შეიცვლება განა კუთხეების სიდიდე?“ და ა. შ.

ფიგურის სიზუსტეს არ აქცევენ ყურადღებას, მას გულისხმობენ და მთავარ საქმედ დასაბუთებას თვლიან. ჩვენთან პირიქით, დასაბუთების ხსენებაც კი არ იქნება; მთავარი საქმე ჩვენთვის იქნება, რომ მართლაც სწორი, მართლაც ზუსტი, მართლაც თანაბარი ხაზები გავავლოთ, რომ ოთხკუთხედი ნამდვილი ოთხკუთხედი, ხოლო წრე ნამდვილად მრგვალი იყოს. ფიგურის სიზუსტის შესამოწმებლად მას ყველა მისი ხილული თვისების მხრით შევამოწმებთ; ეს მოგვცემს საშუალებას ყოველდღე ახალ-ახალი რამე აღმოვაჩინოთ მასში. წრის ორ ნახევარს დიამეტრზე გადავკეცავთ, ხოლო ოთხკუთხედისას – დიაგონალზე. ჩვენ შევადარებთ ამ ორ ფიგურას, რათა

გავიგოთ, რომლის გვერდები არის ზუსტად შესაფერისი და მამასა-
დამე, უკეთესად ყოფილა გაკეთებული; ვიკამათებთ – ექნება ადგი-
ლი თუ არა გაყოფის ამ თანაბრობას ყველგან: პარალელოგრამში,
ტრაპეციებში და სხვა. ზოგჯერ შევეცდებით ვიწინასწარმეტყველოთ
ექსპერიმენტის შედეგი; შევეცდებით ჯერ საბუთები მოვნახოთ, ვიდ-
რე ექსპერიმენტს ჩავატარებდეთ და სხვ.

ჩემი მოწაფისათვის გეომეტრია სახანავისა და ფარგლის ხმარე-
ბის ცოდნაა და მეტი არაფერი; ხატვა არ უნდა ეგონოს ის, რადგან
ხატვის დროს არც ერთი და არც მეორე ხელსაწყო არ იძლევა სახ-
მარად. სახანავი და ფარგალი ჩაკეტილი იქნება და მხოლოდ იშვი-
ათად მიეცემა და ისიც სულ ცოტა ხნით, რომ ჯღაბნას არ მიეჩვიოს;
მაგრამ ზოგჯერ შეიძლება სეირნობის დროსაც ვიქონიოთ თან ჩვე-
ნი ფიგურები და ვილაპარაკოთ, რას გავაკეთებთ, ან რისი გაკეთება
გვინდა.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ერთი ახალგაზრდა კაცი,
ტურინში რომ ვნახე, რომელსაც ბავშვობისას, რათა მისთვის კონ-
ტურებისა და ზედაპირების მიმართებები ესწავლებინათ, ყოველდ-
ღე აძლევდნენ ასარჩევად სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურას შო-
რის იზოპერიმეტრულ ნამცხვრებს. პაწია მსუნაგს ამოუწურავს
თურმე არქიმედის მთელი მეცნიერება, რათა აღმოეჩინა, თუ რო-
მელ გეომეტრიულ ფიგურაში იქნებოდა მეტი საჭმელი.

ბავშვი რომ ვოლანს თამაშობს, იგი თვალისა და ხელის სიზუს-
ტეს ავითარებს; ბზრიალას რომ აგორებს, ძალას იმატებს მისი ხმა-
რებით, მაგრამ არაფერს სწავლობს. მე ბევრჯერ მიკითხავს, რატომ
არ ასრულებინებენ ბავშვებს იმავე თამაშს, რომელსაც თამაშობენ
დიდები და სადაც სიმარჯვეა საჭირო: ბურთს, კეგლს, ბილიარდს,
მშვილდისარს, ბუმბუსს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს. მპასუხობდ-
ნენ, რომ ზოგიერთი მათგანი აღემატება ბავშვის ძალას, სხვების სა-
თამაშოდ კი მისი კიდურები და ორგანოები ჯერ არ არის საკმაოდ
განვითარებული. მე ეს სუსტ არგუმენტად მიმაჩნია: ბავშვი ტანით
მოზრდილ კაცზე უფრო პატარაა, მაგრამ მაინც ისეთივე ტანისამო-
სი აცვია, როგორც მოზრდილს. იმის თქმა კი არ მინდა, რომ მა-
საც შეუძლია ითამაშოს ჩვენი კიებით სამი ფუტის სიმაღლის მქო-
ნე ბილიარდზე; იმის თქმაც არ მინდა, რომ ბავშვმა ჩვენთან ერთად
იბურთაოს, ან თავის პაწაწინა ხელში საბურთაოს მფლობელის ჩო-

განი ეჭიროს; არამედ ითამაშოს ისეთ დარბაზში, სადაც ფანჯრები კარგად არის დაცული; პირველ ხანებში რბილი ბურთით ითამაშოს; მისი პირველი ჩოგნები ხის იყოს, შემდეგ – პერგამენტის, ბოლოს კი, მისი წარმატების კვალობაზე – დაჭიმული, სიმებიანი. თქვენ ბუმბუს არჩევთ, რადგან იგი ნაკლებად ღლის და საშიშიც არ არის. ორივე მოსაზრება მცდარია. ბუმბუტი ქალების თამაშია; მაგრამ ვერც ერთ ქალს ვერ ნახავთ, რომ გამოსროლილ ბურთს არ გაუბრუნდეს. მათი თეთრი კანი არ უნდა შეეჩვიოს დალილავებას, დაბეგვას კი არ ელის მათი პირისახე, მაგრამ ჩვენ, რომლებიც ღონიერები უნდა ვიყოთ, ნუთუ საფიქრალია, რომ შეგვიძლია ასეთები ვიქნეთ გარჯის გარეშე? როგორ შევიმუშავებთ თავდაცვის უნარს, თუ არავინ შემოგვიტია? ყოველთვის უგულოდ ვთამაშობთ, თუ ამ თამაშში უხიფათოდ შეიძლება მოუქნელი იყო: ბუმბუტი რომ მოხვდეს ვინმეს, ვერაფერს ავნებს; მაგრამ არაფერი არ ავარჯიშებს ხელებს უკეთ, ვიდრე ის თამაში, სადაც ხელების საშუალებით თავის დაფარვაა საჭირო. დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში გადახტომა, გამოსროლილი ბურთის დავარდნის ადგილის წინასწარი გამოცნობა, იმავე ბურთის ღონიერი და მტკიცე ხელით უკან გამოტყორცნა – აი, ასეთი თამაში, თუ იგი მოწიფული კაცისათვის კარგია, მით უფრო კარგია მოწიფების ასაკში მყოფთათვის.

ბავშვის ფიქრები ჯერ კიდევ მეტად ნაზიაო, მეტყვიან. ბავშვები ისე მაგარი არ არიან, მაგრამ უფრო მოქნილები არიან. მათი ხელი სუსტია, მაგრამ იგი მაინც ხელია; ამ ხელით, თუ სათანადო პრობორციას დაიცავ, გააკეთებს ყველაფერს, რასაც მისი მსგავსი იარაღით აკეთებენ ხოლმე. ბავშვის ხელს სიმარჯვე აკლია; ამიტომაც მინდა შევიძინო მას იგი; მოწიფულმა რომ მათზე მეტი არ ივარჯიშოს, ვერაფრით აჯობებს: ჩვენი ორგანოების ხმარებას მხოლოდ მათი გამოყენების წყალობით ვსწავლობთ. მხოლოდ ხანგრძლივი გამოცდილება გვასწავლის საკუთარი თავის გამოყენებას; ეს გამოცდილებაა ნამდვილი მეცნიერება და რაგინდ ადრე არ დაწყებინო იგი, ნაადრევი მაინც არასდროს იქნება.

ყველაფერი, რაც კეთდება, შესაძლებელი ყოფილა. და, მართლაც, ძლიერ ხშირია მოქნილი და კარგად მოყვანილი ბავშვები, რომლებიც სხეულს ხმარობენ ისევე მარდად, როგორც ეს საზოგადოდ შესაძლებელია კაცისათვის. თითქმის ყოველ ბაზრობაზე ნახავ

მათ – ეკვილიბრისტიკის ნიმუშებს გვიჩვენებენ, ხელებზე დადიან, ხტუნავენ, ბაწარზე ცეკვავენ. განა ბავშვების საბალეტო დასები არ იზიდავდა მრავალი წლების განმავლობაში მაყურებლებს იტალიურ კომედიაში? ვის არ გაუგონია გერმანიაში და იტალიაში განთქმული ნიკოლინის საპანტომიმო დასი? განა ვისმე შეუძლია თქვას, რომ ამ ბავშვების მოძრაობები თავისუფალია, პოზები ნაკლებად მოხდენილია, სმენა ნაკლებად მახვილი და ცეკვაც ნაკლებად მსუბუქი, ვიდრე დასრულებული მოცეკვავისა? მართალია, პირველ ხანებში თითები მსხვილი, მოკლე და მოუქნელი აქვთ, ხელები ჩასუქებული, უჭირთ კიდევ ხელის წავლება. მაგრამ განა ეს უშლის ზოგიერთ ბავშვს წეროს ან ხატოს ისეთ ასაკში, როცა სხვას ფანქარი ან კალამი ვერ დაუჭერია ხელში? მთელ პარიზს ახსოვს კიდევ პატარა ინგლისელი ქალი, რომელიც ათი წლის ასაკში კლავერინზე სასწაულებს ახდენდა. მინახავს ერთი მოხელის შვილი, რვა წლის ყმაწვილი, რომელსაც თეფშებს შორის მაგიდაზე დააყენებდნენ ხოლმე, როგორც ქანდაკებას, და რომელიც თითქმის მის ოდენა ვიოლინოზე უკრავდა და თავის შესრულებით თვით მუსიკოსებსაც აკვირვებდა.

ეს მაგალითები და კიდევ ათი ათასი სხვა, ამტკიცებენ, შეხედულება, თითქოს ბავშვი ვერ ისწავლის იმას, რასაც ჩვენ ვსწავლობთ, ჩემი აზრით, მცდარია და თუ ზოგიერთ რამეში ბავშვებმა ვერ გამოიჩინეს წარმატება, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ არ უვარჯიშიათ.

მეტყვიან, რომ აქ, სხეულის მიმართ, თვითონ იმ ნაადრევი კულტურის შეცდომას ვუშვებ, რომელიც დავემე გონების მიმართ. განსხვავება ძლიერ დიდია, რადგან ერთ დარგში პროგრესი მოჩვენებითია, მეორეში კი რეალური. დავამტკიცე, რომ მათ არ აქვთ ნამდვილი გონება, რომელიც ჩვენ გვგონია რომ აქვთ, მაგრამ იმას, რაც გვგონია რომ აკეთებენ, ისინი მართლაც აკეთებენ. ოღონდ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე ეს არის და მუდამ უნდა იყოს მხოლოდ თამაში, იმ მოძრაობის მსუბუქი და ნებაყოფლობითი გამოვლინება, რომელსაც ბუნება მოითხოვს მათგან, ე. ი. უნდა იყოს მხოლოდ საშუალება იმისათვის, რათა ბავშვის გართობა გავამრავალფეროვნოთ და მისთვის სასიამოვნოდ ვაქციოთ; არავითარ ძალდატანებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რათა გართობა შრომად არ გადაიქცეს. არ ვიცი, რა გასართობი უნდა იყოს ისეთი, რომ ჭკუის

დარიგების საბაზად არ გამოდგეს; და რომც ვერ გამოვიყენო, რა უშავს, ოღონდ კი გაერთოს მის ნებაზე და დრო გაატაროს; განა ყველაფერში ახლავა საჭირო წარმატება? სამაგიეროდ, უსათუოდ საჭირო რომ იყოს ამის თუ იმის სწავლება, როგორც არ მიუდგე საქმეს, ვერასოდეს მიაღწევ მიზანს ისე, რომ ძალა არ დაატანო, არ მოაბეზრო და არ მოაწყინო.

ის, რაც ორი გრძნობის შესახებ ვთქვით, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად იხმარება ანდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, სხვა გრძნობების გავარჯიშების მაგალითადაც გამოდგება. მხედველობა და შეხება უძრავ საგნებსაც ეხება და მოძრავსაც. მაგრამ, რადგან მხოლოდ ჰაერის რხევას შეუძლია აამოქმედოს სმენის გრძნობა, ამიტომ მხოლოდ მოძრავ სხეულს შეუძლია წარმოშვას ხმაურობა ან ბგერა; ყველაფერი რომ უძრავი იყოს, ვერასოდეს ვერაფერს გავიგონებდით. ღამით კი, როცა მხოლოდ იმდენს ვმოძრაობთ, რამდენიც გვსურს, მხოლოდ მოძრავი საგნების შიში შეიძლება გვქონდეს და ამიტომ ყურები დაცქვეტილი უნდა გვქონდეს და შეგვეძლოს მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით ვთქვათ, დიდია მისი გამოწვევი საგანი თუ პატარა, შორს არის იგი თუ ახლოს, ძლიერია მისი რხევა თუ სუსტი, შერხეული ჰაერი უკუ იტყორცნება, გამოძახილი კი ამ შთაბეჭდილებას იმეორებს და ამიტომ ხმაურობის ან ბგერის წარმომშობი საგანი სხვა ადგილას გვესმის, ვიდრე იგი ნამდვილად არის. ველზე ან ბარში მიწას რომ დაადო ყური, გაცილებით უფრო შორიდან გაიგებ ადამიანის ხმას ან ცხენის ფეხის ხმას, ვიდრე ზეზე მდგომი.

კარგი იქნება, შევადაროთ მხედველობა სმენას, ისევე როგორც იგი შეხებას შევადარეთ და გავიგოთ, ორ შთაბეჭდილებათა შორის, ერთი და იმავე საგნიდან რომ მოდიან, რომელი მიაღწევს უფრო ადრე თავის ორგანოს. ზარბაზნის ცეცხლს რომ დაინახავ, შეიძლება კიდევ შეაფარო თავი რამეს; მაგრამ ხმას რომ გაიგონებ, დრო აღარ არის, ყუმბარა მოსულია უკვე. იმ დროის მიხედვით, რაც ელვასა და ქუხილს შორის გადის, შეიძლება გამოარკვიო მანძილი იმ ადგილამდე, სადაც ქუხს. ისე მოაწყვეთ საქმე, რომ ბავშვი გაეცნოს ყველა ასეთ ცდას; მანაც მოაწყოს ის ცდები, რაც შეუძლია, სხვას კი ინდუქციის გზით მიაგნოს; მაგრამ ათასწილად მირჩენია, რომ სრულებით არ იცოდეს, ვიდრე თქვენი თქმა შეიქმნეს საჭირო.

ჩვენ გვაქვს ერთი ორგანო, რომელიც სმენას შეესაბამება – სახელდობრ, ხმის ორგანო; მაგრამ არ გვაქვს ასეთივე ორგანო, მხედველობას და ფერებს რომ შეესაბამებოდეს, ვერ გავიმეორებთ ისევე, როგორც ბგერებს ვიმეორებთ. ეს კიდევ ერთი ზედმეტი საშუალებაა პირველი გრძნობის კულტურისათვის, რადგან შეგვიძლია აქტიური და პასიური ორგანო ერთმანეთის საშუალებით გავავარჯიშოთ.

ადამიანს სამეგარი ხმა აქვს, სახელდობრ: სამეტყველო ანუ საარტიკულაციო ხმა, სასიმღერო ანუ მელოდიური ხმა და პათეტური ანუ აქცენტირებული ხმა, რომელიც ვნებათა ენას წარმოადგენს და სიმღერასა და სიტყვას აცხოველებს. ბავშვს, როგორც მოწიფულსაც, სამივე გვარის ხმა აქვს, ოღონდ ამ უკანასკნელის მსგავსად ვერ უკავშირებს მათ ერთმანეთს, მასაც შეუძლია ჩვენსავით სიცილი, ყვირილი, ჩივილი, კვნესა, მაგრამ არ შეუძლია მათი მოდულაციები შეუერთოს დანარჩენ ორ ხმას. ის არის. სრულქმნილი მუსიკა, რომელიც ყველაზე უკეთ აერთიანებს ამ სამ ხმას. ბავშმა ასეთი მუსიკა არ იცის, და მისი სიმღერა მუდამ უგულოა. მის სამეტყველო ხმასაც არ გააჩნია გამომეტყველება, ის ყვირის, მაგრამ გამომეტყველება, არ აქვს; და როგორც მის ლაპარაკს აკლია გამომეტყველება ისე მის ხმასაც აკლია ენერჯია. ჩვენს მოწაფეს უფრო მარტივი, უფრო სადა ლაპარაკი ექნება, რადგან მისი ვნებები ჯერ არ გაღვიძებულია და მათი ხმაც ჯერ არ დამატებია დანარჩენ ხმებს. ამიტომ არამც და არამც არ უკითხვით მას როლები ტრაგედიიდან ან კომედიიდან და არ ასწავლოთ, როგორც იტყვიან ხოლმე, დეკლამაცია, ამის წყალობით იგი შემდეგში მისთვის გაუგებარ საგანზეც გამომეტყველებით ილაპარაკებს და ისეთ გრძნობებს გამოხატავს, რაც მას არასოდეს განუცდია.

ასწავლეთ მას სადა, ნათელი ლაპარაკი, კარგი არტიკულაცია, ზუსტი და უაფექტაციო გამოთქმა, გრამატიკული მახვილისა და პროსოდის დაცვა, ხმის დაძაბვა მხოლოდ იმდენად, რამდენიც საჭიროა გასაგონებლად და არა ზედმეტად, როგორც ეს კოლეჯში აღზრდილ ბავშვებს სჩვევიათ: არსად არავითარი გადაჭარბება!

აგრეთვე სიმღერაშიც მტკიცე, მშვიდი, მოქნილი და მჟღერი ხმა შეუძლებელია. ყურიც გრძნობდეს ზომას და ჰარმონიას და მეტი არაფერი. იმიტატიური და თეატრალური მუსიკა მის ასაკს არ შეჰყვარის. მე ისიც კი არ მინდა, რომ სიტყვებით იმღეროს; თუ მოინდომა სიტყ-

ვებით მღერა, შევეცდები საგანგებოდ გამოვიგონო მისი ასაკისათვის საინტერესო და მისი იდეების მსგავსად მარტივი სიმღერა-ლექსები.

გასაგებია თავისთავად, რომ თუ არ ვჩქარობ წიგნების კითხვა ვასწავლო, მით უმეტეს არ ავჩქარდები ნოტების კითხვა ვასწავლო. ავაცდინოთ მის ტვინს ყურადღების ძლიერი და დამქანცავი დაძაბვა და ნუ ვიჩქარებთ მის გონების დატვირთვას პირობითი ნიშნებით. არ ვმაღავ, რომ ამას ახლავს სიძნელე, ვინაიდან, თუმცა, ნოტების ცოდნა არ არის სიმღერის ცოდნისათვის უფრო აუცილებელი, ვიდრე ასოების ცოდნაა ლაპარაკისათვის, მაგრამ განსხვავება მაინც იმაშია, რომ ლაპარაკით ჩვენ საკუთარ აზრებს გამოვთქვამთ, სიმღერით კი – მხოლოდ სხვისას. ამ უკანასკნელთა გადმოსაცემად კი საჭიროა იცოდეთ მათი კითხვა.

მაგრამ, ჯერ ერთი, წაკითხვის მაგივრად შეიძლება გაიგონო და სიმღერაც ყურისათვის უფრო ახლოა, ვიდრე თვალისათვის. ამის გარდა, მუსიკის კარგი ცოდნისათვის არ კმარა მხოლოდ მისი შესრულება, საჭიროა მისი შექმნაც და ორივე ერთად უნდა ისწავლო, თორემ არასოდეს გეცოდინება მუსიკა კარგად. ჯერ ასწავლეთ თქვენს პატარა მუსიკოსს სწორი კადანსიანი პატარ-პატარა და წესიერი ფრაზების შედგენა: შემდეგ მათი შეერთება ერთმანეთთან ძალიან მარტივი მოდულაციით, დაბოლოს – მათი სხვადასხვა მიმართების აღნიშვნა სწორი პუნქტუაციით; ამისათვის საჭიროა კადანსებისა და პაუზების სწორად შერჩევა. განსაკუთრებით სიმღერაში არ დაუშვათ არავითარი უცნაურობა, არავითარი პათეტიკა, არავითარი ექსპრესია. მელოდია ყოველთვის იყოს გაბმული და სადაც, ტონის ძირითად ნოტებზე აგებული, მუდამ და მუდამ ისეთი, რომ ბანი გარკვევით ისმოდეს, ბავშვმა ადვილად გაიგონოს იგი და ყური მიაღვენოს; ხმისა და სმენის გასავითარებლად, მან უკლავესინოდ არ უნდა იმღეროს არასოდეს.

რათა ყოველი ბგერა უფრო მკაფიოდ ისმოდეს, მათ ცალ-ცალკე გამოთქვამენ; აქედანაა ცნობილი მარცვლების მქონე სოლფეჯიოს ხმარება. ხარისხების განსასხვავებლად სახელები უნდა მისცე ამ ხარისხებსაც და მათ განსხვავებულ მყარ ტერმინებსაც; აქედანაა ინტერვალების სახელები და ანბანის ასოები, რომლებითაც აღნიშნავენ კლავიშებს და გამის ნოტებს. C და A აღნიშნავენ გარკვეულ, მყარ ბგერებს, რომლებსაც ერთი და იგივე კლავიშები

იძლევა ყოველთვის. **ut** და **la** სულ სხვა რამ არის. **ut** არის მუდამ მაჟორული ტონის ტონიკა ან მინორული ტონის მედიანტი. **la** არის ყოველთვის მინორული ტონის ტონიკა ან მაჟორული ტონის მეექვსე ნოტი. ამგვარად, ასოები წარმოადგენენ ჩვენი მუსიკალური სისტემის უცვლელი მიმართულების ტერმინებს, მარცვლები კი შესატყვისი მიმართულების ტერმინებს სხვადასხვა ტონალობაში. ასოები აღნიშნავენ კლავიშებს; მარცვლები კი – ტონალობის საფეხურებს. ფრანგმა მუსიკოსებმა უცნაურად არიეს ეს განსხვავება; მათ ერთმანეთში არიეს მარცვლებისა და ასოების მნიშვნელობა; სრულიად ზედმეტად გააორმაგეს კლავიშების ნიშნები და აღარ მოიტოვეს არაფერი ტონების აღსანიშნავად, ისე, რომ მათთვის **ut** და **C** მუდამ ერთი და იგივეა, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა **C**? ამიტომ მათი სოლფეჯიოს მეთოდი განსაკუთრებით ძნელია, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, არავითარ ზუსტ იდეას არ აწვდის გონებას, ვინაიდან ამ მეთოდით ეს ორი მარცვალი – **ut** და **mi**, მაგალითად, შეიძლება ერთნაირად ნიშნავდეს მაჟორულსაც, მინორულსაც, დიდსაც და პატარა ტერციასაც. რაღაც უცნაური ბედისწერაა, რომ ქვეყანა, სადაც მუსიკაზე ყველაზე უკეთესი წიგნები იწერება, სწორედ ისეთი ქვეყანაა, სადაც მუსიკა ყველაზე უფრო ძნელი შესასწავლია.

მოდით, ჩვენს მოწაფესთან უფრო მარტივი და უფრო ნათელი მეთოდი გამოვიყენოთ; მისთვის მხოლოდ ორი ტონალობა იყოს, მათი მიმართება მუდამ ერთი და იგივე დარჩეს და მუდამ ერთი და იგივე მარცვლით აღინიშნოს სიმღერა იქნება თუ რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა, შეეძლოს თავისი ტონალობის გამორკვევა ყველა იმ თორმეტი ტონის მიხედვით, რომლებიც კი შეიძლება მისთვის საფუძველი იყოს ისე, რომ **D**-ში მოდულირებს იგი, **C**-ში, **G**-ში თუ სხვაში, ბოლო ტონალობის შესაფერისად ყოველთვის **ut** და **Ca** იყოს. რაც ასწავლეთ, იგი ყოველთვის გაგიგებთ; ტონალობის ძირითადი მიმართებები სიმღერაშიც და დაკვრაშიც მუდამ ნათელი იქნება მისთვის, შესრულება უფრო ზუსტი და წინსვლაც უფრო სწრაფი. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო უცნაური, რასაც ფრანგები ნატურალურ სოლფეჯიოს ეძახიან; ეს ნიშნავს, მოაშორო საგანს მისი იდეა და მისთვის სრულიად უცხო იდეა მიაკუთვნო, რომელიც მხოლოდ

დაგაბნევს და სხვა არაფერი. ყველაზე უფრო ბუნებრივია სოლფეჯიო ტრანსპოზიციით, როცა ტონალობა ტრანსპონირებულია.

მაგრამ არ ღირს ამდენი ლაპარაკი მუსიკაზე: ასწავლეთ იგი როგორც გნებავთ, ოღონდ კი იგი გართობას წარმოადგენდეს მუდამ და სხვას არაფერს.

აი, ჩვენ უკვე ვიცით უცხო სხეულების მდგომარეობა ჩვენი სხეულის მიმართ, მათი სიმძიმე, მოყვანილობა, ფერი, სიმკაცრე, სიდიდე, დაშორება, ტემპერატურა, მოძრაობა. ვიცით უკვე, რომელი სხეული მოვიზიდოთ და რომელი მოვიცილოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ მისი წინააღმდეგობა დავძლიოთ ანდა დავუპირისპიროთ მას სხვა სხეული, რომელიც მარცხს აგვაცდენს: მაგრამ ეს არ კმარა; ჩვენი საკუთარი სხეული მუდამ იქანცება, იგი მუდამ ძალის აღდგენას საჭიროებს. თუმცა, გვაქვს უნარი, სხვა სხეულები ჩვენს საკუთარ სუბსტანციად ვაქციოთ, მაგრამ არჩევანი ინდიფერენტული არ არის: კაცს ყველაფერი კი არ ეჭმევა და იმ სუბსტანციებს შორის, რომლებიც საკვებად გამოდგება, ზოგი უფრო მეტად არის შესაფერისი, ზოგი კი ნაკლებად, იმისდა მიხედვით, თუ როგორი კონსტიტუციის არის მისი სახეობა, როგორ კლიმატურ პირობებში ცხოვრობს. როგორი ტემპერამენტი აქვს მას კერძოდ და როგორ ცხოვრებას უკარნახებს მას მისი მდგომარეობა.

ჩვენ შიმშილით დავიზოცებოდით ან მოვიწამლებოდით, რომ შესაფერისი საჭმლის არჩევისათვის საჭირო ყოფილიყო დაცდა, რათა გამოცდილებას ესწავლებინა მისი გამოცნობა და არჩევა; მაგრამ უზენაესი სიკეთე, რომელმაც მგრძნობელი არსების სიამოვნება მისი დღევრძელობის იარაღად აქცია, გვამცნობს ხოლმე იმით, რაც ჩვენს სასას მოსწონს, იმას, რაც ჩვენს კუჭს ერგება. ბუნებრივ პირობებში ადამიანისათვის არ არსებობს მის საკუთარ მადანზე უფრო სანდო ეჭიმი და ადამიანი რომ მის პირველყოფილ მდგომარეობაში ავილოთ, ეჭვი არ მეპარება, ყოველი საჭმელი, რასაც იგი ყველაზე სასიამოვნოდ მიიჩნევდა, ყველაზე უფრო საღივ იქნებოდა მისთვის.

უფრო მეტიც, ქვეყნის შემოქმედი მარტო იმ მოთხოვნილებებზე კი არ ზრუნავს, რაც მან მოგვანიჭა, არამედ იმათზეც, რაც თვითონ მივეციტ თავს; და ჩვენი სურვილი რომ მუდამ თანმხლები იყოს ჩვენივე მოთხოვნილებისა, მან ისე მოაწყო, რომ ჩვენი გემოვნება გვეცვლება ყოფა-ცხოვრებასთან ერთად. რაც უფრო მეტად დავ-

შორდებით ბუნებრივ მდგომარეობას, მით უფრო მეტად ვკარგავთ ბუნებრივ გემოვნებასაც, ანდა უფრო სწორედ, ჩვეულება ჩვენს მეორე ბუნებად გვექცევა და მის მაგივრობას ეწევა იმდენად, რომ არც ერთმა ჩვენგანმა აღარ იცის თავდაპირველი ბუნება.

აქედან გამოდის, რომ ყველაზე უფრო ბუნებრივი გემოვნება ყველაზე უფრო სადა უნდა იყოს, რადგან იგი ყველაზე უფრო ადვილად იცვლება, მაგრამ, თუ იგი ჩვენმა ფანტაზიამ გააფაქიზა და გაალამაზა, ისეთი გახდება, რომ მეტად აღარ შეიცვლება. ის ადამიანი, რომელსაც არა აქვს ჯერ თავისი ქვეყანა, ადვილად შეეგუება ყოველი ქვეყნის ზნე-ჩვეულებას, მაგრამ ერთი ქვეყნის კაცი ვერ გადაიქცევა სხვა ქვეყნის კაცად.

ჩემი აზრით, ეს ყოველმხრივ სწორია და მით უფრო საკუთარივე გემოვნების მიმართაც. ჩვენი პირველი საჭმელები რძეა, მხოლოდ თანდათანობით ვეჩვევით ცხარე საჭმელს, პირველ ხანებში კი იგი გვძულს. ხილი, ბოსტნეული, მცენარეულობა და ბოლოს ცოტაოდენი შემწვარი ხორცი, შეუკაზმავი და უმარილო, აი, ადამიანების პირველი ნადიმი, ველური რომ პირველად ღვინოს სინჯავს, იგი იწყანება და სასმისს ხელს ჰკრავს; ჩვენ შორისაც კი, ვისაც ოც წლამდე მიუღწევია ისე, რომ მაგარი სასმელი არ გაუსინჯავს, ველარ ეჩვევა მას; ღვინოს მსმელი არც ერთი არ იქნებოდა ჩვენ შორის, რომ ნორჩ ასაკში ღვინოს არ გვასმევდნენ. დაბოლოს, რაც უფრო სადაა ჩვენი გემოვნება, მით უფრო უნივერსალურია; ზიზღს ყველაზე უფრო ხშირად რთული საჭმელები იწვევს, ვის უნახავს ისეთი ადამიანი, რომ წყალი და პური ეჯავრებოდეს? აი, ბუნების კვალი და მაშასადამე, აი, ჩვენი წესიც. შევუნარჩუნოთ ბავშვს, რამდენადაც შეიძლება მისი თავდაპირველი გემოვნება; საყოველთაო და სადა საჭმელი ჭამოს, შეაჩვიოს სასა მხოლოდ უბრალო საჭმელებს და რაღაც საგანგებო გემოს ნუ შეიმუშავებს.

აქ არ ვსვამ კითხვას უფრო ჯანსაღია ასეთი ცხოვრება თუ არა; არ ვუდგები მას ამ თვალსაზრისით. იმისათვის, რომ ასეთ ცხოვრებას უპირატესობა მივცე, ჩემთვის საკმარისია ვიცოდე, რომ იგი ყველაზე უფრო შეეფერება ბუნებას და ყველაზე უფრო ადვილად ეგუება ყოველგვარ პირობებს ვინც ამბობს, რომ ბავშვები შევაჩვიოთ იმ საჭმელს, რომელიც მოწიფულობაში უნდა ჭამონ, ვერ მსჯელობს სწორად, ასე მგონია. საჭმელი რატომ უნდა იყოს ერთი და

იგივე, თუკი ცხოვრების წესი ესოდენ განსხვავებულია? მუშაობით, დარდებით, გაჭირვებით დაქანცულ კაცს ნოყიერი საჭმელი ესაჭიროება, რათა მის ტვინს ახალი ძალები შეემატოს. ბავშვს, რომელიც ეს-ეს არის ცელქობდა და რომლის სხეული იზრდება, უხვი საჭმელი უნდა, რომელიც მას ბევრ ლიმფას მიაწოდებს; ამასთანავე კაცს აქვს უკვე გარკვეული მდგომარეობა – ხელობა, ბინა, ვის შეუძლია დარწმუნებით თქვას ბავშვზე, თუ რას უქადის მას მისი ბედ-იღბალი? ნურც ერთი მხრით ნუ მივცემთ მას იმდენად დასრულებულ სახეს, რომ გაუძნელდეს მისი შეცვლა, თუ საჭიროებამ მოითხოვა. ნუ მოვიქცევით ისე, რომ იგი შიმშილით მოკვდეს უცხო ქვეყანაში, თუ ფრანგი მზარეული არ ათრია თან და ნურც ისე, რომ მან ოდესმე თქვას, ჭამა-სმა მხოლოდ საფრანგეთში იცინაო. აი, სხვათა შორის, უცნაური ხოტბა! მე კი, პირიქით ვიტყვოდი, რომ სწორედ ფრანგებს არ ცოდნიათ ჭამა, ვინაიდან რაღაც საგანგებო ოსტატობა არის საჭირო, რათა მათი კერძი იჭმებოდეს.

გრძნობებს შორის გემო საზოგადოდ ყველაზე უფრო მეტად მოქმედებს ჩვენზე. მართლაც, უფრო დაინტერესებული ვართ სწორად ვიმსჯელოთ იმ სუბსტანციებზე, რომლებიც ჩვენი სუბსტანციის ნაწილად უნდა იქცნენ, ვიდრე იმ სუბსტანციებზე, რომლებიც მის გარშემო უნდა იმყოფებოდნენ. მხოლოდ შეხებისათვის, სმენისათვის და მხედველობისათვის ათასი რამ არის ინდიფერენტული; მაგრამ თითქმის არაფერი არის ისეთი, რომ გემოსათვის იყოს ინდიფერენტული, უფრო მეტიც: ამ გრძნობის მოქმედება მთლად ფიზიკური და მატერიალურია; იგი ერთადერთი გრძნობაა, რომ არაფერს ეუბნება ჩვენს ფანტაზიას, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მის შეგრძნებებში ფანტაზია ყველაზე ნაკლებია: ყველა სხვა გრძნობის შთაბეჭდილებებში კი ბაძვა და ფანტაზია მორალს ჩაურევნ ხშირად. ამიტომ, საერთოდ, ნაზი და მგზნებარე გულის პატრონს, ვნებიანსა და ძლიერ მგრძნობიარე ადამიანს სხვა გრძნობები ადვილად ააღელვებს, გემოს მიმართ კი იგი საკმაოდ გულგრილია. მაგრამ სწორედ ის, რაც გემოს სხვა გრძნობებზე დაბლა აყენებს და ამცირებს ჩვენს თვალში მასთან დაკავშირებულ ნდომა-სურვილებს, მე, პირიქით, მაფიქრებინებს, რომ ბავშვის წარმართვის საუკეთესო საშუალებაა უხელმძღვანელო პირის საშუალებით. სიწუწვე უკეთესი მამოძრავებელია, ვიდრე პატივმოყვარეობა, რადგან პირველი ბუ-

ნებრივი წადილია და უშუალოდ გრძნობაზეა დამოკიდებული, მეორე კი გაგების საქმეა, რომელიც ადამიანის კაპრიზზე და ყოველგვარ შერყვნაზეა დამოკიდებული. სიწუწვე ბავშვობის ვნებაა; ეს ვნება ვერ უძლებს ვერც ერთ სხვა ვნებას; სულ მცირე წინააღმდეგობა რომ შეხვდეს, იგი გაქრება; ეჰ, მერწმუნეთ, ბავშვი სულ შეწყვეტს ფიქრს იმაზე, რას სჭამს იგი და როდესაც მისი გული შეწუხებული იქნება, სასა არ შეაწუხებს მას სრულებით. როცა ბავშვი გაიზრდება, ათასი სხვა მხურვალე გრძნობა დაიკავებს ტკბილესობის სიყვარულის ადგილს და მხოლოდ გაანელებს მის პატივმოყვარეობას, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელი ვნება იყენებს თავისათვის დანარჩენ გრძნობებს, დაბოლოს, შთანთქავს კიდევ მათ. ზოგჯერ დაკვირვებებივარ ისეთ კაცებს, რომლებიც დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ გემრიელ ნაჭერს, დილიდანვე იმის ფიქრში არიან, დღეს რას ვჭამთო, და უფრო დაწვრილებით მოგვითხრობენ სადილის ამბავს, ვიდრე პოლიბიოსი²⁷ გვიყვება ბრძოლის ამბავს. დავრწმუნდი, რომ ყველა ეს ვითომდა კაცი მხოლოდ ორმოცი წლის ბავშვი იყო მხნეობასა და სიმტკიცეს მოკლებულნი, *fruges consumere nati*,²⁸ სიწუწვე ცარიელი სულის სენია. წუწვი კაცის სული მთლად მის სასაზეა მიკრული. იგი მხოლოდ ჭამისათვის არის გაჩენილი; ყოვლად უქმი და უნიჭო, იგი მხოლოდ სუფრაზე ვარგა, მხოლოდ საჭმელზე შეუძლია ილაპარაკოს, არ გვმუტრს – დავვილოცნია მისთვის ეს ხელობა; ჩვენთვისაც კარგი იქნება და მისთვისაც რომ შეასრულოს, რაც მას უფრო მოუხდება, ვიდრე სხვა რამე.

შიშს, რომ სიწუწვემ არ გაიდგას ფესვები ბავშვში, რომელსაც მაინც აქვს ზოგი რამის უნარი, მხოლოდ ჭკუამოკლე კაცი შეუძლია შეამფოთოს. ბავშვობაში მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რა ვჭამოთ; ჭაბუკობაში ამაზე უკვე აღარ ვფიქრობთ; ყოველი საჭმელი მოგვწონს, რადგან მრავალი სხვა საქმე გვაქვს. ამავე დროს ისიც არ მინდა, რომ გადაჭარბებით ვისარგებლოთ ამ დაბალი სტიმულით ანდა ტკბილი ნაჭრების საშუალებით შევავუღიანოთ ბავშვი საპატიო და კარგი საქმისათვის. თუკი ბავშვობა თამაშსა და სიცვლქეში გადის და უნდა გადიოდეს კიდევ, არ მესმის, რატომ არ შეიძლება წმინდა სხეულებრივ ვარჯიშს მატერიალური და ხელსახები საზღაური ჰქონდეს. როდესაც პატარა მაიორკელი²⁹ შურდულით ჩამოაგდებს ხის წვეროზე ჩამოკიდებულ კალათს, განა სამართლიანი არ არის,

რომ მან ისარგებლოს კიდევ ამით და შეივსოს კარგი საუზმით ის ძალა, რომელიც კალათის ჩამოსაგდებად დახარჯა? რომ ახალგაზრდა სპარტელი არ შეუშინდეს გაწკებლას, მოხერხებულად შეძვრეს სამზარეულოში, მოიპაროს მელას ლეკვი, უბეში ჩაისვას, დააფხაჭნინოს, დააკბენინოს, დაასისხლიანებინოს თავი იმ მიზნით, რომ არ გაუგონ და თავი არ შეირცხვინოს, წელებიც კი დაახევინოს მელას, და არც ერთხელ არ დაიჭყანოს და კრინტიც არ დასძრას, – განა სამართლიანი არ იქნება, რომ ამ სპარტელმა ბავშვმა ბოლოს იგემოს თავისი ნადავლი და თვითონ შეჭამოს ის, ვინც მას აქამდე ჭამდა? კარგი საჭმელი არასოდეს უნდა იქცეს ჯილდოდ; მაგრამ რატომ არ შეიძლება იგი ზოგჯერ შედეგი იყოს იმ ამავისა, რაც ჩვენ მის მისაღწევად მიგვიძღვის? ქვაზე დადებულ შაქარლამას ემილი არ თვლის ჯილდოდ კარგი სირბილისათვის; მან მხოლოდ ის იცის, რომ ერთადერთი საშუალება მის მისაღებად არის ყველაზე ადრე მირბენა მასთან.

ეს სრულებითაც არ ეწინააღმდეგება იმას, რაც ეს-ეს არის ვთქვი უბრალო საჭმელზე, რადგან ბავშვის მადა რომ ცოტა გავალალო, არ არის საჭირო, მგრძნობელობა გაგულიზიანო, არამედ დავაკმაყოფილო იგი; ამისათვის კი სრულიად უბრალო საშუალებებია საჭირო, თუ საგანგებოდ არ გაუფაქიზე გემოვნებას. განუწყვეტელი მადა, რომელსაც ზრდის მოთხოვნილება, საუკეთესო საკაზმია და ნაირნაირი საკაზმის მაგიერობას გაუწევს. ხილი, რძის ნაწარმი, ჩვეულებრივ პურზე ცოტა უფრო ნამცხვარი, განსაკუთრებით კი ყოველივე ამის ზომიერი განაწილების ოსტატობა – აი, ის ხერხი, რომელსაც შეუძლია ბავშვთა მთელი არმიები ცხრა მთა გადაატაროს ისე, რომ არც ცხარე საჭმელი შეაყვარო და არც სასა მოუდუნო.

ხორცის სიყვარული რომ არ არის ადამიანისათვის ბუნებრივი, ამის ერთ-ერთი საბუთია ბავშვების სრული გულგრილობა ამგვარი საჭმელებისადმი და ის უპირატესობა, რომელსაც ისინი აძლევენ მცენარეულ საჭმელს, როგორცაა რძის პროდუქტები, ფქვილეული, ხილი და სხვა. ძალიან უნდა ვეცადოთ, რომ არ შევრყვნათ ეს ბუნებრივი გემოვნება და ბავშვები ხორციჭამიებად არ ვაქციოთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თუ ჯანმრთელობისათვის არა, ხასიათისათვის მაინც; ვინაიდან, როგორც არ უნდა ავსახოთ ეს დაკვირვება, უეჭველია, რომ ხორცის ბლომად მჭამელი კაცე-

ბი, საზოგადოდ, სხვებზე უფრო უღმობელი და მკაცრები არიან; ეს დაკვირვება სწორია ყველა დროისათვის და ყველა ქვეყნისათვის. ინგლისელების ბარბაროსობა ცნობილია;³⁰ პირიქით გორები (*les geures*) ყველაზე უფრო მშვიდი ხალხია.³¹ ველურები ყველა უღმობელია; მაგრამ ეს მათი ზნე-ჩვეულების ბრალი კი არ არის: უღმობლობა მათი საკვების ბრალია. ისინი ომში ისე მიდიან, თითქოს სანადიროდ მიდიოდნენ და ადამიანებს ისე ექცევიან, როგორც დათვებს. ინგლისში ყასაბს ისევე, როგორც დასტაქარს მოწმედ არ იღებენ.³² დიდი ავაზაკები სისხლის სმის საშუალებით კაჟდებიან კაცის კვლის ხელობაში. ჰომეროსი ხორციჭამია ციკლოპებს აგვიწერს, როგორც უსაძაგლეს ხალხს, ლოტოფაგებს კი ისეთ საყვარელ ხალხად წარმოგვიდგენს, რომ ყველა, გაეცნობოდა თუ არა ამ ხალხს, უცბად თავის ქვეყანას ივიწყებდა და მასთან ცხოვრებას არჩევდა.

– „შენ მეკითხები“, ამბობდა პლუტარხოსი³³ „რატომ ერიდებოდა პითაგორა პირუტყვთა ხორცის ჭამას; მე კი, პირიქით, გეკითხები, რა გულადი უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, ვინც პირველად მიიტანა პირთან ხორცის ნაგლეჯი, ვინც დაღრღნა თავისი კბილებით ცოცხალმკვდარი ცხოველის ძვალი, ვინც მოითხოვა – მომართვით მკვდარი სხეული, ლემიო და გადაუშვა თავის კუჭში ასოები, რომლებიც ეს-ეს არის ბლადნენ, ღმუოდნენ, დადიოდნენ და იყურებოდნენ. როგორ შეძლო მისმა ხელმა მახვილი ჩაეცა მგრძობელი არსების გულში? როგორ გაუძლო მისმა თვალებმა მკვლევლობის ცქერას? როგორ შესძლო ეცქირა, ამ საბრალო და უმწეო ცხოველს სისხლი რომ აღინეს, ტყავი გააძვრეს, აკეპეს? როგორ გაუძლო მთრთოლვარე ხორცის ცქერას? როგორ არ აღაშფოთა მისი გული ამ ხორცის სუნმა? ნუთუ, არ შეეზიზღა, არ შედრკა, არ შეშინდა, როდესაც მან ამ ბინძურ ჭრილობებს ხელი შეავლო და იწყო ჩაშვებული და დაკვეთილი სისხლისაგან მათი გაწმენდა?“

„სხეულს გაცლილი ტყავები მიწაზე ეგდო, შამფურზე აცმული ხორცი ცეცხლზე ღმუოდა; ადამიანი ვერ ჭამდა მას შეუძრწუნებლად და კუჭიდანაც კი მისი ოხვრა ესმოდა“.

აი, რა უნდა წარმოედგინა და რა უნდა ეგრძნო მას, როცა პირველად სძლია ბუნებას, რათა ეს საშინელი ნადიმი მოეწყო, როცა პირველად მოშივდა ცოცხალი ცხოველი და მოინდომა კვება ცოც-

ხალი ცხოველით, რომელიც ჯერ კიდევ ბალახობდა და თქვა, როგორ უნდა დაეკლათ, აეკუწათ და შეეწვათ ის ცხვარი, რომელიც მას ხელებს ულოკავდა. საკვირველებას უნდა იწვევდეს ის, ვინც წამოიწყო ეს საშინელი ნადიმობა და არა ის, ვინც გაურბის მას; პირველს კიდევ შეუძლია მოიყვანოს თავის ბარბაროსობის გასამართლებელი საბუთები, რომლებიც ჩვენს ბარბაროსობას უკვე ველარ ამართლებს და ამიტომაც ათასჯერ უფრო ბარბაროსები ვართ, ვიდრე ისინი.

„ღმერთების საყვარელო მოკვდავნო, – გვეტყოდენ ჩვენ ეს პირველი ადამიანები, შეადარეთ ჩვენი და თქვენი დრო, შეხედეთ რა ბედნიერები ხართ თქვენ და რა უბედურები ვიყავით ჩვენ. ახლად გაჩენილი დედამიწა და ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი ჯერ არ ემორჩილებოდა წელიწადის სეზონების წესს, მდინარეების უწესრიგო დენა ანგრევდა ნაპირებს ხან აქ და ხან იქ; ტბებს და ღრმა ჭაობებს მიწის ზედაპირის სამი მეოთხედი ეჭირათ; უკანასკნელი მეოთხედი დაფარული იყო უდაბური ტყეებით. მიწა არ იძლეოდა ჯერ რამე სასიკეთო ნაყოფს; არავითარი სამუშაო იარაღი არ გვექონდა; არ ვიცოდით, როგორ უნდა გამოგვეყენებინა ისინი, და იმათ, ვინც არასოდეს არ თესდა, მოსავალიც არასოდეს არ მოსდიოდა. ამიტომ შიმშილიც არ აგვმორებია. ზამთარში ჩვენი ყოველდღიური კერძი ხავსი და ხის ქერქი იყო. კაპოეტის და ჩადუნას ნორჩი ძირები ჩვენთვის ნადიმი იყო; როცა წიფლის ნაყოფს, კაკალს ან რკოს იშოვიდნენ, სიხარულით ცეკვავდნენ მუხის ან წიფლის გარშემო და ველური სიმღერებით აღიდებდნენ მიწას – მათ მარჩენალს და დედას: ეს იყო მათი ერთადერთი დღესასწაული; ეს იყო მათი ერთადერთი გასართობი; დანარჩენი ცხოვრება კი ადამიანისათვის მხოლოდ მწუხარება, ტანჯვა და უბედურება იყო.

„დაბოლოს, რაკი გაშიშვლებული და ტიტველი მიწა აღარაფერს გვაძლევდა, იძულებულნი გავხდით თავის გადასარჩენად შეურაცხყოფა მიგვეყენებინა ბუნებისათვის და ვჭამეთ ჩვენი უბედურების მოზიარენი, რომ მათთან ერთად არ მოვმკვდარიყავით. მაგრამ თქვენ, მკაცრო ადამიანებო, თქვენ რაღა გაიძულებთ სისხლის ღვრას? აბა, გაიხედეთ, რა სიუხვეა თქვენ გარშემო! რამდენ ნაყოფს იძლევა თქვენი მიწა, რა სიმდიდრეს გაძლევთ ყანა და ვაზი! რამდენი ცხოველია, რომ საკვებად თავის რძეს გაძლევთ და ჩასაცემელად თავის მატყლს! რაღა გინდათ მეტი მათგან? რამ გავამზავთ

ამდენად, რომ ყოველივე სიკეთით სავსენი და მოყირჭებულნი მაინც ამდენ მკვლელობას ჩადიხართ? რატომ სწამებთ ცილს თქვენს დედამიწას, რომ ვერ გკვებავთ? რატომ სცოდავთ წმინდა კანონების გამომგონებელ ცერერას, ადამიანთა მანუგემებელ კეთილ ბახუსს? თითქოს მათი უხვი წყალობა არ იყოს საკმარისი ადამიანთა მოდგმის არსებობისათვის? როგორ მიგივიდათ გული, რომ თქვენს სუფრაზე მათ ტკბილ ნაყოფს ძვლები გაუორიეთ და რძესთან ერთად შესვით იმ ცხოველის სისხლიც, რომელმაც ეს რძე მოგცათ? პანტერა და ლომი, რომლებსაც თქვენ მხეცებს ეძახით, ძალაუნებურად ემორჩილებიან თავის ინსტინქტს და კლავენ სხვა ცხოველებს, რომ სიცოცხლე შეინარჩუნონ. მაგრამ თქვენ, ათასჯერ უფრო მხეცებო, უმიზეზოდ ებრძვიან ინსტინქტს, რათა თავი მისცეთ თქვენს მხეცურ განცხრომას. ის ცხოველები, რომლებსაც თქვენ ჭამთ, სხვებს არ ჭამენ: თქვენ არ ჭამთ ხორციჭამია ცხოველებს, თქვენ ბაძავთ მათ. თქვენ გშიათ მხოლოდ უმანკო და თვინიერი ცხოველები, რომლებიც არავის არაფერს გიშავებენ, გეჩვევიან, გემსახურებიან. თქვენ ჭამთ მათ ამ სამსახურისათვის“.

„ბუნების მოწინააღმდეგე მკვლელო! თუ დაჰინებით ამტკიცებ, თითქოს ბუნებამ იმისათვის გაგაჩინა, რომ შენი მსგავსი ძვალ-ხორციანი, მგრძნობელი და ცოცხალი არსებები შეჭამო, მაშინ ბარემ ჩაახშე შენს გულში ზიზღი, რომელიც ბუნებამ ჩაგინერგა ამ საზიზღარი ნადიმის მიმართ; თვითონ მოკალი ცხოველი, მოკალი საკუთარი ხელით, ნუ იხმარ ნურც დანას, ნურც რკინის სხვა იარაღს; დაგლიჯე ცხოველი საკუთარი ფრჩხილებით, როგორც სჩადიან ლომი და დათვი, უკბინე ამ ხარს და დახლიჩე ნაკუწ-ნაკუწად; ჩაასვი ბრჭყალები მის ტყავში; შეჭამე ეს ბატკანი ცოცხლად, შეჭამე თბილ-თბილი ხორცი, შესვი მისი სული სისხლთან ერთად. კანკალებ? ვერ გაგიბეღია იგრძნო კბილზე ცოცხალი ხორცი! საწყალო ადამიანო! ჯერ კლავ ცხოველს და შემდეგ ჭამ მას, თითქოს გინდა, რომ მეორეჯერ მოკვდეს. ეს კიდევ ცოტაა: მკვდარი ხორცი გძავს ჯერ, შენს ნაწლავებს ვერ აუტანიათ იგი; ამიტომ ცეცხლის საშუალებით უნდა გარდაქმნა, მოხარშო, შეწვა, საკმაზი უყო, რათა გემო გამოეცვალოს; შენ გჭირდება საყასბო, სამზარეულო, დუქნები, ხალხი, რომელიც მკვლელობის საშინელებისაგან გიხსნის და მკვდარ სხეულს ისე მორთავს, რომ ამ მორთულობით მოტყუებულ გემოს გრძნობას არ შე-

ზიზღდეს ის, რაც მას სძულს და სიამოვნებით იგემოს გვამები, რომლის მარტო დანახვასაც თვალი ვერ გაუძლებდა“.

თუმცა, ეს ამონაწერი არ ეხება ჩემს თემას, მაგრამ ვერ გავუძელი ცდუნებას არ გადმომეწერა იგი და იმედი მაქვს, რომ ცოტა იქნება ისეთი მკითხველი, რომელიც ამას მისაყვედურებს.

საერთოდ კი, რა რეჟიმიც არ შემოიღოთ ბავშვებისათვის, ოღონდ კი ჩვეულებრივ და უბრალო საჭმელებს შეაჩვიეთ, მიეცით ნება ჭამონ, ირბინონ და ითამაშონ რამდენიც უნდათ და დარწმუნებული იყავით, რომ არასოდეს ისინი ზომამზე მეტს არ შეჭამენ და არც მონელება გაუჭირდებათ; მაგრამ, თუ ნახევარი დრო ამომშლიეთ და ამის შემდეგ მათ მოახერხეს დაძრომა, ისინი დანაკლისს აინაზღაურებენ რამდენადაც კი შეძლებენ და გაიყევიან ისე, რომ ყელამდე ამოადგეთ საჭმელი. ჩვენმა მადამ მხოლოდ იმიტომ არ იცის ზომა, რომ გვინდა მოვახვიოთ მას სხვა წესები და არა ის, რაც ბუნებას აქვს; მუდამ ვაწესრიგებთ, ვკარნახობთ, ვუმატებთ, ვაკლებთ, მუდამ სასწორი გვიჭირავს ხელში; მაგრამ ეს სასწორი ჩვენი ფანტაზიის საზომია და არა კუჭისა. მე მუდამ ჩემს მაგალითებს ვუბრუნდები. პური და ბოსტნეული გლეხს არასოდეს არ აქვს ჩაკეტილი, მაგრამ არც ბავშვებმა, არც დიდებმა არ იციან – რა არის მოუნელებლობა. მიუხედავად ამისა, თუ მაინც მოხდება, რომ ბავშვი ზომამზე მეტს ჭამს (რაც, ჩემი მეთოდით, ვფიქრობ, შეუძლებელია), სულ ადვილია, ისე გაართო იგი მისთვის საყვარელი გასართობებით, რომ შიმშილისგან დაუძლურდეს და ვერც კი გრძნობდეს ამას. საკვირველია, რომ ვერც ერთი აღმზრდელი ასეთ ადვილსა და ნამდვილ საშუალებას ვერ ამჩნევს. ჰეროდოტე (წ. 1, თ. 94) გვიამბობს, რომ ლიდიელებმა, უკიდურესი შიმშილობით შეწუხებულებმა, სხვადასხვა თამაშისა და გასართობის გამოგონება იწყეს, რათა შიმშილი დაეწყებოდათ და მთელი დღე ისე გადიოდა, რომ ჭამა არც კი აგონდებოდათ.³⁴ თქვენს სწავლულ აღმზრდელებს, ალბათ ათასჯერ წაუკითხავთ ეს ადვილი, მაგრამ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ იგი შეიძლება ბავშვებზეც გამოიყენო. ეგებ ვინმე მათგანმა მითხრას, რომ ბავშვი თავისით არ მიატოვებს სადილს, რომ გაკვეთილები მოამზადოს. მასწავლებლო, მართალი ბრძანდებით! ასეთი გასართობი არ მქონდა მხედველობაში.

ყნოსვის გრძნობა იგივეა გემოსათვის, რაც მხედველობა შეხების

გრძობისათვის; იგი წინ უსწრებს მას, აუწყებს, როგორ იმოქმედებს მასზე ესა თუ ის ნივთიერება და ქმნის განწყობილებას, რომ იგი ან ეძებდეს, ან ერიდებოდეს ამ ნივთიერებას იმისდა მიხედვით, რა შთაბეჭდილება მიიღო მისგან წინდაწინ. გამიგონია, რომ ველურების ყნოსვა იწვევს სხვა შეგრძობას, ვიდრე ჩვენი, და რომ მათთვის კარგი და ცუდი სუნი სხვაა, ვიდრე ჩვენთვის. ჩემი აზრით, ეს გადმოცემა სანდოა. სუნი თავისთავად სუსტი შეგრძობაა; იგი უფრო ფანტაზიას ამოქმედებს, ვიდრე გრძობას და იმდენად არ მოქმედებს იმით, რასაც იძლევა, რამდენადაც იმით, რასაც გვპირდება. თუ ეს ასეა, ერთის გემოვნებამ, რომელიც მისი ცხოვრების პირობების გამო ეგზომ განსხვავებულია მეორის გემოვნებისაგან, მას სრულიად საწინააღმდეგოდ უნდა შეაფასებინოს ამა თუ იმ საგნის გემო და, მაშასადამე, ის სუნიც, რომელიც ამის შესახებ გვაუწყებს. თათარმა ისეთივე სიამოვნებით უნდა იყნოსოს მკვდარი ცხენის მყრალი ნაჭრის სუნი, როგორც ჩვენმა მონადირემ ნახევრად დამპალი კაკაბი.

დასვენებასთან დაკავშირებით ჩვენი განცდა, როგორცაა ბაღში ყვავილის სუნით ტკბობა, მიუწვდომელი უნდა იყოს ისეთი ადამიანისათვის, რომელიც იმდენს დადის, რომ სეირნობა აღარ უყვარს, ან ისეთისათვის, რომელიც არ მუშაობს იმდენს, რომ დასვენებაში სიამოვნება იპოვოს. მუდამ მშვიერ ადამიანს დიდად ვერ ასიამოვნებს ისეთი სუნი, რომელიც ჭამას არ მოასწავებს.

ყნოსვა ფანტაზიის გრძობაა; რადგან იგი ძლიერ აღაგზნებს ნერვებს, ამიტომ მან ტვინიც უნდა აღაგზნოს ძლიერად, სწორედ ამიტომაც, რომ იგი ერთი წუთითაც აცხოველებს ტემპერამენტს, მაგრამ საბოლოოდ აუძლოურებს მას. ცნობილია, როგორ მოქმედებს იგი სიყვარულზე: ბუდუარის ნაზი სუნი არც ისეთი სუსტი მახეა, როგორც ჰგონიათ; და მე არ ვიცი, მისალოცი თუ შესაცოდებელი არის ის გონიერი და ნაკლებად გრძობიერი მამაკაცი, რომელიც არასოდეს არ აუთრთოლებია მისი საყვარლის გულზე მიბნეული ყვავილების სუნს.

მაშასადამე, ყნოსვა აღრინდელ ასაკში მაინცდამაინც არ უნდა ვამოქმედოთ, რადგან წარმოსახვა, რომელსაც ვნებები ჯერ არ აღელებს, სრულებით ვერ განიცდის ემოციას და რადგან ჯერ არ არის იმდენი გამოცდილება, რომ ერთი გრძობის მიხედვით გაითვალისწინო ის, რასაც მეორე გვიქადის. მართლაც, დაკვირვება სავსებით ადასტუ-

რებს ამ დასკვნას. ცნობილია, რომ ეს გრძნობა ბავშვებში მეტწილად სუსტი და ჩლუნგია, იმიტომ კი არა, რომ ბავშვის შეგრძნება არ არის იმდენად ზუსტი და შეიძლება უფრო ზუსტიც, ვიდრე მოწიფულისა, არამედ იმიტომ, რომ არავითარ სხვა იდეას იგი ამას არ უკავშირებს და, ამის გამო, ეს მას არც სიამოვნებას ჰგვრის და არც უსიამოვნებას, არც ახარებს და არც აწუხებს ჩვენ მსგავსად. ჩემი აზრით, არც ამ სისტემის ფარგლებიდან გასვლა არის საჭირო და არც ორი სქესის ანატომიური შედარება, რათა ადვილად მიხვდე, რატომ განიცდიან ქალები სუნს უფრო ძლიერად, ვიდრე მამაკაცები.

ამბობენ, კანადის ველურები ბავშვობიდანვე ისეთ ზუსტ ცნოსვას ივითარებენ, რომ, თუმცა ძაღლები ჰყავთ, მაგრამ არ მიაჩნიათ საჭიროდ დაიხმარონ ისინი ნადირობის დროს და თვითონ ასრულებენ ძაღლის სამსახურს. და მართლაც, ვფიქრობ, ბავშვებისათვის რომ გვესწავლებინა სადილის ცნოსვით ძებნა ისე, როგორც ძაღლი ნადირს ეძებს ხოლმე, მათაც, ალბათ, ისეთივე კარგი ცნოსვა შეუძლებოდათ; მაგრამ ბოლომდე არ მესმის, რა სარგებლობა უნდა მოიტანოს ამ გრძნობამ, თუ არა, ის, რომ შეასწავლო ბავშვს მისი კავშირი გემოს გრძნობასთან. ბუნებამ თვითონ იზრუნა ძალა დაეტანებინა ჩვენთვის, რომ გავცნობოდით ამ კავშირებს. მან ისე მოაწყო, რომ უკანასკნელი გრძნობის მოქმედება თითქმის განუყოფელია მეორე გრძნობის მოქმედებისაგან. ეს ასეა იმის გამო, რომ მათი ორგანოები ერთმანეთის მეზობლად არიან მოთავსებული და პირის საშუალებით ერთმანეთს უერთდებიან ისე, რომ ჩვენ ვერაფრის გემოს ვერ ვიგრძნობთ ისე, თუ მისი სუნიც არ ვიგრძენით. მე ვისურვებდი მხოლოდ, რომ ბავშვის მოსატყუებლად არ ამახინჯებდნენ ამ ბუნებრივ კავშირებს, მაგალითად, როცა სასიამოვნო სუნით უმაღავენ წამლის სიმწარეს; უთანხმოება ორ გრძნობას შორის აქ იმდენად დიდია, რომ მაინც ვერ მოატყუებ; უფრო ძლიერი გრძნობა აქარწყლებს მეორის მოქმედებას და ბავშვი მაინც ზიზლით სვამს წამალს: ეს ზიზლი ვრცელდება ყველა შეგრძნებაზე, რომელსაც იგი იმ წუთში განიცდის. სუსტი შეგრძნება მის ფანტაზიაში სხვა შეგრძნებებსაც იწვევს: ძლიერ სასიამოვნო სურნელება მისთვის საზიზლარ სუნად იქცევა და, ამგვარად, ჩვენი ზედმეტი სიფრთხილე გვიმრავლებს არასასიამოვნო განცდებს სასიამოვნოთა ხარჯზე.

მე დამრჩა შემდეგ წიგნებში სათქმელად თემა სალი გონების შე-

სახებ. ეს, ასე ვთქვათ, მეექვსე გრძნობის გაწვრთნას შეეხება, რასაც ფრანგულად ჰქვია *sens commun* არა იმიტომ, რომ იგი ზოგადია ყველა ადამიანისათვის, რამდენადაც იმიტომ, რომ იგი დანარჩენ გრძნობათა კარგად მოწესრიგებული ხმარების შედეგია და გვაძლევს ცნობას საგანთა ბუნების შესახებ ყველა მათი მოვლენილი თვისების შეწყობით. ამიტომ ამ მეექვსე გრძნობას საკუთარი ორგანო არ გააჩნია. იგი მხოლოდ ტვინში იმყოფება და მის განცდებს სავსებით შინაგანთ, პერცეპციები ან იდეები ეწოდება. სწორედ იმ იდეების რაოდენობით განიზომება ჩვენი ცოდნის მოცულობა; მათი სიწმინდე, მათი სინათლე – აი, რა ქმნის ჩვენი გონების სისწორეს; ერთმანეთთან მათი შედარების უნარს ეწოდება სწორედ ადამიანის განსჯა. ამიტომ ის, რასაც გრძნობადსა და ბავშვურ განსჯას ვეძახოდ, რამდენიმე შეგრძნების შეერთებით მარტივი იდეების შემუშავებაში მდგომარეობს; ის კი, რასაც ინტელექტუალური ან მოწიფული ადამიანის განსჯას ვეძახი, რამდენიმე მარტივი იდეის შეერთებით რთული იდეების შემუშავებაში მდგომარეობს.

თუ ჩემი მეთოდი არის ბუნების მეთოდი და არ ვცდები მის გამოყენებაში, მაშინ ჩვენი მოწაფე, შეგრძნებათა ქვეყანაზე გავლით, ბავშვური გონების მიჯნამდე მოიყვანეთ: პირველი ნაბიჯი, რომელსაც ამიერიდან გადავდგამთ, მოწიფული ადამიანის ნაბიჯი იქნება. მაგრამ ვიდრე ამ ახალ სარბიელზე შევდგამდეთ ფეხს, თვალი გადავაავლოთ იმ გზას, რაც უკვე გავიარეთ. ყოველ ასაკს, სიცოცხლის ყოველ პერიოდს აქვს თავისი შესაფერისი სისრულე, სიმწიფის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მას შეჰფერის. ხშირად იტყვიან ხოლმე – დასრულებული ადამიანიაო; მაგრამ მივხედოთ, რას წარმოადგენს დასრულებული ბავშვი; ეს უფრო ახალი სანახაობა იქნება ჩვენთვის, და ვინ იცის, არც თუ ნაკლებად სასიამოვნო.

მოკვდავ არსებათა ცხოვრება იმდენად მწირი და შეზღუდულია, რომ, თუ მხოლოდ იმას ვხედავთ, რაც არის, ჩვენ იგი არასოდეს არ გვიტაცებს, ქიმერებია რეალურ საგნებს რომ ამშვენებენ; და თუ ფანტაზიამ არ დაამშვენა ის, რაც ჩვენზე მოქმედებს, ის უბადრუკი სიამოვნება, რომელსაც საგანი გვგვრის, მიმღებ ორგანოებშივე რჩება და გულს ვერასოდეს ათბობს, შემოდგომის სამკაულით შემოსილი ქვეყანა თავისი სიმდიდრით აღიტაცებს ადამიანის თვალს: მაგრამ ეს აღტაცება გულს არ ეკარება; იგი უფრო რეფლექსიის საქმეა,

ვიდრე გრძნობისა. გაზაფხულზე დედამიწა ჯერ თითქმის ტიტველია, ხეს ჩრდილი არ აქვს და მხოლოდ ახლად ისხამს ფოთლებს, გული კი ხარობს მის დანახვაზე. ბუნების აღორძინებას რომ ხედავ, შენს თავსაც გამოცოცხლებულად გრძნობ. ჩვენ გარშემო საამო სურათია გადაშლილი; განცხრომის თანამგზავრი ტკბილი ცრემლი, რომელიც მუდამ მზად არის შეუერთდეს ყოველ ნაზ გრძნობას, თვალგზება მომდგარი. მაგრამ ყურძნის რთველს, რა გინდა ცოცხალი და სასიამოვნო სანახაობა იყოს იგი, მუდამ მშრალი თვალით უყურებ.

რისი ბრალია ეს განსხვავება? იმისი, რომ გაზაფხულის სანახაობას ფანტაზია უმატებს იმ სეზონების სურათებს, რაც მას უნდა მოჰყვეს; ამ ნაზ კვირტებს, რომლებსაც თვალი ხედავს, ფანტაზია უმატებს მათ ყვავილებს, ნაყოფს, ჩრდილს, ზოგჯერ კი საიდუმლო საქმეს, რომელიც შეიძლება დაიფაროს იქ. იგი ერთ წერტილში აერთიანებს დროის სხვადასხვა მომენტს, რომლებიც ერთიმეორეს მოსდევენ და ისე კი არ ხედავს საგნებს, როგორც ისინი ნამდვილად არიან, არამედ ისე, როგორც მას სურს იყონ, რადგან მათი არჩევა მის ნებაზე დამოკიდებული. შემოდგომაზე კი პირიქით, დასანახი მხოლოდ ისაა, რაც არის. გაზაფხულისაკენ გაჭრა თუ მოვინდომეთ, ზამთარი შეგვაჩერებს და გაყინული ფანტაზია სულს დაღვეს თოვლსა და თრთვილთა შორის.

ამით გვხიბლავს უმთავრესად მშვენიერი ბავშვობა, როცა მას მოწიფული ასაკის სისრულეს ვადარებთ. როდის გვეგვრის სიამოვნებას დასრულებული ადამიანის ცქერა? მაშინ, როცა მის საქმეთა მოგონება მიგვაბრუნებს მისი უწინდელი ცხოვრებისაკენ და, ასე ვთქვათ, აახალგაზრდავებს მას ჩვენს თვალში. თუკი იძულებული ვართ ვხედავდეთ მას ისე, როგორც არის იგი ახლა, ან წარმოვიდგინოთ იმ სახით, როგორც იქნება იგი სიბერეში, მაშინ ის აზრი, რომ ბუნება დაკნინების გზაზე შემდგარა, წაშლის ყოველგვარ ჩვენს სიხარულს. არავითარი სიხარული არ მოიპოვება იმის დანახვაში, რომ ადამიანი დიდი ნაბიჯებით მიიწევს საფლავისაკენ. სიკვდილის სურათი კი ყველაფერს ამახინჯებს.

მაგრამ როცა ათი-თორმეტი წლის ბავშვს წარმოვიდგენ ჯანმრთელს, ღონით სავსეს, თავის ასაკის შესაფერისად ტანადს, არ მიჩნდება ისეთი იდეა, რომელიც არ იყოს სასიამოვნო გინდა აწმყოს, გინდ მომავლის მიმართ: მე ვხედავ მას ფიცხელს, ცოცხალს, ხალისიანს;

არავითარი დარდი მას არ უღრღნის გულს, არც მომავლის ხანგრძლივი და მწარე ფიქრები აწუხებს, იგი მთლად თავის აწმყოშია, ხარობს, სავსეა სიცოცხლით, რომელიც თითქოს ლამობს მისი საზღვრები გადალახოს. წინასწარ ვხედავ მას მეორე ასაკში, როცა იგი წვრთნის თავის გრძნობებს, გონებას, ძალებს, რომლებიც დღითი დღე ვითარდებიან და ახალ-ახალ ნიშანს ყოველ ნაბიჯზე იძლევიან: ვუცქერი მას, როგორც ბავშვს და მომწონს იგი; წარმოვიდგენ მას, როგორც მოწიფულ კაცს და კიდევ უფრო მეტად მომწონს; მისი მჩქეფარე სისხლი თითქოს ჩემს სისხლსაც ახურებს; თითქოს მისი სიცოცხლით ვცოცხლობ და მისი სიცოცხლე მეც კვლავ ჭაბუკად მაქცევს.

მაგრამ დაჰკრა საათმა, დახეთ რა ცვლილება! ერთ წუთში ჩაბნელდა მისი თვალები, გაქრა სიხარული – მშვიდობით, სიხარულო, მშვიდობით, გიჟმაჟო თამაშო! ვილაც მკაცრმა და მწყრალმა კაცმა წაავლო მას ხელში და ეუბნება გაბრანჭულად: „ბატონო, წავიდეთ“ და მიჰყავს. იმ ოთახში, სადაც ისინი გავიდნენ, შორიდან ვხედავ წიგნებს. წიგნები! რა სამწუხარო მორთულობაა მისი ასაკისათვის! ბავშვი ნებდება ხელმძღვანელს, სევდიანი თვალებით მიიხედ-მოიხედავს, დუმდება და მიდის. თვალზე ცრემლები ადგას, მაგრამ დაღვრას ვერ ბედავს; გული კი კვნესით აქვს საგსე, მაგრამ კვნესასაც იკავებს.

შენ კი, რომელსაც არასოდეს მოგელის ასეთი საშიშროება, რომლისათვის სიცოცხლის არც ერთი მანძილი არ არის სამძიმო და მოსაწყენი, არ სწუხხარ, რომ თენდება, არ მოელი მოუთმენლად დაღამებას და დროს მხოლოდ სიხარულით ზომავ, – მოდი შენ, ჩემო ბედნიერო, ჩემო საყვარელო მოწაფევ და შენი მოსვლით ნუგეში გვეცი, შეგვიმსუბუქე ამ უბედურის წასვლა; მოდი!.. იგი მოდის, და მის მოახლოებაზე მე ვგრძნობ სიხარულს, რომელსაც, როგორც ვხედავ, ისიც იზიარებს. ვისთანაც იგი მოვიდა, ეს ხომ მისი მეგობარი, მისი ამხანაგი, მისი თამაშის მოზიარეა როცა დამინახავს, მან იცის მტკიცედ, რომ მალე გაერთობა; ჩვენ არასოდეს ვართ ერთიმეორისაგან დამოკიდებული, მაგრამ ჩვენს შორის ყოველთვის ურთიერთთანხმობაა და არავისთან არ ვგრძნობთ თავს ისე კარგად, როგორც ერთმანეთთან.

მისი გამომეტყველება, მისი მიმოხვრა, წარმოსადგეობა მოწმობენ, რომ იგი გულდამწვიდებული და კმაყოფილია; მისი სახე ჯანმრთელობას ამჟღავნებს; მტკიცე ნაბიჯი სიმარჯვეს მატებს; მისი კანი ჯერ კიდევ ნაზია, მაგრამ იგი არ არის დუნე და დიაცურად აზიზი,

ჰაერმა და მზემ მას უკვე დაასვეს მისი სქესის საპატიო დალი. ჯერ კიდევ კუნთები მომრგვალო, უკვე იძლევიან ნიშნებს, რომ მისი ფიზიონომია ყალიბდება; თვალებს, მართალია, ჯერ გრძნობის ცეცხლი არ აცოცხლებს, სამაგიეროდ, მათ სავსებით შენარჩუნებული აქვთ ბუნებრივი ელვარება. ხანგრძლივ დარდს ჯერ არ მოუღუშავს ისინი, დაუშრეტელ ცრემლს ჯერ არ დაუღარავს მისი ლოყები. მის სწრაფ, მაგრამ მოხდენილ მოძრაობებში მოჩანს მისი ასაკის სიმკვირცხლე, დამოუკიდებლობის სიმტკიცე და მრავალ ვარჯიშობათა გამოცდილება. მას აქვს ღია და გაბედული გამომეტყველება, მაგრამ არა თავხედი და ამპარტავანი: მისი სახე, რომელიც წიგნებზე არ მიუკრავთ, მის მუცელზე არ ეცემა და არ არის საჭირო ვეუბნებოდეთ თავი ასწიეო; არც სირცხვილს, არც შიშს არასოდეს არ დაუხრიათ ეს თავი.

დავსვათ იგი საკრებულოში, ბატონებო! გამოსცადეთ, გამოჰკითხეთ, ნუ გაუფრთხილებით: ნუ გემინიათ, იგი არც თავს მოგაბეზრებთ, არც იყბედებს, არც უადგილო შეკითხვებს მოგცემთ. ნუ გექნებათ იმის შიში, რომ იგი ჩაგიგდებთ ხელში, მოითხოვს ყველაფერი ანაცვალოთ მას და თავს ველარ დააღწევთ.

ნუ ელით მისგან ტკბილ-ტკბილ სიტყვებს, ნურც იმას, რომ იგი ჩემს ნაკარნახევ სიტყვებს გაიმეორებს; ნურას ელით მისგან, თუ არა გულუბრყვილო და სადა სიმართლეს, ყოველგვარი შელამაზების, მანჭვა-გრებისა და მედიდურობისა გარეშე. თუ რამე ცუდი ჩაუდენია, ან აპირებს ჩადენას, ისევე თავისუფლად გეტყვით, როგორც კარგს, და სრულებითაც არ შეუშინდება იმ აზრს, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თქვენზე ის, რასაც იგი იტყვის. მეტყველებას იგი მოიხმარს მთელი იმ სიწრფელით, რომელიც მის პირვანდელ გამოყენებას ახასიათებდა.

ძლიერ გვიყვარს ბავშვისათვის კარგი მომავლის წინასწარმეტყველება და ყოველთვის გვწყინს მისი ბრიყული თქმები, რომლებიც თითქმის ყოველთვის გვიცრუებენ იმ იმედს, რაც რამდენიმე შემთხვევით წამოსროლილმა, მოხდენილმა პასუხმა დაგვიბადა. მართალია, ჩემი მოწაფე იშვიათად იძლევა ასეთ იმედს, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი სასოწარკვეთილებაშიც არ ჩაგვაგდებს, რადგან არც ერთ ზედმეტ სიტყვას არ იტყვის და არ დაიქანცავს თავს ყბედობით, რომელსაც, როგორც ეს მან იცის, ყურს არავინ უგდებს. თუ მისი იდეები არ არის ფართო, სამაგიეროდ დახვეწილია; თუ მან არაფერი არ

იციის ზეპირად, სამაგიეროდ ბევრი რამ იციის გამოცდილებით; თუ იგი სხვა ბავშვებზე უფრო ცუდად კითხულობს ჩვენს წიგნებს, სამაგიეროდ, უკეთესად კითხულობს ბუნების წიგნს; მას გონება ენაში კი არ აქვს, არამედ თავში; მას უფრო მეტი გონება აქვს, ვიდრე მესსიერება; მან მხოლოდ ერთი ენა იციის, მაგრამ მას ესმის, რასაც ამბობს, და თუ იგი ისე მოხდენილად ვერ ლაპარაკობს, როგორც სხვები, სამაგიეროდ იგი ათზე უკეთესად მოქმედებს.

მან არ იციის, რა არის რუტინა, ადათი, ჩვეულება; ის, რაც მან გუშინ გააკეთა, არ ახდენს გავლენას იმაზე, რასაც დღეს აკეთებს:³⁵ იგი არასოდეს მისდევს ფორმულებს, არ ემორჩილება არც ავტორიტეტს, არც მაგალითს და მოქმედებს და ლაპარაკობს მხოლოდ ისე, როგორც მას შეჰყვების. ამიტომ ნუ მოელოთ მისგან ნურც ნაკარნახევ სიტყვებს, ნურც დასწავლილ მანერებს, არამედ მხოლოდ მისი იდეების სწორ გამოთქმას და მის საკუთარ მიდრეკილებათაგან მომდინარე მოქმედებას.

თქვენ უპოვით მცირეოდენ მორალურ ცნებებს, რომლებიც მის აწინდელ მდგომარეობას შეეფერება, და ვერც ერთს ისეთს, რაც მოწიფულობის მდგომარეობას ეხება: ან რაში გამოადგებოდა ასეთი ცნებები, თუკი ბავშვი ჯერ არ არის საზოგადოების აქტიური წევრი. ელაპარაკეთ მას თავისუფლებაზე, საკუთრებაზე, პირობაზე დაც კი; მან ამდენი შეიძლება გაიგოს; მან იციის, რატომ არის მისი ის, რაც მისია და რატომ არ არის მისი ის, რაც არ არის მისი: ამას თუ გადასცილდი, აღარაფერი არ იციის. ელაპარაკეთ მოვალეობაზე, მორჩილებაზე: ის ვერ მიხვდება, რისი თქმა გასურთ; უბრძანეთ რამე, იგი არ შეისმენს; მაგრამ უთხარით: „თუ ამ სიამოვნებას მომგვრით, სამაგიეროს გადაგიხდით, როცა კი შემიხვდება“, და იგი იმავე წუთში წამოხტება, რომ გასიამოვნოთ, რადგან მასაც სწორედ ის უნდა, რომ გააფართოვოს თავისი სამფლობელო და შეიძინოს თქვენ მიმართ უფლებები, რომელსაც იგი ურყევად თვლის. ვინ იციის, ეგებ მას ისიც უნდა, რომ გარკვეული ადგილი ეჭიროს, რამეს წარმოადგენდეს, რამედ ითვლებოდეს: მაგრამ თუ მას ეს უკანასკნელი მოტივი აქვს, იგი უკვე გამოსულა ბუნების ფარგლებიდან. ჩანს ვერც თქვენც თავიდანვე დაგიხშავთ კარგად მისთვის პატივმოყვარეობისაკენ მიმავალი ყველა გზა.

თავის მხრით, იგი, თუკი რამე დახმარება დასჭირდება, ყოველ

შემხვედურს მიმართავს განურჩევლად; მეფეს ისევე სთხოვს, როგორც თავის ლაქიას; მის თვალში ჯერ კიდევ ყველა თანასწორია. როცა გთხოვთ, მას ისეთი გამომეტყველება აქვს, რომ ცხადად ჩანს – იცის, რომ არავინ არ არის მის წინაშე ვალდებული; იცის, რომ მისი თხოვნის შესრულება – წყალობაა. მან იცის აგრეთვე, რომ კაცთმოყვარეობა კარნახობს ამას. მისი გამოთქმები სადა და ლაკონურია. მის ხმაში, გამოხედვაში, მიმოხვრაში ჩანს არსება, რომელიც ერთნაირად არის მიჩვეული წყალობასაც და უარსაც. ეს არც მონის ქედმოხრილი და მლიქვნელი მორჩილებაა, არც ბატონის მბრძანებლური კილო; ეს არის თავმდაბალი ნდობა ადამიანებისადმი, ეს არის კეთილშობილი და ამღელვებელი მოკრძალება, თავისუფალი, მაგრამ მგრძნობიარე და სუსტი არსებისა, რომელიც თხოვს დახმარებას თავისუფალს, მაგრამ ძლიერსა და კეთილ არსებას თუ თქვენ მას შეუსრულებთ თხოვნა, იგი მადლობას არ გეტყვით, მაგრამ იგრძნობს, რომ მას თქვენი ვალი დაედო. თუ უარი უთხარით, იგი ჩივილს არ დაიწყებს, არც დაიყინებს; მან იცის, რომ ეს ამაო იქნება. ის არასოდეს ეტყვის თავის თავს: „უარი მითხრესო“, არამედ იტყვის: „ეს არ ყოფილა შესაძლებელი“, და, როგორც უკვე ვთქვი, კარგად შეცნობილი აუცილებლობის წინააღმდეგ აღმფოთება შეუძლებელია.

მიუშვით იგი თავის ნებაზე, ნურაფერს ეტყვიტ და ნახეთ, როგორ მოიქცევა; დააკვირდით, რას გააკეთებს და როგორ მოეკიდება საქმეს. რაკი მას აღარ სჭირდება იმის დამტკიცება, რომ თავისუფალია, ის არაფერს ჩაიდენს ახირებულად და მარტოოდენ იმისათვის, რომ თავის თავს დაუმტკიცოს, რომ თავის თავის უფალია: განათვითონ არ იცის, რომ იგი ყოველთვის თავისი თავის პატრონია? იგი მკვირცხლია, მარდია, მისი მოძრაობები როგორც მის ასაკს შეჰფერის, სიცოცხლით სავსეა, მაგრამ ვერ შეამჩნევთ ვერც ერთ მოძრაობას, რომ უმიზნო იყოს. რაც არ უნდა დააპიროს, იგი არასოდეს არ წამოიწყებს ისეთ რამეს, რაც მის ძალებს აღემატებოდა, რადგან კარგად აქვს დაცდილი და კარგად იცის თავისი ძალები; საშუალებები ყოველთვის შეფარდებული აქვს მიზნებთან და იშვიათად იმოქმედებს ისე, რომ კარგ შედეგში არ იყოს დარწმუნებული. მას დაკვირვებული და განმსჯელი თვალი აქვს: იგი არავის არ მოაბეზრებს თავს შეკითხვებით, არამედ, რასაც კი ნახავს, თვითონვე შეამოწმებს და, ვიდრე სხვას ჰკითხავდეს, ყოველ ღონეს იღონებს, რომ

თვითონ მიხვდეს იმას, რისი გაგებაც უნდა. თუ მას რამე მოულოდნელი სიძნელე შეხვდა, არ დაიბნევა ისე, როგორც სხვა; თუ რამე საფრთხე შეემთხვა, სხვაზე ნაკლებად შეშინდება. რადგან მისი ფანტაზია ჯერ უმოქმედოა და არავის არაფერი გაუკეთებია მის გასაცოცხლებლად, იგი ხედავს მხოლოდ იმას, რაც არის, არ აზვიადებს საშიშროებას და მუდამ გულმშვიდია. აუცილებლობა ისე ხშირად ემუქრებოდა, რომ აღარ აუმხედრდება მას; მის უღელს იგი დაბადების დღიდანვე ატარებს და კარგად არის მასთან შეჩვეული; იგი ყოველთვის მზად არის ყველაფრისათვის.

საქმეს აკეთებს თუ თავს იქცევს, მისთვის სულ ერთია; მისი თამაში – საქმეა მისთვის და იგი არავითარ განსხვავებას არ ხედავს. რასაც აკეთებს, ყველაფერს ინტერესით და სიცილით თავისუფლად და ხალისით აკეთებს; იგი აქ თავისი გონების მიმართულებასაც ამჟღავნებს და ცოდნათა არესაც. განა სასიამოვნო და ტკბილი სანახაობა არ არის, როცა მშვენიერი ბავშვი, ცოცხალი და მხიარული თვალებით, კმაყოფილი და ნათელი, ღია და მომცინარე სახით თავს იქცევს უსერიოზულესი საქმით, ან სერიოზულად გართულია სულ უბრალო რამით?

ახლა გსურთ იგი სხვასთან შედარებით შეაფასოთ? გარიეთ სხვა ბავშვებში და მიუშვით მის ნებაზე. სულ მალე დაინახავთ, ვინ არის უკეთესად განვითარებული და ვის უფრო მიუღწევია მისი ასაკის სიმწიფისათვის, ჭალაქელ ბავშვებს შორის მასზე უფრო მარდი არავინ არის, იგი კი ყველაზე უფრო ღონიერია, სოფლის ბავშვებს იგი უთანასწორდება ღონით, მაგრამ სჯობს ყველას მოქნილობით. ყველაფერზე, რაც კი მისაწვდომია ბავშვის გონებისათვის, უკეთესად მსჯელობს, აზროვნებს და ითვალისწინებს, ხოლო რაც შეეხება მოქმედებას – სირბილს, ხტომას, საგნების გადატან-გადმოტანას, სიმძიმეების აწევას, მანძილის შეფასებას, თამაშის გამოგონებას, პრიზების მიღებას, იფიქრებ, რომ ბუნება მის ბრძანებას ასრულებსო, ისე ადვილად უმორჩილებს თავის ნებისყოფას ყველაფერს. იგი გაჩენილია, რომ წარუძღვეს და წარმართოს თავისი ტოლები; მის ნიჭს, გამოცდილებას უჭირავს უფლებისა და ავტორიტეტის ადგილი. რა ტანსაცმელიც არ უნდა ჩააცვა, რა სახელიც არ უნდა მისცე, სულ ერთია, იგი ყველგან პირველი იქნება, იგი ყველგან სხვების მეთაური

გახდება, სხვები კი დაემორჩილებიან მას, თუმცა, არ ეცოდინებათ, რომ ემორჩილებიან.

მან მიაღწია ბავშვობის სიმწიფეს, იგი ბავშვის ცხოვრებით ცხოვრობდა, თავისი სისრულე მას თავისი ბედნიერების ფასად არ უყვია, პირიქით, ესენი ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ეუფლებოდა რა თავისი ასაკის მთელ გონებას, იგი იყო ბედნიერიც და თავისუფალიც, რამდენადაც მისი აგებულება აძლევდა ამის საშუალებას. თუ საბედისწერო ცელმა მოთიბა მასში ჩვენი იმედების ყვავილი, ერთბაშად აკეთებს მის სიცოცხლესაც და სიკვდილსაც, აღარ გავიმწარებთ უფრო მეტად მწუხარებას იმ მწუხარების მოგონებით, რაც თვითონ მიგვიყენებია მისთვის; ვიტყვით: „ბავშვობა მაინც სიხარულში გაატარა; ჩვენის მიზეზით არაფერი დაუკარგავს იქიდან, რაც კი მას ბუნებამ მიანიჭა“.

ამ პირველდაწყებითი აღზრდის დიდი უხერხულობა ის არის, რომ იგი მხოლოდ გამჭრიახ ადამიანს ესმის და ჩვეულებრივი კაცის თვალში ასეთი ამაგიტ აღზრდილი მოწაფე მხოლოდ ანცი ბავშვია და მეტი არაფერი. აღმზრდელი უფრო თავის ინტერესზე ფიქრობს, ვიდრე თავისი შევირდის ინტერესებზე; იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დროს ამაოდ არ კარგავს და ტყუილუბრალოდ არ იღებს იმ ფულს, რასაც მას აძლევენ; იგი აწვდის მოწაფეს ისეთ ცოდნას, რომელიც ადვილი გამოსაჩენი და დასახანია, როცა კი მოისურვებენ; ნუ იქნება სასარგებლო ის, რასაც იგი ასწავლის, ოღონდ კი ადვილად გამოჩნდეს, იგი ყრის ბავშვის მეხსიერებაში განურჩევლად ათას რამეს, რაც კი შეხვდება, როცა საქმე ბავშვის გამოცდაზე მიდგება, მას გამოაფენინებენ თავის საქონელს; ისიც გადმოალაგებს მას – ყველა კმაყოფილია; შემდეგ იგი ისევ თავს მოუკრავს ხურჯინს და წავა. ჩემი მოწაფე არ არის ასე მდიდარი, მას არ აქვს გასახსნელი ხურჯინი, მას მხოლოდ თავისი თავი აქვს საჩვენებლად. ბავშვს კი, ისევე, როგორც მოწიფულს, ერთი წუთის განმავლობაში ვერ დაათვალიერებ. სად არის დაკვირვების ისეთი უნარის მქონე პირი, რომელსაც ერთი შეხედვით შეუძლია დაინახოს ბავშვის დამახასიათებელი თვისება? ასეთი პირები არსებობენ, მაგრამ ცოტა, და ასეულ ათას მამებს შორის ერთიც არ მოიძებნება ასეთი.

ძალიან ბევრი შეკითხვა ყველას მოაბეზრებს და მოაძულებს თავს, მეტადრე ბავშვებს. რამდენიმე წუთის შემდეგ მათი ყურად-

ღება იღლებს; ისინი აღარ უსმენენ, თუ რას ეკითხება მათ შეუპოვარი დამკითხველი და პასუხად აძლევენ იმას, რაც კი მოადგებათ ენაზე. ბავშვის გამოცდის ასეთი ხერხი ფუჭია და პედანტური; ხშირად შემთხვევით დაჭერილი ერთი სიტყვა უკეთესად დაგიხატავთ მათ აზრსა და გონებას, ვიდრე გრძელი ნათქვამი, ოღონდ უნდა დავაკვირდეთ ნაკარნახევი ან უცაბედი ხომ არ იყო ეს სიტყვა: ძლიერ გონიერი უნდა იყო თვითონ, რომ ბავშვის გონება დაათასო.

განსვენებული ლორდ ჰაიდისაგან გამიგონია, რომ ერთმა მისმა მეგობარმა, რომელსაც სამი წელიწადი იტალიაში გაეტარებინა, დაბრუნებისას მოისურვა თავისი ცხრა თუ ათი წლის ვაჟის წარმატებათა გამოცდა. ერთ დღეს იგი მასთან და მის გუვერნიორთან ერთად წავიდა სასეირნოდ მინდორში, სადაც სკოლის მოწაფეები ქალაქის ფრანით ირთობდნენ თავს. მამა სასხვათაშორისოდ შეეკითხა თავის შვილს: „სად იმყოფება ფრანი, რომლის ჩრდილი აგერ არის?“ ყოველი ყოყმანის გარეშე და თავის აუწველად ბავშვმა წარმოთქვა: „დიდ გზაზე“. „მართლაც“, დაამატა ლორდმა ჰაიდმა „დიდი გზა იმყოფებოდა მზესა და ჩვენს შუა“. ამის გაგონებაზე მამამ აკოცა შვილს და მოამთავრა რა ამით მისი გამოცდა, გაბრუნდა და ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მეორე დღეს მან გაუგზავნა გუვერნიორს მუდმივი პენსიის სიგელი, გარეშე მისი ჯამაგირისა.

რა კაცი ყოფილა ეს მამა? და როგორი შვილი ეზრდებოდა მას? შეკითხვა სწორედ ასაკის შესაფერისი იყო, პასუხიც ძლიერ მარტივი, მაგრამ დახედეთ, ბავშვური მსჯელობის როგორ სიზუსტეს გულისხმობს იგი! აი, სწორედ ასე მოათვინიერა არისტოტელეს მოწაფემ ის ცნობილი რაში, რომლის მოთვინიერება ვერც ერთმა მხედარმა ვერ შეძლო.

1 რა უცნაური და გაუბედავი მიმოსვლა აქვთ მათ, ვინც ბავშვობისას ძლიერ ბევრი უტარებიათ საშველი ღვედებით: აი კიდევ ერთ-ერთი ტრივიალური, მაგრამ სწორი დაკვირვება, რომელიც მრავალი თვალსაზრისით არის მართალი.

2 ცხადია, მე მოაზროვნე ადამიანებზე ვლაპარაკობ და არა ყველაზე.

3 რა გასაკვირია, რომ ჩვენი ტანჯვაც იზრდება იმ წერტილების გამრავლებასთან შეფარდებით, სადაც შესაძლებელია ჩვენთვის ზიანის მიყენება?

- 4 ჩემს ნაწერში „პოლიტიკური უფლების პრინციპები“ მტკიცდება, რომ არც ერთი კერძო ნებისყოფა არ შეიძლება მოწესრიგებული იქნეს სა-ზოგადოებრივ სისტემაში. (იხ. II წიგნის I თავი და IV წიგნის I თავი)
- 5 რედ. შენ. ავტორს მხედველობაში ჰყავს აქ, ალბათ, ძველი ირანის დესპოტი დარეოსის პისტასპოსი (521-4985), რომელმაც გააწკეპლინა მარმარას ზღვა (თუ დარდანელის სრუტე) იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა დღევის დროს დაღუპა დარეოსის ჯარი.
- 6 ამგვარადვე თქვა ფენელონმა თავის თხზულებაში „ქალიშვილთა აღზრდაზე“: „როდესაც წერენ წიგნს საუკეთესო აღზრდის შესახებ, ამას აკეთებენ, რათა ნაკლიანი წესები მოგვაწოდონ. ცხადია, ყველას როდი შეუძლია თავის პრაქტიკაში განვლოს მანძილი, რომელსაც ჩვენი აზრები გადიან ქალაქებზე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, თუ არ შეგვიძლია პრაქტიკულად მივალწიოთ უმაღლეს სისრულემდე, ამ უკანასკნელის ცოდნა და ცდა მისი მიღწევისა არ იქნება მაინც უსარგებლო, ვინაიდან ესაა მასთან მიახლოების საუკეთესო საშუალება“. (თ. II)
- 7 არასოდეს არ უნდა მივცეთ იმის ნება, რომ ბავშვს უფროსები ისე ჰყავდეს ავადებული, თითქოს ისინი მასზე დაბლა იდგნენ ან თუნდაც მისი თანასწორები იყვნენ. თუ მან ვინმეს დარტყმა გაუბედა სერიოზულად, მისი ლაქიაც რომ იყოს, გინდ ჯალათიც იყოს, ერთი-ორად უნდა დაუბრუნდეს მუშტები, რომ გამეორება აღარ გაბედოს არასოდეს. მე მინახავს უგუნური გუგერნიორი ქალები, რომლებიც აქეზებენ ბავშვს საცემად, თავის თავსაც კი აცემინებენ და თან იცინიან, მუშტი რომ სუსტი აქვს და არასოდეს არ გაიფიქრებენ, რომ გაბრაზებული ბავშვის წარმოდგენაში მუშტის თითოეული დარტყმა იყო სასიკვდილო და რომ ის, ვინც პატარაობისას ცემა მოინდომა, მოწიფულობისას მოკვლას მოინდომებს.
- 8 უნდა ითქვას, რომ თუ პირობის შესრულების მოვალეობა ბავშვის გონებაში მისთვის სარგებლობის შეგნებამ არ განამტკიცა, სულ მალე გაუჩნდება შინაგანი გრძნობა და უკარნახებს ამას, როგორც სინდისის კანონს, როგორც შინაგან პრინციპს, რომელიც თავისი განვითარებისათვის ელის მხოლოდ ცოდნას, რომელსაც იგი უნდა მიუდგეს. ეს პირველი ხაზი ადამიანის ხელთ კი არ არის გავლებული, არამედ ყოველივე სამართლის შემოქმედმა დაგვიხაზა გულში. მოსპეთ ხელშეკრულებათა ძირითადი კანონი და მოვალეობა, რომელსაც იგი აკისრებს კაცს და ადამიანთა საზოგადოებაში ყველაფერი მოჩვენებითი და ფუჭი გახდება. ვინც პირობას მხოლოდ თავისი სარგებლისათვის ასრულებს, იგი თავისუფალია ვალდებულებისაგან, თითქოს არც კი მიეცეს არავითარი პირობა; ან დიდი-დიდი, მოიქცევა ისე, როგორც მოთამაშე, რომელიც მყისვე არ სარგებლობს სხვისი მარცხით, დრო რომ იხელთოს და მერე უფრო მეტი მოუგოს. ეს პრინციპი ძლიერ მნიშვნელოვანია და ღრმა დაკვირვების ღირსია, რადგან

- სწორედ აქ იწყება ადამიანის წინააღმდეგობა თავის თავთან.
- 9 მაგალითად, როცა დამნაშავე ცუდ საქციელში გამტყუნებული თავს იმართლებს იმით, რომ პატიოსანი კაცია, იგი ფაქტიურადაც ტყუის და იურიდიულადაც.
 - 10 ამაზე უფრო დაუფიქრებელი კითხვა აღარ შეიძლება, მეტადრე თუ ბავშვი დამნაშავეა: და მართლაც, თუ მას ჰგონია, რომ თქვენ იცით უკვე მისი დანაშაული, მაშინ იფიქრებს მახეს მიგებსო და ეს აზრი შეაძულებს მას თქვენს თავს. თუ არ ჰგონია, ის ეტყვის თავის თავს: რატომ გავამხილო ჩემი დანაშაული. და ამგვარად, თქვენი დაუფიქრებელი კითხვა მისთვის ტყუილის პირველი ცდუნება იქნება.
 - 11 უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მაშინ ვაძლევ პასუხს მას შეკითხვებზე, როცა მინდა, და არა მაშინ, როცა მას უნდა; ასე რომ არ მოვიქცე, მისი სურვილების მონა ვავხდები და ისეთ მონობაშიც ჩავვარდები, მეტი რომ აღარ შეიძლება აღმზრდელისათვის.
 - 12 პრინციპი: არასოდეს არავის არ ავნო – ბაღებს მეორე პრინციპს: რაც კი შეიძლება ნაკლები კავშირი იქონიო ადამიანთა საზოგადოებასთან, რადგან, საზოგადოებრივ მდგომარეობაში, ერთის სიკეთე აუცილებლად მეორის უბედურებას იწვევს. ამას ღრმა ფესვები აქვს და ვერაფერს უშველი. დაე, არკვიონ ამ პრინციპის მიხედვით, ვინ სჯობია – საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი, თუ განდევილი. ერთი სახელგანთქმული ავტორი (დიდრო, „ბუნებრივი შეილის“ წინასიტყვაობა) ამბობს, რომ მხოლოდ განდევილი ადამიანია ბოროტი; მე კი ვამბობ, რომ მხოლოდ განდევილი ადამიანია კეთილი. ეს დებულება შეიძლება არ იყოს იმდენად ჭკუის სასწავლო, როგორც პირველი, სამაგიეროდ, იგი უფრო სწორია და უფრო მოფიქრებული. ბოროტი კაცი მარტოხელა რომ ყოფილიყო, როგორღა ავნებდა იგი სხვებს, მხოლოდ საზოგადოებაში აწყობს იგი ოინებს, რომ სხვას ავნოს. თუ ეს არგუმენტი ვინმემ კეთილ ადამიანზე გადაიტანა, პასუხს ვაძლევ იმ აბზაცით, რომელსაც ეს შენიშვნა ეკუთვნის.
 - 13 **Nihil ei beros sous docebant, quod discendum esset taecntibus** (წერილ. 88). იგივე ადგილი მოჰყავს მონტენსაც (წიგ. II, თავი XXI), ხოლო სხვაგან (წიგ. I, თავი 25) მონტენი ამბობს: „საკვირველია, რამდენ მზრუნველობას იჩენს პლატონი თავის სახელმძღვანელოში ახალგაზრდობისათვის მხიარულებისა და ღროსტარების „კანონების“ დამყარებისას. თუ როგორი ყურადღებით ეკიდება იგი მათ რბენას, თამაშს, მღერას, ხტუნვას და ცეკვას... იგი აძლევს ათასნაირ წესებს თავისი გიმნაზიებისათვის, წიგნებით შესასწავლ დისციპლინებს კი იმდენი ხალხით არ სინჯავს“.
 - 14 წერის ღროს ათასი შემთხვევა მქონდა დაკვირვებოდი, რომ შეუძლებელია რომელიმე გრძელ შრომაში სიტყვები მულამ ერთი და იმავე მნიშვნე-

ლობით იხმარო. არ არსებობს ისეთი მდიდარი ენა, რომ იმდენი ტერმინი, გამოთქმის ხერხი და ფრაზა მოგაწოდოს, რამდენი მოდიფიკაციაც შეიძლება ჰქონდეს ჩვენს აზრებს. ყოველი ტერმინის განმარტების მეთოდი და განმარტებულის მაგივრად მუდამ განმარტების ხმარება – მშვენიერი, მაგრამ განუხორციელებელი მეთოდია: ვინაიდან, როგორ გინდა აიცილინო წრე. განმარტება კარგი რამ იქნებოდა, რომ განმარტებისათვის სიტყვების ხმარება არ იყოს საჭირო. მაგრამ მე მწამს, რომ ჩვენი ღარიბი ენის პატრონსაც კი შეუძლია ნათლად ილაპარაკოს: „შეიძლება მუდამ ერთი და იმავე მნიშვნელობით ვერ იხმაროს რომელიმე სიტყვა, სამაგიეროდ ისე მოიქცეს, რომ, რამდენჯერაც იხმარს სიტყვას, მისი მნიშვნელობა საკმაოდ განმარტებული იყოს იმ იდეებით, რომელსაც იგი ეკუთვნის და რომ ყოველი პერიოდი, სადაც ეს სიტყვა მოთავსებულია, მისი, ასე ვთქვათ, განმარტება იყოს. მე ხან იმას ვამბობ, რომ ბავშვებს მსჯელობის უნარი არ აქვთ, ხან კი ძლიერ ზუსტ მსჯელობას მივაწერ მათ. არ მგონია, რომ ამ ჩემს იდეებში იყოს წინააღმდეგობა, მაგრამ არ შემიძლია, უარვყო, რომ ჩემს სიტყვებში ხშირად არის წინააღმდეგობა.“

- 15 იხ. კვინტ-კურციუსი, წ. III, თ. 6. იგივე ამბავი, მოთხრობილი აქვს მომენტს (წ. I, თ. 23): „ალექსანდრემ მიიღო პარმენიონისაგან წერილი, რომ მისი უსაყვარლესი ექიმი ფილიპე მოსყიდულია დარეიოსის ფულით, რათა მოწამლოს ალექსანდრე. ალექსანდრემ წააკითხა ეს წერილი ფილიპეს და იქვე დალია წამალი, რომელიც ფილიპეს ჰქონდა მისთვის მოტანილი“.
- 16 მეცნიერთა უმეტესობა ჰგავს ამ მხრივ ბავშვებს. მათი უზარმაზარი ერთუდიცია იდეების სიმრავლის შედეგი კი არ არის, არამედ სახეების სიმრავლისა. ციფრები, საკუთარი სახეები, ადგილები, იზოლირებული ანდა აზრს მოკლებული საგნები მხოლოდ ნიშანთა მექანიკების წყალობაა და იშვიათია, რომ რომელიმე მათგანი ისე მოაგონდეთ, რომ არ ახსოვდეთ რომელ გვერდზე აქვთ წაკითხული, რეციო თუ ვერსიო. თითქმის მთლად ასეთი მეცნიერება იყო გაბატონებული წარსულ საუკუნეში, ჩვენი საუკუნის მეცნიერება კი სხვანაირია: აღარც იკვლევენ, აღარც დაკვირვებებს აწარმოებენ. ოცნებას ეძლევიან და მერე დიდის ამბით ასალებენ ფილოსოფიად რამდენიმე კომპარიანი ღამის ნაბოლავს. მეტყვიან – შენც ოცნებობო. მართალია, მაგრამ ისე კი არ ვიქცევი, როგორც სხვები, არამედ ოცნებას ოცნებადვე ვყიდი, მკითხველი კი თვითონ გადაწყვეტს, არის აქ რამე ისეთი, რომ საღ ადამიანს სასარგებლოდ მოეჩვენოს, თუ არა.
- 17 ასეთ შემთხვევაში სრულიად თამამად შეიძლება მოსთხოვო ბავშვს სიმართლის თქმა, რადგან მან კარგად იცის, რომ ველარ დამალავს და თუ ტყუილის თქმა გაბედა, იმწამსვე გამოაშკარავდება.
- 18 ესპანური ფრაზაა, ნიშნავს „ფესვები არ ჰქონიათ“.
- 19 თითქოს სოფლის ბიჭები მშრალ ადგილს ირჩევენ დასაჯდომად ან დასა-

წოლად, ან ვისმეს გაეგონოს, რომ მიწის სინესტემ თუნდაც ერთ მათგანს აწყინა. ექიმს რომ დაუგდო ყური, იფიქრებ, ყველა ველური რევმატიზმისგან არიან დაფეხვილი.

- 20 ეს შიში ძლიერად იჩენს თავს მზის დაბნელების დროს.
- 21 აი, კიდევ ამის ერთი მიზეზი, რომელიც კარგად განმარტა ერთმა ფილოსოფოსმა, ვის წიგნსაც ხშირად ვიმოწმებ და ვისი ღრმა აზრებითაც კიდევ უფრო ხშირად ვსარგებლობ: „როცა განსაკუთრებით გარემოებათა გამო, ვერ შეგვიფასებია სწორად მანძილი და იძულებული ვართ საგანზე კუთხისა ან უფრო სწორად, იმ ანაბეჭდის სიდიდის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომელსაც ეს საგანი ჩვენს თვალში ქმნის, ძალაუვნებურად ვცდებით ამ საგნების სიდიდის შეფასებაში. ყველას აქვს გამოცდილი, რომ ახლო ბუჩქი შორეული ხე გგონია და პირიქით, შორეული ხე ახლო ბუჩქი. ასევე, თუ საგნის ფორმა ვერ იცანი და ამ გზით ვერ გამოარკვეე მანძილი, უსათუოდ შეცდები: ბუზმა რომ სწრაფად ჩამოგფრინოს თვალწინ, გეგონება, სადღაც შორს ჩიტი გაფრინდაო; ცხენი რომ დაინახო მინდორში გაჩერებული, ვთქვათ, ისეთ პოზაში, რაც ცხვრის პოზას ჰგავს, იგი ცხვარზე დიდი არ მოგეჩვენებათ, ვიდრე არ გამოიცნობთ, რომ იგი ცხენია. მაგრამ როგორც კი იცნობ, იგი იმწამსვე ცხენისოდენა გახდება და იმწამსვე შენს პირველ მსჯელობას გამოასწორებს. როცა ღამით უცნობ ადგილას ჩავარდები, სადაც სიბნელის გამო ვერც მანძილი გაგირკვევია და ვერც საგნების ფორმა გიცვნია, იქაური საგნების შეფასებაში ყოველ წუთში შეცდომის უნდა გეშინოდეს. სწორედ ეს გვაშინებს და სწორედ აქედან წარმოდგება ერთგვარი შინაგანი შიში, რომელსაც სიბნელე ჰვრის თითქმის ყველა ადამიანს; სწორედ ეს არის მიზეზი ყოველგვარი მოჩვენებისა და იმ ვებერთელა საშიშარი ფიგურებისა, რომლებიც ბევრს უნახავს. რომ ჰკითხო მათ, ჩვეულებრივ იტყვიან, რომ ეს ფიგურები მათ ფანტაზიაში იყო მხოლოდ; მაგრამ ვინ იცის – ისინი მათ თვალეშვიც იყვნენ ნამდვილად; ადვილი შესაძლებელია, რომ მათ, მართლაც, დაინახეს ის, რასაც ამბობენ; რადგან საგანზე მხოლოდ იმ კუთხის მიხედვით შეიძლება იმსჯელო, რომელსაც იგი ჩვენს თვალში იძლევა, უეჭველია, რომ ეს უცნობი ობიექტი მით უფრო გაიზრდება და გადიდდება, რაც უფრო მეტად მიუახლოვდები და თუ მაყურებელს, რომელიც ვერ ცნობს, რასაც ხედავს და ვერც მანძილი გამოურკვევია, თუ მას-მეთქი, ეს საგანი თავდაპირველად ოცი ან ოცდაათი ნაბიჯის მანძილზე რამდენიმე ფუტის სიმაღლის მოეჩვენა, იგი რამდენიმე ტაუზის სიმაღლის გახდება, როცა რამდენიმე ფუტზე მიუახლოვდება მას. ამან მართლაც უნდა შეაშინოს და გააკვირვოს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ შეეხება საგანს ან არ იცნობს; რადგან იმავე წუთში, როგორც კი იცნობ, რაც არის ეს საგანი, რომელიც მას უზარმაზრად ეჩვენებოდა აქამდე, ერთბაშად დაპატარავდება და იმ ზო-

მისად დაინახავს, რაც ნამდვილად არის. მაგრამ თუ გაექეცი ან მისვლა ვერ გაბედე, ცხადია, მხოლოდ ის წარმოდგენა გექნება მასზე, რაც მისმა ანაბეჭდმა მოგცა თვალში, და მართლაც დაინახავ უზარმაზარი სიდიდისა და საშიშარი ფორმის ფიგურებს. მაშასადამე, იმ ცრურწმენას, რომ მოჩვენება არსებობს, ბუნებრივი მიზეზი აქვს და ეს მოჩვენებითობა არ არის დამყარებული მხოლოდ ფანტაზიაზე, როგორც ფილოსოფოსებს ჰგონიათ“ (*Hist, net, tome VI, noje 22 in 12*).

მე შევეცადე მეჩვენებინა ტექსტში, რომ იგი ყოველთვის დამოკიდებულია მაინც ნაწილობრივ ფანტაზიაზე; ხოლო რაც შეეხება მიზეზს, რომელიც ამ ამონაწერშია მოყვანილი, ღამით სიარულმა უნდა გვასწავლოს იმ საგნების სწორი გარჩევა, რომლებიც მათი ფორმის მსგავსებისა და მანძილის განსხვავების გამო სხვანაირად ეჩვენება თვალს სიბნელეში, რადგან თუ ჰაერი მაინც იმდენად განათებულია, რომ საგნების კონტურები შეგვიძლია დავინახოთ, ჩვენთვის ეს კონტურები (რადგან ჩვენსა და მათ შორის ბევრი ჰაერია) ნაკლებად გამოკვეთილი უნდა იყოს, როცა საგანი შორსაა ჩვენგან; ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ, ამას შეჩვეულებმა, აღარ ჩავიდინოთ შეცდომა, რომელსაც აქ ბ. დე-ბიუფონი ხსნის. რომელი ახსნაც არ უნდა მიიღო, ჩემი მეთოდი ყოველთვის ნაცოფიერია, რასაც გამოცდილება ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს.

- 22 იმისგან, რასაც შეჩვეული ვართ, არ წარმოიშობა ვნება.
- 23 ყურადღების გასაგარჯიშებლად ნურასოდეს ნუ დაელაპარაკებით ბავშვს ისეთ რამეზე, რაც მათთვის მისაწვდომი არ არის და უშუალო ინტერესს არ იწვევს; მეტადრე, მრავალსიტყვაობა ნუ იქნება, არც ერთი ზედმეტი სიტყვა; მაგრამ, მეორე მხრივ, თქვენს ნათქვამში გაუგებარი და ორაზროვანიც არაფერი უნდა იყოს.
- 24 რეზუსი იყო თრაკიის მითოური მეფე, რომელიც ეხმარებოდა ტროიანელებს და მოკლული იქნა დიომიდეს მიერ.
- 25 ულისი ან ოდისე არის ჰომეროსის პოემების („ილიადა“ და „ოდისეა“) მთავარი გმირი, რომელსაც ახასიათებდა იშვიათი გამჭრიახობა და მონერხებულობა.
- 26 სოფლად სეირნობაა. როგორც დავინახავთ მალე, ქალაქის საჯარო სეირნობა დამლუპველია ბავშვისათვის, ვაჟი იქნება თუ ქალი. აქ ისინი პრანჭიობას და თავმომწონეობას ეჩვევიან სწორედ ლუქსემბურგში, ტიულირიში, მეტადრე კი პალე-როიალში ითვისებენ პარიზის ბრწყინვალე ახალგაზრდობა იმ ამპარტავანსა და მედიდურ გამომეტყველებას, რომელიც მას ასე სასაცილოს ხდის და რის გამოც მთელ ევროპაში სძულთ ეს ახალგაზრდობა და დასცინიან მას.
- 27 პოლიბოსი იყო ძველი საბერძნეთის სახელოვანი ისტორიკოსი, რომელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

- 28 „ჭამისათვის დაბადებულნი“ (ჰორაციუსი, წ 1, ეპ. 2).
- 29 მაიორკელებმა რამდენიმე საუკუნეა უკვე დაიწყეს ეს ადათი; ეს ის დრო იყო, როცა ისინი განთქმული მეშურდულები იყვნენ.
- 30 მე ვიცი, რომ ინგლისელებს თავი მოაქვთ კაცთმოყვარეობით და თავიანთი ერის გულკეთილობით. თავის ერს ისინი ეძახიან *good natured people* (საღბუნებიან ხალხს). მაგრამ რამდენიც არ იძახონ მათ, რომ ეს ასეა, არავინ ეხმაურება მათ ნათქვამს.
- 31 ბანიანები (*les baonians*), რომლებიც უფრო მეტად ერიდებიან ხორცის ჭამას, ვიდრე გარები, თითქოს ისევე მშვიდი ხალხია, როგორც ისინი; მაგრამ, ვინაიდან მათი ზნე-ჩვეულება არ არის იმდენად წმინდა და რელიგიაც ნაკლებად გონიერია, ისინი ვერ არიან იმდენად პატიოსანი ხალხი.
- 32 ამ წიგნის ერთ-ერთმა ინგლისელმა მთარგმნელმა შეამჩნია აქ ჩემი შეცდომა და ორივე შემთხვევა გაასწორა. ყასაბსაც და დასტაქარსაც ღებულობენ მოწმედ; მაგრამ პირველს არ აქვს უფლება ნაფიცი მსაჯული ან პერი, ე. ი. თანასწორობა მოსამართლე იყოს დანაშაულის გარჩევის დროს, დასტაქარს კი – აქვს.
- 33 მთელი ეს ნაწილი არის თავისუფალი თარგმნა ერთი ტრაქტატის დასაწყისისა, რომლის სათაურია „დასაშვებია თუ არა ხორცის ჭამა?“
- 34 ძველ ისტორიკოსებს მრავალი ასეთი აზრი აქვთ, რომელთა გამოყენება შესაძლოა იმ შემთხვევაშიც კი, მათ მიერ მოყვანილი ფაქტებიც რომ ყალბი იყოს. მაგრამ ჩვენ ვერ ვიყენებთ კარგად ისტორიას; მწიგნობრული კრიტიკა ნთქავს ყველაფერს: თითქოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, მაინცდამაინც სწორია ფაქტი თუ არა, და არა იმას, რომ რაიმე სასარგებლო აზრი გამოიტანო მისგან. გონიერი ადამიანი ისტორიას უნდა უცქერდეს, როგორც ისეთი არაკების კრებულს, რომლების მორალი ძლიერ შეესატყვისება ადამიანის გულს.
- 35 ჩვეულების მომნიბვლელი ძალა არის ადამიანის ბუნებრივი სიზარმაცის შედეგი და ეს სიზარმაცე მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტად აყვები ჩვეულებებს. უფრო ადვილია იმის გაკეთება, რაც უწინაც გვიკეთებია; გაკვალული გზა უფრო ადვილი გასავლელია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებას განსაკუთრებით დიდი ძალა აქვს მოხუცებსა და ზარმაცებს შორის და ძლიერ მცირე – ახალგაზრდებსა და სიცოცხლით სავესე ადამიანებს შორის. ეს რეჟიმი მხოლოდ სუსტებისათვის ვარგა და იგი დღიდან დღეზე სულ უფრო და უფრო ასუსტებს მათ. ბავშვებისათვის მხოლოდ ერთი ჩვეულება არის სასარგებლო – საგანთა აუცილებლობას ემორჩილებოდნენ, მოწიფულებისათვის კი – ადვილად ემორჩილებოდნენ გონებას. ყოველი სხვა ჩვეულება – ბიწია.